

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი

თამარ გითოლენდია

**პოლისემია და ომონიმია ქართულში
აფხაზური პარალელუბითურთ**

თბილისი
2014

თამარ გითოლენდია

პოლისემია და ომონიმია ქართულში აფხაზური
პარალელებითურთ

Tamar Gitolendia

**Polysemy and homonymy in Georgian with Abkhazian
parallels**

რედაქტორი: **თეიმურაზ გვანცელაძე** -
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი;

რეცენზენტები: **ქეთევან მარგიანი** -
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი;
ლელია ავიძბა - ფილოლოგიის დოქტორი;
ნიკოლოზ ოთინაშვილი -
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.

ISBN 978-9941-0-7261-1

© 2014 თამარ გითოლენდია

© 2014 Tamar Gitolendia

სარჩევი

შესავალი -----	5
წინასიტყვაობა -----	9
თავი I. პოლისემია და მისი წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები ქართულ ენაში აფხაზური პარალელებითურთ -----	14
§1. პოლისემიის რაობის საკითხები -----	14
§2. სოციოლექტები, როგორც პოლისემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები -----	22
2.1. ტაბუ -----	24
2.2. რელიგია -----	50
2.3. რიტუალური არგო -----	58
2.4. სემანტიკური დიალექტიზმები -----	78
2.5. ჟარგონი -----	89
2.6. გენდერი -----	94
2.7. ენის მომხმარებლის ცვალებადობა -----	107
§3. პრაგმატიკული ასპექტები, როგორც პოლისემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები -----	112
3.1. ონიმიზაცია -----	113
3.2. მეტაფორიზაცია -----	120
3.3. ტერმინოლოგიზაცია -----	131
3.4. სტილი -----	140
3.5. ირონია -----	145
§4. პოლისემიის ზოგი სხვა ასპექტი ქართულში -----	148

**თავი II. ომონიმია ქართულში და ომონიმის წარმოქმნის
ხელშემწყობი ფაქტორები აფხაზური პარალელებითურთ-----165**

**§1. პოლისემიისა და ომონიმის მომიჯნავე
საკითხები და ომონიმის რაობა -----165**

**§2. ომონიმთა ტიპები და მათი წარმოქმნის
ხელშემწყობი ფაქტორები -----178**

2.1. საკუთრივ ქართული ომონიმები
(შიდაენობრივი ომონიმები) -----185

2.2. ფონეტიკური ცვლილებებით
წარმოქმნილი ომონიმები-----186

2.3. სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ერთი და იმავე
ფუნქციით გამოყენების შედეგად
წარმოქმნილი ომონიმია -----192

2.4. სალიტერატურო და დიალექტურ ფორმათა
თანხვედრის შედეგად მიღებული ომონიმები -----200

2.5. ნასესხები და საკუთარი ლექსიკის შემთხვევითი
ბგერითი მსგავსების შედეგად მიღებული ომონიმები ----202

2.6. მეტაფორიზაციის გზით მიღებული
ომონიმების რაობისათვის -----205

2.7. ნასესხებ სიტყვათა ომონიმია -----207

დასკვნა-----208

**Polysemy and homonymy in Georgian
with Abkhazian parallels. Summary -----213**

შესავალი

ნაშრომი ეძღვნება პოლისემიისა და ომონიმის პრობლემის პარალელურ განხილვას ქართული და აფხაზური ენების მასალაზე.

დღემდე არსებულ სპეციალურ ქართველოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რა არის პოლისემია და ომონიმია, რა ინვესს მათ წარმოქმნას, როგორია მიმართება პოლისემიასა და ომონიმის შორის და ა.შ. ამ სხვაობას განაპირობებს საკვლევი მასალისადმი ორგვარი მიდგომა: სინქრონიული და დიაქრონიული. მკვლევართა ნაწილი მომხრეა იმისა, რომ პოლისემიისა და ომონიმის საკითხები გამოკვლეულ უნდა იყოს მხოლოდ სტატიკურ მდგომარეობაში, ერთი კონკრეტული ქრონოლოგიური მონაკვეთის მონაცემების მიხედვით. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი უარყოფს ამგვარი მიდგომის სისწორეს და მიიჩნევს, რომ აუცილებელია სიტყვის მთელი სემანტიკური და ხშირად მორფოლოგიური ისტორიის გათვალისწინება. შესაბამისად, ვიღებთ რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს. წინამდებარე ნაშრომში პოლისემიისა და ომონიმის პრობლემებს ვიკვლევთ არა ცალმხრივი, არამედ **კომპლექსური მიდგომით**, რაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს ის კანონზომიერებანი და ტენდენციები, რაც მოქმედებდა და მოქმედებს ენაში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სახელურ პოლისემიაზე. მცირე რაოდენობით განხილული გვაქვს ზმნური ძირები. ვთვლით, რომ ზმნურ ძირთა მრავალმნიშვნელობიანობა სახელურ ფორმებზე არანაკლებ საინტერესოა. დაკვირვების მიხედვით, ზმნებში მრავალმნიშვნელობიანობის მიზეზი ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს ზმნურ ძირთა ომონიმია, ამიტომ, ვფიქრობთ, ზმნური ძირების პოლისემია-ომონიმის საკითხი ცალკე მონოგრაფიული კვლევის საგანია.

ნაშრომის **აქტუალურობას** ზრდის ისიც, რომ ჩვენ პირველად ვცადეთ, ქართული ენის პოლისემია და ომონიმია შეგვედარებინა ქართულის მონათესავე აფხაზური ენის მონაცემებისათვის.

სხვა, მით უმეტეს გენეტიკურად ახლომდგომი იმ ენის მასალა, რომელსაც ქართულ ენასთან მრავალი საზიარო თვისების გარდა და საკმაოდ სერიოზული სხვაობებიც ახასიათებს და სადამწერლობო ტრადიციის მოკლე ისტორია აქვს, ფასეულ ინფორმაციას გვანვდის ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებების ასახსნელად.

ნაშრომის აქტუალურობის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია პოლისემიისა და ომონიმის საკითხთა სწავლება სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სადაც უნდა დაინერგოს არა ცალმხრივი, არამედ კომპლექსური კვლევის შედეგები, რაც უფრო მართებულია წარმოაჩინოს პოლისემიისა და ომონიმის პრობლემატიკას.

წინამდებარე ნაშრომის **პრაქტიკულ ღირებულებას** განსაზღვრავს მისი კომპლექსური ხასიათი: საკითხით დაინტერესებულ ყოველ მეცნიერს შესაძლებლობა ეძლევა ერთ ნაშრომში გაეცნოს არსებულ თვალსაზრისებს, სინქრონიული და დიაქრონიული კვლევის შეხამების გზით მიღებულ ახლებურ დასკვნებს, აგრეთვე ორი მონათესავე ენის შედარების შედეგებს. ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას ზრდის ისიც, რომ მასში წარმოდგენილი შედეგები შეიძლება დაინერგოს სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში. ასევე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები დიდ დახმარებას გაუწევს თარგმანის საკითხით დაინტერესებულ პირებს, კომპიუტერულ თარგმანზე მომუშავე პროგრამისტებსა და მეცნიერებს, საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლების მეთოდისტებსა და პედაგოგებს, რადგან, როგორც ცნობილია, პოლისემიური ლექსიკის სწავლება ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს სხვა ენის (ამ შემთხვევაში ქართულის, როგორც არამშობლიური ენის) შესწავლის, ასევე კომპიუტერული თარგმანის დროს.

დასახული მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებია:

- სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით ქართული სამწიგნობრო ენისათვის დამახასიათებელი პოლისემიისა და ომონიმის კომპლექსურად გამოკვლევა აფხაზური პარალელების მითითებით;

- პოლისემიისა და ომონიმის წარმოქმნის მიზეზების (წყაროების) და ხელისშემწყობი ფაქტორების გამოვლენა;
- ქართულ და აფხაზურ ენებში პოლისემიისა და ომონიმის სისტემურობის ხარისხის გარკვევა.

ქართული ლექსიკის ანალიზისათვის ჩვენ არ ვიფარგლებით არც რომელიმე ქრონოლოგიური მონაკვეთით და არც მხოლოდ ერთი კუთხიდან ვაკვირდებით საკვლევ ობიექტებს – ჩვენ ავირჩიეთ პოლისემიისა და ომონიმის კვლევა მრავალმხრივი დაკვირვების გზით.

ნაშრომის წერისას დასახული გვქონდა შემდეგი **ამოცანები**:

- ქართული და აფხაზური ენების პოლისემიური და ომონიმური ლექსიკის შეკრება და სისტემატიზება;
- საკითხის შესახებ არსებული ზოგადლინგვისტური, ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი;
- პოლისემიურ ლექსიკაში პირველადი და მეორეული მნიშვნელობების გამიჯვნა და სემანტიკური სექციების გამოვლენა მეორეული მნიშვნელობების ფუნქციონირების სფეროების მიხედვით;
- პოლისემიისა და ომონიმის წარმომქმნელი ფაქტორების კვლევა ქართულში და მისი შედარება შესაბამის აფხაზურ მასალასთან;
- კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების გამოტანა.

საკითხის შესასწავლად გამოყენებულია პროსპექტული ანალიზის მეთოდი; მნიშვნელობის ანალიზური თეორიის მეთოდი, რომელიც მნიშვნელობას განიხილავს როგორც შედეგს; სემანტიკური ტრანსფორმაციის სურათის გამოსავლენად გამოყენებულია სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის მეთოდი, ასევე აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომის სიახლეა პოლისემიისა და ომონიმის პრობლემების კვლევა არა ცალმხრივად, არამედ **კომპლექსურად**, როცა ერთდროულად აღინერება ენაში არსებული თანამედროვე ვითარება და იქვე გაშუქებულია კონკრეტული

სიტყვის, თუ სიტყვათა მთელი ჯგუფების სემანტიკურ-ფუნქციური ისტორია, ხშირ შემთხვევაში ეტიმოლოგიაც, რაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს ის კანონზომიერებანი და ტენდენციები, რომლებიც მოქმედებდა და მოქმედებს ენაში.

ნაშრომი შედგება შესავლის, წინასიტყვაობის, 2 თავის, დასკვნითი ნაწილისა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სიისაგან.

მადლობას ვუხდით ჩემს მასწავლებელს, **პროფ. თეიმურაზ გვანცელაძეს**, რომელიც ღირებულ რჩევებს მაძლევდა ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე. აგრეთვე ხელშეწყობისათვის მადლობას მოვასხენებ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელს **პროფ. მერაბ ნაჭყებიას**. ასევე მადლობას ვუხდით **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს**, რომლის ფინანსური დახმარებით ხორციელდება წიგნის გამოცემა.

წინასიტყვაობა

პოლისემიის წარმოქმნის ენობრივი და ექსტრალინგვისტური ფაქტორები მეტად მრავალფეროვანია. ყოველ მათგანს თავისებური ნიუანსები აქვს. **სიტყვის სრულყოფილი, ამომწურავი სემანტიკური დახასიათებისათვის საჭიროა მისი მიმართების გარკვევა ენის სხვადასხვა ქვესისტემებთან.** კერძოდ:

ა) უნდა განისაზღვროს სიტყვის ადგილი საერთოეროვნულ ლექსიკაში;

ბ) სიტყვის სემანტიკური დახასიათება უნდა მოხდეს მისი მიმართების გარკვევით ისტორიულ მონაცემებთან, სხვადასხვა ენობრივ კოდებთან/ენობრივ სისტემებთან (დიალექტური ლექსიკა, პროფესიული ენები, ტაბუ, რიტუალური არგო, ჟარგონი...), მეტაფორიკასთან, ენის გენდერულ ასპექტებთან, ბავშვის ენასთან, იუმორთან, ირონიასთან, ინტერტექსტუალობასთან, კონოტაციასა და ენის დანარჩენ ქვესისტემებთან; მნიშვნელოვანია აგრეთვე ეტიმოლოგიის გათვალისწინებაც.

ამგვარი კომპლექსური მიდგომა წარმოაჩენს: ა) სიტყვის შინაარსობრივ პოტენციას, ბ) მეორეული მნიშვნელობების ფუნქციონირების სფეროებს, გ) სემანტიკათა განაწილებას ენის ქვესისტემებში/ლექსიკურ სექციებში.

სიტყვის სემანტიკურ დახასიათებაში ასევე დაგვეხმარება:

- ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება;
- ქრონოლოგიური და სივრცული მონაცემების გათვალისწინება;
- კულტურულ-ისტორიული გარემოს გათვალისწინება;
- ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინება;
- მითოლოგიური და წარმართული კულტურული არეალიდან ახალ კულტურულ არეალში გადასვლის დროს მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვება;
- ისტორიის განმავლობაში მომხდარი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური გარდატეხების გათვალისწინება და სხვ.

ყოველივე ეს წარმოდგენას შეგვიქმნის ლექსიკურ ფონდთან ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულების, აზროვნების ისტორიის, ზოგადად ლექსემათა სემანტიკურ ცვლილებებზე ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენისა და პოლისემიის წყაროების/პოსლიემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ.

ქართული ენის პოლისემიის ძირითადი საკითხების შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ამ ნაშრომებს შორის ხშირად აზრთა პოლარული სხვაობა შეინიშნება, ხოლო ბევრი საკითხი ნაკლებ დამუშავებული რჩება. ჩვენ ვეცადეთ, უყურადღებოდ, ობიექტური კრიტიკული ანალიზის გარეშე არ დაგვეტოვებინა არცერთი თეორიულად მნიშვნელოვანი საკითხი და გამოგვეთქვა ჩვენი შეხედულება მათ შესახებ.

ქართული ენის მასალის ანალიზისას მიღებული დასკვნები ტიპოლოგიური ხასიათისაა და შეიძლება განზოგადდეს მრავალი სხვა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენისთვის. ბუნებრივია, უპრიანი იქნებოდა, ქართული ენის მონაცემები შეგვედარებინა ქართულის გენეტიკურად მონათესავე რომელიმე კარგად შესწავლილ ენასთან, რათა დაგვედგინა, რამდენად დასტურდება იმ მონათესავე ენაში ქართულთან საზიარო სემანტიკური მოვლენები და რა ქმნის სხვაობას მათ შორის. შესაძარებლად ვამჯობინეთ შეგვეჩია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ყველაზე უკეთ შესწავლილი და ქართულთან ახლოს მდგომი აფხაზური ენა, რომლის პოლისემიური და ომონიმური ლექსიკა გავაანალიზეთ იმ სისტემის მიხედვით, რაც ქართულის კვლევის შედეგად აიგო.

კონკრეტული ლექსიკური ერთეულის პოლისემანტიკურ სიტყვად გარდაქმნის ისტორიის კვლევა მოითხოვს დიდძალი ენობრივი მასალის (სხვადასხვა ეპოქის წერილობით წყაროთა და დიალექტების მონაცემთა) საფუძვლიან შესწავლას, სიტყვის ანალიზს სხვადასხვა კონტექსტში, მოცემული სიტყვის მორფემული სტრუქტურის დადგენას, ძირ(ებ)ისა და სხვა მორფოლოგიური ინვენტარის გამოყოფას, ახლომონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინებით სიტყვის ფორმოზრივი ისტორიის

გარკვევასა და ამოსავალი სემანტიკის დადგენას. ეს ამოცანები მით უფრო რთულდება, რაც მეტი ლექსიკური ერთეულის კვლევას ისახავს მიზნად ენათმეცნიერი. ქართული სამნიგნობრო ენის ლექსიკის ამგვარი კომპლექსური კვლევა შედარებით უფრო პროდუქტიულია, ვინაიდან არსებობს მინიმუმ 1500 წლის ისტორიის მქონე სხვადასხვა შინაარსის დიდძალი ტექსტობრივი მასალა, მაგრამ აფხაზური სამნიგნობრო ენის ლექსიკის კვლევა ამ მიმართულებით გაცილებით უფრო ძნელია, ვინაიდან ამ ენაზე დამწერლობა არც ისე დიდი ხნის წინ, 1862 წელს შეიქმნა, რაც არ იძლევა საშუალებას, დოკუმენტურად დადასტურდეს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ფორმოზრივი და სემანტიკური ისტორია. რჩება მხოლოდ დიალექტთა და ახლომონათესავე ენათა მონაცემების შეჯერების გზა, მაგრამ ესეც პრობლემურია, ვინაიდან, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, აფხაზური ლექსიკა ახლომონათესავე ენათა შესაბამის მონაცემებთან კანონზომიერ ბგერათმესატყვისობებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ავლენს,¹ თუმცა აქ აღნიშნული არ გამოიცხავს იმას, რომ აფხაზური ენის დიაქრონიული სურათის აღდგენა შეუძლებელია – უბრალოდ, ამ ენაში ამ კუთხით კვლევის შესაძლებლობები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ქართულში გვაქვს.

1 Ломтатидзе К.В., К генезису одново ряда троечных спирантов в адыгских языках. «Институт языкознания АН СССР. Доклады и сообщения», Т. IV-V. Москва, 1953, сс. 91-98; ლომთათიძე ქ., ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართულ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე). „საქ-ს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, თბ., 1955, ტ. XVI, №10, გვ. 821-828; Ломтатидзе К.В., Некоторые вопросы истории фонетической системы абхазско-адыгских языков. «XXV международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР». Москва, 1960, сс. 3-12; Ломтатидзе К.В., К вопросу о природе сонантов и об их коррелятивных парах (По данным абхазско-адыгских и картвельских языков). Журнал «Вопросы языкознания», №3, 1975, сс. 112-118; ლომთათიძე ქ., ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან: ქართ. წ აფხაზური შ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადუნი“, 1977, ტ. IV, გვ. 81-88; Ломтатидзе К.В., К вопросу о закономерном и регулярном характере звуковых соответствий. «Ежегодник иберийско-кавказского языкознания», т. I, Тбилиси, 1982, сс. 15-21.

თქმული იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ქართული და აფხაზური ენების შედარება არის უთანასწორო შედარება, რადგან ქართულის ანალიზი ემყარება 15-საუკუნოვან ისტორიას, ამიტომ ანალიზისას საშუალება გვაქვს გამოვიყენოთ ისტორიული ენობრივი მასალა და მივიღოთ უფრო ზუსტი შედეგები, ხოლო აფხაზური ენის საკვლევად 150 წლის განმავლობაში წერილობით დადასტურებულ ენობრივ მასალაზე მეტის გათვალისწინების საშუალება ნაკლებად გვეძლევა, თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა აფხაზური სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა შესაძლებელი ხდება სიტყვაფორმის სტრუქტურაზე დაკვირვებით და პრაფორმის შინაგანი რეკონსტრუქციის გზით.

აფხაზური ენის პოლისემიისა და ომონიმიის საკითხებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთადერთი საგანგებო ნაშრომი მიეძღვნა. ესაა ლეონიდ სამანჯიას საკანდიდატო დისერტაცია. ჩვენ ამ ნაშრომს ვიყენებთ, თუმცა ზოგ რამეში არ ვეთანხმებით აფხაზ კოლეგას.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად სისტემურია ქართულ სამნიგნობრო ენაში პოლისემია და თუ მას სისტემის სახე აქვს, რა წარმოქმნის ამ სისტემას; მეორე მხრივ, ზოგადლინგვისტურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკული შეფასების შედეგად ჩვენთვის მისაღებ დებულებათა გათვალისწინებით ვადგენთ კონკრეტულად რომელი ენობრივი, თუ გარეენობრივი ფაქტორები უწყობენ ხელს სიტყვათა ახალი მნიშვნელობების წარმოქმნას.

არსებითი საკითხია აგრეთვე იმის დადგენა, თუ რა ინვეს ომონიმიას და როგორ ცდილობს ენა, თავი აარიდოს ომონიმიის არსებობით გამოწვეულ ორაზროვნება-ბუნდოვანებას.

გარდა აღნიშნულისა, ქართული სამნიგნობრო ენის მონაცემების კვლევის შედეგებს ვადარებთ აფხაზური სამნიგნობრო ენის შესაბამის მონაცემებთან და ვადგენთ, რა არის საზიარო და განსხვავებული ორ გენეტიკურად მონათესავე ენას შორის. აქვე განვმარტავთ, რომ აფხაზური ენის მონაცემების დეტალური კვლევა არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს: ჩვენ ვემყარებით

აფხაზოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ მოსაზრებებს და აუცილებლობის შემთხვევაში ვავსებთ მათ ჩვენ მიერ მოპოვებული აფხაზური ენობრივი მასალის ჩვენეული ანალიზის შედეგებით.

გამოყენებული გვაქვს ქართული და აფხაზური ენების ლექსიკის სისტემური კვლევისადმი მიძღვნილი ბ. ფორჩხუას, ქ. ლომთათიძის, პ. ცხადაიას, კ. ჯორჯანელის, თ. გვანცელაძის, გ. გვანცელაძის, ი. ქერქაძის, თ. ოჩიაურის, ა. არაბულის, რ. ქურდაძის, ე. ბაბუნაშვილის, ფ. ბადრიშვილის, თ. ლომთაძის, ხ. ბლაჟუას, ლ. სამანჯიას, კ. შაყრილის, ა. ხეციას, ზ. ხიბას და სხვათა ნაშრომები.

საანალიზო მასალა მოძიებული გვაქვს შემდეგი წყაროებიდან: ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი (1973 წ.); ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალეზი) (1995 წ.); სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეული (1950-1964 წწ.); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მეორე შევსებული გამოცემა ტ. 1, ა-ბ (2008 წ.); ალ. ლლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (1984 წ.); ა. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (1978 წ.); პ. ცხადაიას ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (1988 წ.); ა. სიხარულიძის ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი (1992 წ.); ლ. ბრეგაძის ქართული ჟარგონის ლექსიკონი (2005); ალ. მაცაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი (1991 წ.); ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (1990 წ.).

აფხაზური მასალა მოძიებული გვაქვს შემდეგი ლექსიკონებიდან: ბ. ჯანაშიას აფხაზურ-ქართული ლექსიკონი (1954 წ.); ვ. კასლანდიას აფხაზურ-რუსული ლექსიკონი (2005 წ.); ა. გენკოს აფხაზურ-რუსული ლექსიკონი; თ. გვანცელაძის აფხაზურ-ქართული ლექსიკონი და ქართულ-აფხაზური ლექსიკონი (2012 წ.); ლ. სამანჯიას აფხაზური ენის ომონიმთა ლექსიკონი (1987 წ.); ნ. არშბას მეცხოველეობის ტერმინთა ლექსიკონი (1980 წ.); ხ. ბლაჟუას აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი (1964 წ.).

თავი I. პოლისემია და მისი წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები ქართულ ენაში აფხაზური პარალელუბითურთ

§1. პოლისემიის რაობის საკითხები

ენაში ურიცხვია ისეთი სიტყვები, რომლებსაც ამოსავალი მნიშვნელობის გარდა გადატანითი გაგებაც აქვთ. ასეთი ლექსიკა არანაკლებ ასახავს სინამდვილის მოვლენებს.

პოლისემია (< ბერძნ. polysemos – მრავალმნიშვნელობიანი) ეწოდება ენობრივი ერთეულის უნარს, გამოხატოს ერთზე მეტი მნიშვნელობა, ჰქონდეს ერთზე მეტი ალსანიშნი. მაგალითად, პოლისემიური სიტყვა **ძვირი** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ითავსებს 4 მნიშვნელობას:

1. დიდი ფასის მქონე;
2. იშვიათი, არახშირი;
3. ცუდი, ავი, ბოროტო რამ;
4. (ძვ.) ძუნწი.

ბევრად მეტი მნიშვნელობები უდასტურდება სიტყვებს: თავი, გული და სხვ².

სხვა განმარტების თანახმად, **პოლისემია** იგივეა, რაც სიტყვის მრავალმნიშვნელობა, მრავალვარიანტულობა, როცა სიტყვას ერთდროულად აქვს ორი, ან მეტი ისტორიულად განპირობებული, ან აზრობრივად, ანდა წარმომომობის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა³, როცა რეალურად მოცემულ ერთ ფორმაში არსებობს ორი შესაძლებელი შინაარსი⁴.

ენათმეცნიერებაში გამოყოფენ ლექსიკურ და გრამატიკულ პოლისემიას. ჩვენი კვლევის სფეროა **ლექსიკური პოლისემია**.

2 ენციკლოპედია. ქართული ენა. თბ., 2008.

3 Современный толковый словарь русского языка Ефремовой. <http://dic.academic.ru/dic.nsf/efremova/220304/%D0%9F%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%81%D0%B5%D0%BC%D0%B8%D1%8F>. უკანასკნელად გამოყენებულ იქნა 20.02.2014.

4 თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბ., 1961, გვ. 35.

ლექსიკური პოლისემია არის სიტყვის უნარი, ერთი ფორმით გამოხატოს სხვადასხვა საგანი, ან მოვლენა. მნიშვნელობები ერთმანეთს ასოციაციურად უკავშირდება. საერთო სემანტიკური ნიშნის არსებობა განარჩევს პოლისემიას ომონიმიისა და ომოფონიისაგან⁵.

ა. რეფორმატსკის მტკიცებით, პოლისემიის პირველი საკითხია, თუ რა არის პირდაპირი და რაა გადატანითი მნიშვნელობა⁶. განსხვავება პირდაპირსა და გადატანით მნიშვნელობათა შორის ისაა, რომ გადატანითი მნიშვნელობა ახსნადია, მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობის მეშვეობით, ხოლო პირდაპირი მნიშვნელობა აუხსნელია. მაგალითად, ნავი იმიტომ ატარებს ნოც სახელს, რომ „ცხვირს“ ჰგავს, მაგრამ აუხსნელია, თუ თვით კაცის „ცხვირი“ – ნოც რატომ ატარებს ამ სახელს⁷.

პოლისემია შედეგია ენის გარკვეულ ქრონოლოგიურ დონეზე იმ მნიშვნელობათა თავმოყრისა, რომლებიც სიტყვას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეუძენია. მაგალითად, სიტყვა **ბექს** პოლისემიურობა მიანიჭა მისმა გამოყენებამ საფეიქრო ტერმინად. ამიტომაც პოლისემიის პრობლემათა კვლევა მოითხოვს სიტყვის მნიშვნელობათა ფორმირების პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლას. პოლისემია ყოველთვის გულისხმობს მრავალი მნიშვნელობის განვითარებას ერთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობისაგან. ამიტომაც კავშირი ამ მნიშვნელობათა შორის რჩება ერთი სიტყვის მნიშვნელობად⁸. ბუნებრივია, ამ სრულიად მისაღები განმარტების თანახმად, უეჭველად უნდა ვირწმუნოთ, რომ პოლისემიის კვლევას უმჭიდროესად უკავშირდება სიტყვის სემანტიკური მხარის განვითარების ისტორიის კვლევა. **ისტორიზმის გარეშე პოლისემიის შესწავლა შეუძლებელი ჩანს**.

პოლისემიასთან მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე, როდესაც

5 Словари и энциклопедии на Академике. <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/19898> . უკანასკნელად იქნა აღმოჩენილი 20.02.2014.

6 Реформатский А. А., Введение в Языкознание, Москва, 1955. с. 49.

7 იქვე, გვ. 49; ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1960, ტ. XII, გვ. 106.

8 ენციკლოპედია. ქართული ენა. თბ., 2008.

ერთი ფონეტიკური გარსი მიმართებაში აღმოჩნდება საგანთა რამდენსამე კლასთან. ამიტომ **პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება** არა ფილოსოფიური საკითხი, როგორ ხდება განზოგადება, საგანთა სიმრავლეში საერთო თვისებების აღმოჩენა და ამ ნიადაგზე მათი გაერთიანება ამ ცნებაში, არამედ **წმინდა ისტორიული ენათმეცნიერული საკითხი – როგორ, რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალ მნიშვნელობასთან ერთად**⁹.

ზოგიერთი მკვლევარი ასეთ შემთხვევებში ომონიმის მოვლენას ხედავს. ვ. ვინოგრადოვის აზრით, ერთი განაპირობებს მეორის გამოვლენას. ამოსავალმა ერთეულმა მიიღო ხატოვანება და ამჟამად მათ შორის ომონიმური დამოკიდებულებაა¹⁰. ე. კურილოვიჩი შენიშნავს: „იმ ფაქტიდან, რომ ესა თუ ის სიტყვა ასახავს ორ სრულიად განსხვავებულ ფიზიკურ ან ფსიქიკურ სინამდვილეს, ყოველთვის ვერ დავასკვნით ამ სიტყვის მრავალმნიშვნელობას (პოლისემიას)“¹¹.

ლინგვისტიკაში პოლისემია, ფართო გაგებით, ერთიანი ბგერითი შედგენილობის მქონე ლექსიკური ერთეულებით სხვადასხვა მნიშვნელობის გამოხატვას ეწოდება, ე. ი. პოლისემია ფართო ნომინაციური ველით გამოირჩევა. პოლისემიური სიტყვები ერთმანეთისაგან წარმომავლობითაც განსხვავდებიან. მათ ომონიმებსაც უწოდებენ (იხ. ქვემოთ მომიჯნავე საკითხების მიმოხილვა – თ.გ.). მათგან განასხვავებენ ისეთ ძალიან მსგავს სიტყვებს, რომლებსაც **მრავალმნიშვნელობიან სიტყვებსაც** უწოდებენ. ამაში იგულისხმება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც თავისთავად სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებენ. მაგალითად, „მთის **წვერი**“, „ისრის **წვერი**“, „აღამიანის **წვერი**“ (ბალანი პირისახეზე). ეს სი-

9 ფონეტიკური გარსი მიმართებაში აღმოჩნდება საგანთა რამდენსამე კლასთან. ამიტომ **პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება** არა ფილოსოფიური საკითხი, როგორ ხდება განზოგადება, საგანთა სიმრავლეში საერთო თვისებების აღმოჩენა და ამ ნიადაგზე მათი გაერთიანება ამ ცნებაში, არამედ **წმინდა ისტორიული ენათმეცნიერული საკითხი – როგორ, რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალ მნიშვნელობასთან ერთად**⁹.

10 Виноградов В. В. Об основных типах фразеологических единиц. 1977, с. 353.

11 Курилович Е. Р. Заметки о значении слова. Вопросы языкознания. 1955, №3, 75.

ტყვეები სინამდვილეში ერთ სიტყვას წარმოადგენენ. **ომონიმები** კი სხვა ვითარებას ასახავენ. ისინი მნიშვნელობითაც და წარმომავლობითაც სხვადასხვა სიტყვებს წარმოადგენენ: **წარი** — ეკლებიანი მცენარე და **წარი** — „წ“ ასოს სახელწოდება; **ალი** — ცეცხლის ალი და **ალი** — ხალხური ზღაპრის პერსონაჟი¹².

ომონიმია მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ გარეგნულად ერთნაირი სიტყვა განსხვავებულია არამარტო მნიშვნელობით, არამედ წარმომავლობითაც¹³.

როგორც აღინიშნა, პოლისემიისა და ომონიმის საკითხზე აფხაზურ ენაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა აფხაზმა მეცნიერმა ლეონიდ სამანჯიამ. აქვე მოკლედ მიმოვიხილავთ ლ. სამანჯიას დასკვნებს აფხაზურ ენაში არსებული პოლისემიის შესახებ. მან აფხაზურ ენაში გამოყო პოლისემიის 4 ძირითადი ტიპი: **მეტაფორა, მეტონიმია, სინექდოქე, ტაბუ და ევფემიზმები**¹⁴.

მეტაფორა და მეტონიმია აფხაზურშიც წარმოადგენენ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის განსხვავებულ სახეს. აქედან გამომდინარე, სიტყვებს აქვთ საერთო და განსხვავებული ნიშან-თვისებები.

ლ. სამანჯიას ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სიტყვის არა მხოლოდ ზოგად ნიშან-თვისებებზე, არამედ მეტაფორისა და მეტონიმის საფუძველზე წარმოქმნილ განსხვავებულ მნიშვნელობებზეც¹⁵.

მისი სიტყვით, აფხაზურ ენაში სიტყვის მნიშვნელობების წარმოქმნის ხერხები სხვადასხვაგვარია. სიტყვის ახალი მნიშვნელობა შესაძლებელია წარმოიშვას საგნობრივი მსგავსების აზ-

12 პალ-ნიორაძე ნ. სინონიმი და პოლისემია ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში. ფ. ინტელექტუალი, 2012, №18. <http://www.nplg.gov.ge/gsdlib/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0---0prompt-10--4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.14&d=HASH48f071f4f908e14da5b0b7.2.2> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.02.2014.

13 ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 2008, გვ. 190.

14 Саманджия Л. Х. Полисемия и омонимия в абхазском языке. На правах рукописи. Тбилиси, 1989, с. 7.

15 იქვე.

რობრივი გადატანით მათი ნიშნების მიხედვით. მნიშვნელობათა მეტაფორული კავშირის შემთხვევაში მრავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ემყარება მსგავსებას, ტიპურ ასოციაციურ კავშირებს. ეს არის ენობრივი ურთიერთმოტივირებულობა:

ა. ფორმის, გარეგნული სახის მიხედვით მსგავსება და მის საფუძველზე წარმოქმნილი შთაბეჭდილებები: აშკლ – „პაჭანაკი, საკოჭური“ > „უზანგი, ავჟანდა“...;

ბ. ადგილმდებარეობის მიხედვით მსგავსება: ანჯა – „კული“ > „ბოლო, დასასრული; კიდე, ნაპირი; ქვეყანა; მხარე“...;

გ. მოქმედების მიხედვით მსგავსება: ათალარა – „რამეში შესვლა, ჩასვლა, შეძრომა“ > „უმაღლეს სანავლებელში ჩარიცხვა“...;

დ. სტრუქტურის, შეფასებისა და სხვა ნიშნების მსგავსების მიხედვით: ახანა – „კაცი, მამაკაცი; ქმარი“ > „გულადი, მამაცი; გმირი“...;

ე. ფუნქციის მსგავსების მიხედვით: ამწა – „გიდელი“ > „მარცვლეულის თავმოსაყრელი ნაწილი კომბაინზე“...

პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები, რომლებსაც აქვთ გამაერთიანებელი საერთო სემანტიკა, ლაგდება შემდეგი სახით: „საგანი-ადამიანი“, „მცენარე, ხე – ადამიანი“, „ცხოველი — ადამიანი“ და ა.შ.

მესამე სახე პოლისემიისა აფხაზურში არის სინექდოქე, ანუ მეტონიმის ერთ-ერთი სახე — ზოგადის აღმნიშვნელი სიტყვის შეცვლა კერძობითის აღმნიშვნელით, მთელის აღმნიშვნელისა — ნაწილის აღმნიშვნელით, მრავლობითისა მხოლოობითით და პირიქით. ამ მიმართებაში ერთი წევრი ყოველთვის იქნება დიდი, უმეტესი, საერთო, მასშტაბური, ხოლო მეორე — მცირე, კერძო.

ლ. სამანჯიას აზრით, პოლისემიის მეოთხე წყაროა ტაბუ, სიტყვიერი აკრძალვა. აფხაზურ ტაბუირებულ ლექსიკაში ერთიანდება ღმერთის, უწმინდურ ძალთა, საშიში საგნების, ადამიანების ზოგი სოციალური ჯგუფის, ცხოველების, ავადმყოფობების სახელები, სამონადირეო ლექსიკა, პიროვნებათა სახელები...¹⁶

აფხაზი მეცნიერის შეხედულებაში ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია პოლისემიის ცალკე ჯგუფად სინექდოქეს გამოყოფა, რომელიც

16 იქვე, გვ. 8-12.

თვით ლ. სამანჯიას აზრით, მეტონიმის ერთ-ერთი სახეა. უპირიანი იქნებოდა, თუ ავტორი სინექდოქეს სწორედ მეტონიმიაში გააერთიანებდა.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია პოლისემიის, როგორც სისტემის, აღწერა, კერძოდ, ვიკვლევთ საკითხს იმის შესახებ, **თუ როგორ ყალიბდება ენაში პოლისემია, აქვს თუ არა პოლისემიას სისტემა და რა ქმნის ამ სისტემას.**

უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, სისტემა არის:

1. გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე.

2. ერთობლიობა პრინციპებისა, რომლებიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს.

3. დაჯგუფება, კლასიფიკაცია. მაგ., ლინეს ბოტანიკური სისტემა.

4. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან. მაგ., მზის სისტემა. ნერვული სისტემა.

5. საზოგადოებრივი წყობილების ფორმა. მაგ., სოციალისტური სისტემა. კაპიტალისტური სისტემა. სახელმწიფოებრივი სისტემა.

6. რისამე მოწყობის, ორგანიზაციის ფორმა, წესი. მაგ., საარჩევნო სისტემა.

7. ორგანიზაციულად გაერთიანებულ წარმოებათა, დანესებულებათა ერთობლიობა.

ამ შვიდი პუნქტიდან ჩვენი ნაშრომის მიზანს უკავშირდება პირველი და მეოთხე პუნქტები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. მიგვაჩნია, რომ ენობრივი სისტემა, ერთი მხრივ, არის **გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია ენობრივი ერთეულების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე.** მეორე მხრივ, ენობრივი სისტემა წამოადგენს **სტრუქტურას, მთლიანობას, რო-**

მელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ფსიქოლოგისა და პუბლიცისტის, ოლეგ ბოკაჩოვის დებულება, რომლის თანახმადაც, **სისტემის შექმნა გვეხმარება არსის გამოვლენაში**, სისტემა – ეს მხოლოდ მართვის ინსტრუმენტია. სისტემა მეორადია, ის ადამიანის გარეშე არ იქმნება¹⁷. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ სისტემა ადამიანის გარეშეც არსებობს და თვით ადამიანსაც შეუძლია შექმნას ხელოვნური სისტემა. მაგალითად, მზის სისტემა, ქიმიური ელემენტების სისტემა, მცენარეთა და ცხოველთა ოჯახები და სახეობები, ცოცხალ არსებათა ანატომიური და ფიზიოლოგიური სისტემები და მრავალი სხვა ადამიანის გაჩენამდეც არსებობდა, მაგრამ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანმა შეძლო არა მარტო ამ სისტემების აღმოჩენა/გამოვლენა, შეცნობა და სისტემის სახით დანახვა, არამედ ხელოვნური სისტემებიც შექმნა: მართვის სისტემა, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემები...

ერთი მხრივ, ენაში არსებობს სისტემები ადამიანის შეგნებული ჩარევის გარეშე: ფონემატური სისტემა, გრამატიკული სისტემა, სინტაქსური სისტემა. ეს სისტემები, თავის მხრივ, ქვესისტემებისაგან შედგება. მაგალითად, ნებისმიერი ენის ფონემატურ სისტემაში ქვესისტემებს ქმნიან ხმოვნები და თანხმოვნები (ზოგან ნახევარხმოვნებიც); ხმოვნები იყოფა ლიაობისა და ანეულობის ქვესისტემების მიხედვით; თანხმოვნები ქმნიან ხშულთა, აფრიკატთა, სპირანტთა და სონანტთა ქვესისტემებს; სახელები, ჩვეულებრივ, ფორმას იცვლიან რიცხვის, ბრუნვის, სქესისა და სხვა ქვესისტემების მიხედვით; ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოს და სხვა ქვესისტემები და ა. შ.

ენის რიგითი მომხმარებლები, ჩვეულებრივ, არ ფიქრობენ ენობრივი სისტემებისა და ქვესისტემების რაობის შესახებ, მათ მხოლოდ ენის პრაგმატიკული ასპექტები აინტერესებთ, მაგრამ მეცნიერისთვის ენობრივი სისტემებისა და ქვესისტემების გამ-

17 Бокачев О. Система. http://1-veda.info/_vedic/oleg.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8.02.2014

ოვლენა, კლასიფიცირება და ფუნქციონირების თავისებურების ახსნა მთავარი ამოცანაა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სისტემები ყველაზე ნაკლებად ლექსიკაშია გამოვლენილი, კლასიფიცირებული და ახსნილი. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლექსიკის ანალიზი უპირატესად სემანტიკის კვლევას გულისხმობს, სემანტიკა კი ძნელად მოსახელთებელი ენობრივი ფაქტია. ამიტომ ყველაზე ხშირად სემანტიკურ სისტემებს თვით ლინგვისტები აგებენ ხოლმე და ცდილობენ ამ სისტემებს მოარგონ ენობრივი ფაქტები, ანუ სემასიოლოგიური კვლევის შედეგებს ხშირად განსაზღვრავს მეცნიერის თვალთახედვა, პოზიცია, მის მიერ აგებული სისტემა. ამრიგად, გამოდის, რომ ლინგვისტი „მართავს“ ლექსიკურ სისტემებს, ახდენს ენობრივი ფაქტების კოორდინირებას/ორგანიზებას საკუთარი ყალიბის მიხედვით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლინგვისტმა უნდა შეძლოს ის, რომ მის მიერ აგებული სისტემა იყოს მაქსიმალურად ობიექტური, სტაბილური და დამაჯერებლად არგუმენტირებული.

პოლისემიის სისტემურობის დასადგენად მუშაობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პოლისემიას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი: კულტურა, რელიგია, პოლიტიკა, სოციალური ასპექტები... აქამდე პოლისემიის საკითხი განიხილებოდა ძირითადად მხოლოდ სემანტიკისა და სემანტიკური ველის კონტექსტში — ასოციაციურობის, ზოგადი თვისების, გარეგნული მახასიათებლის... მიხედვით. ჩვენ ამგვარ ხედვაზე უარს არ ვაცხადებთ და ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ ვამჯობინებთ საკითხის კომპლექსურ კვლევას.

ჩვენი აზრით, **პოლისემიის წარმოქმნაში უმთავრესია სოციალური და პრაგმატიკული ფაქტორები**. ამის გამო სიტყვების ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნის საკითხს ვიკვლევთ როგორც სოციალური სტრატეგების მიხედვით, ისე პრაგმატიკის პოზიციიდან. **ამდენად, პოლისემიას განვიხილავთ სოციალური დიალექტოლოგიის, ადამიანის სახეობრივ-ხატოვანი აზროვნების, მეტაფორიზაციის, პრაგმატიკისა და სხვა გარეენობრივი ფაქტორების პოზიციებიდან. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების ის ჯგუფი,**

რომელიც სოციოლექტებში არ გადანაწილდება, ახალ მნიშვნელობებს იჩენს მეტაფორიკის — პრაგმატული ასპექტის საფუძველზე.

§2. სოციოლექტები, როგორც პოლისემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები

სოციალური დიალექტი არის დიალექტის ერთ-ერთი სახე, რომელიც ნაკლებად არის დამოკიდებული ერთი ენის ტერიტორიულ (გეოგრაფიულ) ნაირსახეობაზე და მეტად — ენობრივი კოლექტივის სოციალურ თავისებურებებზე¹⁸.

ქართული ენის ენციკლოპედიის მიხედვით, **სოციალური დიალექტი** არის გარკვეული სოციალური ჯგუფის ენა, საზოგადოების სოციალური მომსახურების ენა, **სოციოლექტი**. ტერიტორიული, გეოგრაფიული დიალექტებისაგან განსხვავებით, რომელთა დიალექტური თავისებურებები ენის ყველა დონეზე ვლინდება, სოციალურ დიალექტებს საერთო სახალხო ენისაგან ძირითადად ლექსიკა განასხვავებს. სოციალურ დიალექტებად მიიჩნევა სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა (ექიმების, მასწავლებლების, მევენახეების, მძღოლების...) მეტყველება, მონაფეხების, სტუდენტების, ქურდების და ა. შ. ჟარგონი, საიდუმლო ენები განსხვავებული სოციალური ფენების, რელიგიური ჯგუფების და ა. შ. ენები¹⁹.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი, ნაირსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და რწმენითი ფაქტორებით, ანუ ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით²⁰. არნ. ჩიქობავას განმარტებით, სოციალური

18 ტაბიძე მ. ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბ., 2005, გვ. 192.

19 ენციკლოპედია. ქართული ენა, თბ., 2008, გვ. 437.

20 Макдевид Р. Мл. Диалектные и социальные различия в городском

დიალექტი არის საზოგადოებრივი კლასის, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის, გარკვეული პროფესიის, გარკვეული სპეციალობის პირთა მეტყველების თავისებურებანი²¹.

სოციალური დიალექტოლოგიის საგანია სოციოლინგვისტური სტრუქტურის აღწერა ერთ ენობრივ საზოგადოებაში. იგი ახდენს იმ ენობრივი ვარიაციების, სოციალური ატრიბუტების, ენობრივი ნორმების კოორდინირებას, რომლებიც ამ ენობრივ საზოგადოებაში დომინირებენ²².

ქართულ დიალექტოლოგიას, როგორც თ. ლომთაძე შენიშნავს, ნაყოფიერი ტრადიცია აქვს. ეს, უპირველესყოვლისა, ეხება, ძირითადად, ტერიტორიულ დიალექტებს. რაც შეეხება სოციოლექტების კვლევას, ამ მხრივ, საქართველოში მხოლოდ ერთეული ნაშრომები არსებობს, რადგან საბჭოთა კავშირში სოციალური დიალექტების საკითხი თითქმის არ იდგა სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მათი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო²³.

ქვემოთ განხილული ლექსიკური ჯგუფები მიეკუთვნება სოციალურ დიალექტებს — ენის სოციალურ ნაირსახეობას. ლ. კასატკინის თანახმად, მას გამოიყენებენ საერთო ინტერესებით, ჩვეულებებით, საქმიანობით... გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები. სტუდენტების, სპორტსმენების, ჯარისკაცებისა და სხვათა ენობრივი კოლექტივებისთვის დამახასიათებელი ნიშანია სწრაფვა, მისცენ ყველასათვის გასაგებ ცნებას ახალი ექსპრესიული აღნიშვნა²⁴. მაგალითად, **თავი – გოგრა, გლობუსი...**

სოციალური დიალექტები წარმოიქმნა საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად, — ნერს ვ. ჟირმუნსკი²⁵.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რაც უფრო

обществе. Новое в Лингвистике. Выпуск VII, социалингвистика. М. 1975.

21 ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 2008.

22 ლომთაძე თ. თანამედროვე ქართული სოციოლექტები. თბ., 2010, გვ. 8.

23 იქვე, გვ. 9

24 Касаткин Л. Л., Клобоков Е. В., Лекант П. А. Краткий справочник по современному русскому языку. Москва, 1991.

25 Жирмунский В. М. национальный язык и социальные диалекты. Ленинград, 1964.

დიფერენცირებულია საზოგადოება სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებად, მით უფრო განსხვავებული უნდა იყოს სპეციალური და საერთოენობრივი ლექსიკა. მაგრამ საზოგადოების განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ დიფერენციაციას ცალკე ჯგუფებად, არამედ მათ ურთიერთობასაც, რაც იწვევს სპეციალური სიტყვების დამკვიდრებას საერთო ენაში²⁶.

პოლისემიის წარმოქმნის ენობრივი და ექსტრალინგვისტური ფაქტორები მეტად მრავალფეროვანია. ყოველ მათგანს თავისებური ნიუანსები აქვს. ქვემოთ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ პოლისემიის წარმოქმნელი ძირითადი წყაროების დახასიათებას ქართული სამნიგნობრო ენის მონაცემთა მიხედვით და ამ მონაცემთა აფხაზურ მასალასთან შედარების შედეგებს.

2.1. ტაბუ

ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ **პოლისემიის წარმოქმნის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ტაბუ.**

როგორც ცნობილია, განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში გაურბოდა ისეთი არსებების, საგნებისა და მოვლენების ტრადიციულ სახელთა ხსენებას, რომელთა მფარველ სულებსაც თითქოსდა შეეძლოთ პირადად მთქმელისათვის, მისი ოჯახისათვის, პირადი ქონებისათვის, თუ თემისათვის განრისხების გამო სერიოზული ზიანის მიყენება. ამგვარი შედეგის თავიდან ასაცილებლად ადამიანები სრულებით არ ახსენებდნენ შესაბამის სახელებს, ან, თუ ეს აუცილებელი იყო, მათ ნაცვლად ხმარობდნენ ევფემისტურ სახელებს, ევფემისტურ გამოთქმებს, რომლებსაც საგანთა, არსებთა თუ მოვლენათა არანამდვილ და, ამდენად, არასახიფათო სახელწოდებად მიიჩნევდნენ²⁷.

²⁶ ლომთაძე თ. თანამედროვე ქართული სოციოლექსები. თბ., 2010, გვ. 85

²⁷ ჯორჯანელი კ. ენობრივ აკრძალვათა გადმონათობი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 1972, № 1-2, გვ. 76.

ქართულ ენაში შემორჩენილი ტაბუისტური ლექსიკა სისტემური სახით წარმოდგენილი აქვს კარლო ჯორჯანელს. მის მიერ გამოვლენილი ტაბუისტური ლექსიკის ჯგუფები გვიადვილებს ჩვენ მიერ დასმული საკითხის გადწვევას.

ქართველი ადამიანი ტაბუს მიმართავდა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. ტაბუ ქართველთა შორის წარმოადგენდა სისტემურ მოვლენას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის ცხოვრებაში. ამ სისტემურმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ გარკვეულმა სიტყვებმა ახალი სემანტიკური კომპონენტ(ებ)ი შეიძინეს, რამაც განაპირობა ქართული ენის ლექსიკაში სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა, ტაბუისტური სიტყვების შემცვლელი ევფემისტური სიტყვებისა და გამოთქმების მკვეთრად განსხვავებული სემანტიკის გაჩენა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვიერი ტაბუს სუბსტიტუტები (შემცვლელი სიტყვები) მეორეული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია და მათი უმეტესობა, თავის მხრივ, პოლისემიური არიან. ტაბუისტურ სიტყვებში ხშირად ამოსავალი მნიშვნელობა მიჩქმალულია და სიტყვა უფრო გავრცელებულია მეორეული მნიშვნელობით. მაგალითად, **უხსენებელი** სიტყვის მოსმენისას, ადამიანს პირველ რიგში აგონდება გველი და არა ამოსავალი მნიშვნელობა: „ვინც, ან რაც სახსენებლად არ ღირს“.

ქართულში ტაბუს ექვემდებარებოდა პიროვნებათა საკუთარი სახელები, ღმერთის, ეშმაკისა და სხვადასხვა სულთა სახელები, სიკვდილისა და ავადმყოფობის სახელები, ცხოველთა სახელები და სხვ.

ქართულში **ღმერთის** სახელებია **უფალი, მამაზეციერი, შემოქმედი, უზენაესი მეუფე, ზეციერი, მეფე, გამჩენი, დამბადებელი** და ა. შ. ჩამოთვლილი სახელები ღმერთის ეპითეტებია. **ღმერთის** შემცვლელი ყველა სახელის მნიშვნელობა მეორეულია. სიტყვა **ღმერთ**-ის გარდა, თითოეული სხვა სახელი, თავის მხრივ, პოლისემიურია.

უფალი სიტყვის ზმნური ამოსავალია **ფლობა, დაუფლება**. სიტყვა **უფალი ფლობა** ზმნური ფუძისგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღობაა. ძველი ქართული ენის ლექსიკონში **ფლო-**

ბას უდასტურდება „ტევების“, ნების, ნების დართვის, უფლების სემანტიკა, რაც კარგად ჩანს ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციებში. მაგალითად: „არავის უფლო მიდევენებად მის თანა“ // „არავინ უტევა მიდევენებად მას თანა“ (მრ. 5,37); „არა მიფლო მე ღმერთმან მისვლად თქუენ თანა“ (რიცხ. 22,14); „არა უფლიედ განრებად“; „აქუნდეს ფლობა განსხმად ეშმაკთა“ // „აქუნდეს კვლმნიფება განსხმად ეშმაკთა“ (მრ. 3,15).

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ფლობა არის „შედლების ქნა“, ხოლო უფალი – „პატრონი, ვაჟი, გინა ღმერთი“. უფალი გვხვდება ბატონის, პატრონის, მბრძანებლის, ქრისტეს მნიშვნელობებითაც²⁸. ასევე უდასტურდება მთავარი, ხელისუფალი, მე-პატრონე, ალა, ბეგი მნიშვნელობებითაც²⁹.

უფალ-ის ყველა ჩამოთვლილი სემანტიკა ერთიანდება ერთ – მფლობელის (//პატრონის) სემანტიკურ ველში. ღმერთი არის მფლობელი, უფალი, მბრძანებელი და ა. შ. ჩვენი აზრით, იგივე ფლ ძირი გვხვდება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: და-ფლ-ვა „დამარხვა; დამალვა“, სა-ფლ-ავ-ი „ადგილი, სადაც ვინმე, რამე მიწას მიაბარეს“ (იგულისხმება, რომ მიწა არის პატრონი, მიწა დაეპატრონა), მფლობელი „მეპატრონე, პატრონი“. ამდენად, ვვარაუდობთ, რომ უფალ-ის სემანტიკა მიიყვანება ღმერთ-ის სემანტიკასთან. საყურადღებოა, რომ ზმნურ ფლ-ობ- ფუძეს ძველ ქართულში არა პატრონობის, არამედ შეძლების, ნების, უფლების (უფლება აქვს – შეუძლია) სემანტიკა ჰქონდა, აქედან უფალი – „ყოვლის შემძლე“. სულ ბოლოს დასახელებული მნიშვნელობა ამ ფუძის უძველეს, ამოსავალ სემანტიკად მიგვაჩნია.

თანამედროვე ქართულში ზმნურ ფლ-ობ- ფუძეს „პატრონობის, დაპატრონების, პყრობის“ სემანტიკაც აქვს. ამ ფუძეს თანამედროვე ქართულის დონეზე აღარ აქვს შემორჩენილი ფლობის („ნება, უფლება, შეძლების ქნა, შესაძლებლობა“) სემანტიკა, იგი პატრონობ-ის სემანტიკით შეიცვალა.

ამრიგად, საკითხის დიაქრონიული კვლევა გვიჩვენებს, რომ უფალი არის ის, ვისაც აქვს შეძლება, უფლება, ნება, შესაბამი-

28 აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, (მასალები). თბ., 1973.

29 ნეიმანი ა. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ., 1978, გვ. 34.

სად უფალი არის პატრონი, ბატონი, ხელისუფალი, მბრძანებელი...

ღმერთის ერთ-ერთი ტაბუირებული სახელია შემოქმედი – უზენაესი ძალის მქონე ზებუნებრივი არსება, რომელიც ითვლება სამყაროს შემქმნელად, ვინც შექმნა ქმნილებანი, სამყარო, ადამიანი. აქედან გამომდინარე, ღმერთს ჰქვია დამბადებელი, გამჩენი, შემქმნელი, შემოქმედი. თანამედროვე ქართულში სიტყვა შემოქმედი ღმერთის გარდა სხვა საგნებსაც მიემართება. მაგ., შემოქმედი – ხელოვანი ადამიანი (მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი...).

ასევე, ზეციერი – ზეცის მკვიდრი, ციური; მამაზეციერი – ზეციერი (არამინიერი, არახორციელი) მამა; უზენაესი – ყველაზე მაღლა მყოფი, უდიდესი, ყველაზე უფროსი, უმაღლესი.

ამჟამინდელი შთაბეჭდილებით, ღმერთ-ის ეპითეტები მოტივირებულია ბიბლიური კონტექსტით, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სიტყვის ტაბუირება უკვე წარმართობის ეტაპზე უნდა დანყებულიყო. ვვარაუდობთ, რომ ღმერთის სახელოდების ტაბუირება და ენაში არსებული, ზემოთ დასახელებული სიტყვების დატვირთვა სიტყვა ღმერთის სინონიმური სემანტიკით, ანუ ამ სიტყვათა პოლისემიურობის ზრდა გამოიწვია მონივნებამ და შიშმა: მორწმუნეებს მიაჩნდათ, რომ ღმერთი არ უნდა შეენუხებინათ მისი სახელის მოურიდებლად ხშირი განმეორებით. ღვთაების სახელისადმი ამგვარი კრძალვითი მიდგომა ბიბლიურ შეგონებაშიც მკაფიოდ ჩანს: „არა მოილო სახელი უფლისა შენისა ამოსა ზედა“ (გამოსვლათა, 20,7).

საინტერესოა, რომ აფხაზურ და აბაზურ ენებში ღმერთის სახელად ამჟამად გამოდის ანცა (აფხაზ.) // ანა (აბაზ.) სახელები, რომლებიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფონეტიკურად სახეცვლილ დედის აღმნიშვნელი ან სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმას, ე.ი. ეს სიტყვა თავდაპირველად ნიშნავდა როგორც დედებს, ისე ქალღმერთებს (ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე), თუმცა ახლანდელ აფხაზ-აბაზათა ენობრივ შეგნებაში გააზრებულია მამრობითი სქესის არსებობა.

ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ

ორივე ენაში დედის აღმნიშვნელი სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა **ანა-ცა // ანა-ჩა** ფონემატური სტრუქტურით განსხვავდება ღმერთის აღმნიშვნელი **ანცა // ანჩა** სახელის ვარიანტებისაგან: მათში **ცა // ჩა** თანხმოვნების წინ **ა** ხმოვანია შემორჩენილი, მაგრამ ეს გარემოება არ უნდა ქმნიდეს დაბრკოლებას, ვინაიდან სავსებით მოსალოდნელია, რომ რაკი აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის გარკვეულ ეტაპზე **ანა-ცა // ანა-ჩა** ფორმები ორი მნიშვნელობის მქონე, ე.ი. პოლისემანტიკური სიტყვები იყო (1. „დედები“; 2. „ქალღმერთები“), ხსენებული **ა** ხმოვნის რედუქცია უნდა გამოენვია სემანტიკური ორაზროვნების დაძლევის აუცილებლობას. სწორედ ამიტომ ღმერთის აღმნიშვნელად გაბატონდა ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები.

აფხაზური ენა ქართულთან მსგავსებას გვიჩვენებს ღმერთის ცნების ტაბუირების მხრივაც: ამ ენაში **ანცა** „ღმერთი“ სიტყვის შემცვლელად გვევლინება ფორმა **იჰაქითუ**, რაც ჩერქეზულიდან ნასესხები **ქით** „უფლება, ნება; თავისუფლება“ სიტყვისგან მომდინარე სტატიკური ზმნის ფორმაა და ითარგმნება, როგორც „ის, ვინც ჩვენზე უფლობს, ვინც ჩვენი მფლობელია“. ამ შემთხვევაში აფხაზური ენის მონაცემები განამტკიცებს მოსაზრებას ქართულში **უფალი** სიტყვის **ფლობა** ზმნისგან მომდინარეობის შესახებ (იხ. ზემოთ). უფლის სახელის აფხაზური ტაბუირებული ფორმაა აგრეთვე **ხჯ იყოჷ**, რომელიც ზედმინვენით „ზევით, მაღლა მყოფს“ ნიშნავს და ქართული **ზეციერის** ანალოგია. ეს ორსიტყვიანი სინტაგმა აფხაზურში დღემდე გამოიყენება თავისი თავდაპირველი სემანტიკითაც.

მოციქული – ვინმესთან რაიმე დავალებით გაგზავნილი (მიგზავნილი) პირი, შუამავალი (ქეგლ). იმავე სემანტიკურ ველს მიეკუთვნება **მოციქულის** სხვა მნიშვნელობები: 2. ისტ. ელჩი, 3. სახარების მიხედვით, იესოს თორმეტი მონაფე. სახელი ნაწარმოებია **ციქუ** ძირისაგან: საყურადღებოა, რომ **ციქუა** ძველ ქართულში „შუამავლობას“ ნიშნავდა (ზ. სარჯველაძე). ამ სიტყვის **ციქვ** ვარიანტი დამოუკიდებელ სახელადაა გამოყენებული დავით გურამიშვილის პოემაში „ქართლის ჭირი“: „უბრძანა თავის მოყმეთა... ან ხელი ჰკიდეთ **ციქვებსა**, მაგ მატყუარა ფლიდებ-

სა“³⁰. ამ მაგალითიდან ირკვევა, რომ თავდაპირველი ფორმა **ციქვ**-ი ჯერ კიდევ გამოიყენებოდა ენაში მოციქულის აღმნიშვნელად. შდრ. ქვემოთმეორული იმავე ძირისაგან ნაწარმოები **სა-ციქველ-ი** გამოთქმაში **საციქველზე გემგზანე** „ვინმესთან სამოციქულოდ, რისამე სათხოვრად გამეგზავნე“, **საციქველზე მევიდა** „ვინმეს დავალებით რალაცის სათხოვრად მოვიდა“. საინტერესოა ასევე სვანურის მაგალითიც, რომელიც პროფ. ქეთევან მარგიანმა მოგვანოდა: საანალიზო სიტყვა სვანურშიც არსებობს იმავე ფორმით **სწციქუ** და იმავე სემანტიკით. სვანური **ლი-სციქვ** აქტიურად მონაწილეობს სახელურ და ზმნურ დერივაციასა და პრაგმატიკაში, ასევე ფრაზეოლოგიზმებში: **სწციქვ** „საციქველი“, **ლი-სციქვ** „საციქველზე მეზობელთან გადასვლა“, **ხოლა სწციქვ-იმ** „ოჯახი, რომელიც გარკვეულ დღეებში — ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს არ გასცემს საციქველს, რამეთუ ეს ცუდად იმოქმედებს მისი ოჯახის წველაზე, ფუტკარზე, შემოსავლებზე და ა.შ.“ **სწციქვი ნაუჰვედი** „უარით გასტუმრება“...

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ბიბლიის იმ პასაჟის ზეგავლენით, სადაც მოთხრობილია ქრისტეს 12 მონაფის სხვადასხვა ქვეყანაში გამგზავრებაზე ქრისტეს მოძღვრების გასავრცელებლად, **მოციქული** სიტყვას დაუმკვიდრდა ახალი სემანტიკა: ქრისტიანობის გამავრცელებელი ქრისტეს მონაფე. შდრ. ანალოგიური ღვანლის მქონე წმ. ნინო, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად შემოვიდა, ქართულ ენაში იხსენიება არა **მოციქულად**, არამედ **მოციქულთა სწორად** და ეს ბუნებრივია, ვინაიდან წმ. ნინო უშუალოდ ქრისტეს მონაფეთაგანი არ ყოფილა, მაგრამ მისი ღვანლი ეტოლება ქრისტეს მონაფეთა ღვანლს.

ეშმაკის ტაბუირებული სახელებია: **ბოროტი, მაცდური, კუდიანი, ბოროტი სული, წყეული, ქაჯი, მავნე, მაცილი, სატანა, სათაელი, ტარტაროზი, შაითანი, ბელზებელი. ეშმა** <ძველი სპარსული **აეშმა** „ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე“³¹.

30 გურამიშვილი დ. დავითიანი. თბ., 1992, გვ. 62.

31 ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან. თბ., 1996, I, გვ. 124.

ბოროტი – სხვისთვის სიავის, ცუდის მსურველი; ვნების მომტანი და ცუდის შემამთხვეველი; ავკაცი, ავი, მავნე უკეთური. ამ შემთხვევაშიც იგივე მოხდა: სპარსულიდან შემოსულ სიტყვას ტაბუირებამ რელიგიურად დატვირთული ახალი სემანტიკა შესძინა.

მაცდური – ვინც, ან რაც აცდუნებს, ატყუებს ვისმე, ან რასმე; ვისაც, ან რასაც შეცდომაში შეჰყავს ვინმე, ან რამე – შემაცდენელი. ეშმაკთან მიმართებაში ეს სახელი გულისხმობს იმის რწმენას, რომ ეშმაკი აცდუნებს ადამიანებს და უბიძგებს ცოდვის ჩადენისაკენ. აქაც ახალი მნიშვნელობა ტაბუირების შედეგია.

კუდიანი – 1. კუდის მქონე; 2. ავი სული, ეშმაკი, // ქალი, რომელიც ვითომ დაკავშირებულია ავსულებთან; გრძნეული, ჯადოსანი ქალი.

ამ მნიშვნელობათაგან პირველადი, რა თქმა უნდა, ზედსართაული სემანტიკა – „**კუდის მქონე**“ უნდა იყოს, დანარჩენი არსებითული მნიშვნელობები კი მისგან მომდინარეობს. აქ დაისმის საკითხი: რატომ მიიჩნევდნენ ადამიანები ეშმაკს კუდის მქონე არსებად და რატომ უწოდეს მას **კუდიანი**? ვფიქრობთ, ამგვარი აღქმის საფუძველი ბიბლიის ტექსტში, კერძოდ, ძველ აღთქმაში უნდა ვეძიოთ:

ბიბლიის მიხედვით, ეშმაკი გველის სხეულში შეძვრა და აცდუნა ევა, გველი კი კუდის მქონე ცხოველია. ჩვენი აზრით, ქართულში **კუდიანი** გველის ტაბუირებულ სახელადაც აღდგება. შდრ. მეგრ. **კუდელ-ამ-ი** „კუდიანი, კუდის მქონე“ > „გველი“. მოსალოდნელია, რომ ამგვარმა აღქმამ გააჩინა არა მარტო ქართველთა შორის, არამედ სხვა ქრისტიან ხალხებშიც ეშმაკის, როგორც კუდის მქონე ბოროტი არსების ვიზუალური ხატი, რაც ქრისტიანული მსოფლიოს სახვით ხელოვნებაშიც ცხადად ჩანს – მხატვრები ეშმაკს სწორედ გრძელი კუდის მქონე არსებად წარმოსახავდნენ.

მსგავსი მიზეზი უნდა ედოს საფუძველად ქართულ ენაში სიტყვა **კუდიანის** კიდევ ერთი მნიშვნელობის („ქალი, რომელიც ვითომ დაკავშირებულია ავსულებთან; გრძნეული, ჯადოსანი

ქალი“) გაჩენასაც: რაკი ბიბლიური ევა ქალი იყო და იგი იოლად აცდუნა ეშმაკმა, მოულოდნელი არ უნდა იყოს იმის დაშვება, რომ ყველა ბოროტი და მავნე ქალი ეშმაკთან წილნაყარ არსებად აღიქმებოდა და კუდის ქონაც მიენერებოდა. საინტერესოა, რომ თედო სახოკიას მეგრულ მეტყველებაში იგივე სიტყვა **კუდელამი** „კუდიანი“ **კიბირმოჭკადილ**-ის „კბილმოჭედილი“ გვერდით დადასტურებული აქვს თავის სახელადაც. ორივე სიტყვის თავის აღმნიშვნელად გამოყენების მიზეზი კვლავ ტაბუირებაა³².

წყეული – „1. ის, რაც/ვინც დაწყველილია; 2. ეშმაკი“. ამ ორი მნიშვნელობიდან ამოსავალია პირველი, მეორე კი შედარებით ახალია და კვლავ ბიბლიის ტექსტს უნდა უკავშირდებოდეს.

მავნე – „1. ის, რაც ვნებას აყენებს; 2. ეშმაკი“. ეშმაკთან ამ ნაზმნარი ზედსართავი სახელის დაკავშირებაც ქრისტიანულ რწმენაში უნდა ვეძიოთ: ეშმაკი ის არსებაა, ვინც ადამიანთა სულებს ვნებს, ვნებას აყენებს. აღსანიშნავია, რომ **ეშმაკის** ქართული სუბსტიტუტებიდან მხოლოდ **მავნე**-ს აქვს ზუსტად იგივე ამოსავალი სემანტიკა, რაც სპარსულ **აეშმა** სიტყვას ჰქონდა (იხ. ზემოთ). რაც მთავარია, ტაბუირების შემდეგ სიტყვა **მავნე**-ს ერთზე მეტი მნიშვნელობა გაუჩნდა და ახალი რელიგიურად დატვირთული მნიშვნელობის გაჩენა სწორედ ტაბუირების შედეგია.

ეშმაკის ერთ-ერთი სახელია **ქაჯი** (<სპარს. **ქაჯ** „ყალბი“): „1. ავი სული, ეშმაკი; 2. გადატ. ეშმაკი, მაცდური ადამიანი, თავზე ხელაღებული, დამთხვეული“ (ქეგლ). ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, **ქაჯი** არის **მხნე** („მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი“ 1.ცხ. 33,6), საბას მიხედვით, **ქაჯი** – მაცთურთა რასმე იტყვიან საეშმაკოთა, ვითარცა მინოათა, ჭიმკათა, ალსა, კორვიანტასა³³.

საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის ქაჯებზე ადამიანთა წარმოდგენის შესახებ: როცა ავთანდილმა ნესტან-დარეჯანის ქაჯებთან ტყვეობის ამბავი შეიტყო, ფატმან-ხათუნს ჰკითხა, „**ქაჯი ყველა უხორცოა**,

32 სახოკია თ. მოგზაურობანი. თბ., 1950, გვ. 282.

33 ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული. 2 წიგნად, თბ., 1991.

რამან შექმნა ხორციელად?³⁴. ამ კითხვის პასუხად ფატმან-ხათუნი მას ამომწურავად განუმარტავს:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთგან კრებულნი, **კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი, ყოველთა კაცთა მავნენი**, იგი ვერვისგან ვნებულნი; მათნი შემბმელნი ნამოვლენ დამბრმალნი, დანბილებულნი.

იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ, ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ, ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ, სნადდეს – დღესა ბნელად იქმენ, სნადდეს – ბნელსა ანათობენ.

ამისთვის ქაჯად უხმობენ, გარეშემონი ყველანი, თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

ამ განმარტებიდან ცხადად ჩანს, თუ რატომ უწოდებდნენ სხვები ქაჯებს ამ ადამიანებს. ისინი გრძნეულებაში დახელოვნებულნი ყოფილან და შეეძლოთ ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანს არ ძალუძს: ქარის ამოგდება, ნავების ზღვაში ჩაძირვა, ზღვის ზედაპირზე სირბილი, დღის დაბნელება, სიბნელის განქარვება, წყლის დაშრობა და, რაც მთავარია, ეშმაკის მსგავსად ყოფილან **„ყოველთა კაცთა მავნენი“**. ამ აღწერიდან ნათელი ხდება, თუ როგორ გარდაქმნა სპარსულიდან ნასესხებმა სიტყვა **ქაჯმა** თავისი ამოსავალი სემანტიკა **„ყალბი“** ჯერ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილ იმ ადამიანთა აღმნიშვნელად, ვისაც გრძნეულება შეუძლია, ბოლოს კი ეშმაკის სინონიმურ მნიშვნელობად: ამ სემანტიკური გარდაქმნის შუალედური რგოლი მავნეობის თვისება.

საყურადღებოა, რომ სპარსულიდან ქართულში შემოსული სიტყვა **ქაჯი** ქართულისაგან უსესხებია აფხაზურ ენასაც ოდნავი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებით, **ა-ქაჭ-აა** ფორმით: სახელს დართვია ზოგადი ფორმის აფხაზური მანარ-მოებელი **ა-** პრეფიქსი და კრებითი მრავლობითის აღმნიშვნელი **-აა** სუფიქსი, ხოლო **ჯ** თანხმოვანი **ჭ** ფონემით შეცვლილა. რაც

34 რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1977, გვ. 392.

შეეხება სემანტიკას, სიტყვა აღნიშნავს: 1. ტყის კაცს; 2. მავნე სულს, ეშმაკს. ჩვენი აზრით, ორივე ეს მნიშვნელობა სიტყვას ქართულიდან უნდა შეჰყოლოდა.

ტაბუირებას ექვემდებარება ცხოველთა სახელებიც. კ. გამსახურდია თავის ნოველაში, რომელსაც „ტაბუ“ ეწოდება, წერს: „მავნეს სახელს არასოდეს დაფუძახებდით, გვეშინოდა ხსენებისას სული არ გამოგვეწვია. დათვს „უნმინდურს“ ვეძახოდით, ტურას – „კვალდამწვარს“, თავგს – „კბილებმოჭედილს“, ჭინჭელას – „კუზიანს“, ქორს – „ზემავალს“, ყვავს – „დუდურას“ [მეგრ. „თავშავა“ – თ.გ.], გველს – „შაფროხიანს“, მავნეს – „უსახელოს“³⁵.

გველი ერთ-ერთი იმ ცხოველთაგანია, რომლის სახელის წარმოთქმას ადამიანი გაურბის და ცვლის მას სხვა სახელით – ხშირად რომელიმე ეპითეტით. ამგვარ აკრძალვას საფუძვლად უდევს ადამიანთა უძველესი რელიგიური წარმოდგენები³⁶. **გველის** შემცვლელი სახელებია: **უხსენებელი, მცურავი, უსახელო, ურწმუნო, უწმინდური, წყეული, ქვეწარმავალი, ქვემძრომი**, ზემოთწარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე ვფიქრობთ, გველის ტაბუირებულ სახელად აღდგება ***კუდიანი**-იც. რაც მთავარია, ყველა ეს სუბსტიტუტი სიტყვა ერთზე მეტი მნიშვნელობის მქონე გამხდარა სწორედ ტაბუირების მიზეზით:

უსახელო – 1. ვისაც, ან რასაც სახელი არა აქვს; 2. გადატ. სახელგატეხილი, სახელშერცხვენილი; 3. რაზედაც დამწერის სახელი არ არის აღნიშნული, ანონიმური. ამ ტაბუირებული სახელიდან ყველაზე მკაფიოდ ჩანს ტაბუირების მოტივი: გველი არის არსება, რომლის სახელის ხსენებაც კატეგორიულად იკრძალებოდა მისგან ვნების მიყენების შიშის გამო.

იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად სიტყვა **უხსენებელი**-ს გამოყენებას გველის აღმნიშვნელ ტაბუირებულ სახელად. ამ

35 გამსახურდია კ. ტაბუ. რჩეული თხზულებანი. რვატომეული, ტ. VI, 1963, გვ. 99.

36 Зеленин Д. К. Табу слов у народов восточной Европы северной азии. Част 1. Сборник музея антропологии и этнографии. т. 8, 1929, с. 1-44.

უკანასკნელი სიტყვის თავდაპირველი სემანტიკა კი არის: „ვინც, ან რაც ხსენებად არ ღირს, ცუდია, უვარგისია“. საყურადღებოა თ. სახოკიას ცნობა, რომლის მიხედვითაც, მგელს, დათვის, ტურას მეგრულად საერთოდ **უშინუ** „უხსენებელი“ ჰქვია, ე.ი. ისეთი არსებანი არიან, რომელთა სახელის თქმა არ შეიძლება³⁷.

ტაბუირების ერთ-ერთი სახეობის დამახასიათებელი ნიშნუბია გველის აღმნიშვნელი მეორეული სიტყვები: **მცურავი** და **ქვენარმავალი**. მათგან პირველი სახელის ამოსავალი მნიშვნელობაა: „ვინც, ან რაც ცურავს, მოცურავე//ცურვის მცოდნე“. რატომ არის გველი მცურავი? ძველი ქართული ტექსტების მიხედვით გარჩეულია: **ქუენარმავალი ვმელეთისა** და **ქუენარმავალი წყლისა**³⁸. ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ: „ყოველი **მცურვალი**, რომელი ცურავს ზურგსა ზედა წყლისასა და განაღებენ სიღრმეთა, არს იგი ბუნებისგან **ქუენარმავალთადასა**“ (ეფ. დღ. უძვ. რედ 96,17)³⁹. **ცურვა** წყლის ზედაპირზე, ან წყალში მოძრაობის გარდა აღნიშნავს ყინულზე სრიალს, ცაზე ფრენას, ლივლივს. ასევე შდრ.: **ცურდება, ცურაობს, გადმოცურდა. ცურვა** სიტყვის სემანტიკურ პარადიგმას მიეყვანართ მოძრაობის საერთო სემანტიკურ ველამდე. გველის მიმართ ამ სიტყვის ტაბუირებული გამოყენება განაპირობა ამ ცხოველის სრიალით გადაადგილებამ მიწის ზედაპირზე. რაც მთავარია, სიტყვა **მცურავი** ამოსავალში არ გულისხმობს უარყოფით კონოტაციას, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ ჩვენი წინაპრების აზრით, სიტყვა **მცურავი** წარმატებით დაიცავდა მის გამოყენებელს გველის მხრივ ვნების მიყენებისაგან.

საყურადღებოა, რომ აფხაზურ ენაშიც გველის ერთ-ერთ ტაბუირებულ სახელად გამოყენებულია „ხოხვის, სრიალის, ძრომის“ აღმნიშვნელი **ა-ჰაზარა** ზმნისგან მომდინარე მიმღობა **ა-ჰაზა** „მხოხავი, მოსრიალე“ // მისი რედუპლიცირებული **ჰა-ზა-ჰაზა** ვარიანტი, ხოლო აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში

გველის ნამდვილი სახელი **მათ(ე)** აღარ იხმარება და მის ნაცვლად გაბატონებულა ტაბუირებული **აშთანჭუ // აშთანწუ** სიტყვა, რაც ზედმინევით ითარგმნება, როგორც „ძირისა (ძირადი), ქვედაური“, ე.ი. „მიწისა“ („მიწიერი“)⁴⁰.

აფხაზურ ენაშივე გველის ტაბუირებული სახელებია:

1. **ნაყატი** „ქვედა“⁴¹, რომელიც ერთზე მეტმნიშვნელობიანი და ამოსავალი ზედსართაული მნიშვნელობა „ქვედა“ არ დაუკარგავს. მეტიც, ეს სიტყვა ენის აქტიურ ლექსიკას განეკუთვნება. ამ შემთხვევაშიც აფხაზური ენა ქართულის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს;

2. **აწძ ბააფსუ** „სახელცუდი“⁴², რომელიც ითქმის იმ ადამიანზეც, ვისაც სახელი აქვს გატეხილი (მაგალითად, გარყვნილ ქალზე).

ქართულ ენაში გველის აღმნიშვნელად სიტყვა **ქუენარმავალ**-ის მეორეული გამოყენების შესახებ დამატებით შეიძლება შემდეგი ითქვას: ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ქვემოთ, ქვეშ (მიწაზე, ან მიწის სიღრმეში) მავალი // ჩამსვლელი“ (შდრ. ძველქართული **ქუენარმავალი ვმელეთისა** და **ქუენარმავალი წყლისა** და აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის **აშთანჭუ // აშთანწუ** „ძირისა (ძირადი), ქვედაური“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“). შესაბამისად, სიტყვა **ქუენარმავალ**-ი თავდაპირველად დაცლილი იყო უარყოფითი კონოტაციისაგან, რაც იმის „გარანტიას იძლეოდა“, რომ გველი ამ სიტყვის მთქმელს ზიანს არ მიაყენებდა.

ჭიანჭველა-ს შემცვლელი სახელებია: **შავფეხა** და **უსულო** (შდრ. მეგრ. **პუხუამი** „კუზიანი, კურტუმიანი“). ვ. ბერიძე წერს: „ჭიანჭველა აბრეშუმის ჭიას ემტერება. ამით მებარეშუმეები ისე არიან შემინებული, რომ ჭიანჭველის ნამდვილ სახელს არ ახსენ-

37 სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1979, გვ. 361.
38 ქერქაძე ი. ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით. თბ., 1974, გვ. 105.
39 იქვე, გვ. 173.

40 ლომთათიძე ქ. აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის აშთანწუ(ე) („გველი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1980, ტ. XXII, გვ. 223-226.
41 ჯანაშია ს. შრომები. თბ., 1968, ტ. IV, გვ. 161.
42 იქვე.

ებენ და უსულოს უწოდებენ⁴³. შავფეხა არ გულისხმობს უარყოფით კონოტაციას და მისი გამოყენება ტაბუს დასაძლევად მოტივირებულია ამ მწერის ერთ-ერთი გარეგნული ნიშნით, ხოლო სიტყვა უსულო მკვეთრად უარყოფით კონოტაციას გამოხატავს და სწორედ ამიტომაც შეირჩა ტაბუირების მიზნით. სხვაგვარად რომ ითქვას, ჭიანჭველას ნამდვილი სახელის სანაცვლოდ გამოყენებულ იქნა კონოტაციურად მკაფიოდ განსხვავებული სახელები.

ტაბუისტურ სიტყვებში ხშირად ამოსავალი მნიშვნელობა მიჩქმალულია და სიტყვა უფრო გავრცელებულია მეორეული მნიშვნელობით. მაგალითად, უხსენებელი სიტყვის მოსმენისას, ადამიანს პირველ რიგში აგონდება გველი და არა ამოსავალი მნიშვნელობა „ვინც, ან რაც სახსენებლად არ ღირს“.

კუბო – ამ სიტყვის მონაცვლე სიტყვებია: **ჭურჭელი, სასახლე, ჩასასვენებელი. კუბო** თავდაპირველად ნიშნავდა „ტახტრევანს“. **კუბოს** ძირითადი და მეორეული მნიშვნელობები გაანალიზებული აქვს თ. გვანცელაძეს. მისი აზრით, ქართულში **კუბო** სიტყვა თავდაპირველად აღნიშნავდა არა მიცვალებულის ჩასასვენებელ ხის ჭურჭელს, როგორც ეს ახლათ, არამედ სულ სხვა რამეს: „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა **კუბო** გამოყენებულია ფარდებჩამოფარებული ტახტის სემანტიკით. ეს მნიშვნელობა დასტურდება შემდეგ სტროფში:

„ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა **კუბო** შემკული ბალახშითა და ლალითა;
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა მკრთალითა,
მე შემომხედნის ლამაზად მის მეღნის ტბისა თვალითა.“

სულხან-საბა თავისი ლექსიკონის Z რედაქციაში ამ სიტყვის მთავარ მნიშვნელობას ასე განმარტავს: „**კუბო** ესე არს ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი. აქლემთა ასაკიდებელი, გინა ჴელით სატარებელი“, ხოლო C რედაქციაში კი წერია: „**კუბო** არს შთასაჯდომელი ქალთა, აღსაკიდებელი აქლემთა, გინა პილოთა, საპატონი რამე შემზადებულნი: ხოლო მსოფლიონი **კუბოდ**

43 ბერიძე ვ. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. პეტერბურგი. Имп. Академии наукъ. 1912, VII, გვ. 1,39.

უგმობენ გინა გავალაკთა, გინა მცირეთა კონქთა, გინა მკვდართა შთასადებელთა გვადრუცთა“. ყველა რედაქციის მიხედვით, სიტყვა აშკარად პოლისემანტიკური იყო. მის ძირითად მნიშვნელობად ჩანს „აქლემზე ან სპილოზე ასაკიდებელი ტახტრევანი“, მაგრამ ხალხურ მეტყველებაში მას უკვე გასჩენია ახალი მნიშვნელობებიც: 1. „კამარაზე ან მეფეთა თავსზემით ჩამოსაფარებელი ქსოვილი“ და 2. „მიცვალებულის ჩასასვენებელი ხის ჭურჭელი“. ამ სამი მნიშვნელობიდან საბას აშკარად პირველი მიაჩნია ძირითადად⁴⁴.

საყურადღებოა, რომ პოლისემანტიკური სიტყვა **კუბო** ქართულისგან უსესხებია აფხაზურ ენასაც, ოღონდ გადაუღია მისი მრავალი მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთი: **ა-კუბა** მიცვალებულის ჩასასვენებელს ნიშნავს⁴⁵.

კუბოს ერთ-ერთი სახელია **ჭურჭელი**. როგორც მიუთითებენ, **ჭურჭელი-ი(ძვ.) // ჭურჭელი-ი** რედუპლიცირებული **ჭურ** ძირია (**უ > ე** იშვიათი მონაცვლეობა: შდრ. ურთიერთი)⁴⁶.

ჭური ძველ ქართულში დასტურდება მნიშვნელობებით: „1. ქვევრი; 2. ჭურჭელი; 3. აღჭურვილობა; 4. სამკაული“: **ჭური** განწურეტილი არს სხვსა სახლი და ჯურღუმული იწრო და უცხოთა (იგავთა 23,17); აღილე **ჭური** და ფარი (ფს. 34,2); **ჭურო** ემ-მაკისაო (ფლკტ. 146,6); რაითა იყოს ისრის **ჭური** ყოველთათჳს (სინ. მრ. 244,8)⁴⁷.

ჭურ-//ჭურ- ძირებს უკავშირებენ **ჭურეტ-** დრეკად ფუძეს⁴⁸.

ის, რაც სემანტიკურად **ჭვირ-/ჭურ-** ფუძეებს უნდა აკავ-

44 გვანცელაძე თ. აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011, გვ. 343-344.

45 იქვე.

46 არაბული ა. ნურ და ჭურ ძირთა ისტორიული ვარიანტებისათვის ქართველურ ენებში. კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“. ქუთაისური საუბრები. სიმპოზიუმის მასალები. 1996, ტ. I, გვ. 12.

47 აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973.

48 ერთელიშვილი ფ. სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბ., 1980, გვ.191-192; შენგელია ვ. ქართველური ეტიმოლოგიები. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 54-ე სამეცნიერო სესია, XI, 1995, ტ. VI, გვ. 4, 14.

შირებდეს, არის ხვრეტილობა, სიღრუე... ანუ ის მნიშვნელობა, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასდებიან **ჭურჭელი** სიტყვის განმარტებას: 1. საერთო სახელი ღრუ ნივთებისა, რომელშიც საჭმელ-სასმელს ათავსებენ. სწორედ აქ არის საძიებელი ამოსავალი სემანტიკის საფუძველი: **ჭვირი** – „ამოთხრილი“, „ხვრეტილი“, „გამჭვირვალე“ – „სინათლე- სხივი“, **ჭური** – „ამოთხრილი, ე.ი. ჩაღრმავებული **ჭურჭელი**“.

ჯერ კიდევ ნ. მარმა დააკავშირა ქართული **ჭურ-ი** და მეგრ. **ჭკუჯ-ი/ჭკუდ-ი** „ჭურჭელი“; „გემი, ხომალდი“⁴⁹.

ამდენად, კუბოსთვის **ჭურჭელი** სახელის დარქმევა განპირობებულია გარეგნული მახასიათებლით – სიღრუით, ხვრეტილობით.

მოკვდა – ამ სიტყვას ქართულში უამრავი მონაცვლე სიტყვა და მონაცვლე ფრაზეოლოგიზმი მოეპოვება. ესენია: **გარდაიცვალა, მიიცვალა, ღმრთივ // ღვთივ განისვენა, გათავდა, განისვენა, აღესრულა, სიცოცხლეს გამოესალმა, სიცოცხლე შესწირა, სიცოცხლეს გამოეთხოვა, მზეს მოსწყდა, წუთისოფელი მოჭამა, დღე გაუშავდა, სული განუტევა, სული დალია, სული ა(ლ)მობდა, სული ამოსძვრა, სული ღმერთს მიაბარა, გაგრილდა, სამუდამოდ მიიძინა, მინას ამოეფარა, თქვენი ჭირი წაიღო, ბუნებას ვალი მისცა, განვლო ცხოვრება თვისი, ბოლო მოელო, დაასრულა ცხოვრება, ვერ მოესწრო, სიცოცხლე შეაღია, სიცოცხლე გასწირა, გადაეგო, არ დასცალდა, ხელიდან გამოეცალა, საიქიოს გაემგზავრა, მინა ამოავსო, ჩაბარდა პატრონს, ჩაკვდა, ჩაძალდა, ძალივით ჩაკვდა, ფეხები (გა)ფშკა, მარილზე წავიდა, შაბზე წავიდა, წერილი წაიღო, წერილი დაწერა, ტყავი გაჭიმა, ყალიონი მიაყუდა, ჩაღრძვა... საეკლესიო სიტყვათხმარებაში მის მონაცვლედ ხშირად გვევლინება **მიიძინა, ღმრთივ განისვენა, შეისვენა** და მრავალი სხვა. ამათგან ერთსიტყვიანი შემცვლელებია: **გარდაიცვალა, მიიცვალა, გათავდა, განისვენა, შეისვენა, აღესრულა, გაგრილდა, გადაეგო, ჩაკვდა, ჩაძალდა, ჩაღრძვა, მიიძინა**. მათ შორის დადებითი კონოტაციისანი არიან: **გარდაიცვალა, მიიცვალა,****

49 Март Н. Я. К вопросу о ближайшем родстве армянского и иверским. – ЗВО XIX, вып. I. С-Пб. 1909, с. 3.

განისვენა, შეისვენა, აღესრულა; უარყოფით-აგდებულ დამოკიდებულებას გამოხატავენ: **ჩაკვდა, ჩაძალდა, ჩაღრძვა**, ხოლო ნეიტრალური კონოტაცია აქვთ სიტყვებს: **გათავდა, გაგრილდა, გადაეგო, მიიძინა**. დასახელებული 12 სიტყვიდან უკლებლივ ყველა ტაბუირების მაგალითია – მოლაპარაკენი ერიდებიან უსიამოვნო ფაქტის აღმნიშვნელი სიტყვის დაუფარავად თქმას და არჩევენ კონოტაციურად დატვირთული, ან ნეიტრალური, „უწყინარი“ სიტყვების გამოყენებას. ჩვენთვის კი ამ მაგალითებში ისაა არსებითი, რომ ისინი ტაბუირებამდე ერთზე მეტი მნიშვნელობის მქონენი იყვნენ, თუმცა მათი უმრავლესობა (**გარდაიცვალა, მიიცვალა, განისვენა, აღესრულა, ჩაკვდა, ჩაძალდა, ჩაღრძვა, მიიძინა**) დღეს უკვე მხოლოდ სიკვდილის აღმნიშვნელ სიტყვებს წარმოადგენენ და აღარ შერჩათ ამოსავალი მნიშვნელობები.

მიცვალა, მიცვალეული, გარდაცვალა სიტყვებს ილია ჭავჭავაძე იმ თვალსაზრისით დაუინტერესებია, რომ მათში დანდება, „თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია“⁵⁰, კერძოდ, ქართველის რწმენით სიკვდილი ნიშნავს „არა სრულიად გაარარებას, არამედ სხვა სახედ გადასვლას“⁵⁰. ამ საერთო ძირის მქონე სიტყვებს ამჟამად მხოლოდ ერთი სემანტიკა აქვთ და სიკვდილს აღნიშნავენ.

საყურადღებოა, რომ აფხაზურ ენაში სიკვდილს **ა-ფსრა** ზმნა აღნიშნავს (**ღფსიტ** „მოკვდა“), მაგრამ ამავე შინაარსის დადებითი კონოტაციით (მოკრძალებით) გადმოსაცემად გამოიყენება შესიტყვება **ადუნეი აფსახრა** „სამყაროს გამოცვლა“. მაგალითად, როცა პატივსაცემი ვინმე გარდაიცვლება, აფხაზები იტყვიან: **ადუნეი აფსახიტ** „სამყარო გამოიცვალა“, რაც ახლოსაა ქართულ **გარდაცვალა** სიტყვასთან.

საინტერესო ფაქტია, რომ სიტყვები **მიიძინა** და **განისვენა** ძველ ქართულში 2-2 მნიშვნელობის მატარებელნი იყვნენ: **მიიძინა** „1. მშვიდად ჩაეძინა; 2. მოკვდა“ და **განისვენა** „1. დაისვენა; 2. მოკვდა“. ამჟამად კი მათ მხოლოდ მეორე, ტაბუირებუ-

50 ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა. თბ., 1997, გვ. 51.

ლი სემანტიკა შერჩათ.

ინფექციური დაავადებების – ყვავილის, ნითელას, ქუნთრუშას, ყივანახველას და სხვათა აღმნიშვნელ ზოგად სახელად გამოიყენება **ბატონები**, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სიტყვა **ბატონ**-ის მრავლობითი რიცხვის ფორმა იყო და მოგვიანებით შეიძინა ინფექციური დაავადებების ზოგადი სახელწოდების ფუნქცია. დღეს მას ორივე მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს და ამაში „დამნაშავე“ ტაბუირებაა.

აფხაზურ ენაშიც იმავე ინფექციურ დაავადებებს ასევე ტაბუირებული ზოგადი **აჰცა** სახელი აღნიშნავს, რომელიც ზუსტი ანალოგია ქართული სიტყვისა **ბატონები**: **აჰ** აფხაზურად ბატონს ნიშნავს, **აჰცა** კი ამ სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა. მიგვაჩნია, რომ სახელი **აჰცა** ქართული შესატყვისის კალკირებაა. რაც მთავარია, ამ სიტყვას, ქართულის მსგავსად, დღემდე აქვს შენარჩუნებული ორივე მნიშვნელობა – ამოსავალიც და ტაბუირებულაც.

ასევე მეორეულია სახელი **ყვავილი** ავადმყოფობის სახელად და ისიც ტაბუირების მაგალითს წარმოადგენს. ამ სიტყვასაც შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი (მცენარის ყვავილობასთან დაკავშირებული) და ტაბუირებული (სნეულებასთან დაკავშირებული) მნიშვნელობები. მაინცდამაინც ყვავილის სახელწოდების შერჩევა იმ სნეულების აღმნიშვნელად, რომელიც ხშირად უმახინჯებდა ტან-სახეს ადამიანებს, შემთხვევითი სულაც არ არის – ამ გზით ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ, ამ სნეულების მფარველი სულის გულის მოგებას.

ამ ვარაუდის სისწორეს ადასტურებს აფხაზური ენის მონაცემებიც: აფხაზურად ყვავილის (სნეულების) აღმნიშვნელ ერთადერთ სახელწოდებად ამჟამად გვხვდება სიტყვა **ა-ცერფშაძა**⁵¹, რაც ზედმინვენით „კანის, ტყავის გამლამაზებელს, დამამშვენებელს“ ნიშნავს. სრულიად ცხადია, რომ ამ სიტყვას თავდაპირველად სწორედ ეს ამოსავალი სემანტიკა ჰქონდა, შემდგომში კი გამოყენებულ იქნა სნეულების ტაბუირებულ სახელად, ხოლო ამჟამად ამ დაავადებას სხვა სახელი აღარ შერჩა, ზუსტად ისე,

51 ჯანაშია ს. შრომები. ტ. IV. თბ., 1968, გვ. 162.

როგორც ქართულში შეითავსა სიტყვა **ყვავილ**-მა ამ სნეულების ერთადერთი სახელწოდების ფუნქცია. ორივე ენაში ერთი და იმავე სახიფათო სენის აღმნიშვნელად დადებითი კონოტაციის მქონე „კეთილშობილი“ სიტყვები იხმარება.

ციმბირის წყლულს ფშავში ჰქვია **ბედნიერი**, რომელიც საქართველოს ზოგ კუთხეში მუნუქსაც აღნიშნავს⁵². შდრ. შელოცვა „მე ვარ ბედი **ბედნიერი**, ტურფა სახე მშვენიერი. ამოვალ ვერცხლივითა, დავჯდები ცეცხლივითა. რა არის შენი წამალი? წყლის შვილი(=„ბაყაყი“), ზღვისა ქათმისა შვილი (=„წინილა“), დაშაქრული დაადოს (შელოცვა ბედნიერისა. პ. უმიკაშვილი)⁵³. აღსანიშნავია, რომ სიტყვები **ბატონები** მისი თანმხლები **დაუბრძანდა** ზმნითურთ და **ბედნიერი** ხაზს უსვამს მონივნებასა და შიშს ამ სნეულებათა მიმართ, მაგრამ დადებით კონოტაციას გამოხატავენ.

აფხაზურ ენაში ტაბუირების ნიადაგზე პოლისემიის წარმოქმნის სხვა საინტერესო მაგალითებიც დასტურდება. კერძოდ:

ძროხის ქირს (დაავადებას) აფხაზები ჩვეულებრივი, არატაბუირებული **ა-ჟი-ა-ზვა** „ძროხის გადამდები სენი“ კომპოზიტური აგებულების მქონე სიტყვის გარდა ტაბუირებული **ა-ღუ** „დიდი, დიადი“ სახელწოდებითაც აღნიშნავენ⁵⁴, რომელიც ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში ხშირად გამოყენებული ზედსართავი სახელია. ამ დაავადებას **დიადი** იმიტომ უნდა დარქმეოდა, რომ არ გაელიზიანებინათ ამ სენის მფარველი სული, რომელსაც თითქოს ეუბნებოდნენ, „შენ დიადი ხარ, ნუ დაემცრობი და ნუ იკადრებ უბედურების მოვლინებას“-ო.

ალის, წყლის ქალის ჩვეულებრივი აფხაზური სახელწოდებაა **ძეზლან // ძეძლან**, რომელიც მომდინარეობს სინტაგმისაგან **აძე ზლოჟ ან** „წყალში გარეული, წყალში შერეული დედა“. ჩვენი ვარაუდით, ეს ფორმა თავდაპირველად ტაბუირებული სახელწოდება უნდა ყოფილიყო ალისა, რომელსაც მისი გულის მოსაგებად **დედას** ეძახდნენ. როგორც ჩანს, დროთა მანძილზე

52 ჯორჯანელი კ. ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ. თბ., 1977, გვ. 59.

53 ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია. ტ. I. თბ., 1989, გვ. 50.

54 ჯანაშია ს. შრომები. ტ. IV. თბ., 1968, გვ. 162.

სიტყვამ დაკარგა ტაბუირებულობის გაგება და აუცილებელი გახდა ალის ცნების ხელახალი ტაბუირება. ამ მიზნით ენამ გამოიყენა, ერთი მხრივ, სინტაგმა **აძითოჲ** „წყალში მყოფი“ და, მეორე მხრივ, **კაკადუ // კვკადუ** „ძუძუდიდა“ კომპოზიტიური სახელები. აკად. ს. ჯანაშიას ცნობით, აფხაზთა წარმოდგენით, ალს ძუძუები წელამდე სწვდება⁵⁵ და მისთვის მეორე ტაბუირებული სახელის შერჩევა ამ „ფაქტითაა“ განპირობებული. ორივე ამ რთულ სიტყვას ამჟამინდელ აფხაზურ ენაში არ დაუკარგავს ამოსავალი მნიშვნელობები: პირველი ითქმის წყალში მობინადრე, თუ წყალში მყოფ ნებისმიერ ცოცხალ არსებაზე, ანდა ნებისმიერ უსულო საგანზე.

რწყილის აფხაზური სახელი **ა-ძა** სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეებზე ვერ ეტიმოლოგიზდება, რის გამოც გაურკვეველია მისი ამოსავალი სემანტიკა. სამაგიეროდ არსებობს ამ არსების ორი ტაბუირებული სახელი: **აძქაწა** „შავი“ და **ტროფ** „მხტუნავი“⁵⁶. აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით, ამ მწერის **აძა** სახელის თქმა იმიტომ არ ვარგა, რომ ეშინიათ, არ გამრავლდესო⁵⁷. ორივე ტაბუირებული სიტყვა ამჟამინდელ აფხაზურ ენაში თავისუფლად გამოიყენება ამოსავალი მნიშვნელობებითაც.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ საყოველთაო აფხაზურ მეტყველებაში მგელს ორი განსხვავებული სახელი აქვს: **ა-ბგადუ** და **ა-ქჯჯმა**. ამათგან პირველის ეტიმოლოგია ასეთია:

არსებობს მგლის, ტურისა და მელის განმაზოგადებელი სახელი **ა-ბგა**. ამ სიტყვის ამოსავალი ვარიანტი შემონახულია აბაზურ ენაში **ბაგა** ფორმის სახით, რელიქტურად რომაა შემონახული აფხაზურ **ბაგა-ფშ** გვარსახელში, რომელიც ეტიმოლოგიურად „წითურ მგელს, ტურას, ან მელას“ ნიშნავს. ამავე აფხაზურში **ა-ბგა** ვარიანტი ხშირად გამოიყენება ტურის აღმნიშვნელად, ხოლო მელის სახელია **ა-ბგახჟჟჟ < ა-ბგა + ა-ხჟჟჟ** „პატარა, მცირე“, მგლის **ა-ბგადუ** სახელი კი მიღებულია იმავე **ა-ბგა** ფუძისა და **ა-დუ**

55 იქვე, გვ. 161-162.

56 იქვე.

57 იქვე.

„დიდი“ ზედსართავი სახელის შეერთების გზით.

გაცილებით უფრო საყურადღებოა მგლის მეორე **ა-ქჯჯმა** სახელწოდება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აფხაზთა წინაპრებს მგელი ტოტემურ ცხოველად მიაჩნდათ და ამის გამო ძველად აფხაზები მგელს არ კლავდნენ, თუ იგი არ მიუვარდებოდათ. მეტიც, მგლის ორი სახელიდან არცერთის წარმოთქმა არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ეს ცხოველი სოფელს, ან მწყემსებს დაეცემოდა თავს. არცთუ ისე შორეულ წარსულში ასეთ დროს ყველა ვალდებული იყო, მგლის აღმნიშვნელად გამოეყენებინა ხელოვნური სიტყვა **ალარშუვ** „ძალის ამყეფებელი“⁵⁸. ამ გზით აფხაზები თავს იზღვევდნენ ტოტემის რისხვისაგან. მართალია, სიტყვა **ალარშუვ** საყოველთაოდ იყო ცნობილი, მაგრამ მას სხვა შემთხვევებში არ წარმოთქვამდნენ, ანუ მკაცრად იყო რეგლამენტირებული როგორც **ა-ბგადუ** და **ა-ქჯჯმა**, ისე **ალარშუვ** სახელების ხმარების დრო და ადგილი.

პოლისემიის თვალსაზრისით აქ არსებითია იმის აღნიშვნა, რომ სიტყვას **ალარშუვ** „ძალის ამყეფებელი“ ენაში მგლის სემანტიკა უნდა მიმაგრებოდა სწორედ ტაბუირების ხელშეწყობით. მაგრამ მეტიც შეიძლება ითქვას: მგლის ერთ-ერთი „ჩვეულებრივი“ სახელი **ა-ქჯჯმა**-ც იმავე ფაქტორის ზემოქმედებით უნდა იყოს მიღებული და ამაზე სიტყვის აგებულება და ამოსავალი სემანტიკა უნდა მიგვანიშნებდნენ.

ჩვენი აზრით, ეს სიტყვა შედგება ორი სეგმენტისაგან. პირველი სეგმენტი **ა-ქ** პოლისემიურია და აღნიშნავს შენობის წვეროს, ხის კენწეროსა და მთის მწვერვალს. გარდა ამისა, იგი რთულფუძიან ზმნებში გამოიყენება ფუძე-წინდებულის ფუნქციით და გამოხატავს რამეზე მოქმედებას, მოძრაობას, მდებარეობას ზემოდან. შდრ., მაგალითად: **ა-ტა-რა** „დაჯდომა“, მაგრამ **ა-ქ-ტა-რა** „ზედ დაჯდომა, ზემოდან შეჯდომა“... ვფიქრობთ, **ქ** ძირის ეს უკანასკნელი სემანტიკა და ფუნქცია უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ იგივე ძირი შედის მგლის **ა-ქჯჯმა** სახელის შემადგენლობაშიც, რომელიც ჩვენ რთულფუძიან სიტყვად მიგვაჩნია:

58 Бондалетов В. Д. Социальная лингвистика. М., 1987, с. 166-167.

ა-ქ-ჯ-ჯმა < **ა-ქ-ჯ** „ზედ, ზემოდან“ + **ა-ჯმა** „თხა“, ანუ მგელია ის, რაც თხაზეა, რაც თხის ზემოდანაა, ე.ი. რაც თავს ესხმის თხას.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ამგვარი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე სიტყვა თავდაპირველად მგლის ტაბუირებული სახელი იყო და ასოციაციურად მიანიშნებდა მგლისა და თხის „ურთიერთობაზე“, მგლის პირველად სახელად კი **აბგადუ** უნდა ჩაითვალოს. როგორც ჩანს, ტაბუირებულმა სახელმა მიიღო არატაბუირებული **აბგადუ** სახელის სინონიმის ფუნქცია, ხოლო ტაბუირებული სიტყვის „ცარიელი უჯრა“ დაიჭირა სიტყვამ **ალარშევ** „ძალის ამყეფებელი“...

ლეილა ავიძბას მიერ აფხაზურ ენაში ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საუხერხულო სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება ტაბუირებისა და ევფემიზაციის ხერხი:...**ა-ღა-ს-ც-რ-თა** „უკანა ტანი“ (ზედმინევნით „გარეთ გასვლის ადგილი“), **ა-ც-გ-ს-ც-ფ** „პენისი“ (ზედმინევნით, „ნისკარტის თავის კანი“)⁵⁹.

ამრიგად, განხილული მასალა საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ევფემისტური სუბსტიტუტების ჩანაცვლების შედეგად:

ა) ტაბუისტური სიტყვების გარკვეული რაოდენობა დღეისათვის დაკარგულია და შემორჩენილია მხოლოდ მათი შემცვლელი სიტყვები;

ბ) ხშირ შემთხვევაში ტაბუისტური სიტყვებიც შემორჩენილია და მათი სუბსტიტუტებიც. მაგალითად, **ღმერთი – უფალი, ზეციერი, შემოქმედი...; ეშმაკი – მავნე, მაცილი...; გველი – უხსენებელი...**

ეს ტენდენციები ერთნაირადაა დამახასიათებელი ქართული და აფხაზური ენებისათვის.

ტაბუისტური სიტყვების უმეტესობა საკუთრივ ქართულია, რადგან „...პრიმიტიული ადამიანის წარმოდგენით მხოლოდ

59 ავიძბა ლ. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა აფხაზურ ენაში. ფილოლოგიი დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის მაცნე. თბ., 2012, გვ. 8.

მშობლიური ენის სიტყვებია (და ისიც მხოლოდ პირდაპირი სახელწოდებები) მისტიკური ძალით დაჯილდოებული, რადგან მისი აზრით, მხოლოდ ისინია ობიექტური მონაცემის ნამდვილი სახელები⁶⁰. ასევე ქართულია მათი სუბსტიტუტების უმეტესობა. ტაბუისტური სიტყვების ქართული ეპითეტების სიმრავლე იმით აიხსნება, რომ ლექსიკის ეს ჯგუფი უძველესია და სანამ უცხო ენებიდან ქართულში შემოსული ნასესხობები დაიმკვიდრებდა ადგილს, ტაბუ უკვე მანამ წარმოადგენდა სისტემას. გვხვდება უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებიც, რომლებიც სინონიმებად ამოუდგება ტაბუისტური სიტყვების ქართულ შემცვლელებს (მაგალითად, ეშმაკი – მაცდური, კუდიანი, ავი, უკეთური, მავნე, მოციქული, **ქაჯი, სატანა, სათაელი, ტარტაროზი, შაითანი, ბელზებელი**).

ტაბუს მეგრული შესატყვისია **„ვაშინერს“**, ხოლო გურული შესატყვისი **„ბ(რ)ძნა** – „ცრურწმენით რაიმე საქმის ან სიტყვის აკრძალვა, თავილობა, ტაბუ“: „მე ვერ დავიფიცებ და ნურც დამაფიცებ... იმიტომ, რომ **ვიბრძნიო** (ცუდად მაქვს დაცდილიო)“; „გურიაში ქალი **იბრძნიდა** ორშაბათს თავის დაბანას – ძმა მომიკვდებო...“⁶¹.

სიტყვიერ ტაბუს თავისი სახელი აქვს აფხაზურ ენაშიც: **ა-ნ-ძმარა**, რაც გულისხმობს გარკვეულ შემთხვევებში რისამე, ან ვისიმე სახელის ხსენების აკრძალვას. მაგალითად, იტყვიან **ლარა ან-ძ ლშოფტ** „იგი (ქალი) სახელს არ წარმოთქვამს, ტაბუს იცავს“.

არცთუ შორეულ წარსულში აფხაზთა შორის გავრცელებული იყო ტაბუს კიდევ ერთი სახეობა (ზოგან ამჟამადაც გვხვდება), რომელსაც აფხაზურად **ან-გძქჯდა** ერქვა⁶². ეს სახელწოდება ითარგმნება, როგორც „განსაკუთრებული, საგანგებო სახელი“. ასე აღინიშნებოდა რძლისთვის ქმრის ნათესავების სახელთა წარმოთქმის აკრძალვა და ნამდვილი სახელების გამოცვლა. აკად. ს. ჯანაშია ამ საკითხის შესახებ წერდა:

60 ჯორჯანელი კ. ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ. თბ., 1977, გვ. 47.

61 ბრეგაძე ლ. ყოფითი რწმენა-წარმოდგენები. თბ., 2012, გვ. 83.

62 ჯანაშია ს. შრომები. ტ. IV. თბ., 1968, გვ. 162.

„აფხაზეთში, როგორც სხვებსაც აქვთ ეს აღნიშნული, რძალი ქმრის ნათესავეებს სახელებს უცვლის, აქ ჩვენ რამდენიმე ფაქტს მოვიყვანოთ:

ძველად რძალი დედამთილს „ნანაჰ“-ს [„დედა ბატონი“. აქაც და ამ ციტატის სხვა ნაწილებშიც ტერმინთა თარგმანი ჩვენია – თ.გ.] და მამამთილს „კაკა“-ს [„კარგი, გემრიელი, ტკბილი“ ბავშვის ენაზე – თ.გ.] ეძახოდაო.

თავადაზნაურებში რძალი ეხლა მამამთილს „დადაჰ“-ს [„მამა ბატონი“] ეძახის, ზოგჯერ გლეხობაშიც. „ნანაჰ“-იც [„დედა ბატონი“] უფრო აზნაურულია. გლეხობაში ძველად დედამთილს რძალი პირდაპირ „ნან“-ს [„დედა“] ეძახოდაო, მამამთილს კი „ჰაჰ“ [„ჩვენი ბატონი“] (ეხლა „დედა“, „ბაბა“).

უმცროს მაზლს რძალი „ჰაჰჰჰ“-ს [„ჩვენი ბიჭი“] ეძახის.

ქმარზე იტყვის: ავნაჰჰჰ [„ვინც სახლში იმყოფება“]; ქმარიც ეგრევე, ან კიდევ: ავნათაჰჰ [„სახლის ოჯახი“] (შენიშვნა: // ავნაჰჰჰ [„სახლის ქალი“]).

ცოლ-ქმარი აგრეთვე ერთმანეთზე სხვასთან მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს (უფრო ხშირად, ქმარი)⁶³.

მეცნიერის მიერ დასახელებულ სახელთა უმრავლესობა მხოლოდ ტაბუირებულ მეტყველებაში, ანუ აზგძჰჰჰ-ს წესის დაცვისას გამოიყენება, მაგრამ მათი ნაწილი, კერძოდ, ნანაჰ, დადაჰ, ავნათაჰჰ, ავნაჰჰჰ ალბათ არ დასტურდებოდა ჩვეულებრივ, არატაბუირებულ მეტყველებაში, ანუ ეს სიტყვები მონოსემანტიკური იყო, თუმცა თავიდან მათ მინიმუმ ორ-ორი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: ამოსავალი და მეორეული. არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ ოთხივე დასახელებული ტაბუირებული ფორმა საგანგებო ტერმინის ფუნქციას ასრულებდა გარკვეულ სოციალურ გარემოში (მდრ. ქართულში არსებული ანალოგიური გამოთქმები: მამა ბატონი და დედა ბატონი, რომლებიც მშობლებისადმი შვილების პატივისცემას, მოკრძალებას გამოხატავენ);

სიტყვა კაკა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იხმარება სულ სხვა, „ამოსავალი“ სემანტიკითაც, ანუ იგი პოლისემანტიკურია,

63 იქვე.

ოლონდ მხოლოდ ბავშვისა და მშობლების ენაში (მდრ. იგივე კაკა სიტყვა ქართველ ბავშვთა მეტყველებაში);

პოლისემანტიკურია ნან, ჰაჰ, ჰაჰჰჰ სიტყვები და სინტაგმა ავნაჰჰჰ, ოლონდ მათ შორის სხვაობაც არის:

ნან არსებითი სახელია და წარმოადგენს დედის აღნიშვნელ საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძეს (მდრ. ჩერქეზული, ჩეჩნურ-ინგუშური, ქართველური... ნანა); ჰ-აჰ „ჩვენი ბატონი“ აჰ „ბატონი“ სიტყვის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის კუთვნილებითი ფორმაა, ჩვეულებრივ მეტყველებაში აღნიშნავს მხოლოდ ბატონს და კუთვნილების ფორმათმანარმოებელი ჰ-პრეფიქსის გარეშეც დასტურდება – დაირთავს სხვა სახელურ ფორმათმანარმოებელ აფიქსებსაც. ეს სიტყვა ტაბუირებულ მეტყველებაში ტერმინოლოგიზებულია და არ დასტურდება კუთვნილების ჰ-პრეფიქსის გარეშე, ანუ ტაბუირებისას ტერმინადაა ქცეული არსებითი სახელის ერთ-ერთი პარადიგმატული ფორმა; იგივე ითქმის ჰ-აჰჰჰ სიტყვის შესახებაც: იგი აჰჰჰ „ბიჭი“ სიტყვის კუთვნილების კატეგორიის პარადიგმიდან აღებული ფორმაა და ტერმინოლოგიზებულია საოჯახო მეტყველებაში, ჰ-პრეფიქსით ხმარებისას მას უმცროსი მაზლის სემანტიკა აქვს შეძენილი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფხაზურ მეტყველებაში არსებობს ორ-ორი დამოუკიდებელი სიტყვა:

აჰ „ბატონი“ და ა-აჰჰ „ბიჭი“, რომლებიც ანარმოებენ რიცხვის, პირისა და გრამატიკული კლასის მიხედვით განსხვავებულ კუთვნილების ფორმებს, ანუ აქვთ თავ-თავიანთი პარადიგმები:

მხ. რ	მრ. რ.
I პირი: ს-აჰ „ჩემი ბატონი“	ჰ-აჰ „ჩვენი ბატონი“
II პირი: ჟ-აჰ „შენი (მამაკ.) ბატონი“	შ-აჰ „თქვენი ბატონი“
ბ-აჰ „შენი (ქალი) ბატონი“	
III პირი: ე-აჰ „მისი (მამაკ.) ბატონი“	რ-აჰ „მათი ბატონი“
ლ-აჰ „მისი (ქალის) ბატონი“	
-აჰ „მისი (ნივთის, მაგალითად, სოფლის) ბატონი“	

მხ. რ.

მრ. რ.

I პირი: სგ-ჭკუნ „ჩემი ბიჭი“

ჰა-ჭკუნ „ჩვენი ბიჭი“

II პირი: ზგ-ჭკუნ „შენი (მამაკ.) ბიჭი“ შგ-ჭკუნ „თქვენი ბიჭი“

ბგ-ჭკუნ „შენი (ქალი) ბიჭი“

III პირი: ფგ-ჭკუნ „მისი (მამაკ.) ბიჭი“ რგ-ჭკუნ „მათი ბიჭი“

ლგ-ჭკუნ „მისი (ქალის) ბიჭი“

ამ სისტემებში **ჰ-აჰ** „ჩვენი ბატონი“ და **ჰა-ჭკუნ** „ჩვენი ბიჭი“ ფორმები **აჰ** „ბატონი“ და **ა-ჭკუნ** „ბიჭი“ არსებით სახელთა პარადიგმების რიგითი წევრები და დანარჩენ პარადიგმატულ ფორმათა თანასწორნი არიან. სულ სხვა ვითარებაა ტაბუირებულ მეტყველებაში: აქ არსებობს არა ზოგადად **აჰ** „ბატონი“ და **ა-ჭკუნ** „ბიჭი“ სიტყვები, არამედ წარმოდგენილია ზემოთ მოყვანილი პარადიგმებიდან მომდინარე **ჰ-აჰ** და **ჰა-ჭკუნ** დამოუკიდებელი სიტყვები, რომელთაც აღარ შეუძლიათ ახალი პარადიგმის წარმოება, ანუ ფორმაუცვლელ სიტყვებად არიან ქცეულნი და აქვთ სულ სხვა სემანტიკა: **ჰაჰ** „ჩემი მამამთილი“ და **ჰაჭკუნ** „ჩემი უმცროსი მაზლი“.

სინტაგმას **ავნგყოჟ** ჩვეულებრივი სიტყვათხმარებისას აქვს მნიშვნელობა „ვინც სახლში იმყოფება“, მაგრამ მეუღლის შესახებ საუბრისას ცოლი ქმარს, ან ქმარი ცოლს სწორედ ამ ფორმით მოიხსენიებს, ანუ ეს სინტაგმაც პოლისემანტიკური და ტერმინოლოგიზებულია.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, აკრძალულ სიტყვათა სემანტიკა უპირატესად პირველადია, ხოლო მათი ევფემისტური სუბსტიტუტები – მეორეული. ამ სიტყვათა ტაბუისტური//ევფემისტური სემანტიკით დატვირთვა მოხდა ასოციაციის, ანალოგიის, სიმბოლიზების, ევფემიზაციის ნიადაგზე. როგორც მნიშვნელობის გადატანის ყველა შემთხვევაში, ტაბუს მაგალითებშიც მეორეული სემანტიკა მოტივირებულია ამოსავალი, პირველადი მნიშვნელობებით, რადგან „ყოველი გადატანითი ხმარება მოტივირებულია, მას ზურგს უმაგრებს სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა“⁶⁴.

64 ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბ., 1974, გვ. 168.

გაანალიზებულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამოსავალი მნიშვნელობის გარდა პოლისემიის ერთ-ერთ მოტივად გამოდის ის კონტექსტი, რომელშიც გამოიყენება სიტყვა (მაგალითად, ბიბლიური კონტექსტი და სხვ.).

ტაბუისტური გამოთქმები ენას ამდიდრებს სინონიმებით. „სიტყვის ტაბუ ხშირად სემანტიკურ ცვლილებებს აძლევს დასაბამს. მის დროს ხომ ერთი სიტყვა (ან გამოთქმა) იცვლება მეორეთი, ანუ ერთი სიტყვის (ან გამოთქმის) მნიშვნელობა გადაიტანება მეორეზე. ამიტომ, თუ მოცემული ენობრივი კოლექტივის წევრთა საგრძნობი რაოდენობა იცავს ამ ტაბუს, მაშინ, ერთი მხრივ, ძველი, ან აკრძალული სიტყვა (ან გამოთქმა) შეიძლება ხმარებიდან გამოვიდეს და თუ მოცემულ ენობრივ კოლექტივს დამწერლობა არ გააჩნია, სულაც დაიკარგოს“⁶⁵.

ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარ კარლო ჯორჯანელს, რომელიც ასკვნის: „თანამედროვე ენებში ტაბუს მხოლოდ ცალკეული ნიმუშები გვხვდება და ისიც მიყრუებულ რაიონებში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, თანაც ძველი ძალა საგრძნობლად დაუკარგავს და მთლიანად აღებული ამჟამად ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში ისეთ როლს ვერ ასრულებს“⁶⁶. ტაბუს უგულებელყოფის და ნელ-ნელა ხმარებიდან გასვლის მიზეზი შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოების მისწრაფება აკრძალვათა აკრძალვებისკენ. დღეს ქართულშიც და აფხაზურშიც ტაბუისტური სიტყვები ჩვეულებრივად, ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე გამოიყენება, ხოლო მისმა შემცვლელმა სიტყვებმა მხატვრობის გამომხატვის ფუნქცია//მხატვრული კონოტაცია შეიძინეს.

65 ჯორჯანელი კ. ენობრივ აკრძალვათა გადმონათობი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. 1972, №1-2, გვ. 86.

66 ჯორჯანელი კ. ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ. თბ., 1977, გვ. 48.

2.2. რელიგია

სემანტიკის ცვლის ერთ-ერთი მიზეზია **რელიგიური სახის-მეტყველება**. როგორც ცნობილია, ლექსიკური მნიშვნელობა იცვლება კულტურულ-ისტორიული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების ზეგავლენით⁶⁷. მითოლოგიური და წარმართული კულტურული არეალიდან ახალ კულტურულ არეალში გადასვლის დროს შეიცვალა ქართველი ხალხის შეხედულებები. შესაბამისად, ენაში ახლებურად გადააზრინდა წარმართობის-დროინდელი სახეები თუ ლექსიკა. ქრისტიანულ კულტურულ არეალში ლექსიკის წარმართობის ეპოქაში არსებულ სემანტიკას ენაცვლება ქრისტიანული რელიგიისათვის მისაღები ახალი მნიშვნელობები.

ქრისტიანული რელიგია ქართულ ენობრივ სამყაროში სიტყვის ახალი მნიშვნელობების გაჩენის მძლავრ სამოტივაციო მოვლენად იქცა.

ქრისტიანული რელიგია მისი გავრცელების დროისათვის სრულიად ახალი კულტურულ-ისტორიული მოვლენა იყო. მან მალევე მოახდინა დიდი გავლენა ქართველი ერის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის ქართულ ენაზეც. სწორედ ქრისტიანობის გავლენით სიტყვათა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა შეიძინა ახალი სემანტიკა, ამის შედეგია ის, რომ ქართული ენის ლექსიკაში წარმოიქმნა პოლისემიურ სიტყვათა მთელი კლასი. ამ კლასის ლექსიკის რელიგიური სემანტიკით დატვირთვა მოხდა შედარების, ანალოგიის, სიმბოლიზების ნიადაგზე, რაც ყველა რელიგიას ახასიათებს.

წარმართობისდროინდელი მნიშვნელობების მქონე სიტყვებს რელიგიური შინაარსით დატვირთვის შედეგად ზოგ შემთხვევაში ძველი მნიშვნელობები დაეკარგა, ზოგ შემთხვევაში კი სიტყვებს შეუნარჩუნდა კომპონენტური კავშირი წარმართობისდროინდელ მნიშვნელობებთან. ძველი ქართული ტექსტები და ლექსიკონები საშუალებას იძლევა დავინახოთ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულ-

⁶⁷ გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია თ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ., 2003, გვ. 358.

თა დღეისათვის გამქრალი თუ შენარჩუნებული კონკრეტული სემანტიკა და თანამედროვე ქართულთან შეპირისპირებით, სიტყვის სემანტიკური განვითარების ისტორიაზე დაკვირვებით თვალი გავადევნოთ ერის მატერიალური და სულიერი კულტურის, აზროვნების განვითარების ისტორიას, აქედან გამომდინარე ენის ლექსიკის სემანტიკური განვითარების ისტორიასაც.

მაგალითისათვის განვიხილავთ **წარმართი; მწყსა/დამწყსნა, მწყემსი** პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულებს ქართულ ენაში.

ანალიზი ემყარება ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ისტორიული ეტაპის ამსახველ სალექსიკონო მონაცემებს.

წარმართი/წარმართული/წარმართობა ძველ ქართულ-შივე პოლისემიური სიტყვები იყო. მათში იგულისხმებოდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ქრისტიანობამდელ, არაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებთან. სპეციალისტთა განმარტებით, წარმართობა არის სხვადასხვა მითო-რელიგიურ სისტემათა მონაცვლეობის ხანა, რომელშიაც ჩაისახა და განვითარდა ქრისტიანობა⁶⁸.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **წარმართი** განიმარტება როგორც: 1. ურწმუნო, კერპთმსახური; 2. უცხო თესლტომი, „ბარბაროზი“, „თესლი“ „ნათესავი“; 3. უშჯულოებით მავალნი⁶⁹.

სულხან-საბას „სიტყვის კონასა“ და თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **წარმართი** მონოსემიური სიტყვაა და ეწოდება „ყოველთა უსჯულოებით მავალთა“:

წარმართ-ი (წარმართისა) – 1. წარმართობის მიმდევარი, – კერპთაყვანისმცემელი (ან მნათობთა თაყვანისმცემელი)⁷⁰;

წარმართობა – კერპთაყვანისმცემლობა; რელიგია, რომელიც დაფუძნებულია ბევრი ღმერთის თაყვანისცემაზე⁷¹;

⁶⁸ სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 3.

⁶⁹ აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973.

⁷⁰ ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული 2 წიგნად. თბ., 1991.

⁷¹ ქველ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1964, გვ. VIII.

წარმართი – წარმართობის მიმდევარი, კერპთაყვანისმცემელი, ან მნათობთა თაყვანისმცემელი⁷².

საანალიზო **წარმართ** სახელისათვის ამოსავალი ზმნური ფუძე **წარმართვა** ძველ ქართულში პოლისემიური იყო. მისი ამოსავალი სემანტიკური ბირთვია **სვლა**; ხოლო მეორეულია დანარჩენი მნიშვნელობები:

„სვლა რაიმე მიმართულებით“;

„კეთილად მოსვლა“;

„სწორ გზაზე დადგომა“;

„საქმის წაყვანა// გაძლოლა“;

„გამგზავრება“;

„მიმართულების მიცემა“;

„გამარჯვება“;

„გაძლოლა“;

„ხელის მომართვა“;

„განგება“... [იხ. წარმართება: ი. აბულაძე, ს.ს. ორბელიანი].

ზმნური ფუძიდან მომდინარე **წარმართ** სახელის პირვანდელ სემანტიკად მოჩანს „გარკვეული მიმართულებით (მოლაპარაკისაგან იქით) სვლა“. მაგალითად, „შუმანიკის წამებაში“ ამ სახელის ამოსავალი ზმნა **წარმართება** გამოიყენება ამჟამინდელი **გაემართა** „იქითკენ წავიდა“ სინონიმის მაგიერ: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ **წარმართა** ვარსქენ პიტიახში...“⁷³.

სახელი **წარმართი**, ჩვენი აზრით, სწორ გზაზე მავალს, სწორ გზაზე მდგარს აღნიშნავდა თავდაპირველად, რაზეც უნდა მიანიშნებდეს მისი **მართ** ძირის მატერიალური კავშირი **მართალ**, **მართლ** ვარიანტებთან და მათ მნიშვნელობებთან. შდრ.: **მართ** ძირი აღნიშნავს მიმართულებას: **აღმართ**, **გამომართ**, **უკუმართ**, **შელმართ**, **დამართ**... ხოლო **მართალ** – წრფელი, სწორი, ნამდვილი; **მართლ** – პირისპირ, სწორად, ნამდვილად. ამდენად **წარმართი** ძველ ქართულში ნიშნავდა „სწორ რელიგიურ პოზიციაზე მდგომს, ჭეშმარიტ მორწმუნეს, ჭეშმარიტების გზაზე მყოფს,

72 იქვე.

73 ცურტაველი ი. შუმანიკის წამება. თბ., 1990.

მართლმადიდებელს“.

ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს **წარმართი** და **მართლმადიდებელი** სიტყვების სემანტიკური სინონიმია. პირველი მათგანი გამოიყენებოდა ქრისტიანობამდელი მორწმუნის აღსანიშნავად, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ კი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად ახალი რელიგიის აღმსარებლის, ქრისტიანის აღმნიშვნელად ენამ შექმნა ახალი სიტყვა **მართლმადიდებელი**: ბუნებრივია, ქრისტიანი ახალ ეტაპზე ჭეშმარიტი რწმენის მიმდევრის მარკერი იქნებოდა, ისევე როგორც მანამდე **წარმართი** იყო ამავე სემანტიკის მატარებელი.

რაკი სიტყვა **წარმართმა** შეინარჩუნა ძველი სემანტიკა და შეირჩინა ქრისტიანობამდელი რწმენის მიმდევრის აღნიშვნის ფუნქცია, გაჩნდა აუცილებლობა ქრისტიანის, როგორც ახალი და ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევრის, აღმნიშვნელი ნეოლოგიზმის შექმნისა. სწორედ ამ ფუნქციით გაჩნდა ენაში ტერმინები **მართლმადიდებლობა** და **მართლმადიდებელი**, რომლებიც ბერძნული **ორთოდოქსია** და **ორთოდოქსი** სახელების ქართული კალკები: **ორთოდოქსია** ბერძნულად „სწორ აზროვნებას, რაიმე მოძღვრების განუზრელ მიმდევრობას, რაიმე შეხედულებათა ურყევ თანმიმდევრობას ნიშნავს“⁷⁴, **ორთოდოქსი** კი ის პირია, ვინც ამ თვისებებით ხასიათდება; შდრ.: **მართლმადიდებლობა** – ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობა, რომელიც გავრცელებული იყო ბიზანტიაში, საქართველოში, რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში⁷⁵; იესო ქრისტესა და მოციქულების მოძღვრება, ჩამოყალიბებული ძველი რწმენის სიმბოლოებში და გადმოცემული ეკლესიის მამებისა და მასწავლებლების მიერ⁷⁶. **მართლმადიდებელი** კი ზედმიწევნით ნიშნავს „ჭეშმარიტების, სიმართლის მადიდებელს“. შდრ. **მართლმავლობა** – სწორად სვლა; შეუმცდარობა; **მართლმდგომარება** – სწორად დგომა; **მართლმეცნიერება** – ჭეშმარიტი

74 ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1989.

75 ქეგლ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1964, ტ. VIII.

76 პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში. თბ., 2002.

ცოდნა⁷⁷.

ამრიგად, საქართველოში ახალი რელიგიის გავრცელებამ და მისმა გადაქცევამ ერთადერთ ოფიციალურ რელიგიად გამოიწვია ენაში უკვე მყარად დამკვიდრებული ტერმინების – **წარმართისა** და **წარმართობის** შენარჩუნება უფრო ვიწრო სემანტიკით, ვიდრე ადრე ჰქონდათ: ქრისტიანობამდელი რელიგიისა და მისი აღმსარებლისა. შეიცვალა რელიგია, მაგრამ ძველი სარწმუნოების სახელი დარჩა, ახალ რელიგიას კი ბერძნული ტერმინების კალკირების გზით შექმნილი ახალი სახელი დაერქვა.

მწყესა//დამწყესა ზმნური ლექსიკური ერთეულები ძველ ქართულშივე პოლისემიური იყო. ილია აბულაძის ლექსიკონში, რომელშიც შესულია V-XI საუკუნეების ტექსტების ლექსიკური მასალა, საანალიზო ფორმები წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: **მწყესა** აღნიშნავს ძოვნას, ხოლო მისი მორფოლოგიური ვარიანტი **„დამწყესა“** განმარტებულია შემდეგნაირად: 1. დაძოვება, 2. პოვნა, 3. დამორჩილება, 4. ცოხნა⁷⁸. იმავე ლექსიკონში განმარტებების გვერდით დამონმებულია ფრაზები ძველი ქართული ტექსტებიდან, რომელთა კონტექსტი უფრო ნათელს ხდის სემანტიკის გაგებას:

- „**მწყესი**და რაჲ ცხოვართა ლიბანისათა“;
- „**ვმწყესი**დი მე საცხოვართა მამისა ჩემისათა“;
- „უშიშად თავთა თვსთა **მწყესი**ან“;
- „**დამწყესენ** კრავნი ჩემნი“, შდრ. იმავე ტექსტის სხვა რედაქციაში: „**დააძოვენ** კრავნი ჩემნი“;
- „რომელმან **დამწყესოს** ერი ჩემი“ (მათ. 2.6);
- „ყოველი ბუნება“ მკვეცთაჲ... **დაიმწყესების**“ (იაკ. 3.7);
- „ვითარცა რკინამან დაანუღილის და **დაამწყესის** ყოველი“ (იქვე).

⁷⁷ სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1995.

⁷⁸ აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973

ქართული ენის განვითარების შემდგომი პერიოდისათვის **მწყესა//დამწყესა** ფორმებს ფონეტიკური ცვლილება განუცდიათ. საანალიზო სიტყვა სულხან-საბას ლექსიკონში წარმოდგენილია **მწყეს** გაუხმოვანებული ფორმით და უდასტურდება ერთადერთი, მოვლა-პატრონობის მნიშვნელობა. ზმნა **ვმწყესი** სულხან-საბას განმარტებული აქვს შემდეგნაირად: „მწყემსად უვლი, მწყესად უარ“; **მწყესის** „დამწყესოს“.

მაშასადამე, სალექსიკონო მასალის მიხედვით, ძველი ქართული პოლისემიური **მწყესა//დამწყესა** ფორმები XVIII საუკუნისათვის მონოსემიური გამხდარა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **მწყემსვა** ფორმას მოვლა-პატრონობის სემანტიკა აქვს: **მწყემსავს** – მწყემსი არისამე, უვლის, პატრონობს (საძოვარზე გაშვებულ პირუტყვს) (ქეგლ).

ამრიგად, ძველი და თანამედროვე სალექსიკონო მასალის მიხედვით **მწყესა//დამწყესა** ზმნის სემანტიკური განვითარების ისტორია ასეთია:

1. **ძოვა// დაძოვება;**
2. **პოვნა;**
3. **დამორჩილება;**
4. **ცოხნა (V-XI სს.);**
5. **მწყემსვა (მოვლა-პატრონობა) (XI-XVII სს.);**
6. **რისამე მოვლა-პატრონობა (XIX-XX სს.).**

საანალიზო ზმნის ძველი ქართული მნიშვნელობები – **ძოვა, პოვნა, დამორჩილება** – ერთიანდება მოვლა-პატრონობის სემანტიკაში, ე.ი. დასახელებული სემების საერთო სემანტიკური კომპონენტია – **მოვლა-პატრონობა, ზრუნვა**. ვფიქრობთ, რომ მოვლა-პატრონობის სემანტიკა **მწყესა//დამწყესა** ზმნურ ფორმებს ძველ ქართულშიც უნდა ჰქონოდა. ამას გვაგვარაუდებინებს ილია აბულაძის მიერ დამონმებული „მათეს სახარებისეული“ ფრაზა: „**რომელმან დამწყესოს ერი ჩემი**“ (მათე 2,6)⁷⁹, აგრეთვე ქრისტეს ეპითეტად ამავე ზმნისგან მომდინარე **მწყემსი** სიტყვის გამოყენების ფაქტი.

⁷⁹ იქვე.

ლექსიკონებში არ ასახულა კიდევ ერთი კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც **მწყსა** ფორმას უნდა ჰქონოდა – **მწყემსვა**, **საქონლის მოვლა-პატრონობა**. ამ სემანტიკის არსებობას ადასტურებს ძველ ქართულში ფართოდ გამოყენებული **მწყემსი** სიტყვა „მენახირის“ მნიშვნელობით.

ჩვენი ვარაუდი რომ უფრო ნათელი იყოს, დავიმონუმებთ ვრცელ მონაკვეთს, რომელშიც ჩანს, რომ აღნიშნულ ზმნას ჰქონდა მოვლა-პატრონობის ზოგადი სემანტიკაც: „ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრე წერილ არს წინასწარმეტყუელისა მიერ: და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ესე იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან **დამწყსოს ვრი ჩემი** ისრაჴლი“ (მათე 2.6).

ასევე პოლისემიური სიტყვაა **მწყსა** ზმნური ფორმიდან წარმოქმნილი სახელი **მწყემსი**. ის ილია აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მენახირე“.

მწყემსი ფორმის მორფოლოგიური ვარიანტი **მწყსელი** პოლისემიურადაა წარმოდგენილი ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში: **მწყსელი** – მწყემსი; გამხედნელი; გამწვრთნელი, ხოლო **მწყსილი** – მრევლი⁸⁰. რაკი **მწყსილი** ნიშნავდა მრევლს, ლოგიკურად უნდა ვივარაუდოთ, რომ **მწყემსი//მწყსელი** მღვდლის მნიშვნელობითაც უნდა არსებულიყო ცოცხალ მეტყველებაში, თუმცა ეს ძველი ქართულის ლექსიკონებში დაფიქსირებული არ არის.

მწყემსი სულხან-საბა ორბელიანს შემდეგნაირად აქვს განმარტებული: მეცხვარე, მწყემსი, მღვდელი (მღვრდელი). **მწყემსი** არს მეცხვარე, ხოლო **კაცთა მწყემსი** — მღვდელი.

მწყემსი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სამი მნიშვნელობით არის დამონმებული:

1. ვინც მწყემსავს (მეცხვარე, მენახირე, მეჯოგე). „მწყემსი ქალი ვარ... ამ მთის კალთებზე ცხვარს ვაძოვებდი მამიჩემისას“;
2. ეკლესიის მოძღვარი, მღვდელი.
3. გადატანითი მნიშვნელობით მწყემსი ჰქვია უფალს –

⁸⁰ სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა. თბ., 1997.

„მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს“.

საანალიზო **მწყემს** ფორმის სემანტიკური განვითარების ისტორია ასეთია: მენახირე, მწყემსი; გამხედნელი; გამწვრთნელი (V-XI სს.) > მეცხვარე, კაცთა მწყემსი – მღვდელი (XI-XVII სს.) > ვინც მწყემსავს (მეცხვარე, მენახირე, მეჯოგე), 2. ეკლესიის მოძღვარი, მღვდელი; 3. უფალი.

მწყსა//დამწყსა ფორმების ძველქართული მნიშვნელობები – „ძოვა“, „პოვნა“, „დამორჩილება“, „ცოხნა“, რომლებიც ერთიანდება მოვლა-პატრონობისა და მზრუნველობის უფრო ფართო სემანტიკაში, დროთა განმავლობაში მიიჩქმალა. განვითარდა, გაფართოვდა და ფართოდ დამკვიდრდა მოვლა-პატრონობის მნიშვნელობა. მოვლა-პატრონობის სემანტიკის განვითარების მიზეზი უნდა იყოს ქრისტიანული სახისმეტყველება. **მწყსა** ფორმის ძირითადმა მნიშვნელობამ, კულტურულ-ისტორიული ფაქტორის გავლენით, ასოციაციური კავშირის საფუძველზე შეიძინა რელიგიური სემანტიკური კომპონენტი. რელიგიური დატვირთვა მოხდა შედარების, ანალოგიის, სიმბოლიზების ნიადაგზე, რაც ყველა რელიგიას ახასიათებს.

ვფიქრობთ, **მწყსა//დამწყსა** ზმნის წარმართობისდროინდელი მნიშვნელობები იყო: „ძოვა// დაძოვება“, „პოვნა“, „დამორჩილება“, „ცოხნა“. თეოლოგიური შინაარსით დატვირთვის შედეგად ძველი მნიშვნელობები გაქრა. დღეისათვის **მწყსა//დამწყსა** ფორმას შემორჩენილი აქვს პირუტყვის ან სხვა რისამე მოვლა-პატრონობის, ზედამხედველობის მნიშვნელობა.

ამრიგად, განხილული კონკრეტული ენობრივი მასალა და მისი სხვა ანალოგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთ ნაწილში მომხდარია სერიოზული სემანტიკური ცვლილებები, რაც გამომწვეული ყოფილა ქვეყანაში რელიგიური სიტუაციის რადიკალური ცვლით, წარმართობის ნაცვლად ქრისტიანობის საყოველთაო გავრცელებით, ქრისტიანული სახისმეტყველების მძლავრი ზეგავლენით ქართულ ენაზე. ქართული ენის ლექსიკაში მომხდარი ეს ცვლილებები ქართველთა კონფესიური მსოფლხედველო-

ბის გამოვლინებისა და ისტორიული გამოცდილების შედეგია. ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი წვლილი შეიტანა ენაში, რომელშიც თანდათანობით მკვიდრდებოდა ქრისტიანული პლასტიკი და სიტყვათა წარმართობის დროინდელი სემანტიკა განიცდიდა ტრანსფორმაციას.

რაც შეეხება აფხაზურ ენას, მასზე დამწერლობის ხანგრძლივი ტრადიციის უქონლობის გამო ძნელია აღვადგინოთ რელიგიური ფაქტორის ზეგავლენით სიტყვათა პოლისემიურად ქცევის ისტორიული სურათი. ეს საკითხი საგანგებო ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს, ამიტომ მასზე აქ არ შევჩერდებით.

2.3. რიტუალური არგო

ნაშრომის მოცემულ ნაწილში განვიხილავთ ახალი სემანტიკის გაჩენის ერთ-ერთ ნყაროს – რიტუალურ არგოს. ჩვენთვის მისაღები განმარტების თანახმად, არგო არის „ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის“⁸¹.

ზოგადად, არგოს ბევრნაირი განმარტება არსებობს, ზოგ ავტორთან არგო, ჟარგონი და სლენგი ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული. ვ. ბონდალეტოვის განმარტების მიხედვით, არგო პირობითი ენობრივი ლექსიკური სისტემებია, რომლებიც განკუთვნილია უპირატესად კონსპირაციული (ეზოთერული, კრიპტოფორული) ფუნქციისათვის. მოთხოვნილება იმისა, რომ გამოიყენონ საიდუმლო, საქმეში ჩაუხედავი პირთათვის გაუგებარი ენა (ან თუნდაც ასეთი ენის მსგავსება), უჩნდება სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ, შეგნებულად განაცალკეონ საკუთარი თავი „სხვებისაგან“, საზოგადოების ძირითადი ნაწილისაგან⁸². არგოსთვის დამახასიათებელია იდუმალების დიდი

ხარისხი. ამ მახასიათებლის არსებობის გამო, მას **კრიპტოლექტ**-საც უწოდებენ.

არგო, ჩვეულებრივ, იხმარება სხვათაგან კომუნიკაციის დაფარვის მიზნითაც და საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან რომელიმე ჯგუფის განკერძოების საშუალებადაც⁸³. ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზს რიტუალური არგოსა და პოლისემიის მიმართების კონტექსტში.

რიტუალური ლექსიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ არგო ქართულ ენობრივ სამყაროში სიტყვის ახალი მნიშვნელობების გაჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამოტივაციო მოვლენაა.

ქართულ ენაში რიტუალურ არგოს განეკუთვნება ჯვართენა, სამონადირეო ენა და შელოცვის ფორმულებიც, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის, რადგან „პროფესიული საიდუმლოების გაცემა ხშირად გაკოტრებას ნიშნავდა. ამ საიდუმლოს დაცვა შესაბამისი არგოს გამომუშავებას საჭიროებდა – ამქრის წევრისათვის გასაგებს, სხვებისთვის – გაუგებარს“⁸⁴. ბოლო დრომდე რიტუალური არგო რელიეფურად იყო წარმოდგენილი ქართული ენის მთის დიალექტების ლექსიკაში და, რაც მთავარია, მისმა საჭიროებებმა განაპირობა სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, განსაკუთრებით, ხევსურთა საწესო ტექსტებში კარგა ხანია შემჩნეულია ერთი შრე ლექსიკისა, რომელიც **ჯვართენა**-დ იწოდება. მას გამოყენების მკაცრად შემოფარგლული სფერო აქვს. ეს ლექსიკა დასტურდება ხუცობისა და ქადაგობის (ნაქადაგართა) ტექსტებში⁸⁵. ჯვართენა წარმოადგენდა ქადაგის საგანგებო, ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა კრებულს, რომელსაც იგი ჯვარის ნება-სურვილის გამოცხადების დროს იყენებდა.

83 Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990, с. 43

84 ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია. ტ. I. თბ., 1989, გვ. 51.

85 კიკნაძე ზ. „ჯვართენის“ შესწავლისათვის. კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“. ქუთაისი, 1996, ტ. I, გვ. 147.

81 ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია. ტ. I. თბ., 1989, გვ. 49.

82 Бондалетов В. Д. Социальная лингвистика. М., 1987, с. 72.

ჯვართენის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ჯვარის ზებუნებრიობისათვის ხაზგასმის სურვილი, მისი შექმნა საჭირო იქნებოდა ჩვეულებრივ მოკვდავთა სასაუბრო ენისაგან ღვთიშვილთა „ენის“ განსხვავების მიზნით, რითაც ჯვარის ზებუნებრიობას გაესმებოდა ხაზი და მკადრე ქადაგები, როგორც ამ ღვთაებასთან ყველაზე ახლო მდგომნი და მისი სიტყვის მლაღადებელნი, საკუთარ მდგომარეობას ამყარებდნენ, ხალხში მეტავტორიტეტსა და პატივისცემას იხვეჭდნენ⁸⁶.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდეა შემონახული ქადაგის ინსტიტუტი. იგი მთიელთა რელიგიურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა... მორწმუნეთა შეხედულებების თანახმად, ქადაგს პირადად ეცხადებოდა ღვთაება, სახლდებოდა მასში და მისი პირით მეტყველებდა, ატყობინებდა ხალხს თავის ნებას. **ქადაგობის დროს ქადაგი ხმარობდა ჩვეულებრივი სამეტყველო ლექსიკისაგან განსხვავებულ ტერმინებს**, რომელთაც ადგილობრივად ჯვართენას ეძახიან⁸⁷.

ჯვართენას ეძახიან ორასიოდე სიტყვა-შესიტყვებას, რომელთაც ხატის მსახურნი და ქადაგ-მკითხავნი იყენებდნენ რიტუალების შესრულებისას⁸⁸. ჯვართენის ლექსიკა სისტემური სახით წარმოდგენილი აქვთ თ. ოჩიაურსა და ზ. კიკნაძეს. დღეისათვის მიკვლეულია ჯვართენის 160 ლექსიკური ერთეული, რომლებსაც აერთიანებენ შვიდ ჯგუფში. ამ ლექსიკის გარკვეული ნაწილი ძალიან ძველი წარმომავლობისა ჩანს.

ქართული ჯვართენის სარიტუალო ლექსიკაში შედიოდა: ადამიანის სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები, ადამიანის ქონების სახელები, ჯვართან დაკავშირებული მოვლენებისა და რეალიების სახელწოდებანი, ცხოველთა სახელები,

86 ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 135.

87 ოჩიაური თ. ჯვართენის შესახებ. კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“. 1996, ტ. I, გვ. 207.

88 ჭინჭარაული ა. „ჯვართ ენის“ ზოგი ტერმინის წარმომავლობისა და მნიშვნელობისათვის. სასაგნავი. კრებ. „ქუთაისური საუბრები“. ქუთაისი, 2000, ტ. 7, გვ. 151.

ბუნებისა და ბუნების მოვლენების სახელები და უწმინდურთა სახელები.

ჩვეულებრივ მეტყველებასთან საზიარო ჯვართენის სიტყვები ახალი სემანტიკური კომპონენტით წარმოგვიდგებიან, ანუ ისინი ამ შემთხვევაში პოლისემიურნი არიან. სპეციალური სახელები შერქმეულია ისეთი საგნებისა და მოვლენებისათვის, რომელთაც ჩვეულებრივ მეტყველებაში საკუთარი სახელწოდებები აქვთ.

აღნიშნავენ იმასაც, რომ ჯვართენა არის სპეციალური ენა და ქადაგისაგან მოითხოვს სპეციალური ტერმინოლოგიის აუცილებელ ცოდნას.... ეს ლექსიკა ყოველდღიური ურთიერთობის დროს ჯვართენაში გამოყენებული მნიშვნელობით არ იხმარება, რაც **საკრალურობას** ანიჭებს ტექსტს. ეს ის ნიშანია, რომლითაც საკრალური ტექსტი სადაგი ტექსტისაგან განირჩევა: **იგი სრულიად განსხვავებული რეალობის გამომხატველია**⁸⁹. ამ ფაქტმა ქართული ენის მთის დიალექტების ლექსიკაში განაპირობა სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა.

არგოს, როგორც პოლისემიის სამოტივაციო მოვლენის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ტიპურ მაგალითს:

ჯვართენაზე მიცვალებულს ჰქვია **სულიწმინდა, უსუსური, ცივი**. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები **სულიწმინდას** მიცვალებულის სულს უწოდებენ, თუმცა მიცვალებული უწმინდურადაც ითვლება⁹⁰. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართულში **სულიწმი(ნ)და // სული წმი(ნ)და** სამების მესამე ჰიპოსტაზის სახელწოდებაა. ნინო ღამბაშიძის მიერ გაანალიზებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ მთიელთა მიერ მიცვალებულთა სულების **სულიწმიდა**-დ მიჩნევაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა:

1. წარმოდგენებს გვამის უწმინდურობასა და სულის სინ-

89 კიკნაძე ზ. „ჯვართენის“ შესწავლისათვის. კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“. ქუთაისი, 1996, ტ. 1, გვ. 147.

90 იქვე. გვ. 147-154; ღამბაშიძე ნ. რატომ უწოდებენ აღმოსავლეთ საქართველო მთაში მიცვალებულთა სულს „სულიწმინდას“? კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“. ქუთაისი, 2001, ტ. V, გვ. 265-276.

მინდებზე – მთიელები ასხვავებდნენ მართალთა და ცოდვილთა სულებს. მათთვის სიკვდილი და, შესაბამისად, გვამი უწმინდურობაა, ხოლო სული კი წმინდა;

2. ქრისტიანულ-თეოლოგიურ შეხედულებას, რომ საიქიოში მართალთა სულები სულიწმიდის ნიჭით არიან აღბეჭდილები;

3. სულების **სულიწმიდა**-დ სახელდების ძირითად მიზეზად ავტორს სულთმოფენობის დღესასწაული მიაჩნია. მთაში სულთმოფენობის დღე, ანუ სულთაობა-ხალარჯობა სულიწმიდის დღე და მიცვალებულთა მოხსენიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია, როდესაც ნებისმიერი სახის სიკვდილით (მათ შორის თვითმკვლელობითაც) დაღუპულთა სულებსაც მოიხსენიებს ეკლესია. სულთაობა-ხალარჯობა იუდაურ პასექში შემავალი დღესასწაულია. როდესაც პასექის დღესასწაულის ერთ-ერთი სახელწოდება ეწოდება სულთმოფენობის წინა დღეს, მკვლევრის აზრით, ამგვარი სახელწოდება ხაზს უნდა უსვამდეს თეოლოგიურ აზრს, რომლის მიხედვით, აღდგომის საიდუმლო 50-ე დღეს სულთმოფენობით დასრულდა. ამდენად სულთმოფენობის შაბათს, ხალარჯობას თავის თავში გარდაცვლილთა მოხსენიებასთან ერთად, სულთმოფენობის თეოლოგიური აზრიც უნდა მოეცვა და სულიწმიდა მიცვალებულთა სულებისათვის დაეკავშირებინა. ამის გამო სულთმოფენობის დღესასწაული მიცვალებულთა მოხსენიების დღე იყო და არის⁹¹. ჩვენ ვიზიარებთ ამ საყურადღებო დასკვნას.

როგორც აღვნიშნეთ, ხევსურულ ჯვართენაზე მიცვალებულის სახელებია ასევე **უსუსური** და **ცივი**, ხოლო **უსუსურობა** აღნიშნავს „სიკვდილს“: „რა გაგიბედავ ვერცხლის ღილისადავ! **უსუსურობა** გაგიბედავ“; „აილესავ აი **ცივივ**, საკრესაო' გაემართნესავ (დიალექტ.)“; „**ცივის** სიმძიმეს გახკვირან: არ იყვა ასატანიო“⁹². ამრიგად, ცხადია, რომ სიტყვები **უსუსური**, **უსუსურობა** და **ცივი** ხევსურულ ჯვართენაში უკვე პოლისემიური გამხდარან.

ჯვართენაში მორწმუნეს, ჯვარის კაცს ჰქვია „**წამებული**“.

91 ლამბაშიძე ნ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 272.

92 ჭინჭარაული ა. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005, გვ. 1032.

წამება სიტყვის ძველი ქართული მნიშვნელობებია: „მონობა“; „დადასტურება“, „წამება“; „ტანჯვა“; „მინიშნება“; „ჩვენება“⁹³, ხოლო **წამებულობა**// **წამებულება** – „დადასტურება“; **წამებულ-ყოფა** – „დადასტურება“ (ზ. სარჯველაძე). შდრ. „მონმე“, „მწამს (მჯერა)“, „ცილისწამება“. ჩვენი აზრით, ჯვართენაში **წამებული** გამოიყენება მორწმუნის მნიშვნელობით, **წამებული** არის ის, ვინც ადასტურებს თავის მორწმუნეობას სიტყვით და საქმით, ანუ ჯვარის კაცი.

ჯვართენაში თოფის სახელებია: **საქუხარი** და **სასაგნავი**. ზ. კიკნაძე ასე შლის სიტყვა **სასაგნავს**: სა-საგნ-ავ-ი. მისი აზრით, სასაგნავი იყო „საგანში“ ანუ „მიზანში“ მსროლელი. აღ. ჭინჭარაულის თვალსაზრისით, ჯვართენის სიტყვა **საქუხარი** უფრო ძველია, ვიდრე ჯვართენაშივე გამოყენებული თოფის მეორე სახელი **სასაგნავი**. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხევსურულ ჯვართენაში **სასაგნავი** ნიშნავს „სატყორცნს“, „სასროლს“, ხოლო **ისარი გასაგნა** ნიშნავს „ისარი გატყორცნა“. ხატის მსახურთ ძველი ტერმინიდან ნაწარმოები ეს სიტყვა **საქუხარის** სინონიმად შეუქმნიათ. ხევსურული **საგნავს**, **გასაგნავს** და **სასაგნავი** გვეხმარება „ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვება „მშვილდოსანნი გასაგანა“-ს ახსნასა და სტრიქონის შინაარსის გაგებაში⁹⁴. მაშასადამე, მეცნიერი ვარაუდობს, რომ ჯვართენაში სიტყვა **საქუხარი** წინ უსწრებდა მის სინონიმ **სასაგნავს**, თუმცა, როგორც თვითონვე აღნიშნავს, **საგანი** ისიც არის, რასაც უნდა ესროლონ, ე. ი. მიზანი და ისიც, რაც უნდა ესროლონ, ე. ი. ისარი (შდრ. მეგრ. **ქასაგანი** „მშვილდისარი“ <ქა „რქა“ + **საგანი** „ისარი“).

ტერმინი **საქუხარი** თოფის მნიშვნელობით შექმნილია ქუხილთან თოფის ხმის მსგავსების გამო. ჩვენი აზრით, დანიშნულების სახელი **საქუხარი**, რომელიც უკავშირდება სიტყვა **ქუხილს**, შესაძლებელია ქართულში სრულებითაც არ არსებობდა თო-

93 სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა. თბ., 1997.

94 ჭინჭარაული ა. „ჯუართ ენის“ ზოგი ტერმინის წარმომავლობისა და მნიშვნელობისათვის. სასაგნავი. კრებ. „ქუთაისური საუბრები“. ქუთაისი, 2000, ტ. VII, გვ. 151.

ფის, როგორც იარაღის გავრცელებამდე, ანუ გვიანდელ შუა საუკუნეებამდე, როცა ცეცხლსასროლი იარაღი გამოჩნდა საქართველოში. ამდენად, ჯვართენაში ტერმინ **საქუხარის** გაჩენაც მე-17 საუკუნის ფაქტი უნდა იყოს – როგორც ცნობილია, თოფი ამ დროს შემოვიდა საქართველოში. ჩვენს ამ ვარაუდს ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უკვე დასტურდება **საგანი** სიტყვისაგან მომდინარე ნასახელარი ზმნა **გასაგანნა** „მან ისინი გასტყორცნა, მოისროლა“ (იხ. ზემოთ), ხოლო მეგრულში იგივე სიტყვა **საგანი** დღემდე ისარს აღნიშნავს. მე-11-12 საუკუნეების მიჯნაზე სიტყვა რეალურად დასტურდება, ხოლო თოფი, როგორც საგანი, იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა. შესაბამისად, ჯვართენაშიც **სასაგნავი** უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო, ვიდრე **საქუხარი**.

საყურადღებო პარალელს წარმოგვიდგენს აფხაზური ენა: ჩვეულებრივ მეტყველებებაში თოფს **ა-შაქ** ეწოდება, ხოლო მონადირეთა სპეციალურ ტაბუირებულ მეტყველებებაში (**აბნა ბგზმა** „ტყის ენა“) იმავე იარაღს **ა-ზაფ** ჰქვია. ეს უკანასკნელი სახელი სხვა არაფერია, თუ არა ქუხილის, ბათქის აღმნიშვნელი ხმაბად-ვითი ფუძე, ანუ აფხაზური მონადირეთა ლექსიკისათვის დამახასიათებელი სახელი და ხევსურული **საქუხარი** ერთი და იმავე ნიშნითაა მოტივირებული და ახალი მნიშვნელობაც თითქმის ერთნაირად წარმოქმნილი.

ხევსურულ ჯვართენაში სახლს ჰქვია **ყუდრო** (შდრ. **ყუდრო-კარი** – „სახლ-კარი“ ჯვართენაზე). ვარაუდობენ, რომ ეს სიტყვა უნდა შეიცავდეს **ყუდ** ძირს. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის თვალსაზრისით, ქართული **ყუდ** < *ყუედ წარმოდგენილია სიტყვებში: სა-**ყუდ**-ელ-ი „ბინა, თავმესაფარი“; სა-**ყუდ**-არ-ი; და-**ყუდ**-ებ-ა „დანყნარება; დაცხრომა; მშვიდობა“; **ყუდ**-რ-ო; **ყუდ**-რ-ო-ებ-ა-ე „სინყნარე, სიმშვიდე“. **ყუდ** ძირს მეგრულში შეესატყვისება **ყუდ-ე** „სახლი“, ხოლო სვანურში — **ყუედ**, **ყუდი** „მყუდრო, წყნარი“⁹⁵. არნ. ჩიქობავას აზრითაც, **ყუდ-ე** „სახლი“ იმავე ძირს წარმოგვიდგენს, რაც დასტურდება სიტყვებში: სა-

95 ფენრიხი ჰ. სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 367.

ყუდ-ელ-ი; ქვაყუდე — ე.ი. ქვის სახლი⁹⁶. შდრ. ხევსურული **ხ-ყუდ**-ავ „დგას“, **ყუდ**-ილ-ი „დგომა“⁹⁷. მაშასადამე, ჯვართენის **ყუდრო** პოლისემანტიკური სიტყვაა და სახლის სემანტიკა მან რიტუალური არგოს ზეგავლენით შეიძინა.

ჯვართენაზე ვერცხლს ჰქვია „**თეთრული**“. სრულიად ცხადაა, რომ ეს მეორეული სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ვერცხლის, როგორც მეტალის ფერს. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ ძველ საქართველოში ვერცხლის ფულს **თეთრი** ეწოდებოდა. სპეციალისტების ცნობით, ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ მოჭრა პირველი მონეტა – კოლხური თეთრი. სწორედ აქედან იღებს დასაბამს ქართული ფული, რომელსაც 26-საუკუნოვანი ისტორია აქვს და ერთ-ერთი პირველია მსოფლიო მონეტებს შორის. **კოლხური თეთრი ვერცხლისგან იყო დამზადებული**, ნომინალური სისტემით კი ბერძნული მონეტების თანაბარ, ანუ დრაქმის სისტემაში იყო მოჭრილი. შესაბამისად, კოლხური თეთრით ანგარიშსწორება სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ და მისი კონვერტაციაც თავისუფლად ხდებოდა. შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ცხუმში იჭრებოდა ვერცხლის ფული, რომელსაც ქართულ იურიდიულ დოკუმენტებში **ცხუმური თეთრის** სახელით მოიხსენიებდნენ⁹⁸. ანალოგიისათვის საყურადღებოა ფრანგული ენის სიტყვა **l'argent** 1. ვერცხლი; 2. ფული“ <ლათინ. **argentum**“ ვერცხლი“. ფერის მიხედვით საგნის მეორეული სახელდება ქართულში სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: ქართლში **თეთრული** რძის ნაწარმს (წველას, ყველეურს) ნიშნავს⁹⁹, თანამედროვე ქართულში **თეთრული** „პერანგისა და მისი ამხანაგის“ ნაცვლად დამკვიდრდა, რაც რუსული შესაბამისი სიტყვის **Бельё**-ს კალკია¹⁰⁰.

96 ჩიქობა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 2008, გვ. 40.

97 ჭინჭარაული ა. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005, გვ. 944.

98 <http://www.kvirispalitra.ge/economic/10692-qarthuli-fulis-thavgadasa-vali.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 16.10.2013.

99 ლლონტი ა. ქართულ კილო-თქმათა სიტყვისკონა. თბ., 1984.

100 ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა. თბ., 1997, გვ. 75.

ჯვართენაში უწმინდურებს ჰქვია „მყვირალნი“. საანალიზო ერთეული აღწერილობითი ხასიათის სიტყვაა. მყვირალნი – ამოსავალი მნიშვნელობით არის „ისინი, ვინც ყვირის“, რომელსაც შემდეგ ახალი მნიშვნელობა აქვს მიღებული, კერძოდ ეშმაკისა. ცნობილია, რომ ფსიქიკური ავადმყოფობით დაავადებული, შეპყრობილი ადამიანი ხშირად ყვირის, გამოსცემს გაურკვეველ ხმებს, მასზე ამბობენ, „ეშმაკი ჩაუსახლდა“-ო. შეიძლება ამით იყოს მოტივირებული ეშმაკის აღნიშვნა „მყვირალნი“ სიტყვით.

ჯვართენაზე ზარს ეწოდება მხვივანი. ზარი ძველ ქართულ-შივე პოლისემიური სიტყვაა და აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1. რვალის დიდი სარეკელი; 2. საზარელისაგან შიში; 3. გლოვა; 4. მწყობრი; 5. ხალხი, გუნდი; 6. კამათელი. აქედან ზარი შიშის მნიშვნელობით მ. ანდრონიკაშვილს მიაჩნია საშუალო სპარსულიდან ნასესხებ სიტყვად (ზაჰრ- > ზარ-ი)¹⁰¹. რადგან ჯვართენის ლექსიკურ ფონდში მხვივანი კლასიფიცირებულია ჯვართან დაკავშირებული მოვლენებისა და რეალიების ლექსიკურ ფგუფში, საანალიზო სიტყვა მხვივანი (ზარის მნიშვნელობით) ხშირანობითაა მოტივირებული. შდრ. ხევსურული: „ალარ ხვიოდეს დროშანი, ალარც უქცევდა ზარიო“ (ხევს. პოეზ.), აგრეთვე: გამახვივის, დაჰხვივის „დახვიხვინებს“; „დაჰკვივის“, შამაჰხვივლებს „შემოუხხველებს“ – „სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შამაჰხვივლაო“, ჩამახვივლებს „ჩამოჰქუხებს“, „ქუხილის ხმას ჩამოიტანს“, ხვივილი „ხმაური“¹⁰². შდრ. აგრეთვე: ძველი ქართული მკვვანი „მოჭიხვინე“¹⁰³, ხევსურულში „რაც ჰვივის“, „მოხვიხვინე“¹⁰⁴, ჰვივილი „ჭიხვინი“; „კივილი“; „ყვირილი“; ჰვივობა „ყვირილი“, „კივილი“¹⁰⁵. შდრ. ხვივილი, ხვივილი, ხვიხვინი, ხმიანობა, ყივილი, ჰყივილი... ცნობილია, რომ ზარი უმთავრესად გამოიყენება მორწმუნეთა სალოცავად მოსახმობად, ან ცალკეულ

წმინდა მოვლენათა აღსანიშნავად. ლექსიკური ერთეულები ჰხიხვინი, კივილი, ყვირილი, ხვივილი, ხვიხვინი, ხმიანობა, ყივილი, ჰყივილი... „დაძახების// დაძახებით მოწოდების“ სემანტიკურ ველში ერთიანდებიან. ვფიქრობთ, სიტყვა მხვივანი სიტყვა ზარის სესხობამდე ქართულში არსებული სახელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯვართენის კუთვნილი ლექსიკა უპირატესად საკუთრივ ქართულია, ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი, ხოლო მისი საერთო ქართულში გავრცელებული სემანტიკური ეკვივალენტი ზარი – ნასესხობა. ჯვართენაში გამოიყოფა უძველესი შრე ქართული ენისა, იმდროინდელი, როდესაც ქართულში უცხო ენებიდან ჯერ კიდევ არ იყო შემოსული და გავრცელებული ნასესხები ლექსიკა.

ჯვართენის ლექსიკაში ყურადღებას იპყრობს ისეთი ერთეულები, რომლებიც ქართულ ნიადაგზეა შექმნილი და მოუპოვებთ უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკური სინონიმები. ასეთებია: ქართული სასაგნავი, საქუხარი და ნასესხები თოფი (სა-საგნ-ავ-ი, ე.ი. „საგანში“ ანუ „მიზანში“ მსროლელი), ქართული მხვივანი – ნასესხები ზარი და სხვ.

ჯვართენის გარდა ზოგადად ქართულშიც დასტურდება შემთხვევები, როცა ერთი სიტყვა ქართულია, მისი სემანტიკური შესატყვისი მეორე სიტყვა კი – ნასესხები. ამ ტიპის სხვა მაგალითებია: მჭამელი – ჟანგი (შდრ. „ჟანგმა ჭამა თოფი“); უნჯი – განძი; დგამი – ავეჯი (შდრ. „ოჯახში დგამი, ავეჯი ორჯერ გადადგი და გადმოდგი, რომ მაზალი (ბედი) შეიცვალოს“¹⁰⁶, მინა – ცარცი, საგონელი – გაჯი; საგონებელი, განზრახვა – ფიქრი; მოციქული, ციქვი – ელჩი; მტილი – ბოსტანი; სამსჭუალი – ლურსმანი (<არაბ. მუსმარ) და სხვა.

ამრიგად, ჯვართენა გამოირჩევა ქართული ენის ლექსიკის უძველესი შრის არსებობით, რომელშიც დაცულია ქართულ ენაში ნასესხობათა შემოსვლა-დამკვიდრებამდე არსებული ვითარება. ჯვართენის ლექსიკას საერთო ენაში თავისი პირველადი მნიშვნელობები გააჩნია და ჯვართენაში კი მათ დამატებითი, სპეციალური, რიტუალისათვის საჭირო სიმბოლიზებული მნიშვნე-

101 ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან. თბ., 1996, ტ. I. გვ. 223-224.

102 ჭინჭარაული ა. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005, გვ. 1123.

103 სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა. თბ., 1997.

104 ჭინჭარაული ა. დასახლებული ნაშრომი.

105 სარჯველაძე ზ. დასახლებული ნაშრომი.

106 ბრეგაძე ლ. ყოფითი რწმენა-წარმოდგენები. თბ., 2012, გვ. 39

ლობები მიუღიათ.

როგორც ირკვევა, ჯვართენის ტერმინებში მნიშვნელობის გადატანის ყველა შემთხვევა (მეორეული სემანტიკა) ყოველთვის არ არის მოტივირებული ამოსავალი, პირველადი მნიშვნელობებით (მაგალითად, **ბედი** – „ვაჟი“, **უბედური** – „უვაჟო“). ჯვართენაშიც, როგორც სხვა რიტუალურ ტექსტებში (შელოცვებში და ა.შ.), „შეიძლება გამოიყოს ზოგადქართული (ქართველური) წარმართული შრეც, ქრისტიანული ტერმინებიც და საკუთრივ დიალექტური (ლოკალური) ფენაც“¹⁰⁷.

ამრიგად, ჯვართენის სიტყვები ახალი სემანტიკური კომპონენტით წარმოგვიდგებიან. ჩვენი აზრით, ეს არის:

ა) სპეციალური, ჯვართენისათვის საჭირო სიმბოლიზებული სიტყვები, რომელთა საჭიროებამ ქართული ენის ლექსიკაში განაპირობა სიტყვათა ახალი პოლისემიური ჯგუფების წარმოქმნა და ჯვართენის ლექსიკის (ტერმინების) სალიტერატურო ენისაგან მკვეთრად განსხვავებული სემანტიკის გაჩენა;

ბ) საგანთა და მოვლენათა უძველესი, ქართულ ენაში ნასესხობათა შემოსვლა-დამკვიდრების ხანამდე არსებული ქართული ლექსიკა. ამ ჯგუფის ლექსიკა აღწერილი ხასიათისაა. მათი ახალი სემანტიკა წარმოქმნილია თვალშისაცემი გარეგნული ნიშნების, ან მთავარი ფუნქციის საფუძველზე. ასეთი სიტყვებიდან უფრო ნათლად ჩანს ქართულ ენაზე მეტყველთა აზროვნებისა და სამყაროს ენობრივი აღქმის სურათი. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საგანგებო კვლევის ჩატარება გამოკვეთს ქართული ენის უძველეს იერსახეს, როცა ენაში ნაკლებად იყო შემორჩეული უცხო ენების ლექსიკა. სიტყვათა ეს მარაგი გამოავლენს მოვლენებსა თუ საგნებზე ხალხის დაკვირვების თავისებურებებს და აღქმის მხატვრულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვართენის ლექსიკა ის ტერმინებია, რომელთაც ჯვართენაში უპირატესად სწორედ მეორეული მნიშვნელობები აქვთ და მათი უმეტესობა, თავის მხრივ, პოლისე-

¹⁰⁷ დადიანი ე., ნაკანი ნ., ფუტკარაძე ტ., ხაჭაპურიძე რ. *შელოცვების ენა ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მიხედვით*. კრებ. „ქუთაისური საუბრები“. ქუთაისი, 2000, ტ. VII, გვ. 65.

მიურია.

აფხაზთა სამონადირეო-რელიგიური ყოფის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მონადირეთა განსაკუთრებული ენა, რომელსაც „**ტყის ენა**“ (**აბნა ზეზმა**) ეწოდება და გამოიყენება მონადირეთა მიერ მხოლოდ ნადირობის დროს. ეს „ენა“, ისევე როგორც ნადირობის ღვთაებები, დასტურდება სხვა კავკასიელ ხალხებშიც¹⁰⁸. პრაქტიკულად ეს „ენა“ წარმოადგენდა მკაცრად ტაბუირებულ მეტყველებას, რომელსაც თავისი გამოყენების ზუსტი დრო და ადგილი ჰქონდა – მასზე მეტყველებდნენ მხოლოდ მონადირე მამაკაცები სანადიროდ წასვლის მომენტიდან მის დასრულებამდე.

1911 წელს ადოლფ დირს აფხაზებსა და ოსებში გამოუვლენია მონადირეთა ენის არსებობის ფაქტები. პირველი ჩანაწერებიც სამონადირეო ენის შესახებ სწორედ მას ეკუთვნის. შემდგომ დიმიტრი გულიამ ჩაინერა 44 სიტყვა გუდაუთაში და 10 – გუმისთის (ამჟ. გულრიფშის) რაიონში, ხოლო 1925-1926 წლებში სათანადო მასალა მოაგროვა გ. ჩურსინმა.

30-იან წლებში მხარეთმცოდნე ი. აძინბამ შეკრიბა „ტყის ენის“ აბჟურული ნიმუშები, რომელთა ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალ „აფსნი ყაფშ“-ში 1939 წლის მე-2 ნომერში.

მონადირეთა ენას პროფ. ხუხუტი ბლაჟბამ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა: „Искусственная речь абхазских охотников (По данным нзынского диалекта)“. ამ ნაშრომში ანალიზი ნაკლებადაა წარმოდგენილი, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ შეიცავს ბზიფური დიალექტის საკმაოდ დიდი რაოდენობის ლექსიკურ მასალას. ხ. ბლაჟბას „ტყის ენის“ ბზიფური ნიმუშები 1949 წლიდან შეუკრებია სოფლებში: კალდახვარაში, ბზიფში, ბლაბურხვაში, დურიფში, აჭანდარაში, ააცში. მისი სიტყვით, ეს ხელოვნური ენა უკვე იკარგვის (პროფ. თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობითაც, 70-80-იან წლებში როგორც ბზიფში, ისე აბჟუაში მეტად იშვიათი იყო მონადირეთა მიერ „ტყის ენის“ ცოდნის

¹⁰⁸ Дирр А. *Божества охоты и охотничий язык у кавказцев. Сборник материалов для описания местностей и племен кавказа*. Тифлис, 1915, с. 150, 191. Выпуск XLIV.

შემთხვევები).

ასევე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა აბჟურ სამონადირეო ლექსიკას ენათმეცნიერმა ზაირა ხიბამ (იხ.: Z.K. Khiba. A contribution to Abkhaz lexicography: the Secret Language of the Hunters. კრებულში: Bedi Kartlisa. Revuede kartvelology. Vol. XXXVIII. Paris, 1980, გვ. 269-277). მის ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მიერ ოჩამჩირის რაიონში შეკრებილი „ტყის ენის“ 98 ლექსიკური ერთეული და ახლავს ყოველი სიტყვის მორფოლოგიური ანალიზი.

ა. დირი წერდა: „...ორივე ხალხში [ოსებსა და აფხაზებში – თ.გ.] მონადირეები ნადირობისას იყენებენ განსაკუთრებულ სიტყვებს, რათა, როგორც განმიმარტეს ჩემმა ინფორმატორებმა, სოხუმთან ახლომდებარე სოფელ ბალმარანში მცხოვრებმა აფხაზმა ზაქარია სტეფანეს ძე შაკირბაიმ და სოფელ ხოდის (სარდონის მახლობლად) მცხოვრებმა ოსმა მღვდელმა ნიკოლოზ ტმენოვმა, აღნიშნონ ნადირობასთან დაკავშირებული ცნობილი საგნები. ეს, ძირითადად, კეთდება იმისათვის, რომ მოატყუონ ნადირი. მამა ტმენოვმა დასძინა, რომ **ჰფსათი** [ნადირობის ოსური ღვთაება — თ.გ.] მონადირეებს არაფერს აძლევს, თუკი ისინი ნადირობისას იყენებენ ჩვეულებრივ სიტყვებს“¹⁰⁹.

იქვე ა. დირი დასძენს, არის სხვა გამონათქვამებიც, მაგრამ გამოვტოვებ, რადგან ისინი ჩემთვის ბოლომდე გასაგები არ არისო¹¹⁰.

ბ. ბლაჟბა აღნიშნავს: აფხაზთა წარმოდგენით, საჭმელად ვარგის ნადირებს ესმით ადამიანის მეტყველება. ამიტომ **ნადირობის დროს მონადირეები წვეტდნენ ჩვეულებრივ აფხაზურ ენაზე მეტყველებას. მათ მოიგონეს სპეციალური „ტყის ენა“ (აბნა ბგზშა),** რომელზეც ნადირი, საგნები და ზოგიერთი მოქმედება სახელდება მხოლოდ ნადირობის დროს გამოსაყენებელი სიტყვებით. ეს სიტყვიერი ტაბუ (აკრძალვა) დაკავშირებულია სიტყვათა მაგიური ძალის რწმენასთან და ეფუძნება სიტყვისა და საგნის (აღმნიშვნელისა და აღსანიშნის) გაიგივებას. მიიჩნეოდა, რომ

ის, ვინც იცის „ტყის ენა“, რომელიც თითქოსდა გასაგებია ტყის ბინადართათვის, მოიპოვებს ძალაუფლებას ნადირებზე¹¹¹.

გ. ჩურსინი წერდა: მონადირეები ნადირობისას ერთმანეთს სახელს არ ეძახიან, ყოველ მათგანს განსაკუთრებული სახელით აღნიშნავენ. ჯგუფის უფროსს **აცვიმშ** „ბედნიერი ხარი“ ეწოდება, ხოლო ყველაზე უმცროსს — **აგვაჭ** „მომსახურე“ [თარგმანი არაა ზუსტი, ქ. ლომთათიძის აზრით, **აგვაჭ** ქართულიდან ნასესხები **გოჭი** სიტყვა უნდა იყოს — თ.გ.]. თუ ვინმეს მოხმობაა საჭირო, უსტვენენ, ან თოფს ისვრიან, მაგრამ არ დაუძახებენ¹¹².

ი. აძინბა წერდა: სანამ აფხაზები ტყეში, ან მთაში იმყოფებოდნენ სანადიროდ, ერთიმეორეს „ტყის ენაზე“ ესაუბრებოდნენ. ნადირს, იარაღს, თუ სამოსელს ისინი ისე არ ახსენებდნენ, როგორც შინ ყოფნისას. ტყეში ყველა ჩვეულებრივი სახელი ტაბუირებული იყო. გარდა ამისა, მონადირეებს ეკრძალებოდათ ხუმრობა, სიცილი, აყალმაყალი¹¹³.

ტყის ენას აქვს სპეციალური დანიშნულება — არ მისცეს სანადირო ცხოველებს საშუალება, გაიგონ მონადირეთა ტყეში ყოფნა და მათი მიზნები, მოატყუოს ისინი და მოადუნოს მათი ფხიზელი მგრძობელობა, რათა მათ ვერ შენიშნონ საფრთხის მოახლოება, არ გაიქცნენ, რათა მათზე ნადირობა და დახოცვა გაიოლდეს.

„ტყის ენა“ ჩვეულებრივი ენისაგან უპირატესად განსხვავდება სახელური ნაწილით. აკრძალული იყო საგნების მოხსენიება თავიანთი სახელებით, რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს ხელს უშლიდა წარმატებას ნადირობისას. ყოველი იმ ტაბუირებული საგნისა, თუ მოვლენის აღსანიშნავად, რომლებსაც მონადირეები ხშირად ხვდებოდნენ, გამოიყენებოდა განსაკუთრებული შემცვლელი სიტყვები. ეს შესატყვისები უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენენ შესაბამის საგანთა დამახასიათებელი თვისებების ლაპიდარულ, ზედაპირულ აღწერას, ან მათი ძირითადი დანიშნულების გა-

111 Бгажба Х. С. Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и тексты). Издат. АН ГССР, Тбилиси, 1964, с. 394.

112 Чурсин Г. Ф. Материалы по этнографии Абхазии. Сухуми, 1957, с. 87

113 Ажурнал «Ап̄сни кап̄шь». 1939, № 2, с. 38ю

109 იქვე გვ. 9.

110 იქვე გვ. 11.

დატანით გამოხატვას, აგრეთვე შედარებას, ანდა ხმაბაძვას. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში „ტყის ენის“ სიტყვათა მნიშვნელობა და აგებულება გაუგებარია. ამრიგად, აფხაზი ნადირობისას თითქოს ივინყებს დედაენის ლექსიკის ნაწილს და უცებ იწყებს ამხანაგებთან ურთიერთობას სხვა ენაზე, რომლის არსებით სახელთა უმრავლესობა გაუგებარია ხალხის მასისათვის, რადგანაც ამ სახელებს არაფერი საერთო არა აქვთ ყოველდღიურ სასაუბრო ენასთან.

ა. დირს ჩამოთვლილი აქვს ის სიტყვები, რომლებსაც აფხაზი მონადირეები იყენებდნენ. ეს სახელებია (პირველად სახელდება ჩვეულებრივი მეტყველების სიტყვა, მას მოსდევს იმავე სიტყვის შემცველი სახელი „ტყის ენაზე“ ჩვენეული თარგმანითურთ):

- ამცა „ცეცხლი“ – აცამ „სანთელი“;
 - აუაპა „ნაბადი“ – ახაპცა „ქეჩის ბენვი“;
 - ამშ „დათვი“ – შაპაუ „ბებერი ფეხი“;
 - აჩუ „ცხენი“ – შაპაყა [აშაპგ“ფეხი“ + ყა „?“];
 - აბენჰა „გარეული ღორი“ – ცაქაუ „აქვევტილი კანი“;
 - აუა „კურდღელი“ – ახაფშაქა ლემჰაქაუცა „ნაზი ბენვი აქვევტილი ყური“;
 - აშაბსთა „შველი“ – ამავა(ქა)[?];
 - აძუ „წყალი“ – ამი „დაუბადებელი, რაც არ იბადება“;
 - აშაქქ „თოფი“ – აზაფ „ბათქი, გრიალი“;
 - ამაა „ფეხსაცმელი“ – აშარბაგა „ფეხის გამშრობი“.
- აფხაზური „ტყის ენის“ ლექსიკის ზოგ ნიმუშს წარმოვადგენთ შ. ინალ-იფას ნაშრომის მიხედვითაც [იხ.: Инал-ипа Ш. Д., Абхазы (Историко-этнографические очерки), Сухуми, „Алашара“, 1965, с. 192]. პირველად დასახელებულია ჩვეულებრივი აფხაზური სიტყვა, მერე „ტყის ენის“ ლექსიკა :
- ამცა „ცეცხლი“ – ალაჰაქ;
 - აბსთა „ღომი“ – აფაუ;
 - აჩუან „ქვაბი“ – აყაშა;
 - აჯგუა „მარილი“ – აძლაბა (ზედმინეწით: „წყლის შემწოვი“);
 - ამზა „მთვარე“ – ცხა (ზედმინ.: „თაფლი“);
 - აეწა „ვარსკვლავი“ – შაშლაშა (ზედმინ.: „მანათობელი ქონი“);

- აჩადა „ვირი, სახედარი“ – ამჰაუც-დუ (ზედმინ.: „დიდყურა“);
 - ახერწუ „მანონი“ – შალაბა (ზედმინ.: „ფქვილის შემწოვი“);
 - აჯმა „თხა“ – ქეუ (ხმაბაძვაა თხის მაღალი კიკინისა);
 - აბჯარ „იარალი“ – აზაფა (ზედმინ.: „ბათქი, გრიალი“);
 - ალაბა „ჯოხი“ – ანერგაგა (ზედმინ.: „დასაყრდნობი“);
 - აძაბუ „უფროსი“ – აცემშა (ზედმინ.: „ბედნიერი ხარი“);
 - აჰეზა „დანა“ – აჩაგა (ზედმინ.: „რითაც ჭამენ, ჭამის იარალი“);
 - ახთერფა „ყაბალახი“ – ახრეფხაგა (ზედმინ.: „თავის გამთობი“);
 - ალა „ძალი“ – ამაძა (ზედმინ.: „იდუმალი; საიდუმლო“);
 - სეხსიტ „ვისროლე“ – სემზაფიტ (ზედმინ.: „დავაგრიალე“);
 - აშარაქცა „მონადირე“ – აფჩარაჰ;
 - აბენჰა „გარეული ღორი“ – ამაა-ზაა (ზედმინ.: „ზანტი, ზლაზნია“);
 - ალაჰა „ჭკა; ყვავი“ – აქაქა;
 - საშა „ჩემი ძმა“ – სანხაშ (მდრ. სანხა „ჩემი სიდედრი“ + შ „?“).
- აფხაზური „ტყის ენის“ ლექსიკა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად იმის მიხედვით, თუ რა ენობრივი საშუალებებია გამოყენებული მონადირეთათვის აქტუალური ამა თუ იმ ცნების გამოსახატად.
- ქვემოთ წარმოვადგენთ თითოეული ჯგუფის ტიპურ ნიმუშებს.
- „ტყის ენის“ ტაბუირებული ლექსიკის წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა საყოველთაო ენაში არსებული ჩვეულებრივი სიტყვის გამოყენება გადატანით, რითაც ხდება მინიშნება კონკრეტული ტაბუირებული საგნის, ან მოვლენის ყველაზე მთავარ მახასიათებელ ნიშანზე. ასეთ ხერხს შეიძლება სემანტიკური გადანევის, ანდა პოლისემანტიზაციის, ან კიდევ მეტონიმის ხერხი ვუნდოთ. სხვა შემთხვევებში საყოველთაო ენაში არსებული ფუძეებისაგან ინარმოება კომპოზიტები, რომელნიც ასევე გადატანით გამოიყენება. ამგვარი გზა პირობით შეიძლება კომპოზიციის ხერხად მივიჩნიოთ. მაგალითად:

ძალის ჩვეულებრივ აფხაზურ ენაში აღინიშნება **ა-ლა** სიტყვით. ბზიფელ მონადირეთა მეტყველებაში მას **ა-მაძა** „საიდუმლო; იდუმალი“ ეწოდება, რითაც ხაზი გაესმის არა ნებისმიერი ძალის, არამედ მონადირის „თანაშემწე“ მეძებარი ძალის თვისებას, უხმაუროდ, ფრთხილად აიღოს გემი და მოულოდნელად წაადგეს ნადირს თავს. სრულიად სხვა სამოტივაციო ნიშანი უდევს ძალის ტაბუირებას აბჟუელ აფხაზთა „ტყის ენაში“: მას **ა-ჭუმშ** „ბედნიერი პირი“ ეწოდება, რითაც ხდება იმაზე მინიშნება, რომ ძალის სწორედ პირიდან გამოცემული ყეფით ამცნობს მონადირეს სასურველი ნადირის გამოჩენას. პოლისემიის ისტორიის თვალსაზრისით ამ ორ შემთხვევაში არსებითია იმის ხაზგასმა, რომ ძალის ბზიფური და აბჟუური ტაბუირებული სახელებიდან ბზიფური ვარიანტი მეტონიმის, ანუ სახელის ერთი აღსანიშნიდან მეორეზე გადატანის გზითაა წარმოქმნილი: სიტყვა **ა-მაძა** „საიდუმლო; იდუმალი“ აფხაზურ ენაში ჩვეულებრივი ზედსართავი სახელია, მაგრამ მონადირეთა „ტყის ენაში“ მას შეცვლილი აქვს აღსანიშნთან მიმართება და არსებითი სახელის ფუნქცია ეკისრება. რაც შეეხება აბჟუურ ტაბუირებულ **ა-ჭუმშ** „ბედნიერი პირი“ სახელწოდებას, იგი კომპოზიტია, შედგება ორი ფუძისაგან: პირველი კომპონენტია არსებითი სახელი **ა-ჭუმ** „პირი“, ხოლო მეორე კომპონენტად გამოდის არსებითი სახელი **ა-მშ** „დღე“, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადატანით ზედსართავი სახელის ფუნქციითაა გამოყენებული და აღნიშნავს „ბედნიერს“; შდრ.: ამავე **ა-მშ** „დღე“ სიტყვის ფუძის ამგვარივე მეორეული სემანტიკით გამოყენება არა მარტო მონადირეთა მეტყველებაში (**ა-ცუმშ** „მონადირეთა ჯგუფის უფროსი“, ზედმინევენით ითარგმნება როგორც: „ბედნიერი ხარი“ <“ხარი – დღე“), არამედ საყოველთაო აფხაზურ მეტყველებაშიც: **მვა-მშ!** „გზა მშვიდობისა!“ ანუ „ბედნიერი გზა!“ (ზედმინევენით: „გზა + დღე“), **ა-მეჟ-და** „უბედური“ < **ა-მეშ-და** „უდღეო“ (შდრ. ქართ. **უ-დღე-ური-ი**).

საყურადღებოა, რომ განსხვავებით ძალის ტაბუირებული ბზიფური სახელისაგან, რომელიც, როგორც ითქვა, ენაში არ-

სებული **ა-მაძა** „საიდუმლო; იდუმალი“ სიტყვის გადატანით გამოყენების გზით აღნიშნავს ძალს, აბჟუური **ა-ჭუმშ** „ბედნიერი პირი“ ტაბუირებული კომპოზიტური აგებულების სახელი საყოველთაო ენაში სრულებით არ გამოიყენება ამ **ა-ჭუმშ** ფორმით, თუმცა მისი შემადგენელი ორივე ფუძე ხშირად ხმარებული ლექსიკის ჯგუფში შედის და უპრობლემოდ გამოიყენება ცალ-ცალკე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ტყის ენის“ აბჟუურმა ვარიანტმა გამოიყენა ორი ისეთი ფუძის კომპოზიციის ხერხი, რომელთა შერწყმა ჩვეულებრივ აფხაზურ მეტყველებაში „აკრძალული“ იყო.

ამრიგად, ირკვევა, რომ აბჟუელ და ბზიფელ აფხაზ მონადირეთა მეტყველებაში ძალის ერთი და იგივე ცნება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხერხით გამოიხატება: ბზიფური „ტყის ენა“ უპირატესობას ანიჭებს საყოველთაო ენაში არსებული სიტყვისათვის აღსანიშნისადმი მიმართების ცვლის, მეტონიმის ხერხს, ხოლო აბჟუური „ტყის ენა“ იყენებს კომპლექსურ გზას: საყოველთაო ენაში არსებულ ფუძეთაგან ახალი რთული სიტყვის წარმოქმნისა და მისთვის ახალი სემანტიკის მინიჭების ხერხს. არსებობს შედარებით ნაკლებპროდუქტიული აფიქსაციის ხერხიც. ქვემოთ მიმოვიხილავთ ყოველ მათგანს.

ა. პოლისემანტიზაციის, ანუ მეტონიმის ხერხი უდევს საფუძვლად შემდეგ სიტყვებს:

ა-ხა-გვლა „თავი“ (ზედმინ.: „ზემოთ მდგომი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ხე** „თავი“;

ა-ცაფ „რქა“, „ქვა“, „კლდე“ (ზედმინ.: „ბლაგვი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ტფვა** „რქა“, **ა-ხაჰ** „ქვა“, **ა-ბაზ** „კლდე“;

კალთ-ოჟ „ქალი“ (ზედმინ.: „გრძელი კალთა; გრძელ-კალთიანი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ფჰეს**;

აჟაბა „ქვაბი“ (ზედმინ.: „ჩამშრალი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ქაბ** (ნასესხებია ქართული ენიდან). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ტაბუირებული სიტყვის ასარჩევად გადამწყვეტი როლი ითამაშა ორი სიტყვის ფონემატური სტრუქტურის მსგავსებამაც;

ა-ხახა „ხარირემი“ (ზედმინ.: „განტოტვილი; გაჩაჩხული; გა-

ბორჯღლილი“), შდრ. ჩვეულ აფხაზ. **ა-ბნაცა**, რომელიც ეტი-მოლოგიურად ნიშნავს „ტყის ხარს“;

ა-ფვრქაცა „ლორი“ (ზედმინ.: „ჯაგარი“), შდრ. ჩვეულ აფხაზ. **ა-ჰაა**. ზაირა ხიბა ამ ტაბუირებულ სახელში ცხვირის, ნინა ნანილის აღმნიშვნელ **ფვ** ძირსა და ცილინდრული ფორმის ქოხის აღმნიშვნელ **ქაცა** ფუძეს გამოყოფს¹⁴, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული იმის გათვალისწინებით, რომ ჯაგარი ღორის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია და უფრო ბუნებრივი ჩანს, ამ ნიშნის გამოყენება სახელდების სამოტივაციოდ...

ბ. კომპოზიციის ხერხის გამოყენებითაა მიღებული შემდეგი სიტყვები:

ა-ჭაა-რჰჰ „წვერი; უღვაში“ (ზედმინ.: „ხვეული, ხუჭუჭი პირი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ფანა**;

ა-ნ-ქაწა „თუჯის ქვაბი“ (ზედმინ.: „ფსკერშავი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ჩუან** (ნასესხებია თურქული ენიდან);

ა-ჭა-შე „კოვზი“ (ზედმინ.: „პირში გამოსმული“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-მჰაწა**;

ა-შაპ-ყაყა „ცხენი“ (ზედმინ.: „ბრტყელი ფეხი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ჩი**;

ა-ჰან-ცაა „ნაბადი“ (ზედმინ.: „დედაღორის ტყავი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-უბაა**. ტაბუირებული სახელი მიანიშნებს, რომ თავდაპირველად აფხაზთა წინაპრები ნაბადს ღორის ბენვიანი ტყავისგან ამზადებდნენ;

აქაგრნო „უნაგირი; კეხი“ (ზედმინ.: „რასაც რამეს ზემოდან ადგამენ, რასაც ზემოდან ადებენ“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-კადგრ** „უნაგირი“, **ა-კან** „კეხი“;

ა-ხერყოს „ძილი“ (ზედმინ.: „თავის ჩაქინდრვა“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ცაა**;

ა-შახა-პა „ქათამი“ (ზედმინ.: „წვრილი ქვედა კიდური“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-კტე**;

ა-ცაგრა „მთა“ (ზედმინ.: „უდაბნო; მოტიტვლებული ადგილი“, იგულისხმება ალპური ზონა), შდრ. ჩვეულ აფხაზ. **ა-შხა**;

114 Khiba Z. K. ზომით მითითებული ნაშრომი. გვ. 269-277.

ა-მჰაცა-დუ „ვირი, სახედარი“ (ზედმინ.: „დიდი დაცქვეტილი ყური“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ჩადა** და სხვ.

გ. აფიქსაციის ხერხითაა ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: აბუუელ მონადირეთა მეტყველებაში თმის, ქუდისა და ცეცხლის აღმნიშვნელი ერთი და იგივე **ა-რ-ფხა-გა** „გამთობი“ სიტყვა, რომელიც მიღებულია საყოველთაო ენაში არსებული კაუზატიური **ა-რ-ფხა-რა** „გათობა“ ზმნისაგან სამოქმედო იარაღის აღმნიშვნელი **-გა** სუფიქსის დართვით. ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებში, შეცვლილია მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის: **-გა** სუფიქსიანი ზოგადი სემანტიკის მქონე არსებითი სახელი გადაქცეულია სამი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელ სიტყვად სემანტიკური გადაწვის ნიადაგზე, მაგრამ ნამყვანი მაინც აფიქსაცია ჩანს. ამავე ჯგუფს განეკუთვნება შემდეგი სახელები:

ხელის აღმნიშვნელი **ა-კვ-გ(ა)**, რაც ზედმინევნით ითარგმნება, როგორც „დასაკავებელი, დამჭერი“ (შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ნაპე** „ხელი“);

ა-ჩა-გა „კბილი“, „დანა“ (ზედმინ.: „კვების იარაღი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-ხაფვც** „კბილი“, **ა-ჰიზბა** „დანა“;

ა-რ-ნეყა-გა „გზა“ (ზედმინ.: „ნამყვანი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-მვა**;

ა-შა-რ-ფხა-გ(ა) „ფეხსაცმელი; წინდა“ (ზედმინ.: „ფეხის გამთობი“), შდრ. ჩვეულ აფხაზ. **აძაა** „ფეხსაცმელი“, **ა-ქალ-ფად** „წინდა“;

ა-ბელ-ტე „ხე; შეშა“ (ზედმინ.: „დასანვაი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-წლა** „ხე“, **ა-მჰე** „შეშა“;

ა-ნა-რ-ჩა-ვე „მწყემსი“ (ზედმინ.: „იქით მჭმევენიბელი“), შდრ. ჩვეულ. აფხაზ. **ა-წჩა** და სხვანი.

წარმოდგენილი მასალა მონადირეთა ხელოვნური მეტყველების ლექსიკურ სიმდიდრეზე მიუთითებს. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ერთ დიალექტურ არეალში სპეციალური სამონადირეო ლექსიკა იძლევა მრავალრიცხოვან ვარიანტებს, რომლებიც უკავშირდება ამა თუ იმ საგანთა და მოვლენათა განსხვავებულ მოტივაციას. თვით ერთი და იმავე კალდახვარის

კილოკავის შიგნითაც კი შეინიშნება სხვაობანი, თუმცა ძირითადი ტერმინები უცვლელადაა შენარჩუნებული. სპეციალური სამონადირეო სიტყვები თვითმყოფადნი არიან და ისინი შედგება საერთო-სახალხო ენის ძირებისა და ფუძეებისაგან, ხოლო ფრაზები ემორჩილება ამ ენის კანონებს¹¹⁵.

2.4. სემანტიკური დიალექტიზმები

პოლისემიის ერთ-ერთი წყაროა **სემანტიკური დიალექტიზმები**. სემანტიკური დიალექტიზმები ესაა სიტყვები, რომელთა სხვადასხვა კილოურ მნიშვნელობებს თავი მოუყრიათ სალიტერატურო სიტყვახმარებაში¹¹⁶. ნ. ჭოხონელიძის განმარტებით, დიალექტურ ლექსიკაში გამოიყოფა სემანტიკური **დიალექტიზმები** – ენაში დამკვიდრებული სემანტიკისაგან განსხვავებული მნიშვნელობები...¹¹⁷ სხვანაირად რომ ვთქვათ, სემანტიკური დიალექტიზმია ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ენაშიც არსებობს, მაგრამ დიალექტში სხვა, დიალექტური მნიშვნელობა აქვთ და სალიტერატურო ენაში დიალექტური მნიშვნელობებითაც იხმარება, მწერლები მას დიალექტური მნიშვნელობით იყენებენ. კერძოდ, ქართული ენის ისტორიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია: **მოხეური და ფშაური** ლექსიკა ლიტერატურაში გამოიყენეს ალექსანდრე ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ; **ქართლ-კახური** დიალექტური ფორმები — დ. გურამიშვილმა, გრ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. ერისთავმა, ნ. ლომოურმა, ა. ფურცელაძემ, ე. გაბაშვილმა, ი. გოგებაშვილმა,

115 Бгажба Х. С. Искусственная речь абхазских охотников (По данным бзыбского диалекта). Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия АН Грузинской ССР, т. XXXIII-XXXIV, Сухуми, 1963, с. 405.

116 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. 1960, ტ. XII, გვ. 120.

117 ჭოხონელიძე ნ. ზოგი სემანტიკური დიალექტიზმის ისტორიისათვის. რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები. თბ., 2001, ტ. XXI, გვ. 135-136.

შ. არაგვისპირელმა, გ. ლეონიძემ...; **გურულის** თავისებურებანი ასახულია ე. ნინოშვილის, ჭ. ლომთათიძის, ნ. დუმბაძისა და სხვათა ნაწერებში; **იმერული** კილოს ლექსიკა დასტურდება ა. წერეთლის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, ს. კლდიაშვილის, შ. დადიანის, დ. შენგელაიას, ნ. ლორთქიფანიძის, გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვათა მხატვრულ ქმნილებებში; **მეგრულ-სვანური** – კ. გამსახურდიას, ს. ჩიქოვანის, ლ. ქიაჩელის, ტ. გრანელიის, ნ. ჯალაღონიას, ჯ. ონიანის, ე. სალიანისა და სხვათა შემოქმედებაში¹¹⁸.

ალ. ლლონტი აღნიშნავს, რომ „დიალექტური მეტყველების ნაირფეროვანი სიტყვარი მუდამ იყო და რჩება სალიტერატურო ენის არსენალად. კილო-თქმებში გვხვდება ასეულობით ისეთი სიტყვა, რომელთა ბადალი სალიტერატურო ენას არ მოეპოვება, ან საერთო სიტყვას ამა თუ იმ კილოში აქვს ისეთი დამატებითი მნიშვნელობანი, რაც უცხოა სალიტერატურო ენისათვის... ქართული კლასიკური მწერლობის დამსახურება ჩვენი ენის წინაშე სწორედ იმიტომაც არის ასე განუზომლად დიდი, რომ მათ ასობით ხალასი სიტყვა გადაარჩინეს დაკარგვას, ფრთხილად ამოკრიბეს ადგილობრივი მეტყველების სალაროდან, მოაშორეს კუთხურობის მტვერი, განასპეტაკეს და სალიტერატურო ენის სამსახურში ჩააყენეს“¹¹⁹. ნინო ფხაკაძე სემანტიკურ დიალექტიზმებს განმარტავს, როგორც პირიქით პროცესს: „თუ სალიტერატურო ენისეული სიტყვა კილოში სხვა მნიშვნელობას იძენს, იგი სემანტიკური დიალექტიზმი ხდება“¹²⁰. ჩვენ გვიჭირს, დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, ვინაიდან დიალექტიზმი, ლექსიკურ-სიტყვიერი იქნება ის, გრამატიკული, თუ სემანტიკური, გვემის, როგორც სალიტერატურო ენაში დიალექტიდან და არა პირუკუ დანერგილი ერთეული, რაზეც თვით ტერმინ „დიალექ-

118 რუსაძე ი. ქართველური დიალექტური ლექსიკა — ქართული სამნიგნობრო ენის უღვევი წყარო. ქართული ენის ისტორია. ქუთაისი, 2006, გვ. 204-211.

119 ლლონტი ა. ქართულ კილო-თქმათა სიტყვისკონა. თბ., 1984, გვ. 3.

120 ფხაკაძე ნ. სემანტიკური დიალექტიზმებისა და პოლისემიის მიმართებისათვის. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები. ქუთაისი, 2007, ტ. IX, გვ. 35.

ტიზმის“ სტრუქტურა-წარმომავლობა მიგვანიშნებს.

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში მრავლად დასტურდება მწერლების მიერ დიალექტური მნიშვნელობების მქონე სიტყვების სალიტერატურო ქართულში შემოტანის ფაქტები.

რადგან სალიტერატურო ლექსიკური ფონდის შექმნაში მონაწილეობენ ცალკეული ტერიტორიული დიალექტებიც, ხოლო ქართულ ლიტერატურას ქმნიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოსული მწერლები, ამიტომ გამორიცხული არ არის სამნიგნობრო ენაში შევიდეს ზოგიერთი სიტყვის დიალექტური მნიშვნელობებიც, ამდენად, „პოლისემიის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს საერთო ენის სიტყვის დიალექტური მნიშვნელობები – სემანტიკური დიალექტიზმები“¹²¹. იგივე ითქმის საერთო სახალხო ენის შესახებაც.

სემანტიკური დიალექტიზმების „პოლისემიურობა იმის შედეგია, რომ დიალექტებში დიფერენცირებულმა მნიშვნელობებმა თავი მოიყარა საერთო ენაში“¹²². ნ. ფხაკაძის თვალსაზრისით, კი პირიქით. სალიტერატურო ენის ლექსიკური ერთეული კილოში ზოგჯერ სხვა მნიშვნელობას იძენს, იგი სემანტიკური დიალექტიზმი ხდება. მკვლევარს უხვად მოჰყავს სალიტერატურო ენის ლექსიკა, რომელსაც დიალექტში გასჩენიათ დამატებითი მნიშვნელობა ან მნიშვნელობები¹²³. მკვლევრის მიერ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ სალიტერატურო ენისა და დიალექტების სემანტიკური მიმართება ორმხრივი პროცესია, თუმცა ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერ ვეთანხმებით ნ. ფხაკაძის ტერმინოლოგიას.

სემანტიკური დიალექტიზმების საერთო ენაში შესვლის ტიპურ მაგალითად ბ. ფოჩხუას მოჰყავს ანალიზი სიტყვისა **ქოთება**: აღმოსავლელ მწერლებთან **ქოთ** ფუძე „ღელვასთან“ (და „მღელვარე ხმაურთან“) არის დაკავშირებული: „და რა იხილა კვლავ

იგი მწირმა, დაუცხრა სული აქოთებული“ (ილია)... დასავლეთის მწერლებისათვის **აქოთებული** სინონიმია ამყრალებულისა, საბასთვის **ქოთება** „ხეთქება“ არის. შდრ. **ქოთქოთი, ქოთვა**. დასავლეთ საქართველოში ამ ფუძის მნიშვნელობა გადანეულისა; ეს გადანეული მნიშვნელობა საერთო ქართულში შემოვიდა და **ქოთ** ფუძე პოლისემიური გახდა“¹²⁴.

წარმოვადგენთ სემანტიკური დიალექტიზმების ჩვენ მიერ მოპოვებულ სხვა მაგალითებს:

ალვა „1. ალვა, ალვის ხე; 2. ჭადარი“: **ალვა** არის „მაღალი და კოხტა ხე, აქვს ვიწრო, პირამიდული ვარჯი. იგივე კვიპაროზი, თუმცა მესხურ-ჯავახურში **ჭადარს** აღნიშნავს“¹²⁵. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იმის საილუსტრაციოდ, რომ **ალვა, ალვის ხე** ნამდვილად სემანტიკური დიალექტიზმია, მოხმობილია შემდეგი ტიპური ფრაზები: „[ეზოს] გარს მწყობრად დარაზმული ალვის ხე უვლიდა“ (ვ. ბარნ.); „თეთრი აკაცია, აკაკი, იფანი, ალვის ხე... კარგად ეგუებიან ქუჩას“ (ლიტ. საქ.). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში საანალიზო სიტყვის მესხურ-ჯავახური მნიშვნელობების ასახვა უკვე ნიშნავს ამ სემანტიკური დიალექტიზმის (**ალვა** „ჭადარი“) სამნიგნობრო ენაში დამკვიდრების სანქცირებას, ვინაიდან ქეგლი ნორმატიული ლექსიკონია.

ალყა [არაბ. ჰალკათ] განმარტებით ლექსიკონში, ერთი მხრივ, ნიშნავს **წრეს, რკალს**, მეორე მხრივ, ახალ ქართულში **ბლოკადის, გარემოცვის** მნიშვნელობითაც გვხვდება. ლექსიკონში ისიც არის მითითებული, რომ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ის გამოიყენება არც ისე დიდი ხანია, ხოლო ძველ ქართულში **ალყა** არის **აბრეშუმის, ნაწლავის, ან ლითონის სიმი (ძალი)**, უმთავრესად საკრავისათვის: „გული ჩემი შენთა შავთა თმათა ალყითა დაბმულია“ (ვისრამიანი). XX საუკუნის მწერლები ამ სიტყვას იყენებენ ძველი მნიშვნელობითაც, შდრ.: „მე ის მიკვირს, ...ამ ოთხ უბრალო და მოუხეშავ ალყას ვინ მისცა ამდენი

121 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. იბერიულ-კავასიური ენათმეცნიერება. 1960, ტ. XII, გვ. 119.

122 იქვე, გვ. 122.

123 ფხაკაძე ნ. სემანტიკური დიალექტიზმი. საენათმეცნიერო ძიებანი. 2009, ტ. XXX, გვ. 153.

124 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. იბერიულ-კავასიური ენათმეცნიერება. 1960, ტ. XII, გვ. 122.

125 ქეგლ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ახალი გამოცემა. თბ., 2008, ტ. I.

მელოდია“ (ჭ. ლომთათ.);

ზმნისართი **ალყად** აღნიშნავს „გარშემო“, „ირგვლივ“: „ესე გვესმა, მოვადეგით, **ალყად** გარე მოვერტყენით“ (რუსთ.), ხოლო **ალყად დაჭრა, ალყა-ალყად დაჭრა** ხახვის იმგვარად დაჭრაა, რომ რგოლებად იშლებოდეს: „ალყად დაჭრილი ხახვი ცალკე ტაფაში ჩაყარეთ“ (ბ. ჯორჯ.). ვაჟა ამ სიტყვას იყენებს „**მაღალის, ტანწერნეტის**“ მნიშვნელობით: „გამოჩნდა ქალი ლამაზი, შავის ტანსაცმლით მოსილი, როგორაც **ალყა** ტანადა, ვარსკვლავი ციდამ მოცლილი“¹²⁶. ვაჟას მიერ გამოყენებული სემანტიკა ახლოს დგას ძველ ქართულ მნიშვნელობასთან. ამ მხრივ საყურადღებოა დიალექტური მონაცემები. კერძოდ, გურულსა და ქართლურში **ალყ-ი** არის: 1. **სიმი, ალყა** (პ. ჯაჯანიძე); 2. **არყის ხე** (შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი)¹²⁷. ამ სიტყვის ლექსემური **არყე** „არყის ხე“ ვარიანტი დადასტურებული აქვს ა. მაყაშვილს¹²⁸. ამ შემთხვევაში **ალყი/არყი** და ლექსემური **არყე** ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. **არყის ხე 20** მეტრ სიმაღლემდე იზრდება¹²⁹, სწორი ტანით გამოირჩევა და ქმნის აშოლტილი ქალის ასოციაციას. არყის ხესთან ქალის შედარება დამახასიათებელია მრავალი ენისთვის, მაგალითად, რუსულ ფოლკლორში — ლექსებსა და სიმღერებში მას ხშირად ადარებენ ტანად ქალს: **Что ждет девушка, стройная как береза — своего лесника или своего лесоруба?** „რას ელოდება არყის ხესავით ტანადი გოგონა — მეტყევეს თუ ტყისმჭრელს?“ (**Русская невеста. Береза обыкновенная**). თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი „სტუმარ-მასპინძლის“ ციტირებული ტექსტის ამ ადგილას კორექტორული შეცდომის არსებობის შესახებ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქალის ნერწეტი ტანი ალყასთან არც ვაჟას შემოქმედებაში და არც სხვა მწერლებთან

¹²⁶ ვაჟა-ფშაველა. პოემები. ნაწილი 2. ქართველი მწერლები სკოლაში. თბ., 2001, ტ. 5. გვ. 167.

¹²⁷ ლლონტი ა. ქართულ კილო-თქმით სიტყვისკონა. თბ., 1982.

¹²⁸ მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1991.

¹²⁹ სამკურნალო მცენარეთა ელექტრონული ლექსიკონი. http://www.ice.ge/new/samkurnalo/samkurnalo_fs.html უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.04.2013.

არ არის შედარებული მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყოლებული ტრადიციულად გამოიყენება ტანადი ადამიანის შედარება ალყის ხესთან. შდრ. „ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო **ალყას**, ედემის ხეს“ (ავტ.). ამ გარემოების გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ ზემოთ ციტირებულ წინადადებაში საქმე გვაქვს ბეჭდვის შეცდომასთან და ხელნაწერ ტექსტში უნდა ყოფილიყო ამგვარად: „გამოჩნდა ქალი ლამაზი, შავის ტანსაცმლით მოსილი, როგორაც **ალყა** ტანადა, ვარსკვლავი ციდამ მოცლილი“.

პირველსავე სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ალყა** სიტყვის დიალექტური მნიშვნელობების ასახვა უკვე ნიშნავს ამ სემანტიკური დიალექტიზმებისათვის სამნიგნობრო ენის კარის გახსნას.

ბოჭვა სალიტერატურო ენაში **შეკვრას, შეკოჭვას** ნიშნავს, იმერულ მეტყველებაში კი **მუჭა-მუჭა მოკრებას, გროვებას, ხვეტას** აღნიშნავს. კუთხური მნიშვნელობა საერთო ქართულში შემოვიდა და სიტყვა პოლისემიური გახდა: „ბახვამ გაიღიმა და კრძალვით დაიწყო პატარა ქვების **ბოჭვა**“ (გ. წერეთ);

განირვა სალიტერატურო ენაში ნიშნავს „გამეტებას, უნუგეშოდ, ბედის ანაბარად მიტოვებას“: „ძმის **განირვა**, მტრის მიდგომა არ გეთვლება სამსახურად!“ (აკაკი)(ქეგლ), მაგრამ ვაჟა თავის პოემებში ამავე სიტყვას იყენებს ზოგადად „მიტოვების, დატოვების“ სემანტიკით: „თავის მინა-წყლის **განირვა**, ძნელი ყოფილა მეტადა“ (ვაჟა), ასევე ილია საანალიზო სიტყვას ხმარობს სალიტერატურო მნიშვნელობით, მაგრამ დადებითი კონოტაციით: „საკეთილოდ გამეტების, გაცემის“ სემანტიკით: „მადლი ერთისაგან **განირვა** და მეორისგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს“ (ილია).

პინა არის: 1. „დიდი ჯამი“: „გვერდით ეგდო ძველი თოხი, ნაგუბარი წყლით სავსე **პინა**“ (გ. ლეონიძე); 2. „სასწორის თეფში“: „რა დასწორდა სასწორზედ წონა, უფალი **პინას** ზედ ადგამს ფეხსა“ (ილია). ამ სიტყვის დიალექტური მნიშვნელობებია: „ხის დიდი ჯამი“ (ჯავახ., აჭარ., გუდამაყრ., მთიულ.), „სპილენძის დიდი ტაშტი“ (მთიულ., გუდამაყრ.); „საწყაო: ნახევარი ფუთი“,

(ზ. აჭარ.) „ხის კასრი, რომელიც სანყაოდ გამოიყენება“¹³⁰; „საფლავის ქვაზე ამოჭრილი პატარა ღრმული“¹³¹.

ღველფი, ღუელფი საბას განმარტებით არის „ნაკვერცხალი შეგროვებული“. ვაჟა მას იყენებს კერის მნიშვნელობით: „ცეცხლი ჰკრთებოდა ღველფზედა“¹³². ვაჟასეული სემანტიკა ფშაური დიალექტიდან მოდის;

გაპუტული იმერულში იგივეა, რაც „გაბდღვნილი“. გადატანითი მნიშვნელობით იგივე სიტყვა ნიშნავს „ფუნჩულას, მსუქანს“. იმერულ კილოში გამოიყენება ღარიბის, უპოვარის, უქონელის მნიშვნელობითაც, რაც ასახულია აკაკის ენაში: „**გაპუტულო** გლეხის შვილო, შენ პანანინაო! აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?“ (აკაკი).

ყანა თავდაპირველად ნიშნავდა „მინას, ადგილს“, შემდეგ მიიღო მნიშვნელობა „სახნავ-სათესი მიწა, ადგილი“, აქედან კი: „მარცვლეულის ნათესი“. ძველი მნიშვნელობით იგი დაცულია სიტყვაში **ქვეყანა**, რომელიც ზედმინვენით „ქვემო მიწას, ადგილს“ ნიშნავს. ამ მნიშვნელობიდან კი, თავის მხრივ, განვითარდა მნიშვნელობა „მხარე > სახელმწიფო“, მერე კი ზოგიერთ დიალექტში მიიღო მნიშვნელობა „ბევრი, მრავალი“. მაგალითად, გურული და ქვემოიმერელი რომ იტყვიან „ქვეყნის ხალხი იყო“, გულისხმობენ ბევრ, მრავალ ხალხს¹³³.

სურვილი სალიტერატურო ქართულში არის „მისწრაფება, მიდრეკილება, რომ რაიმე მოხდეს, განხორციელდეს, რომ რასმე მიაღწიონ, – ნდომა, ნადილი“ (ქეგლ). აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებს კი ეს სიტყვა **სიყვარულის, ტრფიალის** მნიშვნელობით აქვთ გამოყენებული: „ბევრ სოფლის საპატარძლოს ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ..., ბევრს ჩასახვია გულში იმისი **სურვილი**“ (ილია); „შენმა **სურვილმა** დამლია, შენმა ფიქრმა და სევდამა“ (ვაჟა); „ერთმანეთისა **სურვილი**

130 ლლონტი ა. დასახელებული ნაშრომი.

131 ჭოხონელიძე ნ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 136.

132 ვაჟა-ფშაველა. ვაჟა-ფშაველა. პოემები. ნაწილი 2. ქართველი მწერლები სკოლაში. თბ., 2001, ტ. 5. გვ. 165.

133 ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა. თბ., 1997, გვ. 51.

ორსვე ჰქონიყო წყლულადა“¹³⁴.

პოლისემიის ფაქტების დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყურადღების გამახვილებას იმ ლექსიკურ ოდენობებზე, რომლებიც საზიაროა საერთო ენასთან, მაგრამ რომლებსაც სინონიმები (დუბლეტები) მოეპოვება საერთო ენაში, ან სხვა დიალექტებში¹³⁵. ბ. ჯორბენაძე წერს: „სინონიმური ფორმები სალიტერატურო ენაში თავმოყრისას ზოგჯერ სემანტიკურად დიფერენცირდებიან. მაგალითად, **კომში** და **ბია** სინონიმებად მოჰყავთ, მაგრამ მათ შორის სემანტიკური სხვაობა მაინც არის. კერძოდ: **კომში** არის „საშუალო ტანის ხე ან ბუჩქი, ნაყოფი ყვითელია, სურნელოვანი და მოტკბო, მომწკლარტო გემოსი“... **ბია** – „გარეული კომში“... ეს მოვლენა ენის სემანტიკური ნიუანსების გამოხატვის შესაძლებლობას იძლევა¹³⁶. შდრ. **ფელამუში/თათარა**, სინამდვილეში სულაც არ არის სინონიმები, ვინაიდან, აღმოსავლეთ საქართველოში **თათარა** და **ფელამუში** სხვადასხვა ინგრედიენტებით და სხვადასხვანაირად მზადდება, გემოთიც განსხვავდება.

ჭური// ქვევრი სინონიმებად მოჰყავთ, მაგრამ მათ შორის სხვაობაა სახელდების მოტივაციის დონეზე. კერძოდ: როგორც ზემოთ აღინიშნა, **ჭურის** შემთხვევაში სიღრუე-ხვრეტილობა, ღრმულის არსებობაა სახელდების საფუძველი: **ჭური** „ამოთხრილი ღრუ ჭურჭელი“, ასევე „ქვევრი, ჭურჭელი, აღჭურვილობა, სამკაული“¹³⁷, ხოლო **ქვევრი** მოტივირებულია მისი ლოკაციის ადგილით. შდრ.: **ქვევრი –ქვერე** ლეჩხუმურ დიალექტში ნიშნავს „1. ქვევით, ქვემოთ; 2. ნაკლები“; **ქვერე კაცი** „დაბალი წრიდან გამოსული ადამიანი“¹³⁸. **ქვევრი, ქვერე** სიტყვების შემადგენელი

134 ვაჟა-ფშაველა. დასახელებული ნიგნი. გვ. 112.

135 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. 1960, ტ. XII. გვ. 122.

136 ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია. თბ., 1989, ტ. 1. გვ. 180.

137 დანვრილებით იხილეთ: არაბული ა. წურ და ჭურ ძირთა ისტორიული ვარიანტებისათვის ქართველურ ენებში. კრებ.: „ქართველური მეცნიერება“. ქუთაისური საუბრები. სომპოზიუმის მასალები. ტ. I, 1996, გვ. 11-15;

138 ლლონტი ა. დასახელებული ლექსიკონი.

კომპონენტია ქვე „ქვემ, დაბლა, ძირს“; ასევე. შდრ.: ქვე// ქვერე, ქვემო// ქვემორე. ქვევრი > ქვერი მორფოლოგიური და სემანტიკური ვარიანტებია. ნეკრესის გათხრებზე აღმოჩენილია დაახლოებით III საუკუნის ნარწერა ქვევრის პირზე: „მ- ბ ესე ჭური დავრგე“¹³⁹.

ტარიელ ფუტკარაძემ გააანალიზა ალ. ყაზბეგის პროზაში დადასტურებული მოხეური დიალექტური ლექსიკა. სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე სემანტიკურ დიალექტიზმს: **კაცობა** – სირცხვილ-ნამუსობა, **ნამგალა** – ამხანაგი მწყემსობაში, **სათაური** – ზეგანი, **სალმრთო** – გამოსამშვიდობებელი პურობა, **შეკვრა** – მოლაღატის დანყევლის რიტუალი, **შინაური** – არაყი, **შურთხი** – გარეული ინდაური, **ნილობა** — ჩამომავლობა...¹⁴⁰

თამილა ზვიადაძემ გააანალიზა ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში ლოცვის, წყევლის, ანდაზა-აფორიზმების, აგრეთვე ხალხურ თამაშობებსა და რიტუალებთან დაკავშირებული ლექსიკა. მათ შორის ბევრია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც მწერალს გამოუყენებია ქვემოიმერული კილოკავისათვის დამახასიათებელი სემანტიკით. მაგალითად, **ჯაგლაგი** საბას განმარტებით, არის „ცხენცუდა, ცუდი ცხენი“. ო. იოსელიანი კი ამ სიტყვას იყენებს „ჩამორჩენილი, გლახაკი, ზარმაცი ადამიანის“ მნიშვნელობით: „პირველობას ნაჩვევი ჯაგლაგის გატოლფასებას ვერ იგუებს“¹⁴¹ და სხვ.

ამრიგად, განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ სემანტიკური დიალექტიზმები სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. არნ. ჩიქობავას აზრით, „დიალექტური მასალის სალიტერატურო ენაში შემოტანა გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ახალი შინაარსის ანდა აზრის ახალი ნიუანსის გადმოცემისათ-

139 ჭილაშვილი ალ. მასალები ნეკრესის გათხრებიდან. 28.VI.1991.

140 ფუტკარაძე ტ. მოხეური ლექსიკა — ქართული სამნიგნობრო ენის ულვეი წყარო. 2006. http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/4.4.htm უკანაკსნელად იქნა გადამონმებული 18.01.2014.

141 ზვიადაძე თ. ოტია იოსელიანის თხზულებათა ენის შესახებ. ჟ. „ფილოლოგიური პარალელები“. 2010, №2, გვ. 99-100.

ვის არის საჭირო“¹⁴². აგრეთვე, „პოლისემიის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს საერთო ენის სიტყვის დიალექტური მნიშვნელობები, სემანტიკური დიალექტიზმები“¹⁴³.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური სამნიგნობრო ენის ისტორია სულ რაღაც 150 წელს მოითვლის და ამ ენას აქვს მხოლოდ ორი დიალექტი (აბჟუური და ბზიფური), მასშიც ზუსტად იგივე ხდება, რაც მინიმუმ 1500 წლის ისტორიის მქონე ქართულ სალიტერატურო ენაში: აფხაზი მწერლების მიერ ხშირად გამოიყენება დიალექტური ლექსიკა, ან სამნიგნობრო ენაში უკვე არსებული სიტყვები მათ მიერ იხმარება დიალექტური მნიშვნელობებით.

აფხაზური სალიტერატურო ენა ემყარება აბჟუურ დიალექტს, ამიტომ ყველა ის სიტყვა, რომელიც შემოსულია ბზიფური დიალექტიდან, წარმოადგენს სინონიმს შესაბამისი სალიტერატურო სიტყვისა. ბზიფურში აფხაზური სალიტერატურო ენის 64 ფონემის გარდა დამატებით წარმოდგენილია 9 სპეციფიკური ფონემა. სწორედ ეს სპეციფიკური ფონემები ქმნიან ფონეტიკურ განსხვავებებს, ერთი მხრივ, ბზიფურსა და აბჟუურ დიალექტებს, მეორე მხრივ კი ბზიფურ დიალექტსა და სამნიგნობრო ენას შორის. სემანტიკურად ამ სპეციფიკურ ფონემათა შემცველი სიტყვები უპირატესად სამნიგნობრო ენასა და აბჟუურ კილოში არსებულ იმავე სიტყვათა სრულად იდენტურნი არიან, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა, როგორც ხ. ბლაჟბა მიუთითებს, სიტყვები ფონეტიკურად ერთია, მაგრამ დიალექტებში ან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ, ანდა – აზრობრივად (სემანტიკურად) დიფერენცირებულნი¹⁴⁴. სწორედ ამგვარი სიტყვები წარმოადგენენ სემანტიკურ დიალექტიზმებს. არცთუ

142 ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 2008, გვ. 58; ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია. თბ., 1989, ტ. I, გვ. 604.

143 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. 1960, ტ. XII, გვ. 119.

144 Бгажба Х. С. Искусственная речь абхазских охотников (По данным бзыбского диалекта). Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия АН Грузинской ССР, т. XXXIII-XXXIV, Сухуми, 1963, с. 229.

ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სემანტიკური დიალექტიზმები სამნიგნობრო აფხაზურ ენაში დამკვიდრებულია აბჟურ დიალექტიდანაც, ანუ იმ კილოდან, რომელიც საფუძვლად უდევს სალიტერატურო აფხაზურ ენას.

სემანტიკური დიალექტიზმები ასახულია ლექსიკონებშიც, ანუ ისინი უკვე მიიღო და გაითავისა აფხაზურმა სამნიგნობრო ენამ, როგორც ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელი ნაწილი. რაც მთავარია, სამნიგნობრო ენაში ასეთი სიტყვები იძენენ ახალ მნიშვნელობებს, ანუ პოლისემიური ხდებიან. მაგალითად:

ა-ბგახჟჳ აბჟურ დიალექტსა და სალიტერატურო აფხაზურში აღნიშნავს მელიას, ბზიფურ კილოში კი მას ტურის სემანტიკა აქვს. თ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, ბზიფის აფხაზეთიდან გამოსულ აფხაზ მწერალთა თხზულებებში ეს სიტყვა ორივე მნიშვნელობით გამოიყენება.

ა-ბგჳ სიტყვა აფხაზურ ენას ნასესხები აქვს ქართულიდან: შდრ. ქართ. **ბოყვი** „სახლის აფრა“ და აფხაზ. **აზნ აბგჳ** „სახლის ბოყვი, აფრა“. იგივე სიტყვა ბზიფურ კილოში „სახლის სვეტს“ აღნიშნავს და ეს სემანტიკა დამკვიდრდა სამწერლობო ენაშიც¹⁴⁵.

ა-ნაპხაზ სიტყვას სამნიგნობრო ენაში აქვს მნიშვნელობები: „1. სამაჯური; 2. სამკლავე“, ბზიფური კილოდან კი მან შეიძინა კიდევ ერთი მნიშვნელობა: „ხელთათმან“.

ა-პატღრჯან ნასესხებია აფხაზურ სამნიგნობრო ენასა და აბჟურ დიალექტში და აქვს სემანტიკა „ბადრიჯანი“, მაგრამ ბზიფური დიალექტისაგან მას შეეძინა სხვა მნიშვნელობაც – „პომიდორი“¹⁴⁶

ა-ქანა – 1. სალიტ. მოვლილი გაშენებული პატარა ტყე; 2. აბჟ. მალღარი (ვენახი).¹⁴⁷

2.5. ჟარგონი

ჩვეულებრივ, ჟარგონს სოციოლინგვისტიკის კვლევის სფეროს აკუთვნებენ¹⁴⁸.

ჟარგონი უხვად საზრდოობს სალიტერატურო ენის ლექსიკით, ოღონდ სალიტერატურო ენის სიტყვები ჟარგონში შეცვლილი სემანტიკით წარმოგვიდგებიან. გარდა ამისა, ჟარგონში ჭარბობს **სხვა ენებიდან შემოსული, ხელოვნური**, ზოგჯერ **პირობითი სიტყვები და გამოთქმები**¹⁴⁹. ქართულ ჟარგონში ნასესხები სიტყვებიდან ბევრია შემოსული რუსული, თურქული, სპარსული, სომხური და ებრაული ენებიდან.

ვ. ბონდალეთოვის განმარტების თანახმად, ჟარგონი არის მოცემული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების სიმბოლო და მისი სუბკულტურის ლინგვისტური გამოვლინება. როგორც ენის არსებობის, ენის ფორმის ნაირსახეობა, ჟარგონი ყოველთვის მეორადია¹⁵⁰.

გამოიყოფა ჟარგონის შემდეგი სახეები: სასკოლო, ასაკობრივი (ახალგაზრდული), პროფესიული, ასევე მოთამაშეების, ნარკომანების, ქურდული სამყაროს, მოვაჭრეების, მონადირეების, მძღოლებისა და სხვა ჯგუფების თავისებური მეტყველება.

ყველგან, სადაც კი ახალგაზრდებს ხანგრძლივი დროით უხდებათ ერთად ყოფნა (სასწავლებელში, ჯარში, სპორტულ წრეებში, „ბირჟაზე“...), აუცილებლად იქმნება, ან ვრცელდება უკვე არსებული ახალგაზრდული ჟარგონი. მერე ის მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ენაშიც აისახება. ჟარგონი დღეს აქტიურად გამოიყენება ზეპირმეტყველებასა და ლიტერატურაში, მაგრამ ზოგად განმარტებით ლექსიკონებში მათ ვერ იპოვით, ან იმ მნიშვნელობით ვერ იპოვით, რა მნიშვნელობაც ჟარგონში აქვს¹⁵¹.

145 Шьякрыл К.С., Концьяриа В.Х. Аңсуа бызшәа ажәар. Актән атом. А-О. Ақуа, «Алашара», 1986, 112 ад.;

146 ჯანაშია ბ. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954, გვ. 219.

147 იქვე.

148 ქურდაძე რ. თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები. თბ., 2012, გვ. 38.

149 Ожегов С. И., Словарь Русского Языка, М., 1963;

150 Бондалетов В. Д., Социальная лингвистика, М., 1987, с. 72;

151 ბრეგაძე ლ. ქართული ჟარგონის ლექსიკონი. თბ., 2005.

პროფესიული ჟარგონი, მეტყველების ეს სახესხვაობა, გამოიყენება იმ ჯგუფში, სადაც ადამიანები შეიძლება გაერთიანებული იყვნენ პროფესიის (პროგრამისტების ჟარგონი, ექიმების ჟარგონი, იურისტების ჟარგონი და ა. შ.), საზოგადოებრივი მდგომარეობის, ინტერესების, ან ასაკის მიხედვით (ახალგაზრდული ჟარგონი)¹⁵².

ჟარგონული ლექსიკა სწრაფად გადადის საზოგადოების ერთი ჯგუფიდან სხვებში და საყოველთაო გავრცელებას ჰპოვებს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჟარგონისადმი დამოკიდებულება შეიცვალა: მის გამოყენებას აღარ ერიდებიან მხატვრულ ლიტერატურაში, სპექტაკლებში, კინოფილმებში, ტელე- და რადიოგადაცემებში, ჟურნალ-გაზეთებში.

ჟარგონის მაგალითებს და მათ განმარტებებს, ჩვენეული მაგალითების დამატებით წარმოვადგენთ თ. ლომთაძის წიგნიდან „თანამედროვე ქართული სოციოლექტები“¹⁵³:

ახალგაზრდული ჟარგონის ნიმუშები:

ა) ადამიანური თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები:

ქაჯი, თხა, ქლიავი, ყანა — გამოუცდელი, თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი; **კურდღელი** — მშიშარა ადამიანი; **ბნელი** — გაუნათლებელი ადამიანი; **დარტყმული, დარეხვილი, დაქნული, გარეკილი, ასხლეტილი, მოცურებული** — სულელი, გიჟი ადამიანი; **ავარდნილი, ჯიხვი** — თავგასული ადამიანი; **დაზეთილი** — უკმაყოფილო სახის მქონე ადამიანი; **შებერტყილი** — მლიქვნელი, გაიძვერა ადამიანი...

ბ) ადამიანის გარეგნობის აღმნიშვნელი ჟარგონი:

ნიანგი, ალიგატორი — უშნო, შეუხედავი ადამიანი; **ცხენი** — ძალიან მაღალი გოგო...

გ) ადამიანის მოქმედებისა და მდგომარეობის გამომხატველი ჟარგონის ნიმუშები:

გაეჭვდა — გაუჭირდა, გაუძნელდა; **გაჭედლია** — ვალე-ბი აქვს; **გაჯეჯილდა** — გათამამდა; **ბურღავს** — ცდილობს ათქმევინოს; **მოთხარა** — ტყუილი თქვა; **დაუფერებელი რამ**

უთხრა; **მიაგნო**; **მონვა** — მიხვდა; **დაინახა**; **ჩააწყო** — საიდუმლო გარიგებით მოახერხა საქმის გაკეთება; **ჩაისვარა** — თავი შეირცხვინა; **ათოხლა, აჭამა, აყლაპა** — ატყუებს, მოატყუა; **ჭამა, თოხლა** — მოტყუვდა; **დაირტყა** — იშოვა, შეიძინა; **დაგლიჯა** — კარგი რამე მოიმოქმედა, ან თქვა; **აუვარდა** — ზედმეტი მოუვიდა; **გაასწორა, გაუსწორა** — ასიაშოვნა, გაახარა; **ანვება** — ჯიუტობს; **ძალას ატანს**; **გაარტყა** — შემთხვევით გამოიცნო; **შეუცურა** — შეაპარა...

დ) ჭამა-სმასთან დაკავშირებული ჟარგონის ნიმუშები:

დაასველა — რაიმე მოვლენა აღნიშნა ქეიფით; **დაარტყა, ჩაარტყა, ჩაკრა** — სასმელი დალია; **მოგრიალე, დამრტყმელი** — ქეიფის მოყვარული ადამიანი; **გახეული, გაპობილი, გაგლეჯილი** — მთვრალი...

ე) ჩხუბთან დაკავშირებული ჟარგონები:

დააჭვდა — ტყვია ესროლა; **ნეპა, ატაკა, აჯახა, გლიჯა** — გაარტყა...

თანამედროვე საქართველოში ძალიან მომრავლდა სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული დაწესებულებები: სამორინეები, ტოტალიზატორები, სპეციალური კლუბები და ა. შ. ტოტალიზატორთან დაკავშირებული, **მოთამაშეების ლექსიკა** ჟარგონს განეკუთვნება:

ერთიანი — სიაში მითითებული პირველი გუნდის მოგება; **ცოცხალი** — პირდაპირი ტრანსლაციის დროს თანხის დადება; **პირამიდა** — ფრეს მოლოდინში თანხის გაზრდა; **ჩატყდა, გატყდა** — მოსალოდნელი შედეგი არ გამართლდა...

ნარკომანების ჟარგონის ნიმუშები:

ალეზა — ნარკოტიკის შეძენა; **ამლები** — ნარკოტიკის შემძენი; **დაბოლილი, გაჩხერილი** — ნარკოტიკული ნივთიერებით გაბრუნებული ადამიანი; **აადლო** — ნარკოტიკმა ცუდად გახადა; **დარჩენილია** — ნარკოტიკის მოწვევის შემდეგ ზემოქმედებიდან ვერ გამოდის...

დამნაშავეთა სამყაროს მეტყველების ნიმუშები:

მაყურებელი — საპატიმროებში ზედამხედველი პატიმარი,

152 Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, с. 151;

153 ლომთაძე თ. თანამედროვე ქართული სოციოლექტები. თბ., 2010.

რომელიც ქურდულ წესებს ატარებს; **შავი, ჩვენებური** — ქურდული კანონებით მცხოვრები ადამიანი; **ამწევი** — მომპარავი, ქურდი; **ვირთხა** — პირი, რომელიც თავის თანამოსაქმეებსაც ჰპარავს; **განწა** — ფული წაართვა; **დაიწვა** — გაქურდვის მომენტში დააკავეს; **ააორთქლა, მოტეხა, განია, გაიტანა** — მოიპარა; **ოჯახი** — პატიმრები, რომლებიც საპატიმროში ერთად არიან; **ქათამი** — ჰომოსექსუალისტი პატიმარი...

საპატიმროთა თანამშრომლებისათვის შერქმეული სახელები: **ფეხი** — იზოლატორის თანამშრომელი, რომელიც პატიმრებს ემსახურება გასამრჯელოს გამო; **ძალლი** — პოლიციელი...

ნინო პალ-ნიორაძის მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით, „მიხვედრის“, „შეგრძნების“ სემანტიკის გამომხატვას ემსახურება ჟარგონიზმები: **იყიდა** — მიხვდა; **იყნოსა** — მიხვდა, იგრძნო; **მონვა** — მიხვდა, გაიგო;

სმას (დალევას), ალკოჰოლის მიღებას გამომხატავს შემდეგი სიტყვები: **უბერავს** — სვამს ალკოჰოლიან სასმელს; **უბრახუნებს** — სვამს მაგარ სასმელს; **ურტყამს** — სვამს ალკოჰოლიან სასმელს; **შეუშვა** — დალია (ძირითადად ალკოჰოლიან სასმელზე ითქმის); **ჩაარტყა** — დალია; **ჩახრახნა** — დალია ალკოჰოლური სასმელი.

გარტყმა/დარტმის პროცესს გამომხატავს: **რეკა** — დაარტყა, ესროლა; **ჭყლიტა** — დაარტყა, ჩასცხო; **ხია** — გაარტყა.

შეუბერა თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში ოთხი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. დიდი სისწრაფით გაქანდა; 2. საქმეს შეუდგა; 3. გაუტია, გარეკა. ოთხი მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა **ვარიანტი**: 1. შანსი შესაძლებლობა; 2. სუფრა, ქეიფი; 3. ვარიანტის შედგენა — მოფიქრება იმისა, სად ვიქეიფოდ; 4. ვარიანტში (ნათესაობითში დასმულ სიტყვასთან) — მსგავსად, ყაიდზე¹⁵⁴.

მოსხმობილი მაგალითები, რა თქმა უნდა, ცხადად გვიჩვენე-

154 Современный толковый словарь русского языка Ефремовой <http://dic.academic.ru/dic.nsf/efremova/220304/%D0%9F%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%81%D0%B5%D0%BC%D0%B8%D1%8F> უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.02.2014.

ბენ, რომ ჟარგონში გამოყენებული ქართული სიტყვები პოლისემანტიკურია და ჟარგონული მნიშვნელობები არც ისე ძველია.

საყურადღებოა, რომ აფხაზურ ენაში ჟარგონული ლექსიკა ნაკლებად არსებობს – ყოველ შემთხვევაში, მისი ფართოდ გამოყენების შესახებ ცნობები მეტად მწირია. ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ქალაქებში აფხაზთა ცხოვრების სიახლე უნდა იყოს – ჟარგონის მთავარი არეალი კი, ჩვეულებრივ, ქალაქებია. მეორე მიზეზი ისაა, რომ აფხაზური ენა ბოლო 150 წლის განმავლობაში განიცდის რუსული ენის წამლევავ გავლენას და ეს გავლენა აფხაზ ახალგაზრდათა და პროფესიულ ჯგუფებში რუსულენოვანი ჟარგონის პრიორიტეტული გავრცელებით გამოიხატება. იმ მასალიდან, რაც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა, აღსანიშნავია შემდეგი:

ქურდების აფხაზურ ჟარგონს, რომელიც ცნობილია „ჩიტის ენის“ – **აწეს ბეზმა**-ს, ან „ქურდების ენის“ – **აღჩცა რბეზმა**-ს სახელწოდებით, იყენებდნენ ქურდები „საიდუმლო ენად“ ღამის თავგადასავლებისა და ძარცვის დროს. ამ ჟარგონის თავისებურება ისაა, რომ ყოველ სიტყვაში ყოველი მარცვლის შემდეგ ჩაერთვის ერთი და იგივე **ჭა** (ან რომელიმე სხვა) მარცვალი. მაგალითად, **სარა** „მე“ ნაცვალსახელს ქურდულ ჟარგონზე აქვს **სა-ჭა-რა-ჭა** ფორმა¹⁵⁵. სიტყვის შეცვლის სხვა ხერხი იყო მარცვალთა გადანაცვლება, მაგალითად, **ასაჭა** ნაცვლად სიტყვისა **აჭასა** „ცხვარი“ და სხვ. ამგვარი ხერხები ქართველთა შორისაც არის გავრცელებული დღემდე, მაგრამ არსებითია იმის აღნიშვნა, რომ აფხაზურსა და ქართულში ამ გზით პოლისემია არ წარმოიქმნება.

155 Инал-ипа Ш. Д., Абхазы (Историко-этнографические очерки), Сухуми, „Алашара“, 1965, с.191.

2.6. გენდერი

ქართულ და აფხაზურ სალიტერატურო ენებსა და მათ დიალექტებში, აგრეთვე სასაუბრო ენაში დასტურდება ერთი ჯგუფი ლექსიკისა, რომელიც ქალის სოციალურ სტატუსს და მის სექსუალურ-სოციალურ ქცევას გამოხატავს. ამ ჯგუფის სიტყვებს შეისწავლის ენათმეცნიერების ახალი დარგი — **გენდერო-ლინგვისტიკა**. გენდერული თვალსაზრისით საინტერესო ლექსიკაში დასტურდება სიტყვები, რომელთაც ამოსავალი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენით კონოტაცია შეეცვალათ და ახალი მნიშვნელობები განუვითარდათ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობისადმი განსხვავებული დამოკიდებულების საფუძველზე. ამგვარი სიტყვები ორივე ენაში უკვე წარმოადგენს ქალისა და მამაკაცისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს, რაც უმეტეს შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური, ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორებით აიხსნება.

ქართული ენასა და მის დიალექტებში ლექსიკურად გამოვლენილი გენდერული განსხვავებულობანი გამოიკვლია რ. ქურდაძემ. მან თავი მოუყარა ლექსიკას, რომელიც საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით¹⁵⁶. ქართულ ენაში ასეთი სიტყვებია: **გათხოვება, თხოვდება (გათხოვდა, გათხოვილა), ხელი სთხოვა, გაათხოვა, მიათხოვა, ითხოვა; ნარევი, უმრეცხლო, ქალიშვილი, ვაჟიშვილი; ხმარობს, ნახმარი** და სხვანი.

ლექსიკის ამ ჯგუფზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გენდერული ფაქტორი ენაში არის ერთ-ერთი მიზეზი სიტყვის ახალი მნიშვნელობების გაჩენისა.

გათხოვება, თხოვდება (გათხოვდა, გათხოვილა), ხელი სთხოვა, გაათხოვა, მიათხოვა, ითხოვა ფორმებისთვის ამოსავალს წარმოადგენს შესიტყვება **ხელი სთხოვა**. ამ შესიტყვებაში მოხდა ელიფსისი: სიტყვა ხელი ხშირი ხმარების გამო ამოვარდა და

¹⁵⁶ იხ. ქურდაძე რ. ქართული თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები. თბ., 2012. გვ. 282-292.

ზმნამ შეიძინა სრულიად ახალი მნიშვნელობა და ახლებური პარადიგმა. მაგალითად, ფორმებში **გათხოვდა, ითხოვა, გაათხოვა/მიათხოვა** ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის რალაცის თხოვნა სრულებითაც აღარ იგულისხმება.

ლ. რეხვიაშვილის აზრით, ზმნა **გავათხოვე**, რომელიც ასე ფართოდ გამოიყენება და თეორიულად, ადამიანების ცხოვრებაში დადებით მოვლენას, ოჯახის შექმნას აღნიშნავს, ატარებს დამამცირებელ კონოტაციას¹⁵⁷. როდესაც კაცი საქორწილოდ ემზადება, სალიტერატურო ქართულსა და უმეტეს ქართულ დიალექტებში ამბობენ: **კაცი ცოლს ირთავს, ქალი თხოვდება; კაცს ცოლი მოჰყავს (ცოლი მოიყვანა)**. ქორწინების დროს კაცი ირგებს სუბიექტის როლს, მას აქვს მოქმედების უპირატესობა, ის თხოულობს, ქალი კი ირგებს ობიექტის როლს — თხოვდება. გენდერული დისბალანსი ცხადად ჩანს იმ პირთა მეტყველებაში, ვინც ცოლის აღმნიშვნელად იყენებს სიტყვებს „ქალი“ და „დედაკაცი“: **ქალი მოიყვანა, დედაკაცი მოიყვანა** და ა.შ. ამ შემთხვევებში პოლისემიაც ნათლად იგრძნობა, მაგრამ **გათხოვება/გავათხოვე** ზმნების უარყოფითად აღქმა შედეგია იმისა, რომ ამჟამინდელ მეტყველთა უმრავლესობისათვის ცნობილი არ არის სემანტიკური და მორფო-სინტაქსური ცვლილებები, რაც ამ ორმა ზმნამ განიცადა.

საინტერესოა საანალიზო სიტყვის სვანური ეკვივალენტის სემანტიკური თავისებურება, რომელსაც ნაშრომის რეცენზირების დროს პროფ. ქეთევან მარგიანმა მიაქცია ყურადღება: ქართულად **გათხოვება** ზმნას აქვს „თხოვების“ სემანტიკა, სვანურად კი - „გაპატარძლებისა“: **წვილ „პატარძალი“, ლი-წვილ-ალ „გათხოვება“ < ე.ი. „გაპატარძლება“**, საინტერესოა ისიც, რომ **ალ-** მრავალგზისობის მარკერია, ე. ი. „მრავალგზის გაპატარძლება“.

ასევე პოლისემანტიკურობის თვალსაზრისით საინტერესოა **მეუღლე, შეუღლება** სიტყვები. გვანცა გვანცელაძე წერს: „**მეუღ-**

¹⁵⁷ რეხვიაშვილი ლ. „მომეცი/მოგეცის“ ენა — გენდერული იერარქიები ქართულში. <http://blogs.liberali.ge/ge/blog/1567/112224/> უკანასკნელად იქნა გადამონმებული 24.01.2014.

ლე თავდაპირველად უღელში გაბმული პირუტყვის მენყვილე ცხოველს აღნიშნავდა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ეს სიტყვა გადატანილი მნიშვნელობით აღნიშნავდა ცოლს, რა მნიშვნელობითაც მისი ხშირი ხმარება იმდენად ბუნებრივი გახდა, რომ უკვე 951 წლისათვის, როცა ინერებოდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მას ცოლის მნიშვნელობა მყარად შეუძენია. ამ თხზულებაში სიტყვა **მეულლე** ექვსჯერ დასტურდება და უკლებლივ ყველა შემთხვევაში ცოლს აღნიშნავს. მომდევნო პერიოდში სიტყვას ისე განუმტკიცდა ეს ახალი მნიშვნელობა, რომ დღეს მის პირველ მნიშვნელობად თანამეცხედრობა მიიჩნევა, მეორე მნიშვნელობად კი უღლის გამწვანევი ცხოველის მენყვილის სემანტიკა იქცა. არადა ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ მიმღობა **დაულღვილი** სიტყვა **ვარ**-თან არის დაკავშირებული, თუმცა სინტაგმა **დაულღვილი ვარნი** გადატანითაა გამოყენებული ადამიანთა მიმართ. შდრ. იაკობ ცურტაველის სიტყვები: „და მაშინლა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვანე და აფოც, ვითარცა **ვართა მცნეთა, დაულღვილთა** ზესკნელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულთურთ... აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი...“¹⁵⁸. **უღელი** სიტყვის მეგრული და სვანური შესატყვისებია **უღ-უ** და **უღ-უა**. გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა ***უღელ** არქეტიპი¹⁵⁹. როგორც ჩანს, **უღელი** ერთ-ერთი უძველესი სიტყვაა. დღეისათვის ქართულში **შეულლება** დაოჯახება-დაქორწინების მნიშვნელობით, თითქოს, დადებითი კონოტაციის მქონედ ითვლება, ვიდრე **გათხოვება ან ცოლის მოყვანა**. ასევე დადებითი კონოტაციისად მიიჩნევა სიტყვა **მეულლე**, ვიდრე **ცოლი** ან **ქმარი**. თანამედროვე ადამიანის აღქმით, არაფერია დადებითი იმაში, რომ ცოლ-ქმრის ოჯახური ცხოვრება უღელთან, უღლის სიმძიმესთან და ტვირთის ტარებასთან არის ასოციაციურად დაკავშირებული (შდრ. გამოთქმა „ჭაპანს ვენევი“), მაგრამ

158 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები ქართულში. თბ., 2005, გვ. 14.

159 ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 330.

წარსულში, როცა სიტყვა **მეულლე**-მ თანამეცხედრის სემანტიკა შეიძინა, პირუტყვისადმი სულ სხვაგვარი დამოკიდებულება იყო და ეს სიტყვა სულაც არ გულისხმობდა ქალის დაკნინებას, პირიქით, ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებისა და თანაბარი მოვალეობების მქონედ გამოდიოდნენ. სხვაგვარად, საანალიზო სიტყვაში ჩანს, თუ როგორაა აღქმული და ენაში ასახული ოჯახური ყოფა-ცხოვრება ქართველი ადამიანის მიერ. საანალიზო სიტყვის მიერ ახალი სემანტიკის შექმნა უეჭველად გენდერულ ფაქტორს უკავშირდება მეტაფორიზაციასთან ერთად.

მოვიყვანო რ. ქურდაძის მიერ გაანალიზებულ რამდენიმე მაგალითსაც:

ნარევი სალიტერატურო ენაში არის „სხვადასხვა რამისგან შემდგარი, მთლიანი, სხვადასხვა რამე ერთმანეთში არეული, შერეული“ (ქეგლ, ტ. V). იგივე სიტყვა მთიულურ კილოკავში დედათა წესის მქონე ქალს აღნიშნავს, ხევსურულ დიალექტში კი — ადამიანს, რომელმაც მკვდარი უნდა მოამზადოს დასამარხად¹⁶⁰. აქ წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გაუჩნდა ასეთი სპეციფიკური მნიშვნელობები ამ ჩვეულებრივ სიტყვას. ჩვენეული ახსნა ასეთია: დედათა წესის დროს ქალი მიიჩნეოდა უწმინდურად და ამის გამო მენსტრუაციის დროს ქალს სახლში ყოფნა ეკრძალებოდა, ანუ ქალს, მთიულთა შეხედულებით, ამ პერიოდში უწმინდურობა შეერეოდა. ხევსურეთში კი მიცვალებული უწმინდურად მიიჩნეოდა. ამ ეთნო-კულტურულ შეხედულებებს უნდა განესაზღვრა მთიულურ და ხევსურულ დიალექტებში სიტყვა **ნარევის** განსხვავებული მნიშვნელობების წარმოქმნა. ამ ორი დიალექტის მაგალითიდან გენდერული თვალსაზრისით საინტერესოა პირველი, მთიულურის შემთხვევა, ხოლო პოლისემიის ისტორიის თვალსაზრისით ორივე შემთხვევა მნიშვნელოვანია.

უმრეცხლო მომდინარეობს **რეცხვა** ზმნისაგან და ნაწარმოებია უარყოფითობის მაჩვენებელი **უ-** -**ო** კონფიქსით. **უმრეცხლო** მთიულურ-გუდამაყრულ და თუშურ დიალექტებში გვხვ-

160 შანიძე ა. ქართული კილოები მთაში. თხზულებანი 12 ტომად. თბ., 1984, ტ. I. გვ. 362, 372; ქურდაძე რ. თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები. თბ., 2012, გვ. 28.

ვდება გოგონას აღსანიშნავად, რომელსაც ჯერ დედათა წესი არ ჰქონია, ხოლო ამავე ტერმინით ხევსურულ დიალექტში ორსულ ქალს აღნიშნავენ¹⁶¹. ჩვენი აზრით, მთიულ-გუდამაყრელთა რწმენით, უმრეცხლო არის ის, ვისაც მენსტრუაციის დროს განბანა, საცვლის რეცხვა ჯერ კიდევ არ სჭირდება, ხოლო ხევსურულში იგულისხმება ორსული ქალისთვის ციკლის უქონლობა.

საინტერესოა ტერმინები **ვაჟიშვილი** და **ქალიშვილი**. ზოგ დიალექტში (განსაკუთრებით მთაში) გოგონა შვილად არ მოიხსენიება. კაცი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი — ერთი ბიჭი და ორი გოგო — კითხვაზე, თუ რამდენი შვილი ჰყავს მას, უპასუხებს: ერთი შვილი და ორი გოგო. **შვილში** ჩვეულებრივ **ბიჭი** იგულისხმება¹⁶²;

პიროვნულ სახელებზე დაკვირვების შედეგად ვლინდება როგორც **მასკულინური და ფემინური ხასიათები, ასევე გენდერული სტერეოტიპები**, რომლებიც ამა თუ იმ ყოფისა და კულტურისთვისაა დამახასიათებელი. რ. ქურდაძის კვლევის თანახმად, ქართულ ენაში პიროვნულ სახელებში შეინიშნება ზოგი სემანტიკური გენდერული მახასიათებელი. სახელდობრ, ქართულში საკმაოდ ხშირია სათემო სახელებისა და ტოპონიმებისაგან ნაწარმოები მამაკაცის სახელები: **ივერი, კახა, კახი, მუშნი, ქართლოსი... ბირთველი, თორელი, ოდიშელი, ტბელი...** ეს სახელები პრაქტიკულად **პოლისემანტიკური და პოლიფუნქციური სიტყვებია**, ვინაიდან, ერთი მხრივ, წარმოადგენენ **ზედსართავ სახელებს (აპელატივებს) და აღნიშნავენ ეროვნებასა და სადაურობას**, მეორე მხრივ კი – გადაიქცევიან **არსებით სახელებად და აქვთ ანთროპონიმის ფუნქცია**.

ამგვარი სემანტიკის ქალის სახელები ქართულისათვის უცხოა; სამაგიეროდ, ქართულში ცხოველებისა და ფრინველების სახელები გამოყენებულია როგორც ვაჟის, ისე ქალის პიროვნულ სახელებად, მაგრამ ვაჟის სახელები უპირატესად ნაწარმოებია

161 შანიძე ა. ქართული კილოები მთაში. თბ., 1984, ტ. I, გვ. 409; ქურდაძე რ. ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. „საენათმეცნიერო ძიებანი“. 2002, ტ. XIII, 288.

162 ქურდაძე რ. ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. „საენათმეცნიერო ძიებანი“. 2002, ტ. XIII, გვ. 284.

აგრესიული, მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველების აღმნიშვნელი ფუძეებიდან – **გელა (<მგელა), დათვია, ვეფხვია, ლომა, ფოცხვერა, შევარდენა, ძალლიკა**, მაშინ როცა ქალის სახელები ქართულში მეტწილად მშვიდი, წყნარი ცხოველებისა და ფრინველების სახელებიდანაა ნაწარმოები – **გვრიტია, კრავაი, ფისო, ჩიტო, ჩიტუნა, ჩიტოლია** და სხვა;

ქართულში საკმაოდ ხშირია ცისა და მნათობთა, ასევე ყვავილთა სახელებისაგან ნაწარმოები ქალის სახელები: **ციური, მზია, მზევინარი, მთვარისა, ია, ენძელა, კესანე, ვარდო** და სხვ. ამგვარი სემანტიკის მამაკაცის სახელები ქართულში, ჩვეულებრივ, არ გვხვდება¹⁶³, თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგალითად, გ. გვანცელაძის დასკვნით, სახელები **ბაჭია, გუგული, მიმინო, ნიბლია, ნუკრი, ქურციკი, შოშია, ცუგო, ჭინჭა, ჭუჭული, ხოხობი** და სხვანი როგორც ძველად, ისე ამჟამადაც გამოიყენება ორივე სქესის ადამიანთა პირსახელებად¹⁶⁴.

ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნული სახელები **ივერი, კახი, ოდიშელი, ია, ენძელა, კესანე, ფისო, ჩიტუნა...** როგორც ანთროპონიმები, მეორეულია. მეორეული მნიშვნელობის გაჩენის ერთ-ერთ საფუძველს გენდერული ასპექტიც წარმოადგენს. არსებობს სხვა საფუძველიც — **ტოტემიზმი**, რასაც, როგორც ცნობილია, პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში წამყვანი როლი ენიჭებოდა. ტოტემი ძირითადად არის ცხოველი, შეიძლება იყოს მცენარე, უფრო იშვიათად წვიმა, ქუხილი, ელვა და ა. შ.¹⁶⁵.

საინტერესოა სურათი გვიჩვენა გ. გვანცელაძის მიერ ჩატარებულმა ცხოველთა სახელებისაგან ნაწარმოებ ანთროპონიმთა ისტორიის კვლევამ, რომელიც ემყარებოდა XI-XVII საუკუნეებში შედგენილი ქართული იურიდიული საბუთებისა და თანამედროვე ქართულ ენაში გავრცელებული პირსახელებისა და

163 ქურდაძე რ., რუსეიშვილი მ. პიროვნულ სახელთა გენდერული ასპექტებისათვის ქართულსა და ინგლისურში. სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი. ქართული ენის სახლი. 2004, №4(12), გვ. 5-8.

164 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები ქართულში. ნაწილი II. თბ., 2009, გვ. 78.

165 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები ქართულში. თბ., 2005, გვ. 17.

გვარსახელების მონაცემებს. მეცნიერის დასკვნები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ცხადად წარმოაჩინს იმ გზას, რაც გაიარა ენამ პოლისემიის განვითარების მიმართულებით. გ. გვანცელაძე ასეთ დასკვნებს გვთავაზობს:

XI-XVII საუკუნეთა იურიდიულ საბუთებში წარმოდგენილ ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე საკუთარი სახელების აგებულება-გაფორმება საშუალებას იძლევა დაიყოს ისინი **სამ ჯგუფად**.

პირველი ჯგუფის ანთროპონიმები **არც ფონემატურად და არც მორფოლოგიურად არაფრით განსხვავდებიან** მათთვის ამოსავალი საზოგადო სახელებისაგან, ანუ აპელატივებისაგან, **სამაგიეროდ, სხვაობას ქმნიან სემასიოლოგიური თვალსაზრისით**, ვინაიდან აპელატივი უშუალოდ მიემართება აღსანიშნს, კონკრეტულ ცხოველს, ხოლო აპელატივებისაგან მომდინარე ანთროპონიმების მიმართება ადამიანისადმი, როგორც აღსანიშნისადმი, უშუალო არ არის, მეორეულია და წარმოქმნილია თავდაპირველი (ამოსავალი) მიმართების გადანაცვლებით ახალ აღსანიშნზე, ანუ ამ შემთხვევაში ცხოველის სახელი იცვლის ფუნქციას და საზოგადო სახელთა (აპელატივთა) კლასიდან გადადის საკუთარ სახელთა კლასში. ანთროპონიმთა პირველ ჯგუფს სიგელთა მონაცემების მიხედვით 10 სახელი განეკუთვნება. ესენია: **ბელი** (პირველად დასტურდება XVII ს. II ნახევარში შედგენილ საბუთში), **დათვი** (1694 წ.), **ვეფხი** (1610 წ.), **ლაკლაკი** (XIV ს. ამავე ფორმით დასტურდება უფრო ადრე ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ – X ს. I მეოთხედი), **ლომი** (1392-1398 წწ.), **ფოცხვერ** (XV ს.) და მისგან მომდინარე ვარიანტი **ფოცხვერ** (1681წ.), **ქურციკ** (1412-1432 წწ.), **შოშია** (1584 წ.), **ციბა** „პატარა ტანის ძაღლი“ (1612 წ.), **ჯოლორი** (მეგრ. „ძაღლი“ – 1700 წ.)¹⁶⁶.

გარდა ამ საკუთარი სახელებისა, გ. გვანცელაძემ თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით დაადასტურა რამდენიმე ათეული მამაკაცთა და ქალთა საკუთარი სახელი.

166 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები ქართულში. ნაწილი II. თბ., 2009. გვ. 69-70.

როგორც ვხედავთ, ისტორიულ საბუთებში წარმოდგენილი ამ ჯგუფის ანთროპონიმები პრაქტიკულად ადასტურებენ, რომ ენაში ანთროპონიმის ჩასახვის საწყის ეტაპზე წარმოიქმნებოდა სახელთა **პოლისემია**: აპელატივი უცვლელად გამოიყენებოდა პირსახელად, ანუ იძენდა ახალ ფუნქციასაც და ეს ხდებოდა როგორც მამაკაცებისათვის სახელის შერქმევის, ისე ქალთა შემთხვევაშიც, ანუ **გენდერული ბალანსი გარკვეულწილად დაცული იყო, მაგრამ იმავდროულად გენდერული უთანასწორობაც დასტურდებოდა**, რაკი მამაკაცების სახელებად შეირჩეოდა უპირატესად ფიზიკურად ძლიერ ცხოველთა აღმნიშვნელი არსებითი სახელები, ხოლო ქალებს უპირატესად უფრო სუსტ ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვები მიემართებოდა. აქვე ისიც შეიძლება დავძინოთ, რომ ანთროპონიმებში ასახული გენდერული დისბალანსის მიზეზი, ქალის უუფლებობის გარდა, მამაკაცისა და ქალის ფიზიკურ შესაძლებლობათა შორის რეალურად არსებული სხვაობაც უნდა ყოფილიყო.

ენის ფემინისტური კრიტიკის მიხედვით, სხვადასხვა სქესის ადამიანების არათანაბრად, უთანასწოროდ წარმოდგენა ენაში გენდერულ ასიმეტრიად განიხილება. ქართულ ენაში გენდერული ასიმეტრია განსაკუთრებით მძაფრად უარგონსა და უპატივცემულო გამოთქმებში ვლინდება¹⁶⁷.

ქართული ენა სავსეა ძველი და ახალი ტერმინებით, რომლებიც ხაზს უსვამს სუბორდინაციას – უფროსისადმი უმცროსის დაქვემდებარებას. თანამედროვე სლენგში ბოლო დროს სექსუალური ქცევის აღსანიშნავად სულ უფრო მკვიდრდება სიტყვები: **მისცა, მომცა, მივეცი, კერავს, აბამს, ახვევს, შეეტენა, გააფორმა, მიაყენო, აეკიდა...**

ყველა ამ მაგალითში საქმე გვაქვს ენაში არსებულ სიტყვათა მეორეულ მნიშვნელობებთან, რომლებიც საზგასმით დატვირთულია გარკვეული კონოტაციით (ძირითადად უარყოფითით). ამასთანავე ამ მაგალითებითვე დასტურდება პოლისემიის წარმოქმნა გენდერის ნიადაგზე.

167 ქურდაძე რ. ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები. თბ., 2012, გვ. 77.

ფრანგი პოსტსტრუქტურალისტი ფსიქონალიტიკოსი ჟაკ ლაკანი ამტკიცებდა, რომ ჩვენს იდენტობას აყალიბებს ენა¹⁶⁸. ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდ მნიშვნელობას თამაშობს ენა, ენობრივი სტრუქტურები. ენა არის კულტურის გამოძახილი და სოციალურად კონსტუირებულია. თუ ენა არის გენდერული უთანასწორობის მიზეზი, შეგვიძლია შევცვალოთ კონსტრუქციები. ჟაკ ლაკანის აზრით, ენა არის სოციალურად კონსტრუირებული და თუ რაღაც კონსტრუქცია აშენდა, იმის დარღვევაც შესაძლებელია (ჟაკ ლაკანი). ქართული ენის ზემოთ განხილული მაგალითები, რომლებიც ქალის სოციალურ სტატუსს და სექსუალურ ქცევას აღნიშნავს, კონოტაციურად უარყოფითია. განხილული უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სიტყვების ნაწილის პარალელურად ქართულში არსებობს მათი დადებითი კონოტაციის მქონე სინონიმები. შდრ.: **გათხოვება, ცოლის მოყვანა—დაქორწინება, დაოჯახება, შეუღლება, შერთვა** და ა. შ.

განხილული მაგალითებიდან, ასევე სხვა გენდეროლინგვისტური კვლევებიდან ირკვევა, თუ როგორ იჩენს თავს ენაში ქალისა და მამაკაცის სამეტყველო მსოფლმხედველობა, ვლინდება, თუ რომელია დომინანტი ქალისა და მამაკაცის სოციალური ურთიერთობების დროს. მიჩნეულია, რომ, ჩვეულებრივ, სამყაროს სურათი ენაში მამაკაცის თვალსაზრისის მიხედვითაა დაფიქსირებული, ამიტომ ენა არა მარტო **ანთროპოცენტრული**, ე. ი. ადამიანზე ორიენტირებულია, არამედ **ანდროცენტრული**, ე. ი. მამაკაცზე ორიენტირებულიც. კერძოდ, ენა ქმნის მამაკაცის თვალსაზრისზე დამყარებულ სამყაროს სურათს, სადაც მამაკაცი სუბიექტია, რომლის პერსპექტივა აშკარაა; ხოლო ქალი ობიექტია, ის „სხვის“, „უცხო“ როლში გამოდის, ან საერთოდ იგნორირებულია¹⁶⁹. ქართული ენა ამ მხრივ გამონაკლისს ნაკ-

168 ჟაკ ლაკანი.

<http://identoba.com/tag/%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%99-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98/> . უკანასკნელად იქნა გადამონმებული 29.12.2013.

169 ქურდაძე რ. ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები. თბ., 2012, გვ. 77. Richter E. Ulber Homonomie. Festschrift für Kretschmer, Berlin, 1926, p. 29-30

ლებად გვიჩვენებს.

ანდროცენტრულობა მკაფიოდ ჩანს აფხაზურ ენაშიც, რასაც იგივე ფაქტორები განაპირობებს, რაც ქართულ ენაში მოქმედებს, თუმცა სხვაობაც გვაქვს.

ქორწინებითი ურთიერთობის აღსანიშნად აფხაზურ ენაში რამდენიმე სიტყვა გამოიყენება: **აფჰესააგარა** „ცოლის შერთვა“, **აფჰესჰარა** „ცოლის თხოვა; საცოლის შესარჩევად მის ოჯახში სტუმრობა, ქალის გადანახულება“, **აფჰესჰავ** „ცოლის მთხოვნელი; სასიძო“, **ახანაცარა** „გათხოვება“, **ახანარა-ფჰესრა** „ცოლქმრობა“, **ახანაცარახვფა // აფჰეზბატანა** „შინაბერა“, **ხანე-ფჰესი** „ცოლ-ქმარი“, **ახარ(რ)ტა // ახარ(რ)ტავ** „ზედსიძე“, **ახარტარა** „ზედსიძედ წასვლა, ზედსიძედ შესვლა“ და სხვანი. მათგან ზოგიერთ სიტყვაში აშკარად იგრძნობა გენდერული უთანასწორობა. მაგალითად:

აფჰესააგარა „ცოლის შერთვა“ ეტიმოლოგიურად აღნიშნავს „ქალის მოყვანას“, ანუ სიტყვის სტრუქტურა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქორწინებაში აქტიური როლი მამაკაცს ეკუთვნის (სწორედ მას მოჰყავს მეუღლე), ქალი კი პასიურია, სასიძოს ნებას დაჰყვება. ამ მასდარისგან ნაწარმოებ პირიან ფორმებშიც იგივე შინაარსი იგულისხმება: **ფჰეს დააფეიტ** „ცოლი // ქალი მოიყვანა, ცოლი // ქალი შეერთ“. აქ ზუსტად ისეთი ვითარება გვაქვს, როგორც ქართულშია. პოლისემიასთან აფხაზურ და ქართულ მაგალითებს ის კავშირი აქვს, რომ ცოლის აღმნიშვნელად ორსავე ენაში ქალის აღმნიშვნელი პოლისემანტიკური სიტყვები გამოიყენება.

ქართული **ცოლის თხოვა** სინტაგმის ზუსტი შესატყვისია აფხაზური **აფჰესჰარა** „ცოლის თხოვა; საცოლის შესარჩევად მონახულება“ (ზედმინ.: „ქალის თხოვა“ – **აჰარა** „თხოვნა, ვედრება“ ზმნისაგან). ამავე კომპოზიტისგან მოდის სიტყვა **აფჰესჰავ** „ცოლის მთხოვნელი; სასიძო“ (ზედმინ.: „ქალის მთხოვნელი, ვინც ქალს ითხოვს [ქალის მშობლებისაგან]“).

გენდერისა და პოლისემიის მიმართების მხრივ მნიშვნელოვანია აფხაზური მასდარი **ახარ(რ)ტარა** „ზედსიძედ წასვლა, ზედსიძედ შესვლა“, რომელსაც საყურადღებო ეტიმოლოგია აქვს:

სიტყვა მომდინარეობს რთულფუძიანი **ა-ხა-ტა-რა** „ზედსიძედ ნასვლა, ზედსიძედ შესვლა“ ზმნისაგან, რომელიც ეტიმოლოგიურად ნიშნავს „რამეზე ზემოდან დაჯდომას“. მაგალითად, **დახატეფტ** „ზედ დააჯდა“. ამ ამოსავალ სემანტიკას ენაში დაემატა ახალი ნიუანსი: „ზედსიძედ ნასვლა“, ანუ ქალის ოჯახში უფროსად მისვლა, მზა ქონებაზე მისვლა, სხვის ოჯახზე წამოფდომა. ამის გამო ზმნა **დახატეფტ** „ზედ დააჯდა“ მომდევნო ეტაპზე გაგებულ იქნა როგორც „ზედსიძედ შევიდა“, ხოლო **დღლხატეფტ** „ქალს ჩაესიდა; ქალს ზედ დააჯდა“. საინტერესოა, რომ ქართულშიც იგივე ამოსავალი სემანტიკა იგულისხმება სიტყვა **ზედსიძე**-ში, რომელშიც **ზედ** ელემენტი ისეთსავე დამამცირებელირონიულ ელფერს სძენს სიტყვას, როგორც აფხაზურ **ახა(რ)ტა // ახა(რ)ტაფე** „ზედსიძე“ ვარიანტებშიც ცხადად იგრძნობა: ქართველებიცა და აფხაზებიც არ მიესაღებებიან ცოლის ოჯახში მამაკაცის ჩასახლებას, ეს უღირს საქციელად ითვლება. ეს რომ ასეა, ამას აფხაზური ანდაზაც ადასტურებს: **ხა(რ)ტარა იცაზ აჩადა დავეზოუზ** „ზედსიძედ ნასული სახედარს ჰგავს“.

აფხაზური ენის სხვა ლექსიკური ჯგუფებიდანაც ჩანს გენდერისა და პოლისემიის კავშირი. მაგალითად, ენაში არსებობს სპეციალურად შექმნილი კომპოზიტი **აფჰესჩე** „ქალისთვის განკუთვნილი ცხენი“, მაგრამ არ არსებობს ***ახანაჩე** „მამაკაცისთვის განკუთვნილი ცხენი“, რაც ცხადად გვაგრძნობიებს, რომ უპირატესობა ამ შემთხვევაშიც მამაკაცს ენიჭება. ამ დასკვნისკენ გვიბიძგებს ის გარემოება, რომ აფხაზურ ენაში ცხენის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი **აჩე** დამოუკიდებლად გამოყენების დროს თითქმის ყოველთვის მამაკაცის კუთვნილ ცხენს აღნიშნავს. პოლისემიის ისტორიის თვალსაზრისით ამ მაგალითებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ აღგვადგენინებს შემდეგ სურათს: თავიდან ქალის დამცრობილ როლს გამოხატავდა სინტაგმა **აფჰესჩე**, რომელსაც 2 მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: 1. „ქალის კუთვნილი ცხენი“; 2. „ქალისთვის განკუთვნილი ცხენი“. ეს სინტაგმა დროთა მანძილზე კომპოზიტად გადაიქცა და კვლავ ქალს მიემართება.

ასევე საინტერესოა, რომ წარსულში ქართველი და აფხაზი

ქალებიცა და მამაკაცებიც ცხენზე ჯდომისას ერთი და იმავე ფორმის უნაგირს იდგამდნენ და ჯდომითაც ერთნაირად სხდებოდნენ, მაგრამ XIX საუკუნეში, როცა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველებმა და აფხაზებმა მათგან გადმოიღეს სპეციალური ფორმის მქონე საგანგებო საქალო უნაგირი, რომელსაც სახელიც რუსული ენიდან შემოჰყვა ქართულსა და აფხაზურ ენებში: ქართულში **სედლო**, ხოლო აფხაზურში **ა-სედლა** < რუს. **седло**, არადა გამსესხებელ რუსულ ენაში **седло** სიტყვას არა აქვს საქალო უნაგირის სემანტიკა, იგი ზოგადად ყველანაირ უნაგირს ნიშნავს.

საყურადღებოა სიტყვა **ა-ხანამფჰეს** „გამბედავი, უშიშარი ვაჟკაცი ქალი“, რომელიც ეტიმოლოგიურად უნდა ნიშნავდეს „ქალი, რომელიც არ არის მამაკაცი“. ამ სახელით ხაზი გაესმის მამაკაცის პრიორიტეტს, იყოს გამბედავი, ვაჟკაცი.

ზემოთ თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზურ ენაში არ არსებობს გენდერული ბალანსის ამსახველი პოლისემიური ენობრივი მასალა. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ორ სიტყვას: **ხანედ-ფჰესი** „ცოლ-ქმარი“ (ზედმინ.: „კაცი და ქალი > „ქმარი და ცოლი“) და **ახანარა-ფჰესრა** „ცოლქმრობა“ (ზედმინ.: „კაცობა-ქალობა“ > „ქმრობა-ცოლობა“).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, სანუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სლენგის აფხაზური ნიმუშები, რომლებიც გვიჩვენებდნენ გენდერული ურთიერთობისა და პოლისემიის მიმართებას. ერთი რამ კი უნდა აღვნიშნოთ: აფხაზური ეთიკური ნორმების (**აფსუ-არა**-ს, ანუ „აფხაზობის“) მიხედვით, პირად განცდებსა და სექსუალურ ურთიერთობებზე სხვასთან საუბარი კატეგორიულად მიუღებელია. ამდენად მოსალოდნელია, რომ ამ ლექსიკური ჯგუფის სლენგი საერთოდ არც კი არსებობდეს.

რაც შეეხება აფხაზურ ენაში პირთა სახელებად ცხოველთა, მცენარეთა და სხვა დარგების ლექსიკის (აპელატივების) გადაქცევას, ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ დასტურდება შემდეგ არსებით და ზედსართავ სახელებთან დამთხვეული მამაკაცთა სახელები: **ა-ჯჰერ** „ფოლადი“, **ბამბე** „ბამბა“, **ბარდ** < ქართ **ბადრი**, **ალმას** „ალმასი“, **ა-ხრა** „კლდე“, **კარაზ** „ნაღი, მა-

მითადი“, **ლაშა** „მბრწყინავი“, **ნართ** „ნართი“ (მითოლ.), **ნაურ** „აჩრდილი“, **რამ** „რაში“ (მითოლ.)...; ეთნონიმები, სატომო და წარმომავლობის სახელები: **ლაზ** „ლაზი“, **ჭან** „ჭანი“, **ედგ** „ადი-ლეი“, **ნავე** „ნოლაელი“, **ყარაჩ** „ყარაჩაელი“, **ჟანა** „ჟანაელი“ (ჩერქეზული ტომის სახელი), **მაჟარა** „მადიარი, უნგრელი“...; ტოპონიმები: **ნაურ** (ჩერქეზეთშია), **ნაჰარ** (უღელტეხილი), **რაფ-სტან** „არაბეთი“...

ამავე ტიპის ქალთა სახელებია: **აგრა** „ნაკლი“, **ადუ** „დიდი“, **ამზა** „მთვარე“, **ამრა** „მზე“, **მრამზა** „მზე-მთვარე“, **აფსუანდა** „ნეტავ აფხაზი იყოს!“, **კამა** < ქართ. **კამა** (მცენარე), **კაჭკჭ** < ქართ. (მეგრ.) **კაჭიჭი** „ვაზის ჯიში“, **მაგლონია** „მაგნოლია“ (მცენარე), **რინა** (ტბის სახელი), **ზებლა** „ოქროს თვალი“, **შამსია** < თურქ. „ქოლგა“ და სხვანი.

ყველა დასახელებული ანთროპონიმი ენაში არსებობს თავიანთი თავდაპირველი სემანტიკით. მათზე დაკვირვება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აფხაზურში, ქართულის მსგავსად, გენდერის მიხედვით იგივე სურათი გვაქვს: მამაკაცთა საკუთარ სახელებად უპირატესად სიძლიერის გამომხატველი სიტყვები, ეთნონიმები და გეოგრაფიული სახელები გამოიყენება, ხოლო ქალთა სახელები უფრო „ნაზია“. ქართულისაგან ამ ანთროპონიმებს ის განასხვავებს, რომ ონიმიზაციის დროს საზოგადო არსებით სახელებსა და ზედსართავებს აღარ დაერთვის ზოგადი ფორმის მანარმოებელი ა- პრეფიქსი.

ასმათ არქენადის აზრით, გენდერული სისტემები სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულია. ნებისმიერ საზოგადოებაში ეს სისტემები ასიმეტრიულია — მამაკაცი და ყველაფერი მამაკაცური განიხილება როგორც პირველადი, სანყისი, მნიშვნელოვანი და დომინანტური, ხოლო ქალი და ყველაფერი ქალური მისდამი დაქვემდებარებულად, სოციალური თვალსაზრისით უმნიშვნელოდ¹⁷⁰.

ამრიგად, გენდერის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სიტყვათა პოლისემანტიკურობისა. განხილული ქართული

170 არქენადი ა. გენდერი და ენობრივი მანიპულირება. კულტურათაშორისი კომუნიკაციები. 2010, № 11.

და აფხაზური გენდერული ლექსიკა ცხადად გვიჩვენებს, რომ სიტყვები ინარჩუნებენ ამოსავალ, პირველად მნიშვნელობებს, ასევე იოლად იჩენენ ახალ სემანტიკას, რომელიც, ჩვეულებრივ, განპირობებულია სოციალური, ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორებით და მუდამ ახლავს გარკვეული კონოტაცია.

2.7. ენის მომხმარებლის ცვალებადობა

პოლისემიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არის ენის მომხმარებლის ცვალებადობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა და ახალი მნიშვნელობების გაჩენა მისი მომხმარებლის ცვალებადობის გამომხატველიცაა. იცვლება ენის მომხმარებელი და შესაბამისად ხშირად იცვლება ინტერპრეტაცია, რაც წარმოქმნის ახალ მნიშვნელობებს. ცალკეული ადამიანის, ან ჯგუფის ინტერპრეტაცია ხშირ შემთხვევაში ვარირებს განათლების, მენტალური განვითარების, ინტერესებისა და წარსული გამოცდილების დონის მიხედვით. რაც უფრო მაღალია კულტურული ცოდნის დონე, მით მეტია სიტყვის სემანტიკური პროდუქტიულობა და დინამიზმი. ენის მომხმარებელი იყენებს სოციალურ-კულტურულ ფონს და იდეოლოგიურ ხედვას.

სიტყვა ახალ მნიშვნელობებს იჩენს განსხვავებულ კონტექსტებში. „კონტექსტი არის წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის, ან ფრაზის მნიშვნელობა“¹⁷¹.

სიტყვა არის ტექსტის ერთეული. სიტყვები ქმნიან ტექსტს. ტექსტს ჰყავს მკითხველი, რომელიც იგივე ენის მომხმარებელი და აღმქმელიცაა და მის მიერ ტექსტის თუ სიტყვის სემანტიკის აღქმა პირად-ინდივიდუალურია. თუმცა ეს სრულებითაც არ გამოირიცხავს აღქმის კოლექტიურობასაც, როცა ენის მომხმარებელთა დიდ ნაწილს ზუსტად ერთნაირად ესმის ტექსტიც,

171 ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1989.

სიტყვებიც და კონტექსტიც. ამისი მიზეზი ენის სოციალური ხასიათია: **ენა არსებობს მხოლოდ მასზე მოსაუბრეთა კოლექტივში** და მათ შორის კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, ყველა სიტყვას განსხვავებულად რომ აღიქვამდნენ მოცემული ენის მომხმარებლები. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ უზუალური და ოკაზიური სიტყვების, ან მათი მნიშვნელობების თანაარსებობა ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინაიდან ლექსიკური, თუ სემანტიკური სიახლეების ნაწილი შეიძლება კონკრეტული ინდივიდის (მაგალითად, გამორჩეული მწერლის) დამსახურება იყოს, მეორე ნაწილისა კი – მინი-, ან მაკროკოლექტივი.

ყველა ეპოქის კულტურას თავისი ესთეტიკა და მანერნიზმი აქვს და კონკრეტული დროის მონაკვეთში სინამდვილეს აღიქვამს და გადმოსცემს //ინტერპრეტაციას უკეთებს ამ ესთეტიკის (ასპექტების) მიხედვით. ეპოქისათვის დამახასიათებელი (ზოგად-კოლექტიური) ესთეტიკური აღქმის გარდა არსებობს კიდევ პირად-ინდივიდუალური// სუბიექტური აღქმაც. ამიტომ არის, რომ ერთსა და იმავე მოვლენას, ან ფაქტს განსხვავებული ახსნა-განმარტება მოეძებნება. იგივე ითქმის ენის შესახებაც.

ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულია ტერმინი **„მკითხველის ფენომენი“**, რომელიც იგივე ენის მომხმარებელია. ლიტერატურისმცოდნეების მიერ „მკითხველის ფენომენის“ კვლევის შედეგები არგუმენტად გამოგვადგება იმისთვის, რომ გავამყაროთ ზემოთ აღნიშნული დებულება. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რ. სირაძის დაკვირვებას ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ:

„წმინდა ნინოს ცხოვრება“ მრავალმხრივ იცვლებოდა. თავდაპირველი ტექსტის ძირითადი ნაწილები ლიტურგიული დანიშნულებით უნდა ყოფილიყო შექმნილი... შემდეგ, როცა „ქართლის ცხოვრება“ („ჯერ მეფეთა ცხოვრება“) იქმნება, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტი საკითხავი გახდა ისტორიის მკითხველთათვის... მერე მეტაფრასტიკა რომ შემოვიდა, კვლავ მისდა შესაბამისად გადააკეთეს ტექსტი ახლებური თვალთახედვით ნაკითხვისათვის. ნ. გულაბერისძის „საკითხავში“ იგივე ტექსტი გარდათქმულია საქართველოს ისტორიის ძირითადი საზრისის

წარმოსაჩენად... ტექსტის ასეთი ცვალებადობა მისი მკითხველის ცვალებადობის გამოხატულებაა¹⁷².

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“ არის ასეთი აზრი — მომავალ მკითხველს ვერ გაითვლის ავტორი. მწერალი ვერაფრით წარმოიდგენს მომავალ თაობებს იმის მიხედვით, რაც თანამედროვეთა შესახებ იცის¹⁷³.

ფუკოს მიხედვით, სიტყვებში ჩანს ძველი სინამდვილე, რომელიც აღარ არსებობს. ასე შორდება ხოლმე საგნებს სიტყვები. მათ კი **მკითხველი სხვადასხვაგვარად აშინაარსებს**¹⁷⁴.

ზემოთ დამონმებული რ. სირაძის დასკვნა მნიშვნელოვანია ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. ძველქართული თხზულებების გადაწესების, ან რედაქტირების დროს, გადამწესხავ-რედაქტორნი ხშირად ცვლიდნენ ერთ კონკრეტულ სიტყვას მეორით, ან იყენებდნენ ერთსა და იმავე სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობით. სასულიერო, თუ საერო შინაარსის ტექსტებში ამგვარი ჩარევა ხელს უწყობდა ახალ მნიშვნელობათა ფართო გავრცელებას ახალი ეპოქის მკითხველ საზოგადოებაში. ამგვარი ქმედების შედეგად დროთა განმავლობაში ენაში ხდებოდა ლექსიკის სერიოზული სემანტიკური გადახალისება, თუმცა ზოგი სიახლე იოლად ინერგებოდა, ზოგს კი არ იღებდა ენა. ამგვარი სემანტიკური ცვლილებები შეინიშნება არა მარტო ქართულ ორიგინალურ სასულიერო და საერო თხზულებათა ენაში, არამედ ისეთ ხელშეუხებელ კანონიკურ ტექსტებშიც კი, როგორც ბიბლია და მისი ნაწილები იყო. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ტიპურ მაგალითებს დაახლოებით 2 000 წლის წინ შესრულებული ოთხთავის ქართული თარგმანის ხანმეტი ტექსტებიდან¹⁷⁵ ამჟამინდელი ქართულის პარალელებითურთ:

...პირველმან ხრქუა მას, **აგარაკი** ვიყიდე... (ლუკა, 14,18). თუ თანამედროვე ქართველმა მკითხველმა არ იცის ძველი ქართუ-

172 სირაძე რ. კულტურა და სახისმეტყველება. თბ., 2008, გვ. 11.

173 უმბერტო ე. ვარდის სახელი. თბ., 2012, გვ. 718.

174 სირაძე რ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 10.

175 ხანმეტი ტექსტები. ნაკვეთი I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლა. ქაჯაიაძე. თბ., 1984.

ლის ლექსიკური თავისებურებანი, იგი უეჭველად დაასკვნის, რომ ამ წინადადებაში საუბარია საკურორტო ადგილზე სახლის, ან კარმიდამოს შექმნაზე, ვინაიდან არ ეცოდინება, რომ სიტყვა **აგარაკი** ძველქართულში სახნავ-სათეს მიწას ნიშნავდა. რეალურად კი სიტყვა **აგარაკ-**მა სემანტიკური ტრანსფორმაციის გზით დროთა განმავლობაში „დაკარგა“ ამოსავალი მნიშვნელობა და შეიძინა მასთან მეტ-ნაკლებად ახლომდგომი მნიშვნელობა. იმას, თუ რატომ ჩავსვით სიტყვა **“დაკარგა”** ბრჭყალებში, განვმარტავთ მაგალითების წარმოდგენის შემდგომ. ციტატებში ამჟამინდელი მკითხველისათვის გაუგებარი სიტყვები მოწოდებულია მუქად.

ნუ მოხილებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა სპილენძსა... ნუცა ორი კუართი, ნუცა **ჯამლი**, ნუცა **არგანი** (მ. 10, 10) „ნუ მოიტანთ ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს... არც ორი პერანგი, არც ფეხსაცმელი, არც ხელჯოხი“.

მეყსეულად აღხემართა და ვიდოდა (ლ. 13.13) „უცებ წამოდგა და მიდიოდა“.

მოსე **აღამალლა** გუელი უდაბნოს (ი. 3.14) „მოსემ აღმართა გველი(ს გამოსახულება) უდაბნოში“.

შეკრებულ ხიყო **ბევრეული** ერი (ლ. 12.1) „შეკრებილი იყო ათეულათასობით ადამიანი“.

მოვიდა ქურივი ერთი **გლახაკი** (მრ. 12.42) „მოვიდა ერთი მათხოვარი ქვრივი“.

ხიყუნეს მუნ **დედანიცა** მრავალნი (მ. 27.55) „იყო იქ ბევრი ქალი“.

კაცმან დასთესის თესლი **ქუეყანასა** (მრ. 4.26) „კაცი თესავდა ხოლმე თესლს მიწაში“.

მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს (მ. 18.17) „მებაჟებთან და ცოდვილებთან ერთად ჭამს“ და მრ. სხვ.

როგორც ვხედავთ, ძველქართული სიტყვები: **აგარაკი, ჯამლი, არგანი, მეყსეულად, აღხემართა, აღამალლა, ბევრეული, გლახაკი, დედად, ქუეყანად, მეზუერე** ან სრულიად გაუგებარია სპეციალური ცოდნის უქონელი თანამედროვე მკითხველისათვის, ან ნაწილობრივად გასაგები. მიზეზი ის არის, რომ ამ სიტყვების

ნაწილი (**ჯამლი, არგანი, მეყსეულად, მეზუერე**) უცნობია საგანგებოდ გაუნათლებელი მკითხველებისათვის, მეორე ნაწილის (**აღხემართა, აღამალლა**) მორფოლოგიური იერსახე გაუგებარი იყო არამცთუ ამჟამინდელი, არამედ ხანმეტობის მოშლის ახლო ხანების საზოგადოებისთვისაც, ხოლო მესამე ნაწილს (**აგარაკი, გლახაკი, დედად, ქუეყანად**) იოლად იცნობს თანამედროვე ადამიანი, ოღონდ არ ეცოდინება, რომ ამ სიტყვებს საგრძნობლად აქვთ შეცვლილი სემანტიკა. მაგრამ აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მორწმუნე ქრისტიანებისათვის, ვისაც ხშირი შეხება აქვთ სახარების ტექსტთან, არცერთი ზემოთ მოხმობილი წინადადება არ დარჩება გაუგებარი: ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიაში ძველი ქართული არ არის მკვდარი ენა, ვინაიდან მთელ საქართველოში იყენებენ ყოველდღიურად, უფალსაც ენის ამ ვარიანტით მიაგებენ პატივს და ევედრებიან. სულ სხვაა სპეციალური განათლების უქონელ არამორწმუნე ადამიანთა გარემო: მათთვის ყველა ზემოთ მოხმობილი წინადადება სრულიად გაუგებარია. მიზეზი ამისა ენის მომხმარებელთა ცვლაა – განსხვავებულმა ეპოქამ განსხვავებული ცოდნა, კულტურა და დამოკიდებულება წარმოქმნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვამ შეიძლება ახალი სემანტიკა საკმაოდ მოკლე დროშიც (ერთი, ორი, სამი თაობის განმავლობაშიც) შეიცვალოს და ახალი მნიშვნელობით საყოველთაოდ გავრცელდეს. ასეთ შემთხვევებშიც უნდა დავასკვნათ, რომ პოლისემიის წარმოქმნაში ენის მომხმარებლის ცვლის ფაქტორი უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა იგი ვერ ჩაითვლება გადამწყვეტად. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ წარსულში სიტყვა **ლიანდაგი** აღნიშნავდა საბნის ზედაპირზე გვირისტით გამოყვანილ პარალელურ ხაზებს, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა გაიყვანეს სარკინიგზო ხაზი თბილისიდან ფოთამდე, ნიკო ნიკოლაძემ დედისაგან სრულიად შემთხვევით შეიტყო ამ სიტყვის სემანტიკა და დანერგა იგი სრულიად ახალი მნიშვნელობით „რკინიგზის პარალელურად განლაგებული რელსები“.

უხვად შეიძლებოდა ამგვარი მაგალითების მოხმობა, როცა

ენის მომხმარებლის ცვლის ფაქტორიც ახდენს გავლენას სიტყვათა ახალი სემანტიკის წარმოქმნაზე, მაგრამ რაკი წინა პარაგრაფში განხილულ ქართულ და აფხაზურ მაგალითთა დიდი ნაწილიც სწორედ ამის დამადასტურებელია, აქ ამ საკითხზე მეტად აღარ შევჩერდებით. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აფხაზური ენის, როგორც ახალსამნიგნობრო ენის, სიტყვათა ახალი სემანტიკის წარმოქმნა ენის მომხმარებლის ცვლის ფაქტორის ზეგავლენით ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მრავალსაუკუნოვანი სამნიგნობრო ტრადიციის მქონე ქართული ენის ლექსიკისა.

§3. პრაგმატიკული ასპექტები, როგორც პოლისემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები

წინა პარაგრაფში განხილული პოლისემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ექსტრალინგვისტური ფაქტორების გარდა, პოლისემიის წარმოქმნის განუყოფელი ნაწილია პრაგმატიკული ფაქტორებიც. მეტიც, ჩვენი აზრით, ფაქტორთა ეს ორი წყება ხშირად გადაიკვეთება და პოლისემია წარმოიქმნება როგორც გარეენობრივ, ისე პრაგმატიკულ წყაროთა თანადროული ზემოქმედებით. მაგალითად, ნებისმიერი რელიგია და მათ შორის ქრისტიანობაც გულისხმობს მაღალი დონის ენობრივ სიმბოლიზმს, მეტაფორულობის სიჭარბეს, სიმბოლოები და მეტაფორები კი რელიგიაში ძირითადად სიტყვიერი ფორმით არსებობს. ამის გამო ვერცერთი რელიგიური სიმბოლო და მეტაფორა ლინგვისტური თვალსაზრისით სრულყოფილად ვერ განიხილება პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინების გარეშე. აუცილებლობის შემთხვევებში ქვემოთ წარმოდგენილ მასალაში ეს ხაზგასმულიც გვაქვს.

მკვლევარი კონსტანტინე კაკიტაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სიტყვის მნიშვნელობის **პრაგმატული** ასპექტი ხასიათდება სიტყვის ფორმის ადამიანთან მიმართებაში. საქმე ისაა,

რომ თითოეული მოლაპარაკე მის ნათქვამ სიტყვაში დებს იმ მნიშვნელობას, რომელიც, არა ყოველთვის და არა მთლიანად ემთხვევა საერთოდ აღიარებულ (ლექსიკონში მოყვანილ) მნიშვნელობას. პრაგმატული მნიშვნელობა დამოკიდებულია მოლაპარაკის მსოფლმხედველობაზე, ასაკზე, განათლებაზე, პროფესიაზე და სხვა თავისებურებებზე... პრაგმატული მნიშვნელობის საშუალებით სიტყვაში შემოდის დამატებითი სემანტიკური ინფორმაცია, რომელიც ინვესს სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის ასიმეტრიულ ურთიერთობას¹⁷⁶.

3.1. ონიმიზაცია

პოლისემიის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ონიმთა სხვადასხვა კლასი (ცალ-ცალკე. ონიმებია (ბერძნ. **onyma** „სახელი“) საკუთარი სახელები, რომლებიც ონომასტიკის შესწავლის საგანია. ონომასტიკა — (ბერძნ. **onomastikḗ téchnē** „სახელდების ხელოვნება“) ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ყოველგვარ საკუთარ სახელს. ონომასტიკის ქვედარგებია: ტოპონიმიკა, ანთროპონიმიკა, ზოონიმიკა, ეთნონიმიკა, კოსმონიმიკა, თეონიმიკა, ჰიდრონიმიკა და სხვ.¹⁷⁷ — **ტოპონიმიკა ხელს უწყობს** სიტყვის არა მარტო ახალი მნიშვნელობების წარმოქმნას, არამედ აპელატივის ქცევას გეოგრაფიულ სახელად, ანუ სიტყვის კლასის ცვლას. მაგალითად, თ. გვანცელაძემ გამოავლინა ქართულ ოიკონიმებად (სოფლის სახელებად) და პოლისონიმებად (დაბა-ქალაქების სახელებად) ყოველგვარი სიტყვათმანარმოებელი აფიქსების დართვის გარეშე გადაქცეული მრავალი მცენარის სახელი (აპელატივი), რომლებიც პრაქტიკულად საქართველოს ყველა მხარეში გვხვდება. ასეთი ოიკონიმები და პოლისონიმებია: **თელა** (ლაგოდების რ.), **ჭანდარი** (გურჯაანის

176 კაკიტაძე კ. სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები. ავტორეფერატი. თბ., 2002, გვ. 31.

177 ცხადაია პ. ონომასტიკა. ენციკლოპედია. ქართული ენა. თბ., 2008, გვ. 350.

რ.), **წწორი** (სიღნაღის რ.), **დღწალი** „ტირიფის სახეობა“ (დუშეთის რ.), **ყვავილი** (იქვე), **სარო** (ასპინძის რ.), **ყარაფილა** „მიხაკი“ (კასპის რ.), **ყუმური** < მეგრ. **ჯომური** „ტყემალი“, **ცაცხვი**// მეგრ. **ცხაცხუ** (ზუგდიდის რ.), **იელი** (მესტიის რ.), **ცხემნა** < **ცხემლა** (ქედის რ.), **გალი**<**გალი** „უშტოო ხე“ (სულხან-საბა), **ტყვარჩელი** < მეგრ. **ტყვარჩელია** „ყოჩივარდა“, **მერკულა** < მეგრ. **მარგულა** „შავქლიავი“ (ოჩამჩირის რ.), აკად. ქ. ლომთათიძის მიერ დამაჯერებლად ახსნილი **ამტყელი** (აფხაზ. **ამტყალ**) < **ტყემალი** და სხვანი¹⁷⁸. თ. გვანცელაძისავე დასკვნით მცენარეთა აღმნიშვნელი აპელატივებისაგან ამ მოდელის ტოპონიმები (ოიკონიმები და პოლისონიმები) სრულებით არ დასტურდება აფხაზურ ენაში, რაც განასხვავებს ამ ენას ქართველურ მეტყველებათაგან.

აპელატივისმიერი, ანუ აპელატივისგან მომდინარე ტოპონიმები: **ხევი**, **ხრამი**, **გორი**, **აჩრდილი**, **თხილწარი**, **წამონასტრევი** — პატ. სოფელია, **სამება**, **უბე**, **ქურა**, **ჭალა**, **ჭერი**, **სათლელი**, **საირმე**, **კიბე**, **დაგვა**, **დავლა**, **თოკი**, **კარი**, **ორპირი**, **ბალაძე** — პატ. სოფელია, **ბერიძე**, **გელიაშვილები** - პატარა სოფელია, **გოგაძე**, **დარჩიძეები**, **ვანაძეები**, **ზაქარიაძე**, **ზაქარიაძეები**, **თოფალაშვილები**, **იაკობაძე**, **კიკაშვილები**, **ლომინაური**, **ლომსაძენი**, **მეკვიძე**, **მელაძე**, **ოქროაშვილები**, **ლოლაძე**, **შარაბიძე**, **შოთიძე**, **ძანაძეები**, **ჯალაბაშვილები**...¹⁷⁹ და მისთანები.

პოლისემიის წყაროა **ანთროპომორფიზაცია** — არაადამიანთათვის ანთროპონიმების დარქმევა. მაგალითად, გემი „შოთა რუსთაველი“, სალონი „ლელა“, ურაგანი „ალისა“, ცხენი „მიმა“¹⁸⁰.

ახალ მნიშვნელობებს წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

178 გვანცელაძე თ. ბიჭვინთის თავდაპირველი სახელწოდების საკითხისათვის. ქუთაისი უნივერსიტეტის მოამბე. ქუთაისი, 1995, № 1, გვ. 25-32; ლომთათიძე ქ. ბაგისმიერთა მიდრეკილება ანლაუტში მოხვედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი ამტყალ. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1995, გვ. 19.

179 ჭიჭინაძე ზ. მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თბ., 2013.

180 ცხადაია პ. ონომასტიკა. ენციკლოპედია. ქართული ენა. თბ., 2008, გვ. 350.

წყაროა ანთროპონიმიზაცია, ანუ აპელატივის, ან რომელიმე სხვა სახელის გადაქცევა ანთროპონიმად. მაგალითად, სოფლის სახელი **აჩაბეთი** (ცხინვალის რ.) > სადაურობის სახელი **მაჩაბელი** და გვარსახელი **მაჩაბელი**; **ამაშუკეთი** (სოფელი ზემო იმერეთში) > სადაურობის სახელი **ამაშუკელი** და გვარსახელი **ამაშუკელი**; **ლიქოკი** (სოფელი ხევსურეთში) > სადაურობის სახელი **ლიქოკელი** და გვარსახელი **ლიქოკელი**...; პროფესიის სახელი **მენაბდე** და გვარსახელი **მენაბდე**; პროფესიის სახელი **მებუკე** და გვარსახელი **მებუკე**; პროფესიის სახელი **მკურწალი** და გვარსახელი **მკურწალი**; პროფესიის სახელი **მხატვარი** და გვარსახელი **მხატვარი**...

განსხვავებული სიტუაცია გვაქვს მაშინ, როცა სხვა რიგის სახელი გადაიქცევა ანთროპონიმად. მაგალითად, **წუკრი** ირმის, ქურციკისა და მისთანა ცხოველთა ნაშეირის სახელია, მაგრამ იგივე სიტყვა **წუკრი** ადამიანის საკუთარი სახელიცაა; ასევე **გუგული** ფრინველის სახელიცაა და ადამიანის საკუთარი სახელიც; **ია** მცენარის სახელიცაა და პიროვნებისაც... საყურადღებოა ის გარემოება, რომ **გუგული**-ი ძირეული სახელი მიემართება ფრინველს და აქვს ბრუნების თავისი წესი — იბრუნება როგორც ნებისმიერი სხვა უკუმშველი ბოლოთანხმონიანი საზოგადო სახელი, იგი საზოგადო სახელად უწდა განვიხილოთ, ხოლო რადგანაც მისგან მომდინარე ქალისა და მამაკაცის პირსახელი **გუგული** მიემართება ადამიანს, ანუ მიემართება სრულიად სხვა კატეგორიის ალსანიშნ — ადამიანს და იბრუნვის როგორც ბოლოხმონიანი საკუთარი არსებითი სახელები (არ ჩამოიცილებს ბოლოკიდურა -ი ხმოვანს), იგი არ უწდა ჩაითვალოს პოლისემანტიკური სიტყვის ვარიანტად. ამდენად, წამოიჭრება საკითხი: ომონიმებია, თუ პოლისემანტიკური სიტყვები ის საზოგადო არსებითი სახელები და მათგან სიტყვათმანარმოებელ აფიქსთა დართვის გარეშე მიღებული საკუთარი სახელები, მაგალითად, **კუკური**, **ფისო**, **ია**, **გუგული**, **წუკრი** და სხვანი? ჩვენი აზრით, ამ შემთხვევებში საკითხი უწდა გადაწყვიტოს მორფოლოგიისა და პრაგმატიკის გათვალისწინებამ.

ფიქრობთ, ამგვარი შემთხვევები ლექსიკის ერთ სექციას

ქმნიან და ეს ფაქტი წარმოადგენს ენის მიერ **ომონიმის დაძლევის მცდელობას**. ანთროპონიმების სხვა ჯგუფები **პოლისემანტიზაციის გზით** არის მიღებული. გარდა ამისა ორაზროვნებას რომ ქმნიდა, ამიტომაც დაიწყო აპელატივთა ფუძეებზე აფიქსების დართვა და ახალი სიტყვების წარმოქმნა. მაგალითად, აპელატივებია **ძალი, ფოცხვერი, ობოლი, ფოთოლი**, ხოლო **ძალუკა, ფოცხვერა, ობოლა, ფოთოლა** ანთროპონიმებია.

განსხვავებულად განიხილავს ამ საკითხს გ. გვანცელაძე, რომელმაც საგანგებოდ გამოიკვლია ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე პირსახელები. მისი აზრით, XI-XVII საუკუნეთა იურიდიულ საბუთებში წარმოდგენილ ცხოველთა სახელებისაგან მიღებული საკუთარი სახელების აგებულება-გაფორმება საშუალებას იძლევა დაიყოს ისინი **სამ ჯგუფად**:

პირველ ჯგუფში შედის ის ანთროპონიმები, რომლებიც ყოველგვარი სიტყვათმანარმოებელი საშუალებების დართვის გარეშეა გადანაცვლებული ცხოველთა სახელებიდან (აპელატივებიდან) ანთროპონიმთა კლასში.

მეორე ჯგუფს ქმნის პირველი ჯგუფის ანთროპონიმებისაგან სიტყვათმანარმოებელ სუფიქსთა დართვის გზით მიღებული მეორეული საკუთარი სახელები.

მესამე ჯგუფში შედის ის კომპოზიტ-ანთროპონიმები, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულია ცხოველის სახელი¹⁸¹.

პირველი ჯგუფის ანთროპონიმები არც ფონემატურად და არც მორფოლოგიურად არაფრით განსხვავდებიან მათთვის ამოსავალი საზოგადო სახელებისაგან, ანუ აპელატივებისაგან, სამაგიეროდ, სხვაობას ქმნიან სემასიოლოგიური თვალსაზრისით, ვინაიდან აპელატივი უშუალოდ მიემართება ალსანიშნს, კონკრეტულ ცხოველს, ხოლო აპელატივებისაგან მომდინარე ანთროპონიმების მიმართება ადამიანისადმი, როგორც ალსანიშნისადმი, უშუალო არ არის, მეორეულია და წარმოქმნილია თავდაპირველი (ამოსავალი) მიმართების გადანაცვლებით ახალ

¹⁸¹ გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები ქართულში. ნაწილი II, თბ., 2009, გვ. 69.

ალსანიშნზე, ანუ ამ შემთხვევაში ცხოველის სახელი იცვლის ფუნქციას და საზოგადო სახელთა (აპელატივთა) კლასიდან გადადის საკუთარ სახელთა კლასში. მკვლევრის მიერ გამოვლენილ ამგვარ სახელთა შორის ერთ-ერთი უადრესია მამაკაცის სახელი **ლომი**, რომელიც წარმოდგენილია 1392-1398 წლებში შედგენილ საბუთში და არანაირად არ განსხვავდება მისი საყრდენი **ლომი** აპელატივისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ **წერილობით ძეგლებში რეალურად დასტურდება აპელატივთა უცვლელად ონიმიზაციის ხერხის არსებობა**.

გ. გვანცელაძე იქვე აღნიშნავს, რომ ამგვარი უაფიქსო საკუთარი სახელების დიდი ნაწილი მაინც საკმაოდ ძველი წარმოშობისა შეიძლება უნდა იყოს და ქრისტიანობამდელი, კერძოდ, **ტოტემიზმის** ეპოქის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს, როცა ადამიანები თავიანთ შვილებს ტოტემად მიჩნეული ცხოველის სახელს არქმევდნენ, სახელთა მეორე ნაწილი კი ქრისტიანობის ეპოქაში შეიძლებოდა გაჩენილიყო **მეტსახელებისაგან**. ტოტემის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით ბავშვებისათვის ცხოველის სახელის დარქმევის ტრადიცია უეჭველად გაგრძელდებოდა ქრისტიანობის გავრცელების შემდგომაც, თუმცა ქრისტიანული ეკლესია მკაცრად ებრძოდა ამ წესს¹⁸².

ადამიანებისათვის ცხოველთა სახელების უაფიქსოდ რქმევის ტრადიცია, ანუ აპელატივთა ონიმიზაცია, მკვლევრის აზრით, დღემდე შემორჩა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ანთროპონიმთა პირველ ჯგუფში შემავალი საკუთარი სახელები, თუ ამავე მორფოლოგიურ-სტრუქტურული ტიპის მეტსახელები ორივე სქესის ადამიანთა აღმნიშვნელად. მაგალითად, ასეთებია **მამაკაცთა სახელებიდან: არწივი, აფთარი, აჯილლა** (მეტსახელი), **ბაჭია, ბახალა, ბოტი, ბოჩოლა** (მეტს.), **ბოცორი** (იმერ. „ბოცვერი“), **ბულა, გეზელი, გერი** (მეგრ. „მგელი“), **გვრიტი, გუგული, ვიგრი** (ძვ. ქართ. „ნიანგი“), **თრითინა** (მეტს.), **თუნთი** (მეგრ. „დათვი“), **კალია** (მეტს.), **კალმახი, კაჭკაჭი** (მეტს.), **კვატი//კვატა** (მეგრ., იმერ., გურ. „იხვი“), **კვინჩა** (მეგრ. „სკვინჩა“), **კოდალა** (მეტს.),

¹⁸² იქვე, გვ. 74.

ნობით-ალერსობითის სუფიქსებს¹⁸⁵.

ჩვენ სრულად ვეთანხმებით გ. გვანცელაძის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ აპელატივთა ანთროპონიმიზაცია პოლისემიის ეტაპის გავლის გარეშე არ მომხდარა: იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, როცა ერთი და იგივე ანთროპონიმი არც ფონემატური სტრუქტურით და არც მორფოლოგიური აგებულებით სრულებით არ განსხვავდებოდა მისი პირველწყარო აპელატივისაგან. ამისი დასტურია ქართულში დღემდე შემორჩენილი სახელური და ზმნური წარმოშობის უძველესი ანთროპონიმები, რომლებსაც მორფოლოგიური სტრუქტურა სრულებით არ შესცვლიათ: **მახარე, გამახარე, წყალობა, ხარება, ველოდი, არველოდი** და მრავალი სხვა.

თქმული ვრცელდება აფხაზურ ენაზეც, სადაც აპელატივები ასევე პოლისემიის გზით გადაიქცნენ ანთროპონიმებად (იხ. ზემოთ), თუმცა სხვაობას ქართულთან ის ქმნის, რომ აპელატივები უეჭველად დაირთავენ ზოგადი ფორმის მანარმოებელ ა- თავსართს, ხოლო ანთროპონიმებად უპირატესად წარმოდგენილია წმინდა ფუძეები, რაც, ჩვენი აზრით, იმ დროის გამოძახილია, როცა აფხაზური ენა ჯერ კიდევ არ იყო გამოცალკევებული აფხაზურ-აბაზური წინარეენისაგან, რომელსაც ეს თავსართი არ უნდა ჰქონოდა (აბაზურში იგი დღესაც არ არის).

3.2. მეტაფორიზაცია

მეტაფორა (ბერძნ.: **metaphora** „გადატანა“) სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარებაა, რაც ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას¹⁸⁶, ასევე – ასოციაციურ და ანალოგიებით გამოწვეულ წარმოდგენებს.

მეტაფორის ტრადიციული განმარტების გარდა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. მარტინ ფოსის ნაშრომში „სიმ-

¹⁸⁵ გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები. ნაწილი II. თბ., 2009, გვ. 79-80.

¹⁸⁶ ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1989.

ბოლო და მეტაფორა კაცობრიობის გამოცდილებაში“ მსჯელობა გაშლილია მეტაფორის ტრადიციულად მიღებული განმარტების საპირისპიროდ და წამოჭრილია ახალი პრობლემები იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა იქნეს ამოღებული მეტაფორის სფეროდან შედარების, ანალოგიის ყველა ის შემთხვევა, რომლებიც მეტაფორის სახელს ატარებს. მ. ფოსი **შედარების ცნების** სანაცვლოდ გვთავაზობს **ერთდროულობის, ერთდროული ასახვის** ცნებებს და ასევე შემოაქვს მთელისა და ნაწილის ურთიერთობის ცნება: ხდება **ნაწილობრივი // ერთი ნაწილის** სხვა საგანთან **მსგავსების** გაზვიადება; სანამ ნაწილი მთელი საგნის ადგილს არ დაიკავებს, გაიგივებულია მასთან.

მ. ფოსი წერს: მეტაფორებს განსაზღვრავენ როგორც შედარებებს, ანალოგიებს, მსგავსება თითქოსდა ისევე წარმოქმნის მეტაფორას, როგორც წარმოქმნის შედარებას, მაგრამ მსგავსება ყოველთვის როდი აქცევს მეტაფორას მეტყველების საოცარ ელემენტად. ძალიან ხშირად, პირიქით, სხვაობა იმდენად ძლიერია, რომ ფსიქონალიზი ხშირად მზადაა მას „ავადმყოფური შედარების“ ინტერპრეტაცია მისცეს, როგორც ცდას – დამალოს, დაშალოს, შენიღბოს ქვეშარიტება, ანდა მოახდინოს მსმენელის შოკირება ანალოგიის სიმძაფრით და არაადეკვატურობით... სიტყვა **ასოციაცია** სხვა არაფერია, თუ არა უბრალო დადასტურება ერთდროულობებისა. „მსგავსება“ გამოხატავს ბუნდოვან და დროებით შესაძლებლობებს მომავალი კვლევისათვის იმ იმედით, რომ ვიპოვით ამ მსგავსებაში ნაწილობრივ მსგავსებას... სანამ მსგავსება არის მხოლოდ გამოცდილებით შეცნობილი, ასოციაცია სხვა არაფერია, გარდა დამთხვევისა... **ყველა ერთდროულობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ასახვის ერთდროულობა.**

სულერთია, პოეტი თავის სატრფოს ყვავილს შეადარებს, თუ პირდაპირ მიმართავს, „ჩემო ყვავილო“; სულერთია ჩვენ ვუსაყვედურებთ ადამიანს ღორული ქცევისათვის, თუ პირდაპირ მივახლით „ღორო“-ს – ენობრივი განსხვავება აქ მნიშვნელობას არ ცვლის. ორივე შემთხვევაში **ყურადღება გამახვილებულია ერთ თვისებაზე, ერთ ნაწილზე და მისი მთელამდე გავრდა შეინიშნება. შედარების საფუძველი გაზვიადებულია, სანამ**

მთელი საგნის ადგილს არ დაიკავებს, გაიგივებულია მასთან. ეს უზარმაზარი არაადეკვატურობა, სწორად გაგებული, ყოველთვის კარიკატურაა. ეს შეიძლება წინასწარ არ იყოს განზრახული, როგორც, მაგალითად, მოზრდილი ადამიანები ერთმანეთს უწოდებენ ხოლმე „თაფლო“-ს, „ფისო“-ს და სხვას, მაგრამ ეს ჩვეულებრივ წინასწარ განზრახული კარიკატურა იქნება, როცა ის გამოიყენება პოლიტიკურ ბრძოლაში როგორც სიტყვით, ასევე ნახატივით, როცა პოლიტიკოსებს, პარტიის ლიდერებს ადარებენ ვირებს, ღორებს და ა. შ.

მეტყველების ეს ფორმა კლასიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც მიზანდასახულობის უბრალო სიმბოლური გამარტივება, სადაც კომპლექსური და უცხო გამოცდილება დამორჩილებულია ძველი, ცნობილი კონცეფციებისადმი და წარმოსახვებისადმი¹⁸⁷, ანუ უცნობის ახსნა ხდება ნაცნობზე მითითებით.

ერთდროულობების ასახვის, დამთხვევების, ნაწილის მსგავსების და ნაწილის მთელამდე გაზრდის კონცეფციებს უნდა დაემატოს **უნივერსალიზაცია**.

სამყაროში არსებობს აბსტრაქტული მოვლენები, ზოგადი ნიშან-თვისებები, ხოლო ამ ზოგადი თვისებების მატარებელი საგანი ბევრია. „ნებისმიერი რეალიზაცია რაღაცით მსგავსია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, ორ ან მეტ საგანს ერთი სახელი ვუწოდოთ“¹⁸⁸. მარტინ ფოსმა თავისი შეხედულება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: **განუსაზღვრელი ერთნაირობების მისტიკური „ასოციაციები“**... გაფანტულად და მექანიკურად ჯგუფდება ერთად ასოციაციების „კონაში“¹⁸⁹.

ა. გურევიჩის მიხედვით, ნებისმიერ ნივთს ორი, ან მეტგვარი მნიშვნელობა აქვს. პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად ის სიმბოლურადაც გამოიყენება¹⁹⁰.

187 ფოსი მ. სიმბოლო და მეტაფორა კაცობრიობის გამოცდილებაში. ჟ. „საუნჯე“. თბ., 6/1989, გვ. 295-300.

188 ბადრიშვილი ჟ. სიტყვათწარმოებითი კომპონენტების ომონიმია და მრავალმნიშვნელობა. ჟ. „უცხოური ენები სკოლაში“, 1974, № 1, გვ. 12.

189 ფოსი მ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 279.

190 Гуревич А. Я. Категории средневековой культуры, М., 1976, с. 265-266.

ყოველი მოვლენა, ხდომილება თუ ყოველი საგანი რაღაცის სახეა, პირდაპირ მნიშვნელობასთან ერთად კიდევ რაღაცას გამოხატავს... ყოველივე არსებული და, ისიც, რაც წარმოიდგინება, რაღაცის სახეა¹⁹¹.

შუასაუკუნეების გრამატიკოსები მეტყველების პროცესში სამ საფეხურს გამოყოფდნენ:

1. საგნების თვისებები ვლინდება რეალურ სამყაროში;
2. ადამიანი წვდება ამ თვისებურებებს;
3. შესაბამისად გადასცემს სხვა ადამიანებს ენის საშუალებით.

ამდენად, არსებობს **უნივერსალური (საბაზისო) ცნებები** (ფორმები, თვისებები, მახასიათებლები, „ერთდროულობები“...), რომლებიც ასოციაციებისა და ანალოგიების მეშვეობით წარმოქმნიან ახალ სახეებს, ქმნიან სახეთა მრავალფეროვნებას. მეტაფორა, აზროვნების ასოციაციურობა, გადმოცემული ენის საშუალებით, დროთა განმავლობაში ქმნის სახისმეტყველებით სისტემას.

რ. სირაძე ქართულში გამოყოფს მითოსურ და ქრისტიანობის ხანის სახისმეტყველების პერიოდებს. მითოსური ესაა წინარექრისტიანული ხანა. **ვიდეტური სახისმეტყველება** გულისხმობს იმგვარ განსახოვნებას, რომელიც ემყარება მითოსს. აქ სახის შინა არსი მისსავე ფორმაში მთლიანადაა გამოვლენილი.

ქრისტიანობის ხანაში, **ვიკონური, ანუ ხატისებრი** სახისმეტყველებისას მითოსური სახეები ან დაგმობილია, ანდა დესაკრალიზებულია და ქრისტიანულადაა გაშინაარსებული („შენ ხარ ვენახი“..., „მზე ხარ გაბრწყინებული“ – აქ მითოსური სახისმეტყველება დაცლილია წარმართული შინაარსისაგან და ღვთისმშობლის სიტყვიერი ხატწერითაა წარმოდგენილი). ეს სანქცირებულია ბასილი დიდის სპეციალური ტრაქტატით, თუ როგორ უნდა გამოიყენონ წარმართული სიმბოლოები ქრისტიანებმა.

ვიდეტური სახისმეტყველება ძირითადად მითოსურ ხანას ეკუთვნის, თუმცა ის შემდეგაც იჩენს თავს ჰაგიოგრაფიაში.

191 სირაძე რ. კულტურა და სახისმეტყველება. თბ., 2008, გვ. 3-6.

მაგალითად, „შუშანიკის ნამებაში“ **ღვენი** უკეთურ ძალთა სიმბოლოა და არა კონკრეტულად ღვეები¹⁹².

მეტაფორიზაცია ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს უკავშირდება, ხატოვანი აზროვნების უნარზეა დაფუძნებული. ხატოვანი (სახეობრივი) აზროვნება სამყაროს ნახატის სახით აღქმავა. ...სახეობრივი (ხატოვანი აზროვნება) ნებისმიერი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი¹⁹³.

მეტაფორული აზროვნება ადამიანს ახასიათებდა მისი ისტორიის ადრეულ ეტაპზე¹⁹⁴. მეტაფორა არის მნიშვნელობის გადატანა მსგავსების მიხედვით (გასპაროვსკი). ამასთანავე მეტაფორა არის კომპლექსური და გამაგივივებელი აზროვნების ფორმა¹⁹⁵. მეტაფორის სიბრტყეზე გასვლა ხდება არა საგნობრივი, არამედ ჭვრეტითი ველით¹⁹⁶.

ქრისტიანობა არ იყო სანყისი სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნებისა. მან მხოლოდ გამოიყენა აზროვნების ეს სისტემა¹⁹⁷.

მეტაფორიზაციის (მსგავსების, ანალოგიის, შედარების) საფუძველზე გაჩენილი ახალი მნიშვნელობები გვაქვს შემდეგ მაგალითებში:

ქრისტე არის **მკურნალი**, რათა კურნავს ადამიანთა სულიერ უძლურობებს, ქრისტეა **მამა**, რადგან მან ხელახლა გვშვა ახალ სიცოცხლეში და თითოეულ ჩვენგანზე ზრუნავს. იგია **ძმა** და **მეგობარი**, რადგან ჩვენთან დიდი სიახლოვე აქვს; ადამიანის სულის და სხეულის გაყრას **ძილი** ენოდება¹⁹⁸.

აქ სანიშნოდ განვიხილავთ ღმერთის ეპითეტებსა და სახელებს ფსალმუნების მიხედვით, რომლებიც მოგვყავს ტიტე

192 იქვე.

193 ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. ვერბალური კომუნიკაციები. თბ., 2009, გვ. 22.

194 ლომიძე თ. მეტაფორა და მეტონიმია. ყ. „სემიოტიკა“. 5/2009, გვ. 152.

195 Фрейдберг О. М., Миф и литература древности, М., 1998, с. 116;

196 თევზაძე თ. მეტაფორასა და მეტამზერას შორის. ყ. „ცისკარი“. 1997, №2, გვ. 122-127.

197 მურღულია გ. დავითიანის მხატვრულ სახეთა სისტემა. თბ., 1997, გვ. 8.

198 ვლახოსი ი. (ნავპაკტოსისა და წმინდა ვლასიოსის მიტროპოლიტი). თვალსაჩინოებითი კატეხიზმო. თბ., 2010, გვ. 70, 73.

მოსიას წიგნიდან: „ფსალმუნის ტროპული მეტყველება“¹⁹⁹.

ქვემოთ ჩამოთვლილი ეპითეტები, რომლებიც ამაღლებულ ღმერთის დახასიათებას ემსახურებიან, საშუალებას იძლევიან, ავტორის (დავით წინასწარმეტყველის) გონების თვალთ ჩავიხედოთ უზენაესი არსების რაობის სფეროში, რათა მივილოთ სასურველი ცოდნა უფალზე. ფსალმუნთა მიხედვით ღმერთი არის:

დამამტკიცებელი: „შეგიყუარო შენ, უფალო, **დამამტკიცებელი** ჩემო“ (ფს. 17.12);

დიდი: „დიდ არს უფალი“ (ფს. 47.2; 95.4); „რამეთუ **დიდი** ხარ შენ და მოქმედი საკვირველებათა“ (ფს.85.10);

კეთილი: „ვითარ **კეთილ** არს ისრაელისა ღმერთი გულითა წრფელთათვის“ (ფს. 72.1);

კურთხეული: „**კურთხეულ** არს უფალი, რომელმან არ მიმცნა ჩუენ ნადირად კბილთა მათთა“ (ფს. 123.6);

მართალი: „რამეთუ შენ, უფალო, **მართალ** ხარ“ (ფს. 85.5);

მონყალე: „**მონყალე** არს უფალი და მართალ“ (ფს. 114.5);

მაღალი: „აუვარო უფალსა სიმართლითა მისითა და უგალობდე სახელსა უფლისა **მაღლისა**“ (ფს. 7.18); „რამეთუ შენ, უფალო, **მაღალ** ხარ ყოველსა ქუეყანასა ზედა“ (ფს. 96.9); შდრ.: „უკუეთუ მოგცეს შენ **მაღალმან** ცხორებაი“ (ძვ. აღთქმ. აპოკრიფ.);

მახლობელი: „**მახლობელ** არს უფალი შემუსვრილთა გულითა და მდაბალნი სულითა აცხოვნეს“ (ფს. 33.19);

მაცხოვარი – ეს სიტყვა არა მარტო ეპითეტია ღმერთისა, არამედ მისი ერთ-ერთი პოპულარული სახელიცაა. უფლის ეპითეტად **მაცხოვარი** პირველად დავით წინასწარმეტყველს უხმარია: „უფალი ჩემდა და **მაცხოვარ** ჩემდა“ (ფს. 26.1); „არავინ იყო მხსნელი ჩემდა, არცა **მაცხოვარ**“ (ფს. 7.3);

მსაჯული: „და უთხრობენ ცანი სიმართლესა მისსა, რამეთუ ღმერთი **მსაჯულ** არს“ (ფს. 49.6);

მფარველი: „ღმერთი ჩემი... **მფარველი** ჩემი“ (ფს. 17.13), „უფალი შემნე ჩემდა და **მფარველ** ჩემდა“ (ფს. 27.7), „მეყავ მე ღმერთი **მფარველ**“ (30.3);

199 მოსია ტ. ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა-სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი. ზუგდიდი, 1997.

მწე: „ხოლო შენ, უფალო, **მწე** ჩემდა ხარ, დიდებაი ჩემდა“ (ფს. 3,4); „ღმერთი ჩემი **მწე** ჩემდა...“ (ფს. 17.3);

მწყალობელი: „უფალო, იხსენ სული ჩემი, მონყალე არს უფალი და მართალ და ღმერთი ჩემი **მწყალობელი**“ (ფს. 114.5);

მხსნელი: „შეგიყუარო შენ, უფალო... **მხსნელი** ჩემო“ (ფს. 17.2); „ხოლო მე გლახაკ და დავრდომილ ვარი მე, ღმერთო, შემენიე მე, შემწე და **მხსნელი** ჩემი ხარი შენ, უფალო“ (ფს. 69.6);

ნათელი — ეს სიტყვა უფლის სახელიცაა და ეპითეტიც. ქრისტე თავის თავს **ნათელს** უწოდებს: „მე **ნათელი** სოფლად მოვივლინე, რადთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს“ (ი. 12.6). უფლის ეპითეტი **ნათელი** ფსალმუნთა წიგნშიც გვხვდება (ისევე როგორც ძველი აღთქმის წიგნებში): „უფალი **ნათელ** ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა“ (ფს. 26.1);

ტკბილი: „რამეთუ **ტკბილ** და წრფელ არს უფალი“ (ფს. 24.8); „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ **ტკბილ** არს უფალი, ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას“ (ფს. 33.9);

შემწყნარებელი: „აჰა, ესერა, ღმერთი მწე ჩემდა არს და უფალი **შემწყნარებელი** სულისა ჩემისა“ (ფს. 53.6);

შემწე: „შემწე და მხსნელი ჩემი ხარი შენ, უფალო“ (ფს. 69.6);

წმიდა: „აუარებდით სახელსა შენსა დიდსა, რამეთუ საშინელ და **წმიდა** არს“ (ფს. 98.5); „**წმიდა** არს უფალი, ღმერთი ჩუენი“ (ფს. 98.9);

ჭეშმარიტი: „და შენ, უფალო ღმერთო ჩემო, შემწყნარებელ ხარ და მონყალე, სულგრძელ და დიდად მონყალე და **ჭეშმარიტი**“ (ფს. 85.15).

ბიბლიურ ტექსტებში, ქართულ საეკლესიო-სასულიერო ლიტურატურაში **ავი სულებისა და ბოროტების** სიმბოლო-მეტაფორებად გამოყენებულია შემდეგი სიტყვები: **გველი, ვეშაპი, გველეშაპი, ურჩხული, ასპიტი, ვასილისკო, ღრიანკალი, სატანა, ტარტაროზი, ეშმაკი, დევი...**²⁰⁰

მცენარეთა სახელები ხშირად გამოიყენება ახალი მნიშვნელობებით. მაგალითად, **ვარდი** საეკლესიო-სასულიერო ლიტურატურაში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოა, საერო

ლიტურატურაში კი **ვარდი** ქალისა და კაცის გარეგნობას, მათ სილამაზესა და მშვენიერებას გამოხატავს²⁰¹. **ვარდი** ჰიმნოგრაფიაში იესო-ქრისტეს, წმ. მამების, მოწამის სიმბოლოცაა. დავით გურამიშვილთან **ვარდი** იესო ქრისტესაც გამოხატავს: „დავითის **ვარდო**, აბრაამის ყვავილო დაუჭკნობელო“. „დავითიანში“ **ვარდი** შეყვარებული ქალის მეტაფორად არის გამოყენებული: „ბულბულთ ნაცვლად **ვარდ-კოკობმან** რად დაგისვა ყვავი“²⁰².

შროშანი ბიბლიაში ადამიანის გარეგნობის გამოსახატავადაა გამოყენებული, ასევე ბაგეებიც მიმსგავსებულია ამ ყვავილთან: „ბაგენი მისნი **შროშან** და მომწთოლვარე მურითა სავსედ“ (ქებ. 5.19). **შროშანი** დემეტრე პირველმა (დავით აღმაშენებლის ვაჟმა) გამოიყენა ღვთისმშობლის სულიერი უმანკოების აღსანიშნავად: „ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი, / დედა, ქალწული, შუენიერი **შროშანი**“²⁰³.

მდელო და **ყვავილი** სასულიერო მწერლობაში ადამიანის სხეულის წარმავლობის მეტაფორადაა გამოყენებული. სხეული ედარება ბალახს („მწუანვილს“), რომელიც განთიადის ჟამს ჰყვავის, ხოლო შეღამებისას ჭკნება. **ყვავილი** სასულიერო ლიტურატურაში ქრისტესა და ღვთისმშობლის მეტაფორაცაა.

ასევე **ფინიკი, ნაძვი, იფქლი, ალვა, თივა, ახალნერგი** და სხვანი ქმნიან ქრისტიანულ სახისმეტყველებას.

ბიბლიის ყველა წიგნში და შემდგომაც ენაში საუკუნეთა მანძილზე შეინიშნება ტენდენცია ცხოველთა სემანტიკური ველის სიტყვათა მეორეული გამოყენებისა ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში და პირიქით, აგრეთვე საღვთო სახისმეტყველებით სიმბოლოთა სახით²⁰⁴.

მაგალითებს და მათ განმარტებებს წარმოვადგენთ გ. გვანცელაძის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან.

201 მოსია ტ. მცენარის სახისმეტყველება. თბ., 2004, გვ. 41.

202 იქვე, გვ. 41-44.

203 იქვე, გვ. 46.

204 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. თბ., 2005, გვ. 13, 19.

ფსალმუნთა და სოლომონ ბრძენის „ქებათა ქების“ საღვთო სახისმეტყველებითი სიმბოლიკის მიხედვით, **მარტორქა** ადამიანის სულიერ ამაღლებას აღნიშნავს; **ორბი** — ადამიანის სულიერ და ფიზიკურ განახლებას; **ბუ** სულიერი სიმარტოვის, სულიერი ობლობის სიმბოლოა; **ფუტკარი** — მტრის გუნდის შემოსევის გამომხატველია; **ირემი** სულის ღვთისკენ ლტოლვის, ასევე რწმენის სიმტკიცის, პოზიციის სიმყარის გამომხატველია; **ცხოვარი** — მრევლის სულიერი უმტკიცობის; მოძღვრის ყოლის აუცილებლობის; **ქურციკი** — ქალის სინორჩის, მოქნილობისა და მოხდენილობის გამომხატველია, **გუელი** კი – ბოროტი ადამიანისა.

ქართული ორიგინალური ლიტერატურული წყაროების, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, **არნივი** მძლავრი, ღონიერი ადამიანის გამომხატველია; **ლომი** — ვაჟკაცი, ტანად ბრგე, დიდებული გარეგნობის; მებრძოლი, მტრის იოლად დამმარცხებელი; გულადი, უშიშარი ადამიანია („ცნა ამირბარმან, წავიდა **ლომი** მის მზისა საძებრად“, „მათ **ლომთა** ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელი“, „ვის შვენის – **ლომსა** ხმარებად შუბისა, ფარ-შიმშერისა“, ვტ.); **ბატი** — უჭკუო, დაბნეული ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება; **ყვავი** — უზნეობისკენ მიდრეკილი ადამიანია; **ვეფხვი** – ჩაუქი, მარდი, ფიზიკურად ძლიერი, მებრძოლი; **კაკაბი** — ფიზიკურად სუსტი ქალის სიმბოლოა; **იადონი** — ტკბილად მომღერალი; **კურო** გაუთხოვარი ან ქმრიანი ქალის საყვარელია; **ჯორი** ჯიუტი ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება; **დათვს** უწოდებენ მოუხეშავ, ტლანქ ადამიანს; **თხა** დაუფიქრებელი, ცეტი, ხოლო **ცხვარი** მშვიდი და წყნარი ადამიანია. **მელა** – ჩუმჩუმელა, ვერაგი, ქვეშქვეშა ადამიანი; **ქორი** — მამაცი, მძლეთამძლე; **ვირი** — თავდაცვის უნარის უქონელი, სუსტი; **უდრტვინველი**; **შეუგნებელი** ადამიანის აღმნიშვნელია და ა. შ.²⁰⁵

მეტაფორიზაციის იმავე პროცესის შედეგები დასტურდება თანამედროვე ქართულ სამნიგნობრო ენასა და დიალექტბუიცი. აღსანიშნავია, რომ ცხოველთა სახელების ადამიანის მეტა-

ფორებად გამოყენების დამადასტურებელი ამჟამინდელი ქართული ენის მდიდარი ენობრივი მასალა წარმოდგენილი აქვს გ. გვანცელაძეს საგანგებოდ შედგენილ პრაგმატიკულ ლექსიკონში²⁰⁶, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად თითქმის ნებისმიერი ცხოველის სახელი ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მეტაფორად ხშირად გამოიყენება და ამ დროს მათ უამრავი ახალ-ახალი მნიშვნელობა გასჩენია, ანუ პოლისემია ასეთ სახელებში მეტად პროდუქტიულია.

ენაში დამკვიდრებული უზუსური გადატანითობა ემყარება ხანგრძლივ ტრადიციას, ძველ შეხედულებებს და გადაჯაჭვული ისტორიულ-გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ეთნოფსიქოლოგიურ მომენტებთან²⁰⁷.

დავძენდით, რომ ყველა დასახელებულ და მსგავს შემთხვევაში მეტაფორიზაცია ძალზე პოპულარული წყაროა პოლისემიისათვის და მას მუდამ თან ახლავს მკაფიოდ გამოკვეთილი დადებითი, ან უარყოფითი კონოტაცია.

რაც შეეხება აფხაზურ ენას, მეტაფორა იქაც ძალზე გავრცელებული ხერხია პოლისემიის წარმოქმნისა, თუმცა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აქ შემოვიფარგლებით ცალკეული ტიპური მაგალითების მოხმობით, რომლებიც ემყარება აფხაზური ფოლკლორის მონაცემებს²⁰⁸.

აფხაზურ ენაში **ა-გვზმალ** სახელს, ერთი მხრივ, აქვს ძირითადი სემანტიკა „ემშაკი, სატანა, ბოროტი სული“, მაგრამ იმავე სიტყვას მეტაფორული გადააზრებების შედეგად მიუღია ახალი მნიშვნელობები: 1. „მოხერხებული ადამიანი“; 2. „ცბიერი, ფლიდი ადამიანი“, 3. „მავნე, ბოროტი ადამიანი“; **ა-გვზმალ** სიტყვის სინონიმი **ა-ვგსთაა** „ემშაკი, სატანა, ბოროტი სული“ ბოროტი, მაცდური და დაუნდობელი ადამიანის მეტაფორად გამოიყენება;

ა-ლგმ „ლომი“ – ფიზიკურად ძლიერი, დაუმარცხებელი ვაჟკაცის აღმნიშვნელია;

206 იხ. გვანცელაძე გ. ადამიანი და ცხოველი. ცხოველთა სახელებთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატული ლექსიკონი. თბ., 2009.

207 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. თბ., 2005, გვ. 7.

208 ჯანაშია ს. შრომები, ტ. IV. თბ., 1968.

3.3. ტერმინოლოგიზაცია

- ა-ჯ „მუხა“ – ღონიერი და ტანმკვრივი მამაკაცისა;
- ა-ბგანჯჯ „მელია“ – ქვეშევეშა, ცბიერი, ცრუ და მოხერხებული კაცისა;
- ა-კაფკაფ „შურთხი“ – ლამაზი, ტანადი და ტკბილხმოვანი ქალწულისა;
- ა-ჩადა „ვირი, სახედარი“ – ჯიუტი, მოუხეშავი, შეუგნებელი ადამიანისა (უპირატესად მამაკაცისა);
- ა-დაწა „ვარსკვლავი“ – ლამაზი, ტანადი ქალწულისა;
- ა-ჯმა „თხა“ სხვადასხვა კონტექსტში ჯიუტი, თავნება, მოუსვენარი, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ადამიანების მეტაფორაა და ა.შ.

წარსულში აფხაზებს მგელი და დათვი ტოტემებად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, სიტყვა **აბგადუ** „მგელი“ ახლაც კი გამოიყენება ბოროტი, სასტიკი, უშიშარი და/ან ურცხვი ადამიანის მეტაფორად; ლეკვის სახელი **ალასბა** იხმარება მლიქვნელის მეტაფორად; მტრედის სახელი **აჰჰჰ** და კრავის სახელი **ასღს** – უწყინარი, ალალი და რბილი ხასიათის მქონე ადამიანისა; ყორნის სახელი **აყრაან** – უწმინდური ადამიანისა და ა.შ.²⁰⁹.

მეტაფორის როლს სიტყვების ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნაში ადასტურებს აფხაზური ენის სხვა მონაცემებიც, რომლებსაც უკომენტაროდ ჩამოვთვლით:

- მსა – 1. მახვილი (იარალი); > 2. ჩია ტანის ადამიანი;
- აბაჯ – 1. ძვალი; ფხა. >2. ჩონჩხედი, კარკასი;
- ა-ბაჯნატრა – 1. სახსარი, სადრეკი; > 2. ნიჭი, ტალანტი;
- ა-კაჭბედ – 1. დანაყილი ნიგვზის გუნდა ურწყულის გამონურვის შემდეგ; > 2. ხელმოჭერილი, ძუნწი, კრიჟანგი, წუნურაქი;
- ა-ფგნწა – 1. ცხვირი; > 2. წვერი, წვეტი;
- ა-ქატ – 1. ხის ქერქვეშა კანი; > 2. ნაქაფი; ქაფი და მრავალი სხვ.

მოკლედ რომ შევაჯამოთ ზემოთ თქმული, აფხაზური მეტაფორათა სისტემა ისეთსავე აქტიურ როლს ასრულებდა სიტყვათა ახალი სემანტიკის წარმოქმნაში, როგორც ეს ქართულ ენაშია.

პოლისემიის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს დარგობრივი ტერმინოლოგიის საჭიროებანი. როგორც, ბ. ფოჩხუა აღნიშნავს: „პროფესიულ დიალექტს, სპეციალურ ენას აქვს თავისი სპეციალური ლექსიკური ფონდი, განსხვავებული საერთო ენის ლექსიკური ფონდისგან. ამ სპეციალურ ლექსიკურ ფონდში შესულია საერთო ფონდის სიტყვებიც, რომელთაც სპეციალურ ენაში სპეციალური მნიშვნელობები მიუღიათ; სპეციალური ენა საერთო ენის სიტყვათა სემანტიკური სპეციალიზაციით ხასიათდება... ლექსიკონში სიტყვის განმარტებასთან ერთად ხშირად მიითვლება იმ დარგზე, რომელშიც ეს სიტყვა ან სიტყვის ეს მნიშვნელობა იხმარება. თუ ასეთი მიითვების მქონე სიტყვებს ამოვკრებდით და დარგობლივად დავალაგებდით, თვალწინ გადაგვეშლებოდა საინტერესო სურათი სპეციალური ენების მონაწილეობისა საერთო ენაში“²¹⁰.

ცნობილია, რომ კოლექტივი განაპირობებს და ახდენს სიტყვათა დაჯგუფებას მოლაპარაკეთა საქმიანობის შესაბამისად. ყოფითი რეალობა, ენის მომხმარებლის საქმიანობა განსაზღვრავს ლექსემათა სალიტერატურო მნიშვნელობების ცვლით მათ ტერმინებად დამკვიდრებას²¹¹.

სემანტიკური პროფესიონალიზმების საერთო ენაში შესვლის ტიპურ მაგალითად ბ. ფოჩხუას მოჰყავს **თანამგზავრი**: „ხელოვნური თანამგზავრი ორბიტაზე გავიდა“. ავტორი წერს: **თანამგზავრი** საბას ლექსიკონში არ გვხვდება. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ამ მნიშვნელობით (спутник) ნახმარია **თანამოგზაური**, **თანა-მეგზავე** (იქვე მოყვანილია ფრაზა: მთოვარე არს **თანამოგზაური** ქვეყნისა). დ. ჩუბინაშვილისავე ქართულ-რუსულ ლექსიკონში ამათ გარდა მოხსენებულია **თანამავალიც**. **თანამავალი** დასტურდება გრ. ორბელიანის „სადღეგრ-

209 იქვე; ზუზბა ს. აფხაზური ზეპირსიტყვიერება. თბ., 1988, გვ. 224-225.

210 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. ყ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. 1960, ტ. XII, გვ. 114.
211 ფხაკაძე ნ. სემანტიკური დიალექტიზმი. ყ. „საენათმეცნიერო ძიებანი“. 2009, ტ. XXX, გვ. 153.

ძელოს“ პირველ ორ ვარიანტში და პირველ ნაბეჭდშია შეცვლილი **თანამგზავრით** (შენც **თანამგზავრად** შეგვექმნენ ნაცვლად ადრინდელისა: **თანამავალად** შეგვექმნენ). ეს სიტყვა გვხვდება ილიასთანაც 1858 წლიდან და სხვა ავტორებთანაც (ალ. ყაზბეგი, ე.ნინოშვილი, აკაკი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი...). ყველა შემთხვევაში თანამგზავრი „**სხვის გვერდით მავალს**“ ნიშნავს.

თანამგზავრს დღეს აქვს მეტად სპეციალური მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა, ასტრონომთა ენიდან შემოსული, უკვე დამკვიდრდა დღევანდელ საერთო ქართულში და ამრიგად **თანამგზავრს** ერთი მკაფიოდ გამოხატული მნიშვნელობა დაემატა, თანაც გაჩნდა გამოთქმა **ხელოვნური თანამგზავრი**²¹².

სპეციალური დარგობრივი საჭიროებისათვის ენაში უკვე არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობების წარმოქმნას შეიძლება **ტერმინოლოგიზაცია** ვუწოდოთ.

სპეციალური ენიდან სალიტერატურო ენაში დამკვიდრების სხვა მაგალითებია: **აბაზანა, ათეული, ამჟღავნებს, ანაბარი, ბელტი, გაკრიალება, მუცელი, ძარღვი, სიღამპლე, ტივტივა, საპოხი...**

აბაზანა არის „საბანაოდ ან წყლით მკურნალობისათვის გამოყენებული ჭურჭლის სახელი,“ ხოლო სპეციალური მნიშვნელობით არის „სააბაზანო პროცედურა“: „ექიმმა თხუთმეტი **აბაზანა** დამინიშნა“; „სპეციალური **აბაზანები** მიიღო“ (ს. კლდიაშვილი).

ათეული — ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობაა „საანგარიშო ერთეული, რომელიც ათ ცალ რამეს შეიცავს“. სპეციალური მნიშვნელობებით გამოიყენება მათემატიკის, სამხედრო და მიწათმოქმედების სფეროებში და აღნიშნავს: 1. მრგვალ ციფრს, რომელიც ნულზე ბოლოვდება (მათემატ.); 2. ჯარის უმცირეს ქვედანაყოფს (სამხ. ტერმინი); 3. მომკილის საზომ ერთეულს – ყანაში სახელდახელოდ ერთ ზვინად დადგმულ თერთმეტ ძნას (მიწათმოქმედების ტერმინი).

ამჟღავნებს — ამ სიტყვის მნიშვნელობად საბა უთითებს

212 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. უ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. 1960, ტ. XII, გვ. 115-116.

„გამხილებას“. საერთო სახალხო ენაში ნიშნავს გამოაშკარავებას, დაფარულის გაცხადებას, ხოლო სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება ფოტოგრაფიასა და კინემატოგრაფიაში და აღნიშნავს ფირის სპეციალურ დამუშავებას, რის შედეგადაც ფირზე გამოისახება გადაღებული კადრი.

ანაბარი — ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობაა „სხვისთვის მიბარებული რამ“: „**ანაბარი** მგელმაც იცისო“ (ანდაზ.). სიტყვა გამოიყენება საბანკო საქმეშიც კრედიტისა და ანგარიშწარმოების ტერმინად.

ბელტი არის მინის მონაკვეთი, ჩვეულებრივ ბარით ან სახნისით ამოჭრილი. ამ სიტყვის სპეციალური მნიშვნელობაა „ქვანახშირის ან შავი ქვის ჩამონაკვეთი (ან ნატეხი), ქვანახშირის ბელტი“. **ბელტი** სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება გეოლოგიაშიც და აღნიშნავს „გეოლოგიურად ერთიან მასივს“ (საქართველოს ბელტი).

გაკრიალება სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა „კრიალად გახდომა, გალაპლაპება (ჭურჭლის, იატაკის...)“. სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება სადურგლო საქმიანობაში და ნიშნავს სარკისებური ზედაპირის მიღებას სპირტიანი ლაქის მრავალი, მეტად თხელი ფენის დადებით.

მუცელი არის სხეულის ნაწილის სახელი, მაგრამ იგივე სიტყვა მრეწველობის ტერმინიცაა, კერძოდ, მექოთნეობაში აღნიშნავს თიხის ჭურჭლის (ქოთნის, დოქის, ქვევრის...) გამობერილ ნაწილს.

ძარღვი არის: 1. სისხლის სადინარი ელასტიკური ღრმული ცხოველის ორგანიზმში; 2. მყესი; 3. ნერვი. სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება ბოტანიკაში, ენტომოლოგიასა და გეოლოგიაში: ძარღვები არის წვრილი ხაზები, რომლებითაც დაფარულია მცენარის ფოთლები და მწერის ფრთები (ბოტან., ენტომ.), ხოლო გეოლოგიაში აღნიშნავს რაიმე მადნით ამოვსებულ ნაპრალს დედამიწის ქერქში („იმის ნაშრომ-ნალვანს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს“, აკაკი).

სიღამპლე არის „დამპლის თვისება“: „თუ საღ ვაშლს დადებთ დამპალ ვაშლთან, იმას უთუოდ **სიღამპლე** გადაეღება“ (ი. გო-

გებაშვილი) // „გახრწნა, ამშორება, ამყაყება (წყლისა)“, ასევე გადატანით ნიშნავს „მორალურად დაცემას, გარყვნილებას, გახრწნილებას“. სიტყვა სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება მეფუტკრეობის ტერმინად: „ფუტკრის ერთგვარი ავადმყოფობა, რომელიც იწვევს ფუტკრის მასობრივ მოსპობას“ (ქეგლ).

ტივტივა სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა „კორპის ან ხის ნაჭერი, რომელიც მიბმულია ანკესის ძაფზე ან სათევზაო ბადეზე და წყალში არ იძირება. – ლივლივა“. სპეციალური მნიშვნელობებით გამოიყენება სამხედრო, ავიაციისა და ტექნიკურ სფეროებში და აქვს მნიშვნელობები: 1. „ჰაერით სავსე გარეზინული ტომარა (ტიკი), რომელიც გამოყენებულია წყალზე გადასვლის დროს ბორნის ან ხიდის გასამართავად, იგივე ნავტიკი“ (სამხ. ტერმინი); 2. „პატარა ნავის მსგავსი მოწყობილობა, რომელიც თვლების მაგივრად აქვს მიმაგრებული ჰიდროთვითმფრინავს“ (ავიაციის ტერმინი); 3. „სითხის დონის სარეგულაციო მოწყობილობა, რომელიც სითხეში არ იძირება“ (ტექნიკური ტერმინი).

საპოხი სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობაა, ერთი მხრივ, „რასაც პოხავენ“ და, მეორე მხრივ, „რითაც პოხავენ – წასასმელი, წასაცხები (ცხიმეული)“, თუმცა სოფლის მეურნეობის სფეროში გამოიყენება სპეციალური მნიშვნელობით: „გასაპოხიერებელი, რითაც აპოხიერებენ“. „საშემოდგომო ხორბლისათვის **საპოხ** ნივთიერებათა შეტანის საჭიროება დიდია“ (ი. ლომოური). ჩვენი სავლელე მასალის მიხედვით, **გაპოხიერება** დასავლეთ საქართველოში მინის **განოყიერებას** ნიშნავს.

ნ. ქეცბაიას გამოვლენილი აქვს ისეთი შემთხვევები, როცა ქართული ენის დიალექტებში სამშენებლო ტერმინოლოგია შევსებულია ჩვეულებრივი სიტყვების ტერმინოლოგიზაციის, ანუ საგანთა მეორადი ნომინაციის გზით. მაგალითად, მკვლევარი აღნიშნავს, რომ დიალექტებში სახურავის მთავარი კოჭის, **თავხეს** აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვები: **სათავე, საყვავე, საგულე**²¹³. იგივე სიტყვები სამნიგნობრო ენაშიც დასტურდება და ა. შ.

213 ქეცბაია ნ. თანამედროვე ქართული სამეცნიერო სამშენებლო ტერმინოლოგიზაციის ჩამოყალიბებისათვის. უ. „ფილოლოგიური პარალელები“. 2013, №6, გვ. 180.

მსგავსი პროცესები ხდება აფხაზურ ენაშიც, სადაც ტერმინოლოგიზაციის გზით ენაში უკვე არსებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობები ენიჭება. მაგალითად:

ჩვეულებრივ აფხაზურ მეტყველებაში სიტყვა **ააღწ** აღნიშნავდა რაიმე საქმიანობის შედეგს და ამას განაპირობებდა სიტყვის სტრუქტურა. **აა-ღწ** წარმოადგენს „ერთგვარ საგანთა ერთობიდან აქეთკენ გამოსვლის“ ამოსავალი სემანტიკის მქონე **აა-ღწ-რა** ზმნის მიმღობას, რომელიც შედეგადაა აქეთა მიმართულების **აა-** ზმნისწინისაგან, გარდაუვალ ზმნათათვის დამახასიათებელი ერთგვარ საგანთა ერთობიდან გარეთკენ მიმართული მოქმედების აღმნიშვნელი **ღწ-** ფუძე-წინდებულისა და ასევე გარდაუვალ ზმნათათვის დამახასიათებელი **-წ** ძირ-სუფიქსისაგან. შესაბამისად, მიმღობას თავდაპირველად ექნებოდა „ერთგვარ საგანთა კრებულიდან აქეთკენ გამოსვლის“ მნიშვნელობა. შდრ. **ააღწრა** ზმნის ფორმა **დააღწიღ** „იგი (ადამ.) რაღაც ერთობიდან (მაგ., ტყიდან) აქეთკენ გამოვიდა“. მომდევნო ეტაპზე **ააღწ** მიმღობამ ასოციაციურობის ნიადაგზე შეიძინა ორი ახალი, ერთმანეთთან ახლომდგომი მნიშვნელობა: 1. **“ნაკეთობა”**; 2. **“შედეგი”**. ამ ახალ მნიშვნელობებში იგულისხმება შინამრეწველურ-კუსტარული წარმოების შედეგები: ერთგვარი მასალისაგან (წნელებისგან, ფიცრებისგან, თიხისგან...) ტიპურისაგან, ნაკეთობის, როგორც შრომის შედეგისმიღება. ამჟამად აფხაზურ ენაში **ააღწ** სიტყვის სემანტიკა **“შედეგი”** უკვე მოძველებულ მნიშვნელობათა კატეგორიას განეკუთვნება, რაც აღნიშნული აქვს რუსულ-აფხაზური ლექსიკონის ავტორს ვ. კასლანდიას²¹⁴. სიტყვის სემანტიკური ცვლილებების ბოლო ეტაპზე **ააღწ** მიმღობამ ტერმინოლოგიზაციის გზით განივითარა კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობა და გადაიქცა საერთაშორისო ეკონომიკური ტერმინების **“პროდუქტისა”** და **“პროდუქციის”** აფხაზურ შესატყვისად. მაგალითად, **აკომპანიაააღწ** „კომპანიის პროდუქცია“. საყურადღებოა ისიც, რომ ამავდროულად იგივე მნიშვნელობის დასტოთა პერიოდში შეიქმნა ახალი სიტყვები (ნეოლოგიზმები):

214 Касландзия В.А. Абхазско-русский словарь. Том I. Сухум[и], 2005, с. 32;

ააღწევა „ნახევარ ფაბრიკატი“ და ააღწევა „პროდუქციის სახეობა“.

ჩვეულებრივ აფხაზურ მეტყველებაში სინტაგმა **ააფენ(ტი) კაკაჭ** ნიშნავს „გაზაფხულის ყვავილს“, მაგრამ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში **ააფენ კაკაჭ** უკვე ხალხის (და არამეცნიერთა) მიერ შექმნილი სპეციალური ტერმინია და აღნიშნავს ერთ-ერთ მცენარეს, რომელიც გაზაფხულზე ლამაზ ყვავილებს იხსამს. მაშასადამე, ენამ ხელოვნური ჩარევის გარეშე, თვითონ მოახდინა სინტაგმის კომპოზიტად ქცევა და ტერმინოლოგიზება.

სიტყვა **აბ** აფხაზურ ენაში ორ რამეს ნიშნავს: 1. „მამა“; 2. „დაკოდილი ვაცი“. ჩვენი აზრით, მეორე მნიშვნელობა, რომელიც მეცხოველეობის ტერმინია, მომდინარეობს პირველისაგან ტერმინოლოგიზაციის გზით – საერთო ნიშანი ადამიანისა და ცხოველის რეალური სქესის ასოციაციური კავშირია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად საქმე ომონიმიასთან კი არ გვაქვს, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ პოლისემიის წარმოქმნასთან. აქვე უნდა დავძინოთ, რომ **აბ** სიტყვა ისტორიულად ***აბა** ფორმის მქონე იყო²¹⁵ და ეს ამოსავალი ფორმა უნდა არსებულიყო უკვე იმ ეტაპზე, როცა მამის აღმნიშვნელ ამ სიტყვას დაეკისრა მამრობითი სქესის თხის აღნიშვნის ფუნქციაც.

იმავე **აბ(ა)** „მამა“ სიტყვისაგან მომდინარეობს კომპოზიტი **აბაძიძე** „აღმზრდელი მორდუობის წესით, მორდუ, მამამძიძე“, რომლის პირველი კომპონენტი ხსენებული **აბ(ა)** ფუძეა, ხოლო მეორე კომპონენტად ქართულიდან ნასესხები **ა-ძიძე** „ძიძა“ გვევლინება. მთლიანად **აბაძიძე** სიტყვა ქართული **მამამძიძე**-ს სრული კალკია. ამ კომპოზიტს აფხაზურ ენაში ქრისტიანული ტერმინოლოგიის საჭიროებათა გამო გაუჩნდა ახალი სემანტიკა – **აბაძიძე** სიტყვა აღნიშნავს ნათლიას (მამაკაცს). ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ დედის აღმნიშვნელ **ან** [***ანა**]²¹⁶

215 ლომთათიძე ქ. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1977, 83-85.

216 იქვე.

– სიტყვისგანაც ანალოგიურადაა ნაწარმოები ძიძის აღმნიშვნელი **ანაძიძე** კომპოზიტი, ოღონდ სხვაობას ის ქმნის, რომ ამ უკანასკნელ სიტყვას აღარ განვითარებია „ნათლია ქალის“ სემანტიკა. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ტერმინოლოგიზაციის ფაქტორი პროდუქტიული აღმოჩნდა, მეორე ანალოგიურ შემთხვევაში კი – არა.

ქართული ენიდან აფხაზურში შესულ **აბანა** სიტყვას აფხაზურში, ქართულის მსგავსად, აქვს ორი მნიშვნელობა: 1. „აბანო“; 2. „სამკურნალო-ბალნეოლოგიური წყლის საბადო, სადაც სნეულები მკურნალობენ“. ორსავე ენაში მეორე მნიშვნელობა ახალია და ერთნაირადაა წარმოქმნილი სამედიცინო ტერმინოლოგიის საჭიროებათა გამო.

აფხაზური ზედსართავი სახელი **აბა** თავდაპირველად ნიშნავდა და დღესაც ნიშნავს „ნედლს; ჭყინტს“, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ეკონომიკის ტერმინოლოგიის საჭიროების გამო მან შეიძინა ახალი სემანტიკა და აღნიშნავს „ნედლეულს“. მაგალითად, **ააგლხრაჭ აბა** „სამრეწველო ნედლეული“.

სიტყვა **აბანგჰარა** ეტიმოლოგიურად „ერთმანეთის დალოცვას“ ნიშნავს: მის სტრუქტურაში გამოიყოფა საერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მანარმოებელი **აბა-** თავსართი, რომელიც ერთვის **ანგჰარა** „ლოცვა; დალოცვა“ ზმნის ფუძეს. შესაბამისად, პირიანი ფორმა **აბანგჰარა** ქართულად ითარგმნება როგორც „მათ ერთმანეთი დალოცეს“, მაგრამ ამ მნიშვნელობის გარდა **აბანგჰარა** სიტყვას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ განუვითარდა ეთნოლოგიურ-რელიგიურ-სოციალურ რეალიებთან დაკავშირებული ახალი სემანტიკა: „მტრების შერიგება წარმართულ სალოცავში, ანდა ქრისტიანული ხატის წინ“. შესაბამისად, **აბანგჰარა** ფორმამაც ენაში შეიძინა მნიშვნელობა: „ისინი შერიგდნენ სალოცავში“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მტრად მოკიდებული ადამიანები სალოცავში ჯერ სიტყვიერად მიუტევებდნენ ერთმანეთს დანაშაულს, რის განსამტკიცებლად და დასადასტურებლად იქვე საჯაროდ ლოცავდნენ ერთიმეორეს.

აფხაზ ენათმეცნიერს ანატოლი ხეციას მოჰყავს საყურადღე-

ბო მაგალითები პოლისემიის გზით ტერმინოლოგიზაციისა. დავიმოწმებთ ორიოდ მაგალითს:

სიტყვა **აჟახა** (<აჟა „სიტყვა“ + ახჟ „წილი, ხვედრი“) სამნიგნობრო ენასა და ცოცხალ სამეტყველო ენაში აღნიშნავდა და აღნიშნავს: 1. „ცნობას, ამბავს; ხსენებას“; 2. „ვინმეს თხოვნით ლაპარაკი“, მაგრამ ტერმინოლოგიის საჭიროებამ სიტყვას XX საუკუნის 30-იან წლებში შესძინა „მოსხენების, საჯარო გამოსვლის“ ახალი, მესამე მნიშვნელობა²¹⁷.

ადაჯა სიტყვას თავდაპირველად ჰქონდა მნიშვნელობა „გვერდი (სხეულის ნაწილი, ნაგებობის გვერდითი ნაწილი)“, მაგრამ მოგვიანებით სიტყვას გაუჩნდა ახალი მნიშვნელობები: ჯერ „ნიგნის, რვეულის გვერდი“, შემდგომ კი – „პერიოდი, ეპოქა; ეტაპი“²¹⁸.

სიტყვა **აშხემს** „ზღურბლი (კარისა)“ ტერმინოლოგიზაციის შედეგად უკვე გამოიყენება რაიმე პროცესის დასაწყისი დროის აღმნიშვნელად²¹⁹ და ა.შ.

აფხაზურ ენაში გარდა ზემოთ განხილული ტერმინოლოგიზაციის ქართულისებური შემთხვევებისა, **ტერმინოლოგიზაციის განსხვავებული, ორიგინალური გზებიც**: ეს ენა ახალი მნიშვნელობების წარმოსაქმნელად ხშირად იყენებს **მახვილის სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციასაც** და **ერთი და იმავე სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებისათვის განსხვავებულ მნიშვნელობათა მიკუთვნების ხერხსაც**. ზოგჯერ ორივე ეს ხერხი ერთდროულად მოქმედებს და ერთი და იმავე სიტყვებისგანაც წარმოიქმნება ახალი სიტყვები, მათ შორის სპეციალური ტერმინებიც. მაგალითად:

ჩვეულებრივ მეტყველებაში არსებობს ძველი ლექსიკური ერთეულების ანტონიმური წყვილი: **არცა** „გამოღმა, გადმოღმა, ამიერ“ და **ნჯრცა** „გალმა, გადაღმა, იმიერ“. მათ საერთო ძირი აქვთ, ხოლო სხვაობას, ქართულის მსგავსად, მიმართულების ზმნისწინები ქმნიან. ამ ორი ზმნისართისაგან აფხაზურმა ენამ

რელიგიური ტერმინების შექმნის საჭიროებისათვის, ერთი მხრივ, ადგილი მოუცვალა მახვილს, მეორე მხრივ კი შეცვალა ხმოვნები და ამ გზით აწარმოვა სააქაოსა და საიქიოს ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები: **აარცაჯ** „სააქაო“ და **ნარცაჯ** „საიქიო“. სქემატურად ეს ამგვარად წარმოიდგინება:

არცა „გამოღმა, გადმოღმა, ამიერ“ > **აარცაჯ** „სააქაო“;

ნჯრცა „გალმა, გადაღმა, იმიერ“ > **ნარცაჯ** „საიქიო“.

ზემოთ განხილული ქართული და აფხაზური მაგალითები იძლევა შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას: **დარგი საერთო ენის ლექსიკური ფონდიდან აღებულ სიტყვებს იყენებს სპეციალური სემანტიკით. ახალი მნიშვნელობის გაჩენას საფუძვლად უდევს ასოციაციურობა, საერთო მახასიათებელი ნიშნის არსებობა**. სიტყვას სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. მათი შეხვედრა საერთო ენაში იძლევა **პოლისემიას**.

საერთო ენის კუთვნილი სიტყვის გამოყენება სპეციალურ ენებში შემთხვევითი არ არის. ანალიზის გზით შესაძლებელია ამოსავალ მნიშვნელობასა და სრულიად ახალ, სპეციალურ მნიშვნელობას შორის კავშირის აღდგენა (მაგალითები იხ. ზემოთ). ამდენად, ეს მნიშვნელობები მონყვეტილი არ არის ამოსავალ მნიშვნელობას. გამონაკლისს ქმნიან სემანტიკური დიალექტიზმები და ჟარგონი, რომლებიც ყოველთვის გვერდით არ ამოუდგება სალიტერატურო ენის მნიშვნელობებს. სიტყვის სალიტერატურო და დიალექტურ სემანტიკას მუდამ არ მოეძებნება საერთო მახასიათებელი ნიშანი.

ნაშრომის ამ მონაკვეთში განხილულ მაგალითებშიც სიტყვას მუდამ აქვს ამოსავალი მნიშვნელობა, მაგრამ როცა მას იყენებს დარგი, მოცემული სიტყვა საერთო ენაში ბრუნდება ახალი, მკვეთრად განსხვავებული სპეციალური მნიშვნელობით.

217 Хещня А.Д. Неологизмы в абхазском языке, Тбилиси, “Мецниერება”, 1988, с. 110-111.

218 იქვე, გვ. 112.

219 იქვე.

3.4. სტილი

როგორც ცნობილია, საზოგადოებაში გამოიყოფა სხვადასხვა სოციალური ჯგუფები. სოციალური ჯგუფების ენობრივი კოლექტივები გამოხატავენ თავიანთი სოციალური ჯგუფების შეხედულებებს და ხასიათდებიან მეტყველების თავისებურებებით. „...იმის მიხედვით, თუ რა ორიენტაციის, განათლების, სოციალური საქმიანობისაა მოლაპარაკე (ან ჯგუფი), მის მეტყველებას გააჩნია გარკვეული თავისებურებები ენის ყველა დონეზე (ფონეტიკ., მორფ., სინტაქს.)“²²⁰. **სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიერ გამოყენებული მეტყველების სტილი და სიტყვათა მნიშვნელობები ხშირად განსხვავდება სალიტერატურო ენის მნიშვნელობებისგან. ამდენად, სტილი სოციალურ ფაქტორთან ერთად არის ერთ-ერთი სამოტივაციო მოვლენა სიტყვის ახალი მნიშვნელობების გაჩენისა.**

გამოყოფენ სოფლურ (გლეხურ), მდაბიურ, ქალაქურ (ხელოსნურ) მეტყველებას, ანუ სტილს (ბ. ფოჩხუა, ბ. ჯორბენაძე). „ბიჭბუჭების სიტყვები“ უნოდა ბარბარე ჯორჯაძემ ილიას მიერ სამწერლო ქართულში დანერგილ სასაუბრო ენის ნიმუშებს (ქეგლ 1, 024). ასევე გვხვდება ასაკობრივი ფაქტორით შეპირობებული სტილური დიფერენციაცია და მნიშვნელობასთან ნაზიარები სოციალური ჯგუფის მეტყველება (ბ. ჯორბენაძე). შენიშნულია ერთგვარი განსხვავება სქესის მიხედვითაც – მამაკაცისა და ქალის ენობრივი სხვაობის შემთხვევები (ბ. ფოჩხუა). არსებობს საგანგებო „ქალური სიტყვები“ და სხვ. ა. არძენაძე წერს: განსხვავება ქალისა და მამაკაცის მსოფლმხედველობას შორის მნიშვნელოვნად იჩენს თავს კომუნიკაციისას, რომლის განხილვა შეუძლებელია ენის გარეშე. ენის საშუალებით გამოიხატება მსოფლმხედველობა, მამასადამე, გენდერული თავისებურებანიც. ენის კვლევა გენდერული ლინგვისტიკის თვალსაზრისით აჩვენებს, რომ მამაკაცების ენა და მეტყველება ხასიათდება აგრესიულობით, ლაკონურობით. ქალების ენა და მეტყველება

220 ტაბიძე მ. ლექსიკურ ნასესხობათა ზოგი საკითხის შესახებ. ჟ. „ქართულური მემკვიდრეობა“. ქუთაისი, 1996, ტ. I, გვ. 230.

კი გამოირჩევა სინაზით, ემოციურობით, გრძნობების სიუხვით. ქალური მეტყველება ხორციელდება კონკრეტული ლინგვისტური საშუალებებით: შემფასებლური სიტყვების სიუხვით, შორისდებულების გამოყენებით, ძახილის წინადადებების სიტყვებით, წამქეზებლური წინადადებებით, კითხვითი წინადადებებით. ქალების მეტყველება მამაკაცების მეტყველებასთან შედარებით გაჟღერებულია დამარწმუნებელი გამონათქვამებით²²¹.

ბ. ჯორბენაძის მიხედვით, „ზოგ სხვა მახასიათებლებთან ერთად ყოველი... ფენისათვის ნიშანდობლივი თავისებურება მეტყველებითაც ვლინდება. სხვადასხვა სოციალური ჯგუფები მეტყველებითაც განირჩევა“²²².

საბას ერთმანეთთან დაპირისპირებული აქვს მსოფლიო ენა და სამღვდელო ენა. ამიტომ სავარაუდებელია, რომ მსოფლიო, ამ კონტექსტში მაინც „ერისკაცს“, „არასასულიერო პირს“ ნიშნავს და არა უსათუოდ გლეხს, თუმცა შესაძლებელია „გლეხის“ მნიშვნელობითაც არ იყოს ეს სიტყვა უცხო საბასთვის. მისი სიტყვით, „გლეხური – მდაბიური“ არის, ხოლო „მდაბიო– მსოფლიო“. საბას დროს ბებია „ბებია ქალის“ მნიშვნელობით გლეხური სიტყვა იყო: „ბებია – გლეხნი ყრმათ ამქმელს უნოდენ“²²³.

აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა მეტყველების კუთვნილებაა კაცის ერთ-ერთი მნიშვნელობა „ქმარი“, აგრეთვე, დედაკაცის ერთ-ერთი მნიშვნელობა „ცოლი“ და ეს მნიშვნელობები სალიტერატურო ენაში შემოვიდა გლეხთა ყოფის აღწერასთან ერთად²²⁴. დასავლეთ საქართველოშიც ასევე ხდება: კაცი აღნიშნავს ქმარს, ხოლო ქალი — ცოლს. მაგალითად: ჩემი კაცი „ჩემი ქმარი“, ჩემი ქალი „ჩემი ცოლი“.

პროფ. ქ. მარგანის მიერ ზეპირად მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბალსქვემოურში, განსხვავებით ბალსზემოურისაგან, სადაც ზურალ არის „ქალი“, ხეხვ კი — „ცოლი“.

221 არძენაძე ა. გენდერი და ენობრივი მანიპულირება. ჟ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“. 2010, №11.

222 ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია. ტ. 1, თბ., 1989, გვ. 42.

223 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. ჟ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1960, ტ. XII, გვ. 124.

224 იქვე.

ბალსქვემოურში **ხეხვარ** ე.ი. მრ. რიცხვის ფორმას „ცოლები“ აქვს სემანტიკა „ქალებისა“. ბალსქვემოურში ეს სემანტიკური გადასვლა, უთუოდ, დასავლურ ქართულ დიალექტთა გავლენას მიეწერება.

საყურადღებოა, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვან მონაცემებს გვანდის აფხაზური ენა, რომელშიც სიტყვები **ა-ხანა** „მამაკაცი, კაცი“ და **ა-ფჰს** „ქალი, დედაკაცი“ არა მხოლოდ გვხვთა, არამედ ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი აფხაზის მეტყველებაში გამოიყენება შედარებით მეორეული მნიშვნელობებით: „ქმარი“ და „ცოლი“, ანუ აფხაზურში მამაკაცისა და ქალის სახელებმა იმდენად ბუნებრივად მიიღეს ახალი მნიშვნელობები, რომ დასახელებულ სიტყვებს საყოველთაოდ მიენიჭა ნეოსემანტიკა.

მეტყველების სტილების აღსანიშნავად ქართულში არაერთი ტერმინი გამოიყენება: **ნიგნური** – სალიტერატურო ენის, ხოლო **სოფლური** – არასალი-ტერატუროს, დიალექტურის მნიშვნელობით პირველად დასტურდება საკუთარი მთარგმნელობითი მეთოდის შემქმნელის ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილ ტექსტებზე დართულ ლექსიკოგრაფიულ სქოლიოებში (ზ. სარჯველაძე)²²⁵. ეფრემ მცირე ტერმინებს – **სოფლური, ლიტონი, უშუერი** – თავისუფლად უნაცვლებს ერთმანეთს (ზ. სარჯველაძე)²²⁶.

XI-XIII საუკუნეებში „**სოფლური** უკვე შეიცავს როგორც არარელიგიური მწერლობის ენას, ისე „**მარტივ**“ სამეტყველო ენას“ (ვ. ბოედერი).

სოფლურის, ლიტონის, უშუერის გამაერთიანებლად ტერმინი **ვულგარული** გამოიყენა ალ. ფოცხიშვილმა²²⁷.

თინათინ ბოლქვაძე დააკვირდა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე დიალექტისა და სტილის აღმნიშვნელ ტერმინებს და შენიშნა მათი იდენტურობა. მაგალითად, მან გაარკვია, რომ **დაბალ** სტილად დაბალი სოციალური ფენის მეტყველება მიიჩნეოდა... სულხან-საბას ლექსიკონში **გლებური**,

225 ბოლქვაძე თ. იდეოლოგიზებული ლირებულებები. თბ., 2005, გვ. 55.

226 იქვე.

227 იქვე.

მსოფლიო, სოფლური უპირისპირდება სალიტერატურო ენას, ანუ ნიგნურს²²⁸.

საბასთან **მუნჯი** დახასიათებულია გლებურ სიტყვად, ხოლო სალიტერატურო ენაში მას შეესატყვისება **უტყვი**. ასევე გლებურია **ფიცხლავ** და **ჭიმკა**, ხოლო მათი სალიტერატურო შესატყვისებია: **სწრაფად** და **მაცთური**...

თქმული იმას ნიშნავს, რომ სულხან-საბას ჰქონდა საკუთარი, მკაფიო შეხედულება სტილის სახეობათა შესახებ და გამოყოფდა შემდეგ სტილებს:

„სამ სახე არიან მზრახველობანი ხმონთა სიტყვათანი: ზემთა სიტყვა უალრესისათვის, **სწორი** – მოყვასისათვის და **დამხე** – ხელქვეშეთათვის“.

ამ განმარტების მიხედვით, ადამიანი სხვადასხვაგვარად მეტყველებს. უალრესთან საუბრისას მას **ზემთა სიტყვა** შეეფერება, მოყვასთან – **სწორი** და ქვეშევრდომებთან – **დამხე** სიტყვა. ყველა შემთხვევაში მეტყველი შესაფერის სტილს არჩევს, გარკვეული ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების გამოყენებას გულისხმობს. ნათქვამიც იმის მიხედვით ფასდება, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელს ეკუთვნის იგი. ეს ზოგადი თვალსაზრისი საბას დაცული აქვს თავის ლექსიკონში, სადაც ხშირია შემთხვევები, როცა სიტყვას ახლავს შემდგენლის განმარტება, თუ კონკრეტულად რომელი სტილის კუთვნილებაა მოცემული სიტყვა. მაგალითად:

1. **ბრძანებული** – თქმული უალრესისა;

2. **თქმა** ითქმის სწორ კაცს ეტყოდეს, ხოლო **მოსხენება** უალრესისადმი და **ბრძანება** უმცროსისათვის, რამეთუ **სამ-სახე არიან თქმანი**.

3. **რისხვა (რისხუა)** ესე არს ვნება ურიდი და ურცხვინო, **რისხვა** უალრესისათვის ითქმის, **ლალვა** – სწორისათვის და **დრტვინვა** – უდარესისათვის²²⁹

ეს დაყოფა ეყრდნობა სოციალურ საფუძველს და ყველა ჯგუფის წარმომადგენელი ხასიათდება მეტყველების განსაზღვრუ-

228 იქვე, გვ. 58-59.

229 იქვე, გვ. 59-60.

ლი თავისებურებებით. თავის მხრივ, სტილები წარმოაჩენენ თავიანთ სპეციფიკურ კოდებს. კოდები იქმნება ადამიანების, ან ადამიანთა ჯგუფების მიერ ენის შემოქმედებითად გამოყენებით.

სტილი მნიშვნელოვანი წყაროა პოლისემიის წარმოქმნისა, ვინაიდან მისი წყალობით საყოველთაო ენაში არსებული სიტყვა გარკვეული ფენის წარმომადგენელთა მეტყველებაში იოლად იძენს ახალ სემანტიკურ ნიუანსს, ან საკმაოდ განსხვავებულ სემანტიკას. მაგალითად, საყოველთაო ენაში სიტყვა **გაკვეთა** „გაჭრას“ ნიშნავს, მაგრამ ექიმთა სამეცნიერო სტილში იგი სპეციალური ტერმინია და ნებისმიერი რამის გაჭრას კი არა, სამედიცინო ოპერაციის დროს ქირურგის მიერ სხეულის გაკვეთას აღნიშნავს (მაგალითად: ქირურგმა პაციენტი **გაკვეთა**), ხოლო ჯერ კიდევ XIX საუკუნის მწერალთა თხზულებებში იგივე სიტყვა მოსწავლისათვის რამის ახსნას, განმარტებას ნიშნავდა (მაგალითად: ოსტატმა ბავშვებს წესები **გაუკვეთა**);

იმავე **გაკვეთა** სიტყვის მიმღეობა **გაკვეთილი** თავდაპირველად აღნიშნავდა იმას, რაც გაკვეთეს, რაც გაჭრეს, მაგრამ ექიმთა მეტყველებაში იგი ქირურგიული ჩარევის შედეგად **გაჭრილ სხეულს** აღნიშნავს, ხოლო მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მეტყველებაში ამ მიმღეობას სულ სხვა მნიშვნელობები აქვს:

1. „დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს მეცადინეობა სკოლაში ამა თუ იმ საგანში“;

2. „მოსწავლისათვის დასასწავლად მიცემული მასალა“.

გარდა ამისა, პუბლიცისტურ სტილში იგივე სიტყვა **გაკვეთილი** კიდევ ერთ რამეს აღნიშნავს: „გამოცდილება, რომელიც სხვას გამოადგება, ან სხვა დროს გამოადგებათ“. ამგვარი მაგალითების მოხმობა უსასრულოდ შეიძლება.

რაც ქართული ენის შესახებ ითქვა, სრულად ეხება აფხაზურ ენასაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენაზე დამწერლობას ხანგრძლივი ისტორია არა აქვს: საქმე ისაა, რომ სტილები იქმნება არა მარტო სამნიგნობრო ენებზე, არამედ დიალექტებსა და უმნიგნობრო ენებზეც.

ანატოლი ხეციას მონოგრაფიიდან მოვიხმობთ ორიოდე ტი-

პურ მაგალითს აფხაზურ ენაში სტილის ზეგავლენით სიტყვის ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნისა:

სიტყვა **ა-ხეშთაარა** საყოველთაო აფხაზურში აღნიშნავდა და აღნიშნავს კერას, ანუ ადგილს, სადაც ცეცხლს ანთებენ. ამ სიტყვას პუბლიცისტურ სტილში გაუჩნდა ახალი სემანტიკური ნიუანსები: 1. „რისამე წარმოქმნის, გაჩენის ადგილი“; 2. „რისამე კონცენტრაციის ადგილი“. მაგალითად: **აკულტურა ა-ხეშთაარა** „კულტურის კერა“, **ადოუჰატ ხეშთაარა** „სულიერების კერა“, **აცივილიზაცია ახეშთაარა** „ცივილიზაციის კერა“, **ადბაშრა ახეშთაარა** „ომის კერა“²³⁰;

ა-ძრეჟორა „ლითონის წრთობა“ > „სიმტკიცე, გამძლეობა; განმტკიცება, გამოზრდმედა“. მაგალითად: **აჯატ ძრეჟორა** „შრომით გამოზრდმედა“. ამ ახალი სტილური მნიშვნელობის შემდგომ ენაში გაჩნდა ახალი სიტყვა **ა-ძრეჟორთა** „სამჭედლო“ (გადატანილი მნიშვნელობით). მაგალითად: **აკადრქა რეძრეჟორთა** „კადრების სამჭედლო“²³¹. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ ამოსავალი **ა-ძრეჟორა** „ლითონის წრთობა“ სიტყვის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ იგი თავდაპირველად ნიშნავდა „წყლის დაღვევინებას“ (**ა-ძრეჟორა < ა-ძე** „წყალი“ + **ა-რეჟორა** „დაღვევინება, სმევა“), ტერმინოლოგიზაციის გზით კი მიიღო ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული „წრთობის“ სემანტიკა – როგორც ჩანს, გახურებული ლითონის გამოსაწრთობად წყალში ჩაშვება აფხაზთა წინაპრებს აღქმული ჰქონდათ, როგორც ლითონისათვის წყლის დაღვევინება.

3.5. ირონია

პოლისემიის ერთ-ერთი წყაროა **ირონია**. ცნობილია, რომ ირონიას იყენებენ სახალხო გამოსვლებში და რიტორიკაში, რომელშიც გამოყენებულ სიტყვებს საპირისპირო მნიშვნელობა ან დანიშნულება ჰქონდათ.

230 Хечия А.Д. Неологизмы в абхазском языке, Тбилиси, «Медицина», 1988, с. 110.

231 იქვე.

ირონია (ბერძნ. *eironēia* „მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა“) ტროპის სახეობაა, სიტყვის, ან გამონათქვამის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება დაცინვის მიზნით. ირონიაში ერთდროულად რეალიზდება ორი მნიშვნელობა — სალექსიკონო და კონტექსტური, მისი საპირისპირო²³². მაგალითად:

ქეგლის მიხედვით, **მარგალიტი** არის მარცვლისებური ძვირფასი თვალი, თეთრი, შავი ან ყვითელი ფერისა; წარმოიშობა ზოგიერთი მოლუსკის სხეულში, ხმარობენ სამკაულად. 2. გადატანით მეტისმეტად კარგი, არაჩვეულებრივი, ძვირფასი, საუკეთესო რამ. გვხვდება გამოთქმაში **ობოლი მარგალიტი** — დიდი მარგალიტი, რომელიც იშვიათია და ძვირფასად ითვლება //გადატ. უბადლო, იშვიათი რჩეული (ქეგლ).

ეს სიტყვა გამოიყენება ირონიითაც. მაგ., ტექსტებში როცა სრულ სისულელეს, კურიოზულ აზრებს აღმოაჩენენ, იტყვიან „მარგალიტები“. მაგალითად, „ამგვარი მარგალიტები ამ წიგნში ბევრია“, შდრ. ბოლო დროს დამკვიდრებული გამოთქმა „**სასკოლო მარგალიტები**“ მოსწავლეების მიერ დაწერილ ტექსტებში კურიოზული ადგილების აღსანიშნავად.

ასევე ირონია სძენს დამატებით მნიშვნელობებს სიტყვებს: **ყოჩაღ** (გამოხატავს მოწონების საპირისპირო შინაარსს), **ჭკვიანი // ჭკუის კოლოფი** (სულელი), **ბრძანე** (თქვი), **დაბრძანდი** (დაჯექი), **მობრძანდი** (მოდი, შემოდი), **მიირთვი** (ჭამე)...

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ირონია, გამონათქვამის ირონიულად მიჩნევა პრაგმატული შედარების შედეგია. მხატვრულ შემოქმედებაში ირონია რეალიზდება როგორც სტილისტიკური ხერხი. ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოები მთლიანად ირონიული ხასიათისაა. მაგალითად, ი. ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი: „ბედნიერი ერი“: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“²³³. **ბედნიერი** აქ ცხადია უბედურის მნიშვნელობითაა გამოყენებული და ამ მნიშვნელობის წარმოქმნის წყაროს ირონია წარმოადგენს.

ზუსტად იგივე ვითარება გვაქვს აფხაზურ ენაშიც, ვინაიდან ირონიის გამოყენება პოლისემიის წყაროდ უნივერსალურია.

232 ბარბაქაძე ც. ირონია. ენციკლოპედია. ქართული ენა. თბ., 2008, გვ. 259.

233 იქვე.

3.6. ინტერტექსტულობა და დისკურსი

სიტყვა ახალ მნიშვნელობას მუდამ წარმოაჩენს გარკვეულ კონტექსტში. შესაბამისად, პოლისემიას წარმოშობს ინტერტექსტულობაც.

მ. ბახტინის აზრით, ყველა გამონათქვამი, რომელიც ტექსტში გვხვდება, უშუალო კავშირშია დიალოგსა და ციტატასთან, მასში ისმის ერთგვარი ექო სხვა გამონათქვამებისა. ენა სოციალური ფენომენია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ გამოყენებული სიტყვები გაჯერებულია სხვა მოსაუბრეთა ინტენციებითა და აქცენტებით²³⁴; ენობრივი მასალა იმ კულტურის ნიშნებს ატარებს, რომლითაცაა დამუხტული (ინტერტექსტუალურიების ექო)²³⁵.

ფ. დე სოსიურის მოსაზრებით, ნიშანი მნიშვნელობას იძენს კონკრეტული ტექსტის სტრუქტურულიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს იმას, რომ მნიშვნელობა მწერლისგან პირდაპირ გადაეცემა მკითხველს.

ი. კრისტევა მიიჩნევს, რომ მკითხველის ცნობიერებაზე სხვა ტექსტების გავლენის გამო, ტექსტები ყოველთვის იფილტრება იმ „კოდების“ საშუალებით, რომლებიც ატარებენ ადრე არსებულ მნიშვნელობას. ამის შემდგომ ჩვენ ჩართული ვართ „მნიშვნელობათა ქსელში“, რომელიც შეიქმნა სხვა ტექსტებითა და მათი კონოტაციებით, რაც თავის მხრივ უპირისპირდება ნიშანთა სტრუქტურულიდან წარმოებულ პირდაპირ მნიშვნელობას²³⁶.

თ. ნატროშვილის კვლევის შედეგების მიხედვით, წინარე ტექსტი გვევლინება ერთგვარ აზრობრივ საყრდენად. ავტორეფერენციული ინტერტექსტუალური ელემენტები კი მიმართულია წინარე ტექსტის საზრისზე²³⁷.

234 Bakhtin M., *The Dialogic Imagination*, Texas, 1981, 214 p.; Bakhtin M., *Speech Genres and Other Late Essays*, Texas, 1986, 179 p.

235 უმბერტო ე. ვარდის სახელი. თბ., 2012, გვ. 695.

236 Kristeva I., *The Kristeva Reader*, New York, Columbia University Press, 1986.

237 ნატროშვილი თ. ინტერტექსტულობა, როგორც კულტუროლოგიური პრობლემა. ავტორეფერატი. თბ., 2013, გვ. 22.

ამრიგად, ინტერტექსტუალურ კავშირთა აღმოჩენა და მათი კულტურული ტრადიციებისა და კონტექსტის ფარგლებში **ინტერპრეტირება** წარმოადგენს პოლისემიის ერთ-ერთ საფუძველს. ეს დასკვნა თანაბრად ეხება ქართულ და აფხაზურ ენებსაც. ზემოთ თქმული სქემატურად ასე გამოიყურება:



§4. პოლისემიის ზოგი სხვა ასპექტი ქართულში

ძველი ქართული ტექსტები და ლექსიკონები საშუალებას იძლევა დავინახოთ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა დღეისათვის გამქრალი თუ შენარჩუნებული კონკრეტული სემანტიკა და თანამედროვე ქართულთან შეპირისპირებით, სიტყვის სემანტიკური განვითარების ისტორიაზე დაკვირვებით თვალი გავადევ-

ნოთ ერის მატერიალური და სულიერი კულტურის, აზროვნების განვითარების ისტორიას, აქედან გამომდინარე ენის ლექსიკის სემანტიკური განვითარების ისტორიასაც.

ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება ქართული ენის პოლისემიისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ტენდენცია, კერძოდ:

1. ქართულ ენაში იკვეთება პოლისემიურ სიტყვათა ჯგუფი, რომელთა სიტყვიერი ფორმა, დღევანდელი აღქმით, დაცილებულია შინაარსს, ანუ ერთი ფონეტიკური გარსი მიმართებაშია საგანთა რამდენიმე კლასთან, თუმცა პარადიგმის ანალიზით და ასევე ისტორიული ვითარების გათვალისწინებით შეიძლება მათი გამაერთიანებელი ნიშნის პოვნა და განყვეტილი კავშირის აღდგენა. საილუსტრაციოდ განვიხილავთ **მდელო** პოლისემიურ ერთეულს, რომლის მნიშვნელობებია, ერთი მხრივ, „ბალახი“, „მწვანელი“, „მოლი“; „თივა-ცენებული“; „მწუანე“, მეორე მხრივ, „საპონი“; „განსანმედელი“.

პირველ შემთხვევაში **მდელოს** ყველა განმარტება (ბალახი, მწვანელი, მოლი; „თივა-ცენებული“; „მწუანე“) ერთიანდება ბალახის სემანტიკურ ველში. მეორე შემთხვევაში, კი დღეისათვის გაუგებრობას იწვევს, რატომ ჰქვია **მდელო** განსანმედელს, საპონს, რადგან **განსანმედელი** სიტყვის არც ფორმა და არც ამოსავალი შინაარსი, თითქოს არ გვაგვარაუდებინებს მდელოს// ბალახს, ან სიმწვანეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ ჩანს უშუალო სემანტიკური კავშირი მდელო-ბალახის, მწვანისა და საპონის მნიშვნელობებს შორის. შესაბამისად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საქმე გვაქვს ომონიმიასთან, მაგრამ განყვეტილი სემანტიკური კავშირი შესაძლებელია აღვადგინოთ არა მარტო ლინგვისტური, არამედ ეთნოლოგიური მონაცემების გათვალისწინებითაც.

სიტყვა **მდელოს** სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს:

„**მდელო** – ყოველივე მწვანელი ველისა, ხოლო **მდელო** – საპონი. **მდელო** – (19,6 ესაია) ესე არს ყოველივე მწვანელი ველისა. 3,2 მაღაქია წინასწარმეტყველისა წიგნთა წერილ არს, ვითარცა მდელო მრ(ე)ცხელისა არა რა სხვა არს, გარნა არიან მდელონი, რომელი სარცხელსა განასპეტაკებს, ხოლო მსოფლიონი მდელოსა ზროხის ახალსა სკორეს უწოდენ, რამეთუ შარდ-

თა და ხამთა იგიცა განასპეტაკებს²³⁸.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას უახლოვდება ნიკო ჩუბინაშვილისეული განმარტებაც: „**მდელო**“ (ბალახი) მწვანილი, არიან მდელონი განმასპეტაკებელნი სარეცხისანი, ვითა მდელო მრეცხლისა²³⁹.

ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც **მდელო**-ა აღნიშნავს საპონს²⁴⁰.

ჩვენი აზრით, **მდელო** საპნის, განსაწმენდლის მნიშვნელობით მეორეულია. **მდელო**-სა და **საპონი** // **განსაწმენდელ**-ის სემანტიკურ კავშირს ხსნის სიტყვა **საპონ**-ის ანალიზი.

სიტყვა **საპონი** დასტურდება XI ს. უძველეს ქართულ სამედიცინო ძეგლში „უსნორო კარაბადინი“, სადაც იგი დასახელებულია, როგორც სამკურნალო საშუალება²⁴¹.

სულხან-საბას ლექსიკონში აღნიშნულია:

„საპოვნი ფრანგულია, ქართულით შენაზავები და განსაწმენდელი აღუწერიათ, ხოლო იერემიას წიგნში და დანიელის წიგნსა შინა მდელოა აღუწერიათ, ხოლო რამეთუ არიან მდელონი ესე ვითარნი, რომელი ფრიად განრცხიან და განასპეტაკებენ სასარცხლოსა და განბანს მნიკვლსა კაცთასა“²⁴².

აქ უნდა დავაზუსტოთ, რომ საბა ზედსართავ სახელს **ფრანგული** ხშირად იყენებდა არა მარტო ფრანგული ენის, არამედ ლათინურის აღმნიშვნელადაც. მაგრამ საბას მოსაზრება მცდარი ჩანს: სიტყვა საპონი წარმოშობით არაბულია და იგი ქართულ ენაში შემოსული უნდა იყოს უშუალოდ ამ ენიდან (მდრ. არაბ. **საბუნ**²⁴³, ან სპარსულის, თუ თურქულის შუამავლობით.

ინტერესს იმსახურებს მცენარეთა ის სახელები, რომლებშიც **საპონ** ფუძეა გამოყენებული: **საპნის ხე** (*Sapindus Saponaria* და *Koelreuteria paniculata*); **საპონა** (*Saponaria Officinalis* L.). კახურ დი-

238 ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული 2 წიგნად. თბ., 1991, გვ. 454.

239 ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. თბ., 1961.

240 სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა. თბ., 1997, გვ. 560.

241 სიხარულიძე ქ. ხალხური ჰიგიენური ტრადიციის ასახვა წერილობით წყაროებში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. 1987, ტ. XXIII, გვ. 31.

242 ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული 2 წიგნად. თბ., 1991.

243 <http://ka.glosbe.com/sw/ka/sabuni>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.05.2013.

ალექტში – **საპნიყვავილა**; **საპონელა** (*Anagallis coerulea* Schreb და *A. phoenicea* L.). **საპონელას** ვარიანტებია: **ბუყუყა**, **ხელბუყუყა** (გურ., ქვ.იმერ.), **საპონელა** (იმერ.), **ხელსაბანი** (ლენხ.), **თაველა** (მეგრ.)²⁴⁴.

ქ. სიხარულიძის მიერ ქართლში ჩანერილი ეთნოგრაფიული საველე მასალის მიხედვით, „**საპონა** ბალახი იყო. მოცისფრო-მოლურჯო ფერის ყვავილები აქვს. მინდვრებში იზრდება... მოვლევადით, იმის ყვავილს ხელში მოვსრესდით. როგორც საპონი აქაფდებოდა. პირსა და ხელს ვიბანდით. ათეთრებდა სახეს. რახან ქაფდებოდა, საპონიანი ვიტყოდით“²⁴⁵.

ლენხუმური მასალებით, „ხელსა და პირს **საბანელა ბალახით** იბანდნენ. ერთგვარი ბალახი იყო, ლალისფერყვავილებიანი და კარტოფილის მაგვარი ბოლქვით. - კოჩიტას „კვახაკუნჩხას“ ეძახდნენ. ამის ბოლქვს გაჩერქავდნენ. კარგი ყვეუი (ქაფი) იცოდა“²⁴⁶.

საპონაც და **საპონელა**// **საპონელა** შეიცავს საპონინებს და მსგავსი თვისებებით ხასიათდებიან.

საპონელას ქართული სინონიმებია: კახური **აბრეშუმა**, **ბეჭედა**, **გველიბე** / **გველისლობე**, **საპონელა**, მოხეური **საბეჭდიაი**, თუშური **გველისმძივა**, მესხურ-ჯავახური **გაბლანდულა**, ერნოური **ჭინჭრის ძაფი**, რაჭული **გველივენახი**, **ბუნავა**, ლენხუმური **გველიძაფი** ²⁴⁷.

საპონა ბალახი **ქაფუნა** ასეთ სინონიმებს გვაძლევს დიალექტებში: ქიზიყ. **თქაფუნა**, **კაპუნა**, **თიაქარა**; თუშური – **საპონა ბალახი**²⁴⁸.

ქაფუნა (მესხ.) – ბალახია, წყალში ქაფდება საპონივით²⁴⁹.

საპონი ზოგადი სახელია ჰიგიენური საშუალებებისა, რომელიც მზადდებოდა 1. ბალახებისა და მცენარეებისგან, 2. თიხამი-

244 მაცაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1991.

245 სიხარულიძე ქ. ხალხური ჰიგიენური ტრადიციის ასახვა წერილობით წყაროებში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1987, ტ. XXIII, გვ. 32.

246 ბეზარაშვილი ც. ჩაცმულობა ლენხუმში. თბ., 1985, გვ. 109.

247 მაცაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1991. ; სიხარულიძე ქ. მითითებული ნაშრომი, გვ. 33.

248 მაცაშვილი ა. მითითებული ნაშრომი.

249 ლლონტი ა. ქართულ კილო-თქმათა სიტყვისკონა. თბ., 1984, გვ. 563.

ნერალებისაგან, 3. ბალახოვანი მცენარეებისაგან, 4. ფრინველთა და ცხოველთა ცხიმებისაგან და ნაცრისაგან // სოდისაგან²⁵⁰.

ზემოთ დასახელებულ სახელწოდებათაგან ყურადღებას იპყრობენ იმ მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც ვერბალურ მარკირებას ახდენენ შესაბამის მცენარეთა აქაფების, ან რეცხვის თვისებასთან: **საპნის ხე, საპონა, საპონა ბალახი, საპნიყვავილა, საპონელა//საპონელა** (აქ ვ თანხმოვანი გვიანი ჩანართია), **ბუჭუჭა, ხელბუჭუჭა, ხელსაბანი, საბანელა ბალახი, ქაფუნა**. მათგან უმრავლესობა გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა, მცირედ განმარტებას მოითხოვს მხოლოდ გურულ-ქვემო-იმერული სახელები **ბუჭუჭა** და **ხელბუჭუჭა**: ამ სამეცნიერო ერთეულებში **ბუჭუჭი** ქაფს ნიშნავს, რაც ცხადად აჩვენებს ამ სახელთა სახელდების მოტივაციას – მცენარეს სახელი აქაფების თვისების გამო შერქმევია. აქვე უნდა გავაერთიანოთ ქიზიყური **თქაფუნა**-ც, რომელშიც **თ** თანხმოვანი გვიანი ჩანართი ჩანს: **ქაფუნა > თქაფუნა**.

როგორც ითქვა, ტერმინი **საპონი** საქართველოში XI საუკუნიდან მოწმდება („უსწორო კარაბადინი“), მაგრამ უფრო ძველ ნასესხობადაც მიიჩნევენ (ქ. სიხარულიძე).

როგორც ჩანს, სამედიცინო წიგნებიდან აღნიშნული ტერმინი გავრცელდა ხალხში და ჩაენაცვლა ყოფაში მანამდე არსებულ სხვადასხვა მცენარეულ, თუ მინერალურ ჰიგიენურ საშუალებას და იგი დასაბან-გასარეცხი ჰიგიენური საშუალების ზოგად სახელად იქცა²⁵¹.

ეთნოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველად საპონს ცხიმით, ნაცრითა და წყლით ამზადებდნენ.

სავარაუდოა, რომ ტერმინი **საპონი** ჩაენაცვლა მსგავსი თვისების მქონე მცენარის სახელს, რომლის სახელი შემდგომ დაიკარგა²⁵² [77, 34], ანდა დიალექტურ სახელად დარჩა.

ზემოთ განხილული მასალის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ სახელი **მდელო** არა კონკრეტული ბალახის, არამედ მცენარეული ჰიგიენური საშუალებების გამაერთიანებელი ზოგა-

250 სიხარულიძე ქ. მითითებული ნაშრომი, გვ. 34.

251 იქვე.

252 იქვე.

დი სახელი იყო. ამ ვარაუდის არგუმენტად მიგვაჩნია ის, რომ **მდელოს** პირველი მნიშვნელობები (ბალახი, მწვანელი, მოლი; „თივა-ცენებული“; „მწუანე“) ასევე ზოგადი სახელებია.

გამოდის, რომ სახელები **მდელო** და **საპონი** სემანტიკურად საკმაოდ იოლად მიიყვანება ერთმანეთთან. **მდელო** ბალახის სემანტიკით არის საერთო ენის კუთვნილება, ხოლო **საპნის** მნიშვნელობა მას განუვითარდა განსხვავებულ, საყოფაცხოვრებო გარემოში. დროთა განმავლობაში ქართული **განსანმე(ნ)დელი** და **მდელო** შეცვალა ნასესხებმა **საპონმა**. საბას ლექსიკონში ნათელია **მდელო** სიტყვის საპნის მნიშვნელობით გამოყენება: „საპონი ფრანგულია, ქართულად წერილით **შენაზავები** და **განსანმენდელი** ეწოდების, ხოლო სოფლურად კუმპა“²⁵³.

XV საუკუნიდან საპონი სამკურნალო საშუალებადაც სახელდება. ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ქართველები სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებდნენ სხვადასხვა სახის მცენარეებს, ცხოველურ თუ მინერალურ საშუალებებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართული ზღაპრებისა და თქმულებების პერსონაჟები (ყამარი, მინდია...) სამკურნალო ხელოვნებას საკმაოდ კარგად ფლობდნენ²⁵⁴.

ამრიგად, ირკვევა, რომ სიტყვა **მდელო** ქართულ ენაში **თავდაპირველად ფართო მნიშვნელობის მქონე პოლისემანტიკური სახელი ყოფილა და ერთდროულად აღნიშნავდა ბალახს (ზოგადად), მოლს (კოინდარს), მწვანეს და იმ მცენარეებს, რომლებიც სარეცხ-საბან, ან სამკურნალო საშუალებად გამოიყენებოდა. საკვლევი სიტყვის უკლებლივ ყველა ეს მნიშვნელობა ერთიმეორესთან უმჭიდროეს სემანტიკურ კავშირში იყო და ამოდიოდა ბალახის მნიშვნელობიდან**, მაგრამ დროთა მანძილზე ამ უწყვეტ სემანტიკურ ჯაჭვს გამოაკლდა ზოგი მნიშვნელობა (მაგალითად, საპნისა), რაც გამოუწვევია ენაში არაბულიდან **საპონი** სიტყვის შესხებასა და ფართოდ გავრცელებას.

2. ქართული ენის პოლისემიურ ლექსიკაში გამოიყოფა სიტყვათა ჯგუფი, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთისგან გა-

253 ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული 2 წიგნად. თბ., 1991.

254 მინდაძე ნ. ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მასალების მიხედვით). თბ., 1981, გვ. 6.

მომდინარეობენ. ყველა მნიშვნელობა ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირშია და ენაში დასტურდება სემანტიკური ჯაჭვის უკლებლივ ყველა რგოლი. მათი ანალიზის შედეგად მნიშვნელობებს შორის კავშირი თვალსაჩინო ხდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პოლისემიურ ერთეულს **ბორბალი**, რომლის მნიშვნელობები ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით არის: „**ნიავეარი**“, **გრიგალი**, **ქარიშხალი**; „**მორგუ**“. აქედან პირველი სამი მნიშვნელობა ერთმანეთის მიმართ სინონიმებია, ხოლო **მორგუ** – ახალი მნიშვნელობა.

ბორბალი სიტყვა დღეს პოლისემანტიკურია და შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. რკალისებური საგანი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს გადასაზიდ საშუალებებს (ეტლს, ვაგონს) ანდა მანქანის მექანიზმებს (შდრ. ურმის თვალი, გოგორა); 2. დისკო; 3. ძვ. ერთგვარი **მბრუნავი** ისარი (საბა); 4. იგივეა, რაც ბორბალ-ქარი“ (ქეგლ). იგივე სიტყვა პირველი სემანტიკით ცნობილია ძველქართული ტექსტებიდან: „**დამბრუნებელი ფერკითა თუსთა ბორბლისა**“ (ისო ზირაქ. 38.32)²⁵⁵.

ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე გამოყოფენ ***ბორ** ძირს, რომელიც **ბორბალ-** ფორმაში რედუპლიცირებული სახითაა წარმოდგენილი. ქართ. ***ბორ** „ბორბალი“, „ბორბალა“, „ობობა“-ს ნიშნავს. მას მოეპოვება მეგრული **ბორბოლი** და ლაზური **ბომბულა** შესატყვისები, რომლებიც მეგრულშიც და ლაზურშიც „ობობას“ აღნიშნავს. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის აზრით, **ბორბალ** ფუძესთან **ობობის** მნიშვნელობის შეთავსება არ არის მოულოდნელი. ქსლის ქსოვისას **ობობა** ტრიალებს, ბრუნავს. მაშასადამე: **ბორბალ-ა** „ტრიალა“ > **ობობა**). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთობისათვის აღადგინა ***ბორბალა** არქეტიპი²⁵⁶.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ **ობობას** აღმნიშვნელად ამ სიტყვის გამოყენება უკავშირდებოდეს ცრურწმენას, რის გამოც ერიდებიან **ობობას** მოკვლას, ქსელის დარღვევას, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ცუდის მომასწავებელი შეიძლება იყოს. ამდე-

255 ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. გვ. 57.

256 იქვე, გვ. 57.

ნად, არ არის გამორიცხული ამ მწერის აღსანიშნავად საანალიზო სიტყვის გამოყენება ტაბუირების მაგალითი იყოს. შდრ. „**ღია ფერის გრძელფეხებიანობას** მოკვლა არ ვარგა – უნდა აიყვანო და გასვა გარეთ. შავი **ობობა** აუცილებლად უნდა მოკლა“; „**ობობას** მოკვლა არ შეიძლება, მან მუჭამედი სიკვდილს გადაარჩინა“; „**კედელზე** **ობობას** ქსელი არ გააჩერო, ზედ წყევლა დაიბუდეbs“; „**თუ** **ობობას** მოკვლავ, დედა მოგიკვდებაო“²⁵⁷.

ბორბალ-ი ფორმისგან მომდინარე ვარიანტი **ბორბალ-ა** არის სახასიათო – **ცხვირა**, **ნაცარა**, **მშვიანა** ტიპის წარმოების სიტყვა და აღნიშნავს საგანს, რომელსაც ახასიათებს ბორბალივით ტრიალი, ბრუნვა, მოუსვენრობა.

თანამედროვე ქართულში **ბორბალს** მნიშვნელობებია: 1. ძვ. **ობობა**; 2. მსხლის ჯიში ერთგვარი; 3. მთის სახელი (მდებარეობს თუშეთის, კახეთისა და ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე) [ქეგლ].

ბორბალი კავშირშია მრგვალის, რგოლის, რკალის სემანტიკასთან. მსხლისა და მთის სახელად ამ ფუძის გამოყენება მოტივირებული უნდა იყოს მათი მრგვალი ფორმით.

რადგან ძვ. ქართულის ლექსიკონში **ბორბალ** სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის **მორგუ** (იხ. ზემოთ), აქ წარმოვადგენთ ამ უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობებსაც, რათა დავადგინოთ ორივე სიტყვის ერთიმეორესთან კავშირი.

ძვ. ქართულში **მორგუ** არის მეჭურჭლის ბორბალი, ჩარხი. მაგ.; „**ფერკითათუსთა იქცევიან მორგუთა**“//„**დამბრუნებელი ფერკითა თუსთა ბორბლისა**“. მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ სიტყვები **მორგუ** და **ბორბალ** ერთმანეთის სინონიმებია.

თანამედროვე ქართულში **მორგვი** განმარტებულია როგორც: 1. ურმის თვლის ან საერთოდ ბორბლის კუნძი, რომელშიაც გაყრილია ღერძის თავი და დამაგრებულია სოლები; 2. მოკლე და მსხვილი მორი; კუნძი. 3. მრგვალად, ბრუნვით დახვეული ძაფი — გორგალი (ქეგლ).

აქ წამოიჭრება საკითხი: ხომ არ არის **მორგუ** და **მრგვალი** სიტყვების ძირები იდენტური და ხომ არ არის ისინი სხვადასხვა

257 ბრეგაძე ლ. ყოფითი რწმენა-წარმოდგენები. თბ., 2012, გვ. 31, 33, 37, 107.

მორფოლოგიური საშუალებებით გაფორმებული? შდრ.: **მო-რგუ** და **მრგული** < ***მო-რგუ-ალ-ი**. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს შესაძარებელ სიტყვათა სემანტიკური სი-ახლოვე:

მორგუ – მეჭურჭლის ბორბალი, ჩარხი.

მრგვალი – მთელი, მთლიანი. შდრ. **ი-რგვ-ლ-ივ**.

მორგვი და **ბორბალი** ერთმანეთთან სინონიმურ მიმართებებს ამყარებენ და ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ველს განეკუთვნები-ან. ხოლო **მორგვი**, **მრგვალი**, **მრგვლივ**, **მრგულობა** – ერთი ამო-სავალი სიტყვის ლექსიკურ-გრამატიკული ვარიანტებია. გამაე-რთიანებელ აზრობრივ ლერძს წარმოადგენს სიმრგვალის, სიმრ-თელის აღნიშვნა.

ცნება **მრგვალი** გულისხმობს იმას, რაც წრის მოყვანილო-ბისაა, ან ჭრილში წრეს იძლევა. მაშასადამე, **მრგვალი** არის მთელი, დასრულებული (არადასრულებული) და თუ სიტყვები **მორგვი** და **მრგვალი** საერთო წარმომავლობისაა, რაშიც ჩვენ დარწმუნებული ვართ, **ბორბალი** სახელი **გარეგნულ-ფორმო-ბრივი** მახასიათებლებიდან გამომდინარე უნდა დარქმეოდა სა-კუთრივ ბორბალს, მორს, კუნძს, დისკოს, მრგვალად დახვეულ ძაფს, მსხლის ჯიშსა და მთას, ხოლო **წრისებური მოძრაობის** საფუძველზე შეერქმეოდა ქარსაც, გრიგალსაც და ობობასაც.

იგივე სემანტიკაა შენარჩუნებული იმ ფრაზეოლოგიზმებშიც, რომლებშიც მთავარი კომპონენტი სიტყვა **ბორბალი** არის:

ცის ბორბალი — ძვ. გადატანით ცის მრგვალი კამარა. „რისხ-ვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა (რუსთაველი)“ (ქეგლ). აქ შემორჩენილია სიტყვის სემანტიკური კავშირი **წრი-ულობასთან, სიმრგვალესთან**;

ბორბალი წუთისოფლისა – გადატ. მბრუნავი, დაუცხრო-მელი, ცვალებადი წუთისოფელი. მაგ., „იმას რომ ჰკითხო, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გა-მოუცვალოს და თავისი ბრძანებისა და წესისამებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა“ (ილია) [ქეგლ]. სრულიად ცხადია, რომ ეს გა-დატანითი მნიშვნელობა უკავშირდება **ტრიალის, ბრუნვის სემან-ტიკას**.

დროთა მანძილზე მომხდარი **ბორბალ** სიტყვის სემანტიკური

ცვლილებები ემყარება ასოციაციურ აზროვნებას და მნიშვნე-ლობის გაფართოებას.

3. პოლისემიის წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელე-ბული ტენდენციაა **სიტყვის მნიშვნელობის დეტალიზება**, ანუ სვლა ფართო სემანტიკიდან უფრო ვიწროსაკენ, ზოგადიდან კონკრეტულისკენ, გვარეობითი ცნებიდან — სახეობითისაკენ. ასეთ შემთხვევებში სიტყვა იწყებს გამოყენებას სხვა ცნებების გადმოსაცემად აღსანიშნის ფორმობრივი, ან აზრობრივი მახას-იათებლების, თუ ასოციაციური ასპექტების წინ წამოწევის სა-ფუძველზე, ოღონდ სემანტიკური ბირთვი უცვლელი რჩება.

განვიხილავთ ორიოდე ტიპურ მაგალითს ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ:

ილია აბულაძის ძველი ქართულის ლექსიკონში **გამოსადინე-ლი** განმარტებულია როგორც: (წყალ-)სადინელი, მილი, „ძარ-ღუ“, ხვრელი; წყაროს თავი. მაგ., „დასხნა ქუეყანაჲ წყურიე-ლი **გამოსადინელად** წყალთა“; „განაჴმეს **ძარღუნი** მისნი“; „გა-მოჴდის ნოტიჲა უჩინოთაგან **გამოსადინელთა**“.

სიტყვა **გამოსადინელი** ნაზმნარი სახელია, ვნებითი გვარის მიმღეობაა და მომდინარეობს **-დენ-// -დინ-** ძირისაგან. იგი არ განეკუთვნება **ღრუს, ხვრელის** სემანტიკურ ველს, გახაზავს საგ-ნობრივ კუთვნილებას მილოვანი სტრუქტურის, არხის სემან-ტიკურ ველთან. შესაბამისად, ზედსართავი სახელი თავდაპირ-ველად მსაზღვრელის სახით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი სემანტიკის მქონე არსებით სახელებთან, მაგალით-ად, **ხურელ** სიტყვასთან. მომდევნო ეტაპზე არსებითი სახელის გამოყენება „ზედმეტი“ აღმოჩნდა და მისი სემანტიკა გადაეცა ზედსართავ სახელს, ანუ მოხდა ზედსართავი სახელის სუბსტან-ტივაცია.

პოლისემიის ამ კერძო შემთხვევას, როცა ორი სიტყვა ერ-თად იხმარება, ისე რომ მათი მნიშვნელობა შერწყმულია და ისინი მხოლოდ ერთ ნიშანს ქმნიან, ყურადღება მიაქცია ფრანგ-მა ენათმეცნიერმა მ. ბრეალმა. ორი ერთმანეთთან დაკავშირე-ბული სიტყვიდან ზოგჯერ ერთი ქრება; ამის გამო დარჩენილი სიტყვა თითქოს უეცრად იცვლის მნიშვნელობას, ნამდვილად კი გადარჩენილი სიტყვა, რომელიც მთელი შესიტყვების მემკვიდრე

ხდება, მისგან „ისრუტავს“ მთელ მნიშვნელობას. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, **წყაროსთავიდან// ხვრელიდან სითხის გამოსასვლელი ღრუ ხვრელი > გამოსადინელი**. საბოლოოდ ზედსართავი (**გამოსადინელი**) „გამდიდრდა“ ნავარაუდები არსებითი სახელის (**ხვრელის**) მნიშვნელობით. სხვა შემთხვევებში ზმნები შეინოვენ დამატებით მნიშვნელობას, რომელიც ამიტომ შეიძლება გამოტოვებულ იქნეს და ა.შ.²⁵⁸. ეს მოვლენა დაკავშირებულია (წარმოშობით) სოციალურ დიალექტებთან და მეტად ხშირია სხვადასხვა პროფესიისა და განსხვავებული ხელობის (დარგის) ენებში²⁵⁹.

ძველ ქართულში დადასტურებული საანალიზო სიტყვის მნიშვნელობებიდან ცხადი ხდება, რომ **გამოსადინელის**, ანუ იგივე სითხის გამომტანი მილოვანი სტრუქტურის, ან არხის ფორმობრივი მახასიათებლის საფუძველზე აღინიშნებოდა მსგავსი ფორმის მქონე ცნებები: (წყალ-)სადინელი, მილი, ძარღვი, ხვრელი; წყაროს თავი. პირველი სამი მნიშვნელობა (**წყალსადინელი, მილი, ძარღვი**) ერთმანეთის მიმართ სინონიმურნი არიან, ხოლო **ხვრელი** და **წყაროს თავი** არის ახალი მნიშვნელობები, რომლებსაც არ დაუკარგავთ კავშირი ამოსავალ სემანტიკასთან.

საანალიზო სიტყვის უკლებლივ ყველა მნიშვნელობას აქვს ერთი სემანტიკური ბირთვი — **მილოვანი სტრუქტურის ქონა, რომლის ფუნქციაა გაატაროს სითხე**. ამ სიტყვას თანამედროვე ქართულშიც შემორჩა ძველი მნიშვნელობები: **გამოსადინელი**, იგივე **სადინარი** — რაშიც (სადაც) რაიმე დის, მიედინება, — სადენი; **სადინელი** — [მდინარის] სადინელს მთლად იჭერდა გველქმაში უზარმაზარი (ვ. ბარნ.) (ქეგლ).

გარდა ამისა, **სადინარი** გამოიყენება სამედიცინო ტერმინოლოგიაში **მილის, ნაწლავის, არხის, არტერიის** აღსანიშნავად. ...

ძველი ქართული **გამოსადინელის** ფარდი სინონიმური სიტყვაა **ძარღვი**. ილია აბულაძის ლექსიკონში ძველ ქართულში **ძარღუ** სიტყვას აქვს შემდეგი განმარტება: ძარღვი, „გამოსადინე-

ლი“ (დაჰჰსნეს ძარღუნი ჴელთა მკლავთა მათთან; ძარღუ რკინისაჲ არს ქედი შენი)²⁶⁰.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა **ძარღვი** პოლისემანტიკურია და აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ძარღვი: 1. სისხლის სადინარი, ელასტიკური ღრუ მილი ცხოველის ორგანიზმში, სისხლძარღვი; 2. იგივეა რაც მყესი; 3. იგივეა რაც ნერვი („ერთი ძარღვიც არ შერხეულა მის პირისახეზე“, ვაჟა); 4. ბოტ. ერთ-ერთი წვრილი ხაზთაგანი, რომლებითაც დაფარულია მცენარის ფოთლები და მწერის ფრთები; 5. გეოლოგ. რაიმე მადნით ამოვსებული ნაპრალი დედამიწის ქერქში („იმის ნაშრომ-ნაღვანს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს“, აკაკი); 6. იგივეა რაც ძარღვიანობა („პური სჯობია დიკას ძარღვით, კარგად იზილება“, შინამრეწ.); 7. ტელეფონის კაბელის მავთული.

ასევე მრავალმნიშვნელობიანია მისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი **ძარღვიანი**:

ძარღვიანი: 1. ძარღვების მქონე („დედალ-მამალ ჭიანჭველებს ასხია ძარღვიანი ფრთები“, ი. გოგებ.) 2. კარგად ჩასხმული, მკვრივი — დაძარღვული; 3. რაც ინელება (ძარღვიანი ცომი; თიხა ძარღვიანია, კევივით ინევა... (ი. გოგებ.), ძარღვიანი ნებო); 4. მოქნილი, მახვილი (სიტყვა, აზრი...) (ქეგლ).

ძარღვის საერთო სემანტიკურ კომპონენტებად გამოიყოფა გრძლივობა, ხაზოვნება და/ან ღრუს მქონე გრძლივობა, რომლის ფუნქციაა რაიმე ნივთიერების (უპირატესად სითხის) გამტარობა.

საყურადღებოა **ძარღვის** მიმართება ნებოსთან და ცომთან, ორივე წელვადია, წელვის დროს წარმოიქმნება გრძლივი ძარღვები.

ზედსართავ **ძარღვიან**-ის მეორე და მესამე მნიშვნელობები წარმოქმნილია მეტაფორული გადააზრიანების შედეგად.

ძველ ქართულში **გუამი** სიტყვის მნიშვნელობებია „ჭორცი“, „სხეული“, ტანი, სული“; ბუდე, ქარქაში; მუცელი. ორგანიზმი, ხალხის შეხედულებით, ქალის ჭურჭელია, რომელშიც ისახება

258 Breal M., Essai de semantique. Science des significations. Slatkine reprints, 1924, p. 151-154.

259 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. უ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. 1960, ტ. XII, გვ. 118.

260 აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973.

და იშვება ახალი სიცოცხლე ბავშვის სახით. ამდენად, ქალი, ხალხის თვალში წარმოადგენს მეტად მიმზიდველ არეს, კეთილი და ბოროტი სულების ჭიდილისათვის²⁶¹.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარ შემთხვევაში შესაძლებელია, მკვლევართა ნაწილმა შესაბამისი მონაცემები პოლისემიად ჩათვალოს, მეორე ნაწილმა კი – ომონიმად. ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომლის მიხედვითაც, ეს პოლისემია, ოღონდ დავაზუსტებთ, რომ პოლისემიის ხელშემწყობ ძირითად ფაქტორად ტერმინოლოგიზაცია უნდა ჩაითვალოს. პოლისემიად ვთვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორი ან მეტი სემანტიკა თანაარსებობს და ერთი სიტყვის სემანტიკური ელემენტები თვალსაჩინოდაა მოცემული მეორეში. ამ ტიპის პოლისემიად მიგვაჩნია შემდეგი მაგალითები:

აკვანი – 1. სარწვევი საწოლი ხისა ჩვილი ბავშვისთვის; ჩვილთ სარეცელი (დ. ჩუბინ.); (პოეტ.) ადგილი, სადაც რაიმე აღმოცენდება და განვითარდება, სადაც ვინმე დაიბადება, სამშობლო (მეტაფორა); **აკვანი** – 2. ზურგიელის ხერხემლის ძვალი (დ. ჩუბინაშვილი).

ასო – 1. სხეული, ტანი; სხეულის ნაწილი (აბულაძე), „კაცის ნასხამოანი, კაცის ნასხამნი, კაცის ასო“ (საბა); **ასო** – 2. ბგერის ნიშანი (აბულაძე); **ასო** – 3. სამყაროს ოთხი ელემენტთაგან რომელიმე. ამ მნიშვნელობათა კავშირს ასე განმარტავს საბა: „ელადელითა ჴმითა ჴქვიან კავშირთა, ამისთვის(ცა) ფილასოფოსთა მიერ ასონი სახელედებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქვეყანასა, რამეთუ ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამა ოთხთა ასოთაგან შეიმზადების სხეული და სხეულისაგან კაცი სრული. ხოლო ამა ოთხთა ასოთა კავშირად სახელ-სდებენ, ვინათგან მით დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი; ასო ეწოდების მარცვალთა წიგნისათა და კვალად ასო ჴელსა ანუ ფერჴსა, გინა თითოეულთა ნაკვეთთა კაცისათა“ (საბა).

ჩვენი აზრით, **ასო** თავდაპირველად სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით ასოციაციუ-

261 ბარდაველიძე ვ. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალური მითიან ქართლში. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1928, IV, გვ. 276.

რი მსგავსების საფუძველზე მას უნდა მიეღო დანერგილი სიტყვის ნაწილისა და ოთხი ელემენტის (ცეცხლის, ჰაერის, წყლისა და მიწის) აღნიშვნის ფუნქცია.

ზესკნელი – 1. „ზეგარდმო“; **ზესკნელი** – ზეციერი; **ზესკნელი** – 2. ზემო სართული.

ამ შემთხვევაშიც ცხადად იგრძნობა, რომ სიტყვა თავიდან ზეგარდმოს ნიშნავდა, შემდგომ კი განივითარა მსგავსი მნიშვნელობები. შდრ.: „**სკნელი** (კიდურივით). რამეთუ ვიტყვით: ზესკნელი, ქვესკნელი, გარესკნელი და უკანასკნელი, ესე არს ვითარცა დასასრული რამე კიდეთა(ნი)“ (საბა).

აფხაზურ ენაში ანალოგიური მაგალითებია:

აქა – 1. მუქი; **აქა** – შავგვრემანი; **აქა** – 2. შავრა, შავი ცხენი.

აქაწა – 1. შავი; **აქაწა** – 2. შავი ვარიანტი (ხელნაწერისა).

აღლაგარა – 1. წესის დარღვევა; **აღლაგარა** – 2. გადარევა, ჭკუიდან შერყევა.

აქნარა – 1. ერთმანეთზე დაწყობა; **აქნარა** – 2. თივის აზვიწვა; **აქნარა** – 3. ცეცხლის დანთება. მესამე მაგალითი გულისხმობს შეშის, ფიჩხის ერთიმეორეზე დაწყობას ცეცხლის ანთების წინ.

აფსშა – 1. აფხაზური ენა; **აფსშა** – 2. მისალმება; **აფსშა** – 3. კეთილგანწყობა.

აფჟარა – 1. გასკდომა, გახეთქა; **აფჟარა** – კოკისპირული წვიმა. მეორე შემთხვევაში მეტაფორულად იგულისხმება ცის გასკდომა და მრ. სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ სიტყვის პოლისემიურობა და ლექსიკური ვარიანტების სიმრავლე ამ ლექსიკური ერთეულის სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს. ლექსიკური ერთეული მნიშვნელობას იძენს გარკვეულ სივრცეში და გარკვეული დროის მანძილზე. ძველი ტექსტები და დიალექტური მასალა საშუალებას იძლევა ქართული ენის ლექსიკის სემანტიკური გაფართოებისა თუ ცვალებადობის სურათს დავაკვირდეთ²⁶². ამ მხრივ საინტერესო მონაცემებს გვანვდის ში-

262 თურქია თ. ძველი ქართული ლექსიკის დიალექტური ვარიანტები-

შის სემანტიკური ველის სიტყვები, რომლებსაც აქვე გავანალიზებთ პოლისემიასთან კავშირში.

შიში განყენებული ცნებაა, წარმოდგენილი როგორც კონკრეტული რამ, ვთქვათ, საჭმელი, რომელსაც შეუძლია სხეულში შესვლა მხოლოდ პირის საშუალებით²⁶³. შიში უკავშირდება ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის სფეროს, შესაბამისად იგი აქტიურად აისახება ენაშიც.

ქართულ სალიტერატურო ენაში შიშის გამომხატველი ლექსიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. თვალში საცემია სემანტიკათა ვარირება.

სულხან-საბას მიხედვით შიში ექვსნაირი არსებობს: „შიში, სიში – ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად: **მცონარებად, კდემულებად, სირცხვილად, განკვირებად, განცვიფრებათ, ულონობად. მცონარება**, ვიდრემდის არის შიში მყოფადისა მოქმედებისა; ხოლო **კლდემულება** – შიში მოლოდებითა ძაგებისათა და კეთილ არს ესე ვნებაი; ხოლო **სირცხვილი** – შიში ბილწებისა რასამე საქმესა ზედა და არცა უსასო არს ცხოვრებისაგან; და **განკვირება** – შიში დიდისა ოცნებისაგან; ეგრეთვე **განცვიფრება** – შიში უჩვეველისა საოცრისაგან; ხოლო **ულონობა** – შიში განვრდომილებისა, რამეთუ შეგვეშინის რაი, ჴვებულ ყოფასა ულონობითა. ამას ზეით იოანე დამასკელის წიგნში ეწერა. ხოლო ნემესიოსის წიგნთა განკვირების ნაცვლად **წყვლა** ეწერა, ვინაიდგან გულნი კაცთანი განკვირებასა რა შთავარდებიან, ინყვლიანცა და ულონობის ნაცვლად **ზრუნვა** ეწერა (+ესრეთ ზრუნვა – შიში დაცემისა, ესე იგი არს ვერ მიმთხვევისაი, რამეთუ მოშიშარნი ვერ მიმთხვევისა. საქმისა ვზრუნავთ). ხოლო განეყოფის **კდემა** სირცხვილსა: რამეთუ სირცხვილი მათთვის, რომელი ქმნა, მძრწოლარე არს, ხოლო **მკდემე** მოშიშია შთავარდნად ვინაი უპატიოებასა, ხოლო უწოდენ მრავალგზის უძველესნი კდემასა სირცხვილად და სირცხვილსა კდემად. (+შიში, რომლისა მიზეზისაგან იქმნების, ვრცლად ნემესიოს 18

სათვის. XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. 2004, გვ. 39.

²⁶³ სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1979, გვ. 76.

თავსა შინა იძიე)²⁶⁴.

ქართულში შიშის გამომხატველი ძირითადი სიტყვებია: **შიში, ზარი, კრთომა, კდემა, მონინება, ზრზოლა, ძრწოლა, ფრთხოვა, ქოთება, შესულება, დაკვრება, დანაბვა, ოცება, სულმოკლება...** ჩამოთვლილი ფორმები დერივაციული აფიქსების დართვით იძლევა ახალ-ახალ ლექსიკურ და სემანტიკურ ერთეულებს: **შიშნეულობაი, მშიშრეული, ზარისგანჯდაი, სიზარეი, საზაროება, განკრთომილებაი, ზარგანჯდილი, წინვა, წინნეული, შესულებული, შემადრწუნებელი, დამედგრება, ფრთხოვბილი...** ჩამოთვლილი ფორმებიდან სალექსიკონო მასალის მიხედვით ფორმათა ყველაზე მეტ ნაირსახეობას აწარმოებს **შიში** (შიშნეულობაი, მოშიშ-ქმნა, მოშიში, მშიშარი, მშიშრეული, დამინებული, შიშნაჭამი, შიშით შეპყრობილი, შიშატანილი, შიშნეული, საშიშარი...) და **ზარი** (ზარისგან კდაი, ზარ-კდა, სიზარეი, საზაროება, ზარგანჯდილი, ზაროანი, ზარტეხილი, ზარცემული, ზარისსაჯდელი, საზაროე, უზაროება...).

შიშრია სახელური ფუძეები და მისგან წარმოქმნილი ფორმები: **დედალი, გულდედალი, დიაცი, მედგარი (>დამედგრება), ლაჩარი (>დალაჩრება)...**

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში სიტყვა **შიში** მეორე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, კერძოდ **შიში** ნიშნავს **შუშის ჭურჭელს**, ხოლო თედო სახოკიას ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში დასტურდება ფრაზემა **შეშინებულია ე.ი. „ოდნავ გაბზარულია (ჭურჭელზე ითქმის)“**.

მ. ჩუხუა **შიშის** მნიშვნელობით აღადგენს საერთოქართველურ არქეტიპს ***შ**. მისი აზრით, შიშის გაგებას საფუძვლად დაედო გაშეშების, გაქვავების სემა. ამ მტკიცების საფუძვლად მიიჩნევს სვანურ სიტყვებს: **შკირა, შგირა** „გაქვავება, გაშეშება“, **ლიშგრე** „ხელებგაშეშებული“²⁶⁵.

ლექსიკონების მიხედვით, **შიშის** ერთ-ერთი სახელია **გან-**

²⁶⁴ ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული 2 წიგნად. თბ., 1991.

²⁶⁵ ჩუხუა მ. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბ., 2000-2003, გვ. 251; იაკობიძე ნ. შიშის ნომინაცია ქართულსა და გერმანულ ენებში. უ. „ქართველური მემკვიდრეობა“. 2012, ტ. XVI, გვ. 74

კრთომილება, ხოლო განკრთომილის მნიშვნელობებია: 1. „შეშინებული“; 2. „ჭკუიდან შეშლილი“. საინტერესოა განკრთომილის მეორე მნიშვნელობა – „მოქნეული, ნასროლი“. განკრთომა/გაკრთომა – „შეკრთომა“; „შეშლა (ჭკუიდან)“; „შიში“; „გაკვირვება, გაოცება“. დასახელებული ფორმებისათვის საერთო სემანტიკაა შიში, ამასთანავე შინაარსი გადაბმულია ჭკუიდან შეშლის (ჭკუიდან გადასვლის) სემანტიკასთან. ჭკუიდან შეშლა თავისთავად გულისხმობს დაწესებული ნორმიდან გადასვლას (შდრ. განცთომა – ჭკუიდან შეშლა, შეცილებული – შეშლილი, ჭკუიდან გადასული), ამდენად განკრთომილის მეორე მნიშვნელობა „მოქნეული, ნასროლი“ ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს „შეშლასთან“ (შდრ. გამოთქმა ფეხი ეშლება ე.ი. სცილდება გასავლელ ვერტიკალს, სწორ ხაზს). ის რაც მოქნეული და ნასროლია, დაცილებულია თავის ადგილს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვამ შეიძინა ახალი მნიშვნელობა აზრობრივი კავშირის ნიადაგზე.

შიშის გამომხატველ ლექსიკაში, ისევე როგორც სხვა თემატურ ჯგუფებში, გამოიყოფა მარტივი სტრუქტურის სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა ცნებას ემთხვევა და ერთ სემას ასახავს (ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთენოვან ლექსიკაში განმარტების გარეშეა მოცემული), ესენია: შიში – ზარი. ისტორიულად, ზარისგანკდად, სიზარეფ, საზაროება. შიშის სრულ, ან ნაწილობრივ სინონიმებად დასტურდება სიტყვათა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ეს სიტყვებია:

ზრზოლა, მძრნოლარება, შეძრწუნება, კანკალი, მოწინება, მოკრძალება, მორიდებულობა, შეკრთომა, განკრთომა, წინვა, დანაბვა, ფრთხობა, შესულება, გაოცება, გაშტერება, დაკვრევა, გაოგნება, შეშლა (ჭკუიდან), განკრთომა, შფოთი, ქოთება, სულმოკლება, მოდუნება და სხვ. ჩვენი აზრით, ყველა ამ სიტყვის დასახელებული მნიშვნელობები ქმნიან სიტყვა შიშის ერთიან სემანტიკას და, რაც მთავარია, ამ მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირი უდავოა.

თავი II. ომონიმია ქართულში და ომონიმის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები აფხაზური პარალელებითურთ

§1. პოლისემიისა და ომონიმის მომიჯნავე საკითხები და ომონიმის რაობა

სპეციალურ ზოგადლინგვისტურ ლიტერატურაში ომონიმების რაობის საკითხზე აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა: ხუთასამდე განსაზღვრება გვხვდება, რაც იმის დამადასტურებელია, რომ არ არსებობს ომონიმთა საყოველთაოდ მიღებული ზუსტი განმარტება²⁶⁶. თვალსაზრისთა ამგვარი მრავალფეროვნება იმით აიხსნება, რომ ყველა მკვლევარი სხვადასხვა პოზიციიდან ხედავს საკითხს, თუმცა შესაძლებელია იმის საზგასმა, რომ საზოგადოდ ომონიმის განსაზღვრის ორნაირი მიდგომა არსებობს: სინქრონიული და დიაქრონიული. სინქრონიულ მიდგომას სხვაგვარად სტატიკურ, ან სემანტიკურ მიდგომასაც უწოდებენ, ხოლო დიაქრონიულს ეტიმოლოგიური მიდგომაც ჰქვია.

სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომის მიხედვით ომონიმის განსაზღვრისას სხვადასხვა შედეგს ვიღებთ. ვინც სინქრონიულ თვალსაზრისზე დგას, იმისი დასკვნა არ ემთხვევა იმ მეცნიერთა დასკვნას, ვინც დიაქრონიულ თვალსაზრისს იცავს. ამდენად, მკვლევართა ერთ ჯგუფს ერთი და იგივე სიტყვები ომონიმებად მიაჩნია, მეორეს კი პოლისემიად ესახება²⁶⁷. სიტყვის მნიშვნელობის განმარტებისათვის მათი დაჯგუფების ხერხების არჩევანი დამოკიდებულია ავტორსა და მის შეხედულებაზე — ეტიმოლოგიური კრიტერიუმით უდგება სიტყვას, თუ სინქრონიული თვალსაზრისით განიხილავს²⁶⁸. ზემოთ თქმული

²⁶⁶ სიხარულიძე ა. ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი. თბ., 1992, გვ. 3.

²⁶⁷ იქვე.

²⁶⁸ ნუბიურიძე ნ., ახვლედიანი ც. პოლისემიისა და ომონიმის პრობლემა (ფრანგული ენის მასალაზე). ჟ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, 2009, ტ. XXX, გვ. 113.

სრულად ეხება ქართულ და აფხაზურ ენებსაც.

ბიძინა ფოჩხუას აზრით, ომონიმიის კვლევა ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ნაწილია... როცა ხელთ გვაქვს ერთგვარად მბგერი წყვილი, ყოველთვის ვერ დავადგენთ, ომონიმიასთან გვაქვს საქმე, თუ არა. საამისოდ აუცილებელია ვიცოდეთ ამ წყვილში შემავალი თითოეული სიტყვის წარმომავლობა²⁶⁹.

ეტიმოლოგიური პრინციპის მიხედვით, ომონიმებად ითვლება ორი სხვადასხვა წარმოშობის სიტყვა, რომლებიც ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დაემთხვენ ერთმანეთს. მეორე მხრით, წარმოშობით ჰომოგენური სიტყვა პოლისემიურია, თუ ის რამდენიმე მნიშვნელობას ავითარებს²⁷⁰.

ბოლო დროს ეტიმოლოგიურ მიდგომას სულ უფრო მეტი მონი-ნააღმდეგე ჰყავს. მიიჩნევენ, რომ ეტიმოლოგიური კრიტერიუმი ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ომონიმებისა და პოლისემიის გასამიჯნად. როცა სემანტიკური ევოლუცია მძლავრად მიმდინარეობს, ის შლის პოლისემიურ ფორმას ომონიმებად. ამდენად, ამ მოსაზრების მომხრეთა აზრით, პოლისემიისა და ომონიმი-ის გასამიჯნად ეტიმოლოგიური კრიტერიუმი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი²⁷¹. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ ეს მოსაზრება მთლიანად ვერ გამორიცხავს ეტიმოლოგიის გათვალისწინების აუცილებლობას ომონიმიისა და პოლისემიის გასამიჯნად, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელი ჩანს მართებული დასკვნის გამოტანა. ავიღოთ თუნდაც ნასესხებ სიტყვათა მონაწილეობით წარმოქმნილი ომონიმები: სრულიად ცხადია, რომ უმრავლეს შემთხვევებში სიტყვის ძირეულობა-ნასესხობა ვერ გადანყდება საგანგებოდ ჩატარებული ისტორიული კვლევის შედეგთა გათვალისწინების გარეშე. გარდა ამისა, ომონიმია ყველაზე ხშირად სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვათა მონაწილეობით წარმოიქმნება, სიტყვის ნასესხობა კი უპირატესად ამ სიტყვის მსესხებელ ენაში შესვლის დროის, ანუ ის-

269 ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბ., 1974, გვ. 91.

270 ალხაზიშვილი ა. ომონიმების საკითხი თარგმნით ლექსიკონში. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. 1959, ტ. 2, გვ. 58.

271 ნებეირიძე ნ., ახვლედიანი ც. დასახელებული ნაშრომი, გვ. 112.

ტორიის დადგენით ირკვევა, ანუ ამ შემთხვევებში ისტორიზმი კვლევის აუცილებელი ფაქტორია. სხვათა შორის, იგივე ითქმის პოლისემიაზეც: სიტყვის სემანტიკური ისტორია მისი წარმოქმნის შესახებ ზუსტ მონაცემებს გვანდის.

პოლისემიისა და ომონიმიის გასარჩევად რ. ბუდაგოვი პოლისემიის პირობად „აზრითი ლერძის“ არსებობას მიუთითებს. აზრითი ლერძის მოშლით პოლისემიის ომონიმიასი გადასვლა ნავარაუდევია. „როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს ერთმანეთისაგან პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები, მაინც, მუდამ ჯგუფდებიან ერთი აზრითი ლერძის გარშემო. სანამ ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობას ერთმანეთთან რაღაც საერთო, თუნდაც შორეული კავშირი აქვს, სანამ ყველა სიტყვა ერთიანდება ერთი აზრითი ლერძით და მხოლოდ მეტნაკლებად შორდება მას – საქმე გვაქვს პოლისემიასთან, ხოლო როცა სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები ძლიერ არიან დაშორებული სიტყვის ძირითად აზრს, კარგავენ მასთან კავშირს და ერთმანეთს მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ემთხვევიან და არა შინაარსით, – ჩვენს წინაშე არის ომონიმები“²⁷².

ძალიან ხშირად ამა თუ იმ ენაში წარმოშობით ერთი და იმავე სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, ე.წ. პოლისემია, დროთა განმავლობაში იმდენად შორს მიდის, რომ ძნელი ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ არა ომონიმიის, არამედ პოლისემიის შესახებ²⁷³. ამ დებულების დამადასტურებელი ფაქტები ყველა ენაში მოიპოვებადა სათანადო მაგალითები ქართულ ენაშიც გვაქვს.

მაგალითად: **გაასალეზს** – გაყიდის, ცუდი, უხეირო საქონლის გაყიდვას მოახერხებს. **გაასალეზს** – სალს გახდის, გააჯანმრთელებს, გააჯანსაღებს.

ე. ბაბუნაშვილის დასკვნით, ეს ორი სიტყვა ერთმანეთის მიმართ ომონიმებია, მაშინ, როდესაც წარმომავლობით ისინი ერთსა და იმავე „სალ“ ძირს უნდა უკავშირდებოდნენ და პირვე-

272 Будагов Р. А., Очерки по языкознанию, М., 1953, с. 11-12.

273 Реформатский А. А., Введение в Языкознание, М., 1955 с. 59; Булаховский А. А., Введение в Языкознание, М., 1953, с. 46.

ლი მნიშვნელობისათვის ამოსავლად მეორე მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ.

წარმოშობით პოლისემიური სიტყვებიც დროთა განმავლობაში ომონიმებად იქცევიან, როცა მოლაპარაკეს უქრება მნიშვნელობათა წინანდელი კავშირის გრძობა²⁷⁴. რისტერის ამ დებულების მიხედვით, ორიენტაცია აღებულია მოლაპარაკის გრძობაზე: „თუ გრძობს მოლაპარაკე მნიშვნელობათა კავშირს, პოლისემიასთან გვაქვს საქმე, თუ არ გრძობს — ომონიმასთან“. ბ. ფოჩხუა უპირისპირდება ამ დებულებას. მისი თქმით, მოლაპარაკის გრძობა არ ქმნის მკვიდრ საფუძველს ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნისათვის²⁷⁵.

ე. კოსერიუ ომონიმის მოვლენათა გამოსაყოფად ეყრდნობა ენის მხოლოდ მოცემული მდგომარეობის აზრობრივ სტრუქტურას. მისი აზრით, ენა მუდამ „სინქრონიულია“ იმ აზრით, რომ იგი მუდამ სინქრონიულად ფუნქციონირებს. ე. ი. იგი „სინქრონიზებულია“ მოლაპარაკესთან. მოსაუბრე მეტყველების დროს არ ფიქრობს ისტორიაზე. ეტიმოლოგია ვერ გამოდგება ომონიმის კრიტერიუმად²⁷⁶.

სინქრონისტები ასკვნიან, რომ პოლისემიური ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათა ურთიერთდაშორების, მისი სემანტიკური „გახლეჩის“ შედეგად მიღებული სიტყვები სტატიკური თვალსაზრისით ომონიმებია და არა პოლისემიური ფორმები. ომონიმია მიიღება არამარტო ენაში მომხდარი ეტიმოლოგიური განვითარების (რომელიც გულისხმობს სიტყვის **ფონეტიკურ განვითარებას**), არამედ **სემანტიკური განვითარების** საფუძველზეც, როცა დროთა განმავლობაში სიტყვის მნიშვნელობა დაშორდება ამოსავალ მნიშვნელობას, კარგავს აზრობრივ კავშირს ამოსავალ

274 Richter E. *Über Homonimie. Festschrift für Kretschmer*, Berlin, 1926, p.26;

275 ფოჩხუა ბ. ომონიმია და პოლისემია. *„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“*, 1958, ტ. IX-X, გვ. 15.

276 Косериу Э., *Синхрония, диахрония и история. Новое в лингвистике*, вып. 111. М., 1963, с.342; ბადრიშვილი ფ. სიტყვათწარმოებითი კომპონენტების ომონიმია და მრავალმნიშვნელობა. *„უცხო ენები სკოლაში“*, 1974, №1.

მნიშვნელობასთან და სინქრონიულ // სტატიკურ დონეზე იქცევა დამოუკიდებელ, სხვა სიტყვად. „თუ განვიხილავთ ომონიმურ და პოლისემიურ სიტყვაფორმებს სინქრონიულ დონეზე, ერთნაირ შედეგს მივიღებთ: ერთი ფორმა გამოხატავს ორ (ან მეტ) შინაარსს; ამიტომ ისინი უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა სიტყვებად“-ო წერს ტ. გურგენიძე²⁷⁷.

შ. ბალის დებულების მიხედვით, სტატიკურსა და ისტორიულ კვლევას შორის წინააღმდეგობა დაჩნდება იმ საპირისპირო ფაქტში, რომ **ომონიმები გადაიქცნენ ომონიმებად დროთა განმავლობაში და რომ დიაქრონიისათვის არ არსებობს ომონიმია**²⁷⁸.

როგორც უკვე ითქვა, მოსაუბრე ლაპარაკის დროს არ ფიქრობს სიტყვის ისტორიაზე. ცნობილია, რომ მეტყველების პროცესში მეტყველისათვის არსებობს პოლისემიური სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობა. მეტყველება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ყოველი სიტყვის წარმოქმნის წინ მეტყველს წარმოუდგებოდა მთელი ჯგუფი მნიშვნელობებისა, რათა აერჩია ამ სიტყვაციის (კონტექსტის) შესაფერისი მნიშვნელობა²⁷⁹. მოსაუბრე სიტყვას იყენებს იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც გააჩნია ამ სიტყვას ენის მოცემული მდგომარეობის დონეზე (მეტყველი არ ფიქრობს სიტყვის ისტორიაზე). ამდენად, თუ ისტორიის რომელიმე ეტაპზე „საპონი“ და „მდელო“ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია, სინქრონიულ დონეზე ისინი მოსაუბრისთვის სხვადასხვა სიტყვებია. მეტყველების პროცესში თვით ლინგვისტებიც კი, რომლებმაც ენის სხვა მომხმარებლებზე მეტი მნიშვნელობა იციან კონკრეტული სიტყვებისა, მეტყველებისა და წერის დროს პოლისემანტიკური სიტყვის ერთადერთ სემანტიკას იხსენებენ და ამ სიტყვას სწორედ ამ, მოცემული მომენტისათვის აუცილებელი მნიშვნელობით იყენებენ.

277 გურგენიძე ტ. *გრამატიკული კლასების რაოდენობის დადგენა ომონიმური ან პოლისემიური სიტყვაფორმების შემთხვევაში*. *„საენათმეცნიერო ძიებანი“*, 2006, ტ. XXIII, გვ. 92.

278 Балли Ш., *Общая лингвистика и вопросы французского языка*. М., 1955, с. 194-195.

279 ფოჩხუა ბ. ომონიმია და პოლისემია. *„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“*, 1958, ტ. IX-X, გვ. 25.

მეორე მხრივ, სიტყვის ერთი ფონეტიკური გარსი მიმართე-
ბაშია საგანთა რამდენიმე კლასთან. ამ ჯგუფის სიტყვები,
სინქრონიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით, სხვადასხვა
სიტყვებია. მათი ანალიზით და ისტორიული ვითარების გათ-
ვალისწინებით შეიძლება მათი გამაერთიანებელი ნიშნის პოვნა
და კავშირის აღდგენა ამოსავალ მნიშვნელობასთან. **ამ ჯგუფის
სიტყვები ენისთვის პოლისემიას ქმნიან, ხოლო მოსაუბრისთვის –
ომონიმას, სხვანაირად: ის, რაც პოლისემიაა ენისათვის ისტო-
რიული თვალსაზრისით, მოსაუბრისთვის ენის მოცემული მდგო-
მარეობის (სინქრონიულ) დონეზე ომონიმას წარმოადგენს.**

როგორც სინქრონისტიკის, ისე დიაქრონისტიკის მიდგომა
ომონიმის განსაზღვრისას ცალმხრივია. ჩვენი დაკვირვებით,
სინქრონიული // სტატიკური და დიაქრონიული // ეტიმოლოგი-
ური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობისას, სხვადასხვა დასკვ-
ნა გამოიყვანება. ეტიმოლოგიური კრიტერიუმი ითვალისწინებს
მხოლოდ ფონეტიკური მხარის განვითარების ჩვენებას. მაგრამ
სიტყვა შეიძლება განვითარდეს სემანტიკურადაც. სიტყვა იც-
ვლის არა მარტო ფორმას, არამედ სემანტიკასაც. სხვანაირად
რომ ვთქვათ, სიტყვას თუ ფორმოზოგივი ცვლილება შეუძლია,
სემანტიკური ცვლილებაც ასევე შეუძლია. ეს ფაქტორი არ არის
გათვალისწინებული ეტიმოლოგიური მიდგომისას. ეტიმოლოგი-
ურ მიდგომას აქვს ასევე ის ნაკლი, რომ ომონიმის წარმო-
შობის წყაროდ მხოლოდ ერთ გზას მიიჩნევს (ეტიმოლოგიურს),
როდესაც ომონიმის განვითარების მრავალი გზა არსებობს (იხ.
ქვემოთ).

შიდაენობრივი ომონიმების ეტიმოლოგიურ ანალიზს აქვს
დადებითი მხარე – იძლევა ძველი ფორმების რეკონსტრუქციი-
სა და პირველადი ვითარების წარმოჩენის საშუალებას, თუმცა
ეტიმოლოგიის გამოვლენა სულაც არ ნიშნავს სემანტიკური გან-
ვითარების ჩვენებას.

სინქრონისტიკის პოზიციიდან გამოყვანილ დასკვნებს ის ნა-
კლი აქვს, რომ ისინი ომონიმებად მიიჩნევენ იმ სიტყვებსაც,
რომლებსაც საერთო წარმომავლობა აქვთ და ერთი კონკრეტუ-
ლი ეპოქისთვის ამოსავალი მნიშვნელობიდან მკვეთრად განსხ-

ვავებული მნიშვნელობა უდასტურდებათ. ამ თვალსაზრისზე
მდგომი მკვლევრები სიტყვის სემანტიკურ ისტორიას საერთოდ
გამორიცხავენ, არადა ისტორიის გათვალისწინება ბევრ მნიშ-
ვნელოვან საკითხს ჰფენს ნათელს.

ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო ჩვენ არ ვემხრობით
არცერთ ცალმხრივ მოსაზრებას, რომლებიც გამორიცხავენ სხვა
მოსაზრებათა დადებით მომენტებს და მიგვაჩნია, რომ აუცილე-
ბელია საკითხისადმი **კომპლექსური** მიდგომა, რაც გულისხმობს
ომონიმის დახასიათებას ყველა შესაძლო ასპექტის გათვალის-
წინებით: ეტიმოლოგიური, სემანტიკური, სინქრონიული, შიდა-
ენობრივი და ენობრივი წარმომავლობის თვალსაზრისით.

რა არის იმის მიზეზი, რომ არ მოხერხდა საზღვრის გავლება
ომონიმასა და პოლისემიას შორის? საქმე ისაა, რომ ომონიმის-
სა და პოლისემიის ცნებები სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყო-
ფილი ცნებებია.

ასეთი არეულობისა და პოლისემიასა და ომონიმის შორის
საზღვრის გაუვლებლობის მიზეზად ბ. ფოჩხუა თვლის იმ ფაქტს,
რომ ეს ცნებები სხვადასხვა თვალსაზრისითაა გამოყოფილი.
სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მისი განვითარების
მანძილზე, მაშასადამე, **პოლისემიის ცნება ისტორიული ენათ-
მეცნიერების ცნებაა.** ხოლო სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელობის
დადასტურება ნიშნავს ისტორიზმის, დიაქრონიული ლინგვის-
ტიკის პოზიციაზე დადგომას²⁸⁰. დაშვება იმისა, რომ სიტყვას
აქვს ძირითადი და მეორეული მნიშვნელობები, ესაა საკითხის
დასმა ისტორიულ ნიადაგზე²⁸¹. მეორე მხრივ, თუ ომონიმებად
მივიჩნევთ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთგვარად
მბგერ სიტყვებს, მათი გენეზისური იგივეობის მიუხედავად,
ამით უგულებელვყოფთ ისტორიას და სინქრონიული ლინგვის-
ტიკის პოზიციაზე ვდგებით. ამრიგად, როდესაც ვცდილობთ
მრავალმნიშვნელობიან სიტყვაში ომონიმისა და პოლისემიის
გარჩევას, ამით უკვე ვახდენთ ორი ურთიერთგამომრიცხველი

280 ფოჩხუა ბ. ომონიმია და პოლისემია. ფ. „იბერიულ-კავკასიური ენათ-
მეცნიერება“, 1958, ტ. IX-X, გვ. 24.

281 Вандриес Ж. Язык, М., 1937, с. 168-169.

თვალსაზრისის აღრევას²⁸².

განსხვავებული პოზიციები ანარეკლია იმისა, რომ პოლისემიისა და ომონიმის ცნებები დაუზუსტებელია. საკითხის გადასაჭრელად ომონიმის უნდა მიეცეს ობიექტური კვალიფიკაცია და დადგინდეს მისი ადგილი ენობრივ სისტემაში²⁸³. „**ორ ნიშანს არ შეუძლია ერთი და იმავე ტიპის სისტემაში გამოვლინდეს**“²⁸⁴. მრავალასპექტიანი ობიექტის ერთ განსაზღვრებაში გაერთიანება გაუმართლებელია, რადგან ვერ ასახავს ზუსტ ვითარებას, ვერ მოხერხდება მისი ზუსტი დეფინიცია; **სიტყვას მეორე, სხვა მნიშვნელობა იმავე გარემოში არ განუვითარდება, ამიტომ პოლისემია უწყვეტი განვითარების შედეგი ვერ იქნება;**; პოლისემიას სხვადასხვა გარემოში განშტოებული მნიშვნელობების თავმოყრა იძლევა²⁸⁵.

„ახალი მნიშვნელობა ვერ შეიქმნება იმავე გარემოში, სადაც თავდაპირველი მნიშვნელობა არსებობს. ცვლილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გადაცემის ნყვეტილი ხასიათი, რომელსაც მიეე ყველა ენობრივი ცვლილების შესაძლებლობის პირობად თვლის“²⁸⁶. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ბ. ფოჩხუას შემდეგ მოსაზრებას:

„**პოლისემია ორი (ან მეტი) მონაცემის თავმოყრის შედეგია. ეს მონაცემები ჰომოგენურია - განშტოებულ მნიშვნელობებს წარმოადგენს. იმისთვის, რომ განშტოება მოხდეს, ე. ი. ახალი მნიშვნელობები განვითარდეს, საჭიროა განყდეს კავშირი სიტყვის მნიშვნელობასა და მის ერთ-ერთ გამოყენებას შორის. სადაც ეს განყვეტა არ მოხდარა, იქ ახალი მნიშვნელობაც არ მიგვიღია. თუ სიტყვის გამოყენებას სხვა სახის დასახელებლად საფუძვლად**

282 ფოჩხუა ბ. ომონიმია და პოლისემია. ჟ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1958, ტ. IX-X, გვ. 24.

283 იქვე, გვ. 19.

284 Godel R., Homonymie et identite. Cahiers Ferdinand de Saussure, VIII, 1948, 10 p.;

285 ფოჩხუა ბ. პოლისემიის საკითხისათვის. ჟ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1960, ტ. XII, გვ. 128.

286 იქვე, გვ. 125-127; შდრ. Meillet A., Comment les mots changent de sens. Linguistique generale et linguistique historique, Paris, 1926, p. 235;

უდევს სიტყვის (რომელიმე) მნიშვნელობა, მაშინ საქმე გვაქვს მხოლოდ მეტაფორასთან და არა ახალ მნიშვნელობასთან, და მაშ პოლისემიის შესახებ ვერ ვილაპარაკებთ“²⁸⁷.

რაც შეეხება ომონიმის, მის გამომწვევ მიზეზთა შორის სახელდება სიტყვის სემანტიკური განვითარება²⁸⁸. ამგვარი განსაზღვრა გამოდგება სიტყვათა იმ ჯგუფის მიმართ, რომელთა მნიშვნელობები ისტორიული განვითარების შედეგად იმდენად დაშორდნენ ერთმანეთს, რომ სხვა სიტყვებად მოჩანს. პოლისემანტიკური სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის განკერძოებით (როცა ამოსავალ და ახალ მნიშვნელობას შორის კავშირი დაკარგულია) მიიღება ომონიმია. ასეთი სიტყვები ცალკე ქვესისტემას ქმნის ქართული და აფხაზური ენების ლექსიკაში.

ომონიმია გულისხმობს ორი სხვადასხვა წარმომავლობის ერთეულის შემთხვევით, ფორმალურ დამთხვევას, რომელთაც არავითარი აზრობრივი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. მაგალითად, **წელი** — ადამიანის სხეულის ნაწილი და **წელი** — დროის მონაკვეთი, წელიწადი²⁸⁹.

ომონიმი ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც **ბგერითად არ განსხვავდებიან, მაგრამ მნიშვნელობითა და წარმომავლობით განსხვავებული არიან**²⁹⁰.

ძველ ცნობარში, ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ომონიმის შესახებ ნათქვამია, რომ ესაა სიტყვა, რომელიც ხასიათდება სხვა სიტყვის მსგავსი წარმოთქმით, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით²⁹¹.

ლექსიკაში ომონიმები წარმოადგენენ სიტყვებს, რომლებიც თანამედროვე ენაში ბგერითად ერთმანეთს ემთხვევა, განურჩევ-

287 ფოჩხუა ბ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.

288 Большая советская энциклопедия, II изд. т.31;

289 თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბ., 1961, გვ. 50.

290 ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 2008, გვ. 189.

291 Энциклопедический словарь, т. XXI, М., 1897, с. 293.

ლად იმისა, რამ გამოიწვია ეს დამთხვევა (ეტიმოლოგიამ, პოლისემიის დაშლამ, ფონეტიკურმა ცვლილებებმა და სხვ.)²⁹², ან ერთნაირად მჟღერ სიტყვებს, რომლებიც „ნარმოშობით სხვადასხვაგვარ სიტყვათა“ ფონეტიკური განვითარების შედეგად მივიღეთ²⁹³.

ა. სიხარულიძის აზრით, ომონიმებთან გვაქვს საქმე, როცა:

1. ერთი სიტყვა ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა მნიშვნელობით განსხვავებულ სხვა სიტყვას. მაგალითად: **დოლი** — 1. მუსიკალური საკრავი; 2. ბატკნის მოგების დრო; 3. ხორბლეულის სახე; 4. ნადირის ბუნაგი; 5. შაბი; 6. ღრუ ცილინდრი;

2. რამდენიმე სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გამთლიანება ნარმოქმნის ერთ სიტყვას, რომელსაც განსხვავებული შინაარსი აქვს. მაგალითად, **გაუგონარი** — ურჩი, ჯიუტი და **გაუგონარი** — დაუფინა ნარი (ეკლიანი ბალახი);

3. რამდენიმე სიტყვის ბგერითი შემადგენლობა ემთხვევა იმავე, ან სხვა რაოდენობის სიტყვათა ბგერით შემადგენლობას, რომლებიც განსხვავებულ შინაარსს ნარმოქმნიან. მაგ.: **სად ამდის** – სად მწვდება // სად ამომდის²⁹⁴.

ჩვენი აზრით, ამ სამი დებულებიდან ყველა მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ:

პირველ პუნქტში დასახელებული 6 ომონიმური სიტყვის ნაცვლად ქართულ ენაში არსებობს ზუსტად ერთნაირი ბგერითი შემადგენლობის, მაგრამ სხვადასხვა ნარმოშობისა და მკაფიოდ განსხვავებული სემანტიკის მქონე 5 ომონიმური სიტყვა:

ა. **დოლი** – ბატკნის მოგების დრო;

ბ. **დოლი** – 1. მუსიკალური საკრავი; 2. ღრუ ცილინდრი. სიტყვა **დოლი** მუსიკალური საკრავის მნიშვნელობით ნასესხებია თურქული ენიდან და მეორე მნიშვნელობა „ღრუ ცილინდრი“ მისგან ქართულის ნიადაგზეა გაჩენილი საგანთა ფორმის მსგავსების საფუძველზე;

292 Будагов Р. А., Введение в науку о языке, М., 1965, с. 46-50.

293 Абаев В. И., О подаче омонимов в словаре. ВЯ, 1957, 3. с. 39-40.

294 სიხარულიძე ა. ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი. თბ., 1992, გვ. 4-5;

გ. **დოლი** – ხორბლის ჯიში;

დ. **დოლი** – ნადირის ბუნაგი;

ე. **დოლი** – შაბი;

არ მიგვაჩნია სწორად მეორე და მესამე პუნქტებში დასახელებული ფორმების ნამდვილ ომონიმად მიჩნევა, რადგან აქ ომონიმიის შთაბეჭდილება ნარმოქმნება ორი სხვადასხვა სიტყვიდან ერთ-ერთის ფორმათცვალების შედეგად ნარმოქმნილი მეორე სიტყვის სახელდებით ფორმასთან მიმსგავსების საფუძველზე. **ნამდვილ ომონიმებად მიჩნევის საფუძველი კი უნდა იყოს საწყისი (ნომინაციურ-სახელდებითი) ფორმების ფონეტიკური იდენტურობა** და არა ორი ლექსემის ცალკეული სიტყვა-ფორმების (სხვადასხვა პარადიგმის ნევრთა) დამთხვევა, რომლებიც განსხვავებულ სტრუქტურულ კლასებს განეკუთვნებიან. ფორმათცვლის შედეგად ნარმოქმნილ ვარიანტებს სპეციალურ ლიტერატურაში **ჰომოფორმებს // ომოფორმებს**, ანუ **ლექსიკურ-გრამატიკულ ომონიმებს** უწოდებენ (მაგალითად, **მოდის** ჰომოფორმა ნარმოქმნილია, ერთი მხრივ, ზმნის ანმეოს დროის ნარმოების გზით, ხოლო, მეორე მხრივ, ნარმოადგენს **მოდა** სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას). ჰომომორფებად მიიჩნევენ „სინტაქსური კონვერსიის“ მიმართებაში მყოფ ლექსემებსაც. მაგალითად: **სადილი** (არს. სახელი) და **სადილობა** (ზმნა)²⁹⁵.

ქართულ ომონიმებს ე. ბაბუნაშვილი ყოფს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია სრული, ნამდვილი, აბსოლუტური ომონიმები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს არამარტო **ნარმოშობის**, არამედ **სტატიკური** თვალსაზრისითაც. სტატიკური თვალსაზრისით ომონიმებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ:

ა) სხვადასხვა მნიშვნელობა;

ბ) ერთნაირი ბგერითი შედგენილობა და

გ) ერთი და იგივე მორფოლოგიური ფუნქციები.

ქართულში ასეთი ომონიმების მაგალითებია:

295 ნებეირიძე ნ., ახვლედიანი ც. პოლისემიისა და ომონიმიის პრობლემა (ფრანგული ენის მასალაზე). ჟ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, თბ., 2009, გვ. 111-112.

ატლას-ი (არაბ. ატლას „გლუვი“) – აბრეშუმის პრიალა ქსოვილი და **ატლას-ი** (მომდინარეობს მითოლოგიური ატლანტის სახელისაგან) გეოგრაფიული რუკების კრებული;

ბუკ-ი – დიდი საყვირი და **ბუკ-ი** – დიდი მრგვალი კუნძი, მორი²⁹⁶.

მკვლევარი მეორე ჯგუფში აერთიანებს ომონიმების კიდევ ერთ დიდ ჯგუფს – ე. წ. **ნაწილობრივ ომონიმებს**, ანუ **ომოფორმებს**, რომელთა თანხვედრა ბრუნებისა და უღვლილების ფორმათა მთელ სისტემაში კი არ ხდება, არამედ ცალ-ცალკე, ანუ – ეს ის ფორმებია, რომლებიც ა. სიხარულიძის მიერ ომონიმთა დაჯგუფებაში მეორე და მესამე პუნქტებადაა გამოყოფილი.

ასეთია:

1) სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ერთი ან რამდენიმე ფორმის დამთხვევა: **გავა** – **გასვლა** ზმნის მყოფადის ფორმა და **გავა** – ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი; **დავა** – „დაეშვება ზემოდან ქვევითკენ“ და **დავა** – კამათი; **ველი** – დიდი მინდორი და **ველი** – „ველოდები“... (დავაზუსტებთ: აქ საქმე გვაქვს ერთი სიტყვის სახელდებითი ფორმისა და სხვა სიტყვის, ზმნის პირიანი ფორმის დამთხვევასთან და არა სხვადასხვა მეტყველების ნაწილების საწყისი ფორმების დამთხვევასთან – თ. გ.);

ბ) ერთი და იმავე მეტყველების ნაწილების (უმეტესად ზმნების) ერთი, ან რამდენიმე ფორმის დამთხვევა: **აბნევს** – ფანტავს და **აბნევს** – უყრის (ძაფს ნემსში); **აკვლევინებს** – აიძულებს მოკლას და **აკვლევინებს** – ავალებს გამოიკვლიოს, კვლევა-ძიებას აწარმოებინებს...

ქართულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ისეთი ომოფორმები, რომელნიც მიღებულნი არიან, ერთი მხრივ, კუმშვადი, ან კვეცადი და მეორე მხრივ, უკუმშველი და უკვეცელი სახელების ზოგი ფორმის თანხვედრის შედეგად: **ბალი** (ბლისა) – ხე და **ბალი** – საზეიმო წვეულება; **წელი** – ადამიანის სხე-

²⁹⁶ ბაბუნაშვილი ე. ომონიმი და მისი ადგილი ქართულ ენაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1960, ტ. 9, გვ. 68;

ულის ნაწილი და **წელი** (წლისა) – წელიწადი²⁹⁷.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ქართულში არსებობს ომონიმების სამი ჯგუფი:

ლექსიკური: როცა სიტყვები ქმნიან ომონიმებს, აქვთ ერთნაირი ბგერითი შედგენილობა, განსხვავებული წარმომავლობა, ან დროთა განმავლობაში სემანტიკურად ერთმანეთს დიდად დაშორებული პოლისემიური სიტყვებისგან წარმოდგებიან. მაგალითად: **ბალი** — 1. ხილი, 2. ქულა, 3. მეჯლისი;

გრამატიკული: როცა სიტყვაფორმები ქმნიან ომონიმებს, მაგალითად: **გავა** – ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი და **გავა** — ზმნა; **შველი** — ცხოველი ირმისებრთა ოჯახიდან და **შველი** — ხელს უწყობ, ეხმარები;

შედგენილი: როდესაც რამდენიმე სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გამთლიანება წარმოქმნის განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვას. მაგალითად: **დასადაგე** — დასაწველი, დასადაგავი; 2. **დასად + აგე** „ჯგუფად, ერთად გამიყარე“; 3. **და სად აგე** „და რა ადგილას წაიყვანე“ [ა. სიხარულიძის მიხედვით, იხ.²⁹⁸].

ლექსიკური, გრამატიკული და შედგენილი ომონიმის გარდა ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როცა **ძირები ქმნიან ომონიმებს** და მათ სემანტიკურად აზუსტებს მხოლოდ მორფოლოგიური ელემენტები. მაგალითად, ასეთია გ ძირი სიტყვებში: **გა-ი-გ-ო, მო-ი-გ-ო, წა-ა-გ-ო, და-ა-გ-ო, გადა-ე-გ-ო, მი-უ-გ-ო...** ამგვარ ძირთა ომონიმურობა ცხადია არა მარტო ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე, არამედ თითოეული მათგანის ეტიმოლოგიის გათვალისწინებითაც.

²⁹⁷ ბაბუნაშვილი ე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 72;

²⁹⁸ სიხარულიძე ა. დასახელებული ნაშრომი. გვ. 7

§2. ომონიმთა ტიპები და მათი წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები

ენაში არსებობს ლექსიკური, გრამატიკული და შედგენილი ომონიმები, მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ძირები ქმნიან ომონიმებს** და მათ სემანტიკურად აზუსტებს მხოლოდ მორფოლოგიური ელემენტები. მაგალითად, ასეთია **გ** ძირი ქვემოთ დასახელებულ სიტყვებში (ამ და სხვა ძირების კვლევის შედეგებს ვიმონიშნებთ ა. არაბულის მონოგრაფიის მიხედვით [იხ. ²⁹⁹]).

გა-ი-გ-ო – 1. „გაიაზრა, შეიგნო, მიხვდა“; 2. „შეიტყო“; 3. „გაიგონა“;

გან-ა-გ-ო – 1. „მართა“; 2. „სათავეში ჩაუდგა, უმეთაურა“; 3. ძვ. „დაანესა, დაადგინა, გადაწყვიტა“;

მო-ი-გ-ო – 1. „მიიღო, სარგებელი ნახა“; 2. „გაიმარჯვა, აჯობა“;

წა-ა-გ-ო – „იზარალა“;

და-ა-გ-ო – 1. „დააფინა“; 2. „ტარი გაუკეთა“;

გადა-ე-გ-ო – 1. „მთლიანად დაიხარჯა“; 2. „გადაჰყვა, შეენი-რა“; 2. „უმემკვიდროდ მოკვდა“;

მი-უ-გ-ო – „უპასუხა“.

ასევე ერთი **სუ** ძირისაგან უნდა მოდიოდნენ ქვემოთ დასახელებული ფორმები:

სა-სუ-მელი – 1. „სასმისი, ჭიქა“; 2. „დასალევი სითხე“;

სა-სუ-მელი – „ნათესავი, ახლობელი“;

სა-სუ-მელება – „თჯს-ყოფა, თჯსობა“;

სუ-მა – 1. „ყოლა“;

სუ-მა – „მოყვანა, შერთვა“;

სუ-მა, სმა – 1. „სმა, დაღევა“; 2. „ლხინი, წვეულება“;

სუ-მა – „ნაცხება, მოვლება“;

სუ-მევა – „სმევა, დაღევილება“.

²⁹⁹ არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბ., 2001;

ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე **ს/სუ** ძირის შესახებ წერენ:

1. **სუ-/სუ-უ-სუ-ამ-ს**; **უ-სუ-ა** „ნაუსვა“; **გამო-სუ-მ-ა** „ამოვ-ლება“. სიტყვა ამ მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულში: „**უსუემდით** მას ზედა მარილსა...“

2. **სუ-ს-სუ-მა** „ყოლა“; **მ-ე-სუ-ა** „მყავდა“; **ე-სუ-ა** „ჰყავდა“. ძველ ქართულში გვხვდება: „**ესუა** მას ძე“; „არა **ესუა** მას შვილი“; „უმჯობეს არს არა **სუმა** ცოლისაჲ“; „საულისა **სუმულ** იყო ხარჭაჲ ერთი“ და სხვ.³⁰⁰

მაგალითებიდან ჩანს, რომ ძველ ქართულში საანალიზო ძირი „ყოლა“ მნიშვნელობით მიემართება ადამიანს, აქედან გამომდინარე, **სასუმელი** ნათესავის, ახლობლის მნიშვნელობით არ არის მოულოდნელი. ორი იდენტური ძირი ცალ-ცაკე მნიშვნელობებითაა წარმოდგენილი.

ჩნდება კითხვა: იდენტური ძირები **ს-** და **ს-** ომონიმურია (ანუ სხვადასხვა ძირებს წარმოადგენენ) თუ ერთი და იგივე სიტყვებია და დროთა განმავლობაში განივითარეს ახალი მნიშვნელობები?

ა. არაბული ფიქრობს, რომ ეს მასალა არ იძლევა რაიმე არსებით საფუძველს ფუძეთა გამიჯვნისათვის. ფორმალური მხარე ნათელია, სემანტიკური კავშირის მტკიცება რთული არ არის. **წა-ს-მა, და-ს-მა, გამო-ს-მა** და **ს-მა** ერთი ძირის ნაყარი ფორმები ჩანს³⁰¹. ჩვენი მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მნიშვნელობათა კავშირი ნაკლებად საგრძნობი ჩანს და მეტი არგუმენტაცია სჭირდება ამ მოსაზრების მტკიცებას.

ა. არაბულის მიერ გაანალიზებული ამ ტიპის სხვა მაგალითებია:

დასხმა – „ითქმის ღვინო, წყალი და მისთანანი, რაღაცა წდესა ზედა წარმოასხას, გინა კაცსა ზედედამ დასთხოს, ანუ სხვასა რაზედმე დაასხას“ (საბა);

შესხმა – „ქება-შემკობა, გინა სამკაულთ შებმა, გინა ნოტიო

³⁰⁰ ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 269;

³⁰¹ არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბ., 2001, გვ. 248.

რა(დ)მე შეათხოვ/წყალთ შეთხევა“ (საბა);

დასხმა – „მრავალი კაცი რა დააჯდუნოს, გინა ნარდისა და ჭადრაკის პაიკები“ (საბა);

მოსხმა – „ცხოველთ მოყვანათა, გინა მრავლად ხილის მობ-მა“ (საბა);

მოსხმა — „მოსასხამის“;

დაესხა – „თავს დაესხა“;

დასხმა – „დაფუძნება“³⁰².

ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში წარმოდგენილია იმავე ძირის სხვა მნიშვნელობებიც: **სხმა** – „შობა“; „მოყვანა, მოგვრა“; „ქონება“, „დგმა“; „ყოლა“, „სმა“; „დება“; „აცმა“, „მოსხმა“; „დანერგვა, დარგვა“; „აყვანა“.

დასხმა ზმნის განმარტებებია: „დანერგვა“, „დათხევა“, „დანყობა“; „დამარხვა“, „დადგმა“, „დაშრობა“, „დადება“, „დაყრა“, „დაღვრა“, „შეკაზმვა“, „დასმა“; „თავს დასხმა“; ასევე შდრ.: **ველისდასხმა** (//ველის-დასხუმა) „ესე არს მღდელთ-მთავარმა რა სამღდლო დასთაგანი აკურთხოს, გინა კაცი რა შეიპყრან საპატიმროდ“; **კილოსდასხმა** – ღილ-კილოს დაკერება; წყლულის გამოჯანმრთელება/წყლულს რა მთელება დაეცოს“.

ავთანდილ არაბულის აზრით, არცთუ იშვიათად ამგვარი ფუძეების სემანტიკური კავშირი ამჟამად ხელშესახები აღარ არის; უმეტესად ჩვენს ხელთაა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ურთიერთმიმართების საკითხი საკმაოდ პრობლემური ხდება. **ასეთ შემთხვევებში სერიოზულად დგას ახსნის ალტერნატივა: ძირეული ომოფონიის შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ ისტორიულ პოლისემანტიზმთან.**

ა. არაბული გამორიცხავს, რომ ძირეულ ისტორიულ მასალაში ომოფონიის შემთხვევები გვექონდეს, ანუ ადამიანური სამყაროს ასახვის თვალსაზრისით მაქსიმალურად გამომხატველი და პროდუქტული სისტემა უკვე სანყის მორფემათა დონეზე უშვებდეს ომონიმიას, განსაკუთრებით სემანტიკური სიახლოვის

302 ძველი ქართული ენის ლექსიკონი. http://www.orthodoxy.ge/tsnobarebi/leksikoni_dz.htm 1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 5.02.2014;

შემთხვევაში, მორფოლოგიურ ფორმათა დონეზეც კი არიან თავს³⁰³. მაგალითად, მიჩნეულია, რომ **ეპონა, ეხეთქა** ტიპის II თურმეობითის ფორმებში **ნ** გაჩნდა ვნებითის ნამყოსაგან გასარჩევად³⁰⁴.

საბოლოოდ ა. არაბული ასეთ ძირებს პოლისემანტიკურ ძირებად მიიჩნევს და არა ომონიმებად.

ე. ბენვენისტი მიუთითებდა, რომ შესაძარბელი მასალის სემანტიკური მხარე ხშირად სათანადო ყურადღების გარეშე არის დარჩენილი და სერიოზული უზუსტობების საფუძველი ხდება. მეცნიერი ფუძეთა ურთიერთკავშირის დადგენის ამოსავალ პრინციპად ენობრივ ფუნქციონირებაში სემანტიკური შეხვედრების, ამასთანავე, ფუძეების სემანტიკურ განსხვავებათა მიზეზების დადგენას მიიჩნევდა³⁰⁵.

იმავე ა. არაბულის აზრით, შედარებით ლექსიკონებში ხშირად თვალში საცემია გამონანვერებულ, თუ რეკონსტრუირებულ ფუძეთა ომონიმური (ომოფონური), უფრო სწორად, პოლისემიური სიმრავლე, რაც უკვე თავისთავად არის მიმანიშნებელი შესაბამის ფუძეთა უფრო გაღრმავებული სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის აუცილებლობისა. ერთი ენის ფარგლებში მიზანშეწონილია ფუძეთა ერთობის დადგენა (შეერთება), ანუ ერთი ძირის ნაყარ ფუძეთა მწკრივების დაზუსტება, რათა შედარებით სრულად შევძლოთ ფუძეთა მთელი პარადიგმატული სპექტრის ასახვა და შესატყვისობებშიც შრეები დავადგინოთ³⁰⁶.

ამა თუ იმ სახის ფონეტიკურ სახეცვლილებას ესა თუ ის ფუძე შეიძლება განიცდიდეს ერთსა და იმავე დიალექტში, შეიძლება სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვაგვარად სახეცვლილი მოგვევლინოს, ან უცვლელი იყოს დიალექტების მიხედვით, მაგრამ იცვლებოდეს გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში და ა. შ.

303 არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართულ ენაში. თბ., 2001, გვ. 246;

304 იქვე, გვ. 246; მანიძე ა. გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1953, გვ. 442-443;

305 Бенвенист Э., Общая лингвистика, М., 1974, с. 331; არაბული ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 242;

306 არაბული ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 243-244

ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე ფუძე საერთო სახალხო (სალიტერატურო) ენაში შეიძლება შემოგვენახოს რამდენიმე (უფრო იშვიათად მრავალი) ფონეტიკური სახეცვლილების დონეზე, რის შედეგადაც ვიღებთ „ნაყარ“ ვარიანტებს ამოსავალი ფუძის იდენტური, ან მონათესავე მნიშვნელობით³⁰⁷.

სემანტიკური თვალსაზრისით უფრო ნათელ სურათს წარმოგვიდგენენ სახელური ფუძეები (მაგალითად, **ნამი** — წუთი; **ნამი** — წამნამი; დახამხამება („ნამსა შინა თუალისასა მიიწიეს სახლსა შინა ყრმისასა“); **ნამი** — სასწორის უღლის შუაზე აღმართული ისარი; **ძალი** — ძალა, შეძლება, „ძლიერება“, „ერი“, ჯარი და **ძალი** — ლარი, სიმი.

რაც შეეხება ზმნურ ფუძეებს, მათში ორი რიგის მასალა გამოიყოფა:

1. ფუძეთა ერთ რიგს ახასიათებს გარკვეული, სტაბილური სემანტიკა. იგულისხმება ის, რომ ამგვარ ფუძეებში ძირისეულ სემანტიკას მორფოლოგიური ელემენტები თითქმის არ ცვლის, ძირის სემანტიკა აქ გამოკვეთილად განსაზღვრულია. ასეთებია, მაგალითად: **კალ-**, **თალ-**, **წვალ-**, **ცერ-**, **დრეკ-**...;

2. ზმნურ ფუძეთა ნაწილს ახასიათებს მნიშვნელობათა ტრანსფორმაციის პოტენციის შემცველი ძირეული სემანტიკა. თითქოს საწყისი ძირები ხშირად დაცლილიც არის ამგვარი მყარი სემანტიკისაგან და კონკრეტული მნიშვნელობა ამა თუ იმ ფორმის ჩამოყალიბებისას რეალიზდება (ამ მოვლენას ძირეული სემანტიკის პოლარიზაციის უნარს უწოდებენ). ამ რეალიზაციის საფუძველი შეიძლება გახდეს ისტორიული მორფოლოგიის სულ სხვადასხვა მონაცემები — ძირის ფუძედ გამაფორმებელი აფიქსი (პრეფიქსი თუ სუფიქსი), ზმნისწინი, თემის ნიშანი და სხვ.

მორფოლოგიური საშუალებები შესაძლებლობას იძლევა ძირთა მინიმალურმა რაოდენობამ მაქსიმალური ლექსიკურ-სემანტიკური ნაყარი მოგვცეს.

ქართული ზმნური ძირის ფონემატური სტრუქტურა ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ მთელი მონაცემების შედეგი შეიძ-

³⁰⁷ ერთელიშვილი ფ. სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბ., 1980, გვ. 198.

ლება ორ მარტივ ფორმულაში მოთავსდეს: **CVC** და **C** (რომელთაგან **C** შეიძლება იყოს ერთი, ან რამდენიმე თანხმოვანი, მათ შორის, სონორი).

ამ სტრუქტურების გათვალისწინებით, შესამჩნევია, რომ რაც უფრო მოკლეა ძირეული მორფემა, სემანტიკური ტრანსფორმაციის მეტ შესაძლებლობას ავლენს³⁰⁸.

მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია შემდეგი კანონზომიერების შესახებ საუბარი:

1. თუ ძირეული სიტყვა პოლისემანტიკურია, პოლისემანტიკური იქნება მისგან ნაწარმოები სიტყვებიც.

2. თუ ძირეული სიტყვები ერთმანეთის ომონიმებია, ომონიმები იქნება მათგან ნაწარმოები სიტყვებიც.

ენაში ომონიმები მხოლოდ თითო სიტყვის სახით ვერ იქნება წარმოდგენილი. ომონიმია აუცილებლად გულისხმობს მინიმუმ 2 სიტყვის არსებობას, რომელნიც ერთმანეთის მიმართ **ოპოზიციას**, ან, სხვაგვარად, **დაპირისპირებულთა ერთიანობას ქმნიან**. თუ სიტყვას ფონეტიკურად მსგავსი, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული საპირისპირო ცალი, „ოპონენტი“ არ მოეპოვება, იგი ომონიმთა ჯგუფში ვერ შევა. ერთმანეთთან ომონიმურ ურთიერთობაში შემავალ სიტყვათა კონკრეტულ ენებთან მიმართების, ანუ ენობრივი კუთვნილების მიხედვით ომონიმების კლასიფიკაცია შესაძლებელია ორნაირად: **შიდაენობრივი** და **ნასესხები სიტყვების მონაწილეობით წარმოქმნილი ომონიმები**.

შიდაენობრივი კლასიფიკაციის მიხედვით გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1. ომონიმები, რომელთაც აქვთ მსგავსი ფონემატური აგებულება და განსხვავებული მნიშვნელობა;

2. ომონიმები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი ფონემატური აგებულება და სემანტიკურადაც ერთმანეთის მსგავსნი არიან.

ორივე ჯგუფში შემავალი ომონიმები საკუთრივ ქართულ ლექსიკას წარმოადგენენ და საერთო ეტიმონიდან (ამოსავალი

³⁰⁸ არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბ., 2001, გვ. 244-245;

სიტყვიდან, რომლისგანაც წარმოიშვა მოცემული ენის ესა თუ ის სიტყვა თუ მნიშვნელობა) მომდინარეობენ.

ნასესხები სიტყვების მონაწილეობით წარმოქმნილ ომონიმთა შორის გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1. **ნასესხები** ომონიმები;

2. **შერეული** (ქართულ-ნასესხები, ბგერითი მსგავსებით წარმოქმნილი) ომონიმები.

შიდაენობრივ კლასიფიკაციას აქვს ერთი ნაკლი, კერძოდ, ძველი ქართულის დონეზეც გვაქვს ოდინდელი უცხო წარმომავლობის ლექსიკური მასალა და ძნელია საკუთრივ ქართული ფენის **ზუსტი** სეგმენტაცია. ომონიმთა კლასიფიკაციის მეორე ვარიანტი (ნასესხები სიტყვების მონაწილეობით წარმოქმნილი ომონიმის მიხედვით) ძირითადად ეკუთვნის ბ. ფოჩხუას, ხოლო ახალი ასპექტები დაამატეს ა. ალხაზიშვილმა, ე. ბაბუნაშვილმა, ყ. ბადრიშვილმა, ა. გვენცაძემ.

პირველ რიგში გავანალიზებთ ქართულ მასალას, რომელიც დავაჯგუფეთ შემდეგნაირად:

1. საკუთრივ ქართული ომონიმები (შიდაენობრივი ომონიმები);

1.1. ფონეტიკური ცვლილებებით წარმოქმნილი ომონიმები;

1.2. სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ომონიმია;

1.3. სალიტერატურო და დიალექტური ფორმათა თანხვედრის შედეგად წარმოქმნილი ომონიმები;

2. ნასესხები და საკუთარი ლექსიკის შემთხვევითი ბგერითი მსგავსების შედაგად მიღებული ომონიმები;

3. ნასესხებ სიტყვათა ომონიმია

ქვემოთ განვიხილავთ თითოეული ასპექტის ტიპურ მაგალითებს.

2.1. საკუთრივ ქართული ომონიმები (შიდაენობრივი ომონიმები)

ნამდვილი ომონიმები ქართულ ენაში არც თუ ისე ცოტაა: მათ შორის სემანტიკური კავშირი არ არის. ასეთი სიტყვები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. ხშირად ცხადი არ არის მათი წარმომავლობა და სემანტიკური ისტორია – ერთი პოლისემანტიკური სიტყვისაგან მოდიან, თუ სხვადასხვა სიტყვებისაგან. მოგვყავს ზოგი ნიმუში ქართული წარმოშობის სიტყვათა ომონიმის თვალსაჩინოებისათვის, თუმცა შემდგომმა კვლევამ შეიძლება დაადგინოს, რომ მათი ნაწილი სხვა ენიდანაა შემოსული.

1. **კვერი** – „პური მრგვალი“ (საბა);

2. **კვერი** – 1. ურო; 2. ჩაქუჩი. 3. მცირე ზომის ჩაქუჩი.

1. **კილო** – ნაპრალი;

2. **კილო** – ყულფი, ღილის გადასაცმელი;

3. **კილო** – ხმა;

4. **კილო** – დიალექტი.

ამ ქართულ ომონიმებს XX საუკუნეში დაემატა რუსულის მეშვეობით ნასესხები **კილო** „წონის ერთეული, 1 000 გრამი“.

1. **ძალი** – ძალა, შეძლება, ძლიერება, ერი, ჯარი.

2. **ძალი** – ლარი, სიმი.

ამ უკანასკნელთან უნდა იყოს კავშირში გამოთქმა **ძალზე წვრილი**, ანუ სიმზე წვრილი. გამოთქმებში „**ძალზე(დ)** წვრილი“ და „**ძალიან** წვრილი“ სხვადასხვა ფუძეები უნდა გვექონდეს.

1. **წელი** — ადამიანის სხეულის ნაწილი, ნეკნების დასასრულსა და თედოს ძვალს შორის („სამსახურითა თქვენითა გვტკივა ზურგი და წელია“ (დავ. გურამიშვი.);

2. **წელი** — ნაწლავი. შდრ.: წელეზზე ფეხს იდგამს;

3. **წელი** — დრო, 12 თვე (წელიწადი) („ჩვენ გაგვიშვია ქვეყანა, თვრამეტ-ცხრამეტი წელია“).

1. **წილი** – რისამე ნაწილი;

2. **წილი** – ტილის კვერცხი.

1. **ხორში** – უბე, კუთხე, ყურე;

2. **ხორში** – 1. ზვინი, გროვა; 2. მოსავალი და მრ. სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის ომონიმური სიტყვებიდან, ერთ-ერთი შესაძლოა პოლისემიური იყოს.

2.2. ფონეტიკური ცვლილებებით წარმოქმნილი ომონიმები

ომონიმთა მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს დაემსგავსნენ მათში (ერთ-ერთში, ან ყველაში) მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების გამო³⁰⁹. ასეთ შემთხვევებში იგულისხმება, რომ შიდაენობრივ ომონიმურ ფორმებს თავდაპირველად სხვადასხვა მნიშვნელობასთან ერთად ბგერითი შედგენილობაც განსხვავებული ჰქონდათ და მათი თანხვედომა მოხდა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად.

309 ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბ., 1974, გვ. 85; გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ., 2003, გვ. 364; ბაბუნაშვილი ე. ომონიმი და მისი ადგილი ქართულ ენაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია. 1960, ტ. 9, გვ. 66;

ბების შედეგად. კერძოდ, ქართულ ენაში რიგი სახელებისა ომონიმურ ფორმას იძენს კუმშვის, ხმარებიდან გასული ასოების ჩანაცვლების, ფუძის გაცვეთის, აგრეთვე ისტორიული ფონეტიკური ცვლილებებისა და ამავედროულად პოლისემიური ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათა ურთიერთდაშორების, მისი სემანტიკური „გახლეჩის“ შედეგად³¹⁰. ჩამოთვლილი ფაქტორები **ინვეს მეორეულ მსგავსებას**. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

თანამედროვე ქართულ სამნიგნობრო ენაში განსხვავებული წარმომავლობისანი არიან **ხერხი** – იარაღი და **ხერხი** – ფანდი; მეორეული მსგავსების გამომწვევი მიზეზია ხმარებიდან გასული ასო-ბგერის ჩანაცვლება ერთ-ერთ ფორმაში. სამუშაო იარაღის სახელი **ხერხი** მომდინარეობს **კერკი**-სგან, რომელიც დასტურდება ძველქართულ ტექსტებსა და თანამედროვე ქართულ დიალექტთა ერთ ნაწილში: ფშაურში, ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულში, მოხეურში, თუშურში, ჰერულში (ინგილოურში), ფერეიდნულში, ქიზიყურში, თურქეთის ამყამინდელ ტერიტორიაზე გავრცელებულ ზოგ კილოში (ბ. ფოჩხუა, ე. ბაბუნაშვილი, შ. ფუტყარაძე).

1. **ხელი** – ადამიანის ზედა კიდური (<კელი) >კელი– ხელობა;

2. **ხელი** – გიჟი, გახელებული, გადარეული. ომონიმის წყარო ჯ თანხმოვნის **ხ** ფონემით ცვლაა.

1. **ხდა** – ამოწვდა, ამოღება (მახვილისა);

2. **ხდა** – გახდა („ფეხსაცმლის ხდა დაიწყო“);

3. **ხდა** – გამოხდა („არყის ხდა მთელს გურიაში გავრცელებულია“);

4. **ხდა/ხადა** – დაძახება, დაყვირება (ზ. სარჯველაძე);

5. **ხდა** – „გადახდა“ („ლალის **ხდა** ფულად ჩვენს ჩვეულებაში თითქმის არ ყოფილა“).

„ამოწვდის, ამოღების“, „გახდისა“ და „გამოხდის“ სემან-

310 გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ., 2003, გვ. 364; კიკნაძე ი. კუმშვა — ომონიმის განმაპირობებელი. ყ. „საენათმეცნიერო ძიებანი“. თბ., 1996, №5, გვ. 41.

ტიკის მქონე **ხდა** მომდინარეობს **კდა** < ***კად** ვარიანტისაგან. მათგან ფონემატური სტრუქტურით განსხვავდებოდა შემდეგი მნიშვნელობის მქონე სიტყვები: „დაძახება, დაყვირება“, „გადახდა, საფასურის მიცემა“, რომელთა არქეფორმა იყო ***ხდა**, ანუ წარსულში არსებობდა 5 სიტყვა, რომელთაგან სამის ფონემატური სტრუქტურა აბსოლუტურად იდენტური იყო, ხოლო დანარჩენი ორი ბგერითი აგებულებით განსხვავდებოდა პირველი სამი სიტყვისაგან, მაგრამ სამეულის წევრები ერთმანეთს ამ მხრივ აბსოლუტურად ემთხვეოდნენ. დროთა განმავლობაში, როცა მოხდა **კ> ხ** პროცესი, მოიშალა სხვაობა სამეულისგან შემდგარ ომონიმებსა და წყვილისაგან შემდგარ ომონიმებს შორის, რის შედეგადაც დღეს ხუთივე ეს სიტყვა ერთმანეთთან მიმართებაში სრულ ომონიმებად უნდა ჩაითვალოს.

მეორეული მსგავსება გვაქვს სიტყვებში **ზღვა** – „გადახდა, მიგება“ (აბულაძე), „ზღვევა, ზღვევინება“, „დანაშაულის გარდაკვევინება (საბა)“ და **ზღვა** – (< **ზღუა**) „შესაკრებელი წყალთა“ (საბა); ისინი სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან. ვფიქრობთ, ფორმა **ზღვა** „ზღვევის“ მნიშვნელობით ზმნური ფუძეა (**ზღ-ვ-ა**) და **ვ** აქ **-ავ** თემის ნიშნის რედუცირებულ ვარიანტს წარმოადგენს. რაც შეეხება **ზღვა** „შესაკრებელი წყალთა“ სიტყვას, იგი **ზღუა** ფორმიდან მომდინარეობს და სახელურ ფუძეს წარმოადგენს. ამ უკანასკნელ ფორმასთან სემანტიკურ კავშირშია **ზღვარი** საზღვრის მნიშვნელობით. თანამედროვე ქართულში, ქეგლის მიხედვით, **ზღვარი** არის საზღვარი, მიჯნა; გადატანით – **ის, რაც აშორებს, ყოფს, ასხვავებს ერთმანეთისაგან ორ რასმე, ან ვისმე. ზღვა** კი განიმარტება შემდეგნაირად: „ოკეანის ნაწილი, მლაშე წყლის დიდი მასა, მეტნაკლებად შემოსაზღვრული ხმელეთით (ოკეანეს ჩვეულებრივი სრუტით უკავშირდება)“. **ზღვარია** ისიც, რაც ხმელეთსა და წყალს ასხვავებს, ყოფს ერთმანეთისაგან. **ზღვა** ლექსიკური ერთეულის მიმოხილვით ანალიზისას ც. ბარბაქაძემ ვარაუდის დონეზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ლექსემაში **ზღვევა** (აზღვევინა, მიუზლო) შორეულად შეიძლე-

ბა „ზღუა“ ფუძე ივარაუდებოდეს³¹¹. ჩვენი აზრით კი **ზღვევა** და **ზღვა** (ზმნური ფუძეები) ერთი წარმოშობისაა, ხოლო **ზღვა** < **ზღუა** და **ზღვარი** (სახელური ფუძეები) ისტორიულად ერთმანეთს უკავშირდება და საერთო წარმოშობა არა აქვთ პირველ წყვილთან. წყლის შესაკრებლის აღმნიშვნელი სიტყვის დამსგავსება პირველ წყვილთან გამოუწვევია სახელურ **ზღვა** ფუძეში თავდაპირველად არსებული უმარცვლო **ჟ** თანხმოვნის ქცევას **ვ** თანხმოვნად.

მსგავსი მაგალითები უხვად იძებნება ქართულ ენაში, მაგრამ, ვფიქრობთ, განხილული მასალაც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ფონეტიკური პროცესები მართლაც არის ომონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორი.

აფხაზურ სამნიგნობრო ენაშიც ხშირია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული ომონიმები. მაგალითად:

ა-ჯალ სიტყვას აფხაზურ სალიტერატურო ენაში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. „რკო“ (მისი სინონიმია: **ა-ჯრუც**); 2. ბზიფ. „ჭაჭა“, შდრ. აბჟურ კილოსა და სამნიგნობრო ენაში პარალელურად არსებული **ა-ჟალ** „ჭაჭა“³¹². აქ საქმე გვაქვს ფონეტიკური პროცესების მოქმედების შედეგად ერთმანეთთან დამთხვეულ ორ დამოუკიდებელ რთულ ფუძესთან: პირველი მნიშვნელობა „რკო“ თავდაპირველად უნდა ჰქონოდა **ა-ჯ-ალ** ფონეტიკურ ვარიანტს, რომელიც ნაწარმოებია მუხის **ა-ჯ** სახელისა და ნაყოფის, კურკის აღმნიშვნელი **ალ** სიტყვის შეერთებით, ანუ რკო ეტიმოლოგიურად აღინიშნებოდა, როგორც „მუხის ნაყოფი, მუხის კურკა“ (შდრ. მისი სინონიმი **ა-ჯ-რუც** < **ა-ჯ ა-რუც** „მუხის მარცვალი“). რაც შეეხება ბზიფური დიალექტიდან სალიტერატურო ენაში ჭაჭის სემანტიკით დამკვიდრებულ **ა-ჯალ** ვარიანტს, მისი არქეფორმა აბჟურ დიალექტსა და სამნიგნობრო ენაში არსებული **ა-ჟალ** ვარიანტი, რომელიც მიღებულია **ა-ჟ** „ყურძენი“ სიტყვისა და ნაყოფის, კურკის აღმნიშვნელი **ალ** სიტყვათა შეერთების გზით, ანუ **ა-ჯალ** ვარიანტი მომდინარეობს **ა-ჟალ** ვარიანტისაგან

311 ბარბაქაძე ც. ზღვის სემიოტიკა ქართული ენის მასალების მიხედვით. თ. „სემიოტიკა“. 8. 2010. <http://lib.ge/book.php?author=733&book=9418> უკანასკნელად გადმონმებულ იქნა 2.12.2013.

312 ჯანაშია ბ. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954, გვ. 219;

ჟ თანხმობის აფრიკატიზაციის გამო რკოსა და ჭაჭის სახელები ერთმანეთს სრულად დაემთხვა, ანუ წარმოიქმნა ომონიმური წყვილი.

უფრო სისტემური ხასიათი აქვს ისეთ ომონიმებს, რომლებიც აფხაზურ ენაში მიღებულია ბზიფურ დიალექტში ჯერ კიდევ შემორჩენილი 9 სპეციფიკური ფონემის სალიტერატურო ენასა და აბჟურ დიალექტში უქონლობის შედეგად.

როგორც ცნობილია, ბზიფურ დიალექტში გვერდი-გვერდ დამოუკიდებელ ფონემებად არსებობენ სხვადასხვა კლასის თანხმობები:

სისინა სადა სიბილანტები **ძ ც ნ ზ ს**;

სისინა ლაბიალიზებული აფრიკატები **ძ ც წ**;

შიშინა სადა სიბილანტები **ჯ ჩ ჭ**;

შიშინა ლაბიალიზებული სპირანტები **ჟ შ**;

სისინ-შიშინა სიბილანტები **ძ ც წ ზ ს**;

სისინ-შიშინა ლაბიალიზებული **ზ ს**;

ფარინგალური სადა **ხ** და ლაბიალიზებული „სადა“ **ხ**;

ფარინგალური სპეციფიკური **ხ** და ლაბიალიზებული სპეციფიკური **ზ**.

დადგენილია, რომ იმ სიტყვებში, რომლებშიც ბზიფური წარმოგვიდგენს სისინ-შიშინა **ძ ც წ ზ ს** ფონემებს, აბჟურ დიალექტში დასტურდება სისინა სადა სიბილანტები **ძ ც ნ ზ ს** და შიშინა ლაბიალიზებული **ჟ შ**; ხოლო მაშინ, როცა ბზიფურ სიტყვებში არის ფარინგალური სპეციფიკური **ხ** და ლაბიალიზებული სპეციფიკური **ზ**, მათ აბჟურ დიალექტში ენაცვლება ფარინგალური სადა **ხ** და ლაბიალიზებული „სადა“ **ხ** ფონემები³¹³; ზემოთ დასახელებული დანარჩენი ფონემები: **ძ ც ნ ზ ს**; **ძ ც წ**; **ჯ ჩ ჭ**; **ჟ შ**; **ზ, ხ** საზიაროა აბჟურ დიალექტთანაც და სამნიგნობრო აფხაზურ ენასთანაც, ანუ, როგორც ხ. ბლაჟბა წერს, არსებობს **კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები**, ერთი მხრივ, ბზიფურ

313 ლომთათიძე ე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1977, გვ. 160-168, 181-182, 188-194; Бгажба Х.С., Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и тексты). Издат. АН ГССР, Тбилиси, 1964, 30-93 ст.;

დიალექტსა და, მეორე მხრივ, ყველა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს (აბჟურს, ტაპანთურსა და აშხარულს) შორის³¹⁴.

ამგვარი სხვაობა ბზიფურსა და აბჟურს შორის სამნიგნობრო ენაში იწვევს რეფლექსებს, ვინაიდან ფონემატური შემადგენლობით სალიტერატურო აფხაზური ენა სრულად მისდევს მისი საყრდენი აბჟური დიალექტის ბგერით სტრუქტურას. ამის გამო, ხშირია შემთხვევები, როცა სამნიგნობრო ენაში ერთმანეთს სრულად ემთხვევა სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვები და წარმოიქმნება ომონიმები, ბზიფურში კი შესაბამის შემთხვევებში ომონიმია არ იქმნება, ვინაიდან ამ კილოში იმავე სიტყვებში განსხვავებული ფონემებია წარმოდგენილი. მაგალითად:

სამნიგნობრო აფხაზურ ენასა და აბჟურ დიალექტში ომონიმურ წყვილს ქმნიან: 1. **ა-რე მძ** „ძელსკამი, გრძელი სკამი“ და 2. **ა-რე მძ** „შარდი“, რომელთა შორისაც არანაირი სემანტიკური კავშირი არ ჩანს, რომ ისინი პოლისემიის მაგალითებად ჩაითვალოს. მაგრამ ბზიფურ დიალექტში ამ ორ მნიშვნელობას გადმოსცემს ფონეტიკურად განსხვავებული 2 დამოუკიდებელი სიტყვა: 1. **ა-რე მძ** „ძელსკამი, გრძელი სკამი“ და 2. **ა-რე მძ** „შარდი“. სრულიად ცხადია, რომ სამნიგნობრო აფხაზურ ენასა და აბჟურ დიალექტში ომონიმია მეორეულია და იგი გამოუწვევია აბჟურში სისინ-შიშინა **ძ** თანხმობის მოშლასა და სადა **ძ** თანხმობით მის ჩანაცვლებას.

სამნიგნობრო აფხაზურ ენასა და აბჟურ დიალექტში ომონიმებია: 1. **ა-ჟო** „ძველი; ბებერი, მოხუცი“ და 2. **ა-ჟო** „ძროხა“. ბზიფურ დიალექტს კი შესაბამის შემთხვევებში ომონიმური წყვილი არ მოეპოვება, რადგან ეს ორი სიტყვა სხვადასხვა თანხმობის შეიცავს: 1. **ა-ჟო** „ძველი; ბებერი, მოხუცი“ და 2. **ა-ზო** „ძროხა“.

ასევე ომონიმებია სამნიგნობრო აფხაზურ ენასა და აბჟურ დიალექტში: 1. **ა-ხე** „თავი“ და 2. **ა-ხე** „ტყვია“, ბზიფურში კი სულ სხვა ვითარებაა, იქ გვაქვს: 1. **ა-ხე** „თავი“ და 2. **ა-ხე** „ტყვია“.

314 Бгажба Х.С., Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и тексты). Издат. АН ГССР, Тбилиси, 1964, 68-70 ст.;

სამნიგნობრო ენასა და აბჟურ დიალექტში მოიპოვება ომონი-
იმური ნყვილი: 1. **ა-ხჷ** „ნილი, ხვედრი“ და 2. **ა-ხჷ** „გორა,
ბორცვი“, მაგრამ ბზიფურ დიალექტს ეს ომონიმი არა აქვს შე-
საბამის სიტყვათა ფონემატური სხვაობის გამო, შდრ.: 1. **ა-ხჷ**
„ნილი, ხვედრი“ და 2. **ა-ხჷ** „გორა, ბორცვი“ და ა.შ.

საინტერესოა სხვა ტიპის ფონეტიკურ პროცესთა მოქმედების
შედეგად ნანილობრივი ომონიმების წარმოქმნის შემთხვევები
აფხაზურ ენაში. მაგალითად, ამჟამად აფხაზურ ენაში არსებობს
ორი სიტყვა **ა-ლა**, რომელთაგან ერთი ნიშნავს ძალს, მეორე
კი – თვალს (მხედველობის ორგანოს). ერთი შეხედვით, აქ საქმე
თითქოს სრულ ომონიმიასთან გვაქვს, მაგრამ თუ გავითვალ-
ისწინებთ მახვილის ადგილს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ეს
პირველადი შთაბეჭდილება მცდარია, ვინაიდან ძალის აღმნიშ-
ვნელ **ა-ლ** სიტყვაში მახვილი ბოლო ხმოვანზე დგას, ხოლო თვა-
ლის აღმნიშვნელ სიტყვაში – პირველ მარცვალზე: **ა-ლა**. ამგვარ
ომონიმებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია აფხაზურში,
ჩვენ პირობით **ნანილობრივ ომონიმებს** ვუნოდებთ, ვინაიდან
მათში ფონემები კი არის ერთი და იგივე, მაგრამ სხვაობა მაინც
არსებობს **მახვილის ადგილმდებარეობის** მიხედვით. მეტიც, თუ
ამ ორი სიტყვის ისტორიასაც გავითვალისწინებთ, დავინახავთ,
რომ თვალის აღმნიშვნელი სიტყვა **ა-ლა** თავდაპირველად სულ
სხვა აგებულებისა იყო და ამოსავალი **ა-ბლა** ვარიანტი დღემდე
თანაარსებობს ენაში.

2.3. სხვადასხვა მეტყველების ნანილების ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ომონიმია

ომონიმური ფორმები წარმოიქმნება როგორც ერთი მე-
ტყველების ნანილის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა მეტყველების
ნანილების ფორმობრივი დამთხვევების დროს: ამგვარად შეი-
ძლება დაემთხვეს არსებითი სახელი და მოქმედებითი გვარის
მიმღეობა; არსებითი და ზედსართავი; ზმნა და სახელზმნა...

(მაგალითები მოგვყავს როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქარ-
თულიდან):

**ა) არსებითისა და ზედსართავის ფორმობრივი დამთხვევის
მაგალითები:**

კეთილი (ზედს.) – ქველი, მშვენიერი, უმჯობესი, კარგი; სა-
პატიო; მხნე; საამო; ნარნარი... და **კეთილი** (არს.) – სიკეთე,
მშვენიერება;

მამული (ზედს.) – მამაპაპური, მამეული, მამობრივი, მშობლი-
ური და **მამული** (არს.) – სოფელი, სამშობლო; მიწის ნაკვეთი;

მდოვრი (ზედს.) – წყნარი და **მდოვრი** (არს.) – „მხეცთა ჩვი-
ლი“...;

ბ) სახელისა და მიმღეობის დამთხვევის მაგალითები:

ასული (არს.) – ქალიშვილი და **ასული** (ნამყოს მიმღეობა) –
ვინც, ან რაც ავიდა;

ვედრი (არს.) – ანდერძი, ალექმა, მიბარებული; **ვედრი** (არს.) –
მწირი, უცხო, გადმოხვენილი და **ვედრი** (მიმღ.) – თხოვნა;

მახული (არს.) – საპარსველი; რკინა; ხმალი; **მახული** (ზედს.) –
ფიცხელი, სასტიკი, მკუთარი, ბასრი და **მახული** (მიმღ.) –
გალესილი, „ლესული“; არსებითი და ზედსართავი სახელების
სემანტიკა მომდინარეობს მიმღეობისაგან;

მრონეული (არს.) – ბრონეული, მრენეული (მცენარე და მისი
ნაყოფი); **მრონეული** (არს.) – ნახირი; **მრონეული** (მიმღ.) – „მორე-
ნე“, „მორენი“, „სასყიდლით დადგინებული“, „მუშაკი“; უპოვარი;
„დავრდომილი“ (შდრ. **მორენ(ვ)ა** – შეძენა, შოვნა სასყიდლით;
მორენვა – შოვნა, **მორენული** – ნაშოვნის).

კმელი (არს.) – „ქუეყანა“, „ხმელეთი ჯეროვანი“; **კმელი**
(ზედს.) – ღირსი, შესაფერისი, საკადრისი, გულმოდგინე, სა-
თანადო; **კმელი** (მიმღ.) – „განკმელი“, გამხმარი, მშრალი;

გ) სახელისა და სახელზმნის დამთხვევის მაგალითები:

ზლუა/ზლვა (არს.) – ზლვა; **ზლვა** (არს.) – საზლაური, ჯარიმა,
გადასახდელი; **ზლვა** (სანყ.) – გადახდა, მიგება;

კრება (არს.) – შეკრება; დღესასწაული, დღეობა; ყრილობა;
კრება (სანყ.) – „შეკრება“, „რჩევა“, შეგროვება;

მცნება (არს.) – „წამება“, „მოძღურება“, ბრძანება, სიტყვა;

მცნება (მიმღ.) – „დასაცველი“; **მცნება** (საწყ.) – შეტყობინება, გაფრთხილება; ბრძანება, მოთხოვნა; წამება, დამონებება, „მინესება“;

ბრძანება (არს.) – მცნება, სიტყვა, თქმული; საზღვარი; **ბრძანება** (საწყ.) – „განწესება“, მივლინება; „მინესა“, თქმა; დათქმა; შერისხვა;

გონება (არს.) – ფიქრი, მოგონება, ზრახვა; აზრი; ზნე-ჩვეულება; **გონება** (საწყ.) – გაფიქრება, მიჩნევა, განზრახვა; მოგონება; გაგონება;

ელვა (არს.) – ბუნების მოვლენა; ნათელი, სხივი, ბრწყინვალება; **ელვა** (საწყ.) გაელვება;

ოკრება (არს.) – აოხრება; უდაბნო, ყამირი; **ოკრება** (საწყ.) – „მოოკრება“, დამხოვა; დარღვევა, დაქცევა;

ავტორთა ნაწილი სრული ომონიმის ერთ-ერთ სახედ თვლის ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მეტყველების ნაწილებად იხმარება თავისი ფონეტიკური და მორფოლოგიური შედგენილობის შეუცვლელად. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ე. ბაბუნაშვილის მოსაზრებას, რომ ეს სიტყვები სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ფუნქციებით გვევლინება და მათი ომონიმებად მიჩნევა არ იქნებოდა სწორი, რადგან ასეთ შემთხვევაში ომონიმებად უნდა გამოვაცხადოთ ყველა ზედსართავი და მიმღობა, რომლებიც გასუბსტანტივებულია, ყველა არსებითი სახელი, რომლებიც ზოგჯერ ზედსართავი სახელების ფუნქციით იხმარება და ა. შ.³¹⁵. მიგვაჩნია, რომ მეტყველების ერთი ნაწილის მიერ სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით გამოყენება ისევე წარმოშობს ომონიმას, როგორც პოლისემია წარმოიქმნება სიტყვის კლასის ცვლის საფუძველზე.

სხვადასხვა მეტყველების ნაწილების დამთხვევის გზით მიღებული ომონიმები ასევე უხვად დასტურდება აფხაზურ ენაშიც. ვიდრე ომონიმის აფხაზურ მაგალითებს მოვიხმობდეთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ენაში **ომონიმის სწორად**

315 ბაბუნაშვილი ე. ომონიმი და მისი ადგილი ქართულ ენაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია. 1960, ტ. 9, გვ. 71;

გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიტყვათმახვილის ფაქტორის გათვალისწინებას. საქმე ისაა, რომ, ქართული ენის უძრავი და სუსტი მახვილისაგან განსხვავებით, **აფხაზური მახვილი მეტად ინტენსიური და მოძრავია**, რომელსაც სხვადასხვა ფუნქციაც აკისრია.

აფხაზურ-აბაზური მახვილის ბუნება გამოწვეულია შეისწავლა აკად. ქ. ლომთათიძემ. აქ მოკლედ წარმოვადგენთ მის იმ დასკვნებს, რომლებიც არსებითია აფხაზური ომონიმის მართებულად გაგებისათვის:

მახვილი გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში: ანლაუტშიც, ინლაუტშიცა და აუსლაუტშიც. იგი მოუდის როგორც ძირეულ მასალას, ისე ფორმანტებსაც. მეტიც, ზოგი აფიქსი მახვილს თავისკენ იზიდავს კიდევ, ზოგჯერ კი ერთი და იგივე ფორმანტი ხან გადასწევს მახვილს, ხან კი – არა³¹⁶.

მახვილი ხშირად იწვევს უმახვილოდ დარჩენილი ხმოვნის რედუქციას. შედარებით ჭარბობს ისეთი შემთხვევები, როცა ფორმატანარმოებისა და სიტყვატანარმოებისას მახვილი უცვლელად რჩება თავის ადგილას, თუ იგი წარმოდგენილია თანხმოვნებს შორის მდგარ ხმოვანზე³¹⁷. არის ბევრი მაგალითი იმისა, რომ ზოგ ფუძეში ორი ხმოვანი აფიქსიდან დამოუკიდებლად არცერთს არ შესწევს ძალა, მიიზიდოს მახვილი, მაგრამ ერთად თავმოყრისას ერთ-ერთი აფიქსი გადასწევს მახვილს თავისკენ³¹⁸.

განსაკუთრებით ჭრელი სურათია მახვილის გამოყენების მხრივ ზმნურ ფორმათა წარმოების დროს, როცა სხვადასხვა აფიქსი სხვადასხვაგვარ ძალას ავლენს: ზოგი ადგილს უცვლის მახვილს, ზოგი – ვერა, თუმცა არც ისეთი ზმნური ფორმები იშვიათი, რომლებშიც მახვილის ადგილი უცვლელი რჩება³¹⁹.

აფხაზურ ენაში **ძირითად მახვილთან ერთად** არსებობს უფრო

316 ლომთათიძე ქ. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1977, გვ. 99;

317 იქვე, გვ. 100;

318 იქვე, გვ. 103.

319 იქვე, გვ. 108;

სუსტი **თანამახვილიც**. თანამახვილი, ჩვეულებრივ, დაისმის იმ ხმოვანზე, რომელიც ფუძის ამოსავალ ფორმაში ძლიერი მახვილის მქონეა³²⁰.

როცა კომპოზიტებში ერთიანდება თავ-თავიანთი მახვილის მქონე ფუძეები, ორგვარი შედეგი გვაქვს: 1. მახვილს ორივე ფუძე ინარჩუნებს; 2. შერჩება კომპოზიტის ერთ-ერთი წევრი ფუძის მახვილი³²¹. ფუძეთა რედუქციაციის დროს იშვიათად რჩება ორი მახვილი – ჩვეულებრივ, ერთი უცვლელად ძლიერი რჩება, მეორე კი სუსტდება და თანამახვილად იქცევა³²².

აფხაზური მახვილის ბუნება საფუძველს იძლევა საიმისოდ, რომ კონსტატირებულ იქნეს მისი **სიტყვათა და ფორმათა განმასხვავებელი ფუნქცია**, რაც პირდაპირ კავშირშია **მეორეული ომონიმის** წარმოქმნასთან. ქ. ლომთათიძე ჩამოთვლის იმ ფუძეებს, რომლებიც ზუსტად ერთი და იმავე ფონემებისაგან შედგება, მაგრამ მათ შორის სხვაობას მხოლოდ მახვილის ადგილი ქმნის. ესენია:

- ა^ცა „ძილი“ (არს. სახ.) – ა^ცა „კანი; ტყავი“;
- ა^ლა „თვალი“ – ა^ლა „ძალი“;
- ა^პა „ხმალი“ – ა^პა „ლორი“;
- ა^ვრა „სირბილი“ – ა^ვრა „წერა“;
- ა^ცა „ბალი“ (მცენარე) – ა^ცა „სასიმინდე, ნალია“;
- ა^ლაბა „ხვადი ძალი“ – ა^ლაბა „ჯოხი“;
- ა^მაყა „ხნიერი საქონელი“ – ა^მაყა „ქამარი, სარტყელი“;
- ა^ფსთა „ტყვია“ (ნივთიერება) – ა^ფსთა „ხეობა“;
- არა^ცა „ბევრი, მრავალი“ – არა^ცა „ნახშირი“;
- ა^ხაშა „საწყალი, საბრალო“ – ა^ხაშა „პარასკევი“ – ა^ხაშა „ნამცეცი“;
- ა^ტარა „ჯდომა“ – ა^ტარა „დასაჯდომი, საჯდომი“;
- ა^ჩარა „ჭამა“ – ა^ჩარა „ქორნილი; ქეიფი; პურობა“...³²³.

320 ლომთათიძე ქ. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1977, გვ. 112;

321 იქვე, გვ. 113;

322 იქვე, გვ. 116.

323 იქვე, გვ. 117;

ამგვარი მაგალითების დასახელება ბლომად შეიძლება, მაგრამ ჩვენთვის არსებითია იმის გარკვევა, **წარმოადგენენ, თუ არა ფონემატური სტრუქტურით იდენტური, მაგრამ მახვილით განსხვავებული სიტყვები ომონიმებს**. მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში სრულ ომონიმიაზე საუბარი გამოსარიცხია, ვინაიდან, როგორც სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა ქ. ლომთათიძემ, **აფხაზურ ენაში მახვილის გარეშე სიტყვა არ არსებობს და იგი ნებისმიერი სიტყვის განუყოფელი, უმნიშვნელოვანესი კომპონენტია**. ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, უპრიანია, თუ ზემოთ დასახელებულ მაგალითებს ნაწილობრივი ომონიმის ნიშნებად ჩავთვლიდით: ამ მაგალითებში სხვაობს მახვილის ადგილი და სემანტიკა, რაც ომონიმის არსებობის მამტიკებლად მიგვაჩნია. აქვე იმასაც დავძენდით, რომ ზოგ ზემოთ მოხმობილ და სხვა შემთხვევებში ომონიმია მეორეულია და წარმოქმნილია ერთსა და იმავე სიტყვაში მახვილის გადაცვლელასთან ერთად ახალი სემანტიკის წარმოქმნის გზით. ასეთი მაგალითებია:

- ა^ტარა „ჯდომა“ – ა^ტარა „დასაჯდომი, საჯდომი“;
- ა^ჩარა „ჭამა“ – ა^ჩარა „ქორნილი; ქეიფი; პურობა“;
- ა^ხარა „მიჯახება, მინარცხება“ და ა^ხარა „საგნის აქეთკენ მონევა“ და სხვ.

ამ შემთხვევებში ზერელე დაკვირვებითაც ცხადია წყვილთა საერთო წარმომავლობა. აფხაზურში სხვა სიტყვებიც საკმაოდ იძებნება, როცა მახვილის გადანაცვლება ახალ სიტყვასაც წარმოშობს და ომონიმასაც აჩენს. ეს უპირატესად **ტერმინოლოგიზაციის მიზნით** ხდება. მოვიხმობთ ამგვარი ნაწილობრივი და მეორეული, ანუ ტერმინოლოგიზებული ომონიმის ტიპურ მაგალითებს:

ა^დარა „დანოლა“ და მისგან მომდინარე ა^დარა „ქვეშაგები; საწოლი“³²⁴;

ა^დლაპარა „ტანთ ჩაცმა“ (ეტიმოლოგიურად: „შიგ გახვევა“) და მისგან მომდინარე ა^დლაპარა „ფუთა; ბოხჩა; ნაკრაული, შეკრული“;

324 იქვე, გვ. 119;

აჭაპარა „შეკვრა“ (ეტიმოლოგიურად: „პირის შეკვრა“) და **აჭაპარა** „კონა“;

აფხარა „გათბობა“ და **აფხარა** „სითბო“³²⁵;

აგართა – 1. „შემოსავალი, ქონება“; 2. „მარაგი“ – **ააგართა** „ადგილი, საიდანაც რაიმე მოაქვთ, ან საიდანაც ვინმე მოჰყავთ“. ორივე სიტყვა ეტიმოლოგიურად უკავშირდება „მოტანა, მოყვანა“ სემანტიკის მქონე **ააგარა** ზმნას და წარმოადგენს მისგან ნაწარმოებ ნამიმღობარ არსებით სახელებს. მახვილის ადგილის განსხვავებულ მარცვლებზე გადატანამ ენას თავიდან აარიდებინა ომონიმია. საინტერესოა, რომ მახვილი ამოსავალ ზმნაში თავდაპირველად თავკიდურა პოზიციის მეორე ხმოვანზე უნდა მდგარიყო, რაზეც აბაზური ენის მონაცემიც მიუთითებს, შდრ. აბაზ. **აგრა** > აფხაზ. **აგარა**, მაგრამ აფხაზურში ამ ზმნას პარალელურად სიტყვის ბოლოში გადანაცვლებული მახვილიც უდასტურდება: **ააგარა**.

აფხაზურ ენაში **სისტემის სახე აქვს** ისეთ შემთხვევებს, როცა მახვილის გადანაცვლებით ერთიმეორისგანაა გარჩეული ზმნის მასდარული ფორმები და იმავე ფორმათაგან მომდინარე ტერმინოლოგიზებული სახელები. მაგალითად:

გარდაუვალი ზმნის **ააგლარა** მასდარულ ფორმას, რომელიც **ა-გგლარა** „დგომა; ადგომა“ ზმნისგანაა მიღებული აქეთა მიმართულების **აა-** ზმნისწინის დართვის გზით, აქვს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული შემდეგი პოლისემიური მნიშვნელობანი: 1. გაჩერება, დადგომა; 2. ერთ ადგილას ცოტა ხნით გაჩერება; 3. მუშაობის შეწყვეტა; 4. მოცდა, დალოდება; 5. სადმე (სასტუმროში, მასპინძელთან) დარჩენა ღამის გასათევად. ამ მეორეულ მასდარში მახვილს უკვე შეცვლილი აქვს თავისი პირველადი პოზიცია – ძირისეული ნეიტრალური ხმოვნიდან გადასმულია ზმნისწინის პირველ ხმოვანზე. ამ მასდარულ ფორმაში მახვილის თავის საწყის პოზიციაში გამოყენების შემთხვევაში კი სიტყვა არსებით სახელად იქცევა და **ააგლარა** უკვე ნიშნავს

³²⁵ ლომთათიძე ქ. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1977, გვ. 119;

„ვინმესთან ხანგრძლივად დარჩენას“.

სხვა მაგალითი: **ააძარა** გარდაუვალი ზმნის მასდარია და ნიშნავს „1. მოწვდომას; 2. მოღწევას“ (**ააძედტ** „მოსწვდა; მოაღწინა“), მაგრამ მისგან მახვილის ადგილით განსხვავებული **ააძარა** არსებითი სახელია და „საგნის აქეთკენ მდებარე ბოლოს“ ნიშნავს. რა თქმა უნდა, უდავოა, რომ მასდარი და არსებითი სახელი ერთიმეორის ნაწილობრივი ომონიმებია და მათ შორის მახვილის ადგილის სხვაობას ტერმინოლოგიზების ფუნქცია აკისრია.

სხვადასხვა მეტყველების ნაწილებია ერთი და იმავე ფუძისაგან მომდინარე მხოლოდ მახვილით განსხვავებული სიტყვები:

აადგა „ახლოს, აქვე“ (ზმნისართი) და **აადგა** „ახლო, ახლობელი; ღვიძლი (მაგალითად, ნათესავი)“ (ზედსართავი სახელი);

ააფხარა „მონვევა, მოპატიჟება“ (მასდარი) და ნეოლოგიზმი **ააფხარა** „მოსანვევი“;

ააჭაიარა „გამართლება რამეში; წარმატება“ (მასდარი) და **ააჭაიარა** „წარმატება“ (არს. სახ.);

ააქნარა „რისამე რამეზე დადება, შემოდება, შემოდგმა“ (მასდარი) და ნეოლოგიზმი **ააქნარა** „დადგენილება“ (არს. სახ.) და მრავალი სხვა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აფხაზურ ენას ქართულისებური ომონიმიაც ხშირად ახასიათებს, როცა სიტყვებს ერთიმეორისაგან არც ფონემატური სტრუქტურა განასხვავებს და მახვილის ადგილი. ამგვარ შემთხვევებში 3 სახის ომონიმია წარმოიქმნება:

1. ძირეულ აფხაზურ სიტყვათა ომონიმია;

2. ძირეულ და ნასესხებ სიტყვათა ომონიმია;

3. ნასესხებ სიტყვათა ომონიმია.

მაგალითად, **ძირეულ აფხაზურ სიტყვათა ომონიმიას** ქმნიან სიტყვები [მაგალითები ამოკრებილია ლ. სამანჯიას ომონიმთა ლექსიკონიდან: იხ. Саманџия Л.Х., Аџсуа бызшәа аомонимкуа ржаар. Акуа, „Алашара“, 1987, 210 с.]:

აა – 1. ურთხელი (წითელი ხე); 2. ფაცხის, აივნის წინა საძირკველი; 3. ღვედი; 4. აი;

აარა – 1. ურთხლის ტყე; 2. ბრალი, დანაშაული, მაგრამ აფხაზურშივე არსებობს კიდევ ერთი მსგავსი პოლისემიური სიტყვა,

რომელიც ამ ორი სიტყვის ნაწილობრივ ომონიმად უნდა ჩაითვალოს მახვილის მხრივ სხვაობის გამო: **აარა** – 1. მოსვლა; 2. დროის დადგომა; 3. ამოსვლა;

აღა – 1. ფუქსი, საბერველი (სამჭედლოში); 2. მეჩხერი, თხელი;

ა-ბაა — 1. ციხე-სიმაგრე; 2. დამპალი, დამყაყებულო, გახრწნილი;

ა-თგ ' ფ – 1. ადგილი; ალაგი; სამსახური; თანამდებობა; გადატ. საშველი; 2. კარავი;

ა-რა — 1. კაკალი (ხე); 2. წყრთა (ზომა);

ა-შხა – 1. მთა; 2. ფუტკარი;

ა-შეგ ' – 1. ძაძა, შავები; 2. ჩრდ. კავკასიაში აბაზებით დასახლებული მხარე;

ა-ჩთა – 1. დაკლული თხის, ძროხის, ფურკამეჩის და მის-თანების ცური; 2. ანჯამა;

ა-შაა – 1. მწარე; 2. თოკი, ბანარი, საბელი;

ა-წარგ ' – 1. ბერნი; უშობელი; 2. გრძელი;

ა-ცა – 1. კუჭი; დვრიტა, კვეთი, საკვეთი; 2. ბალი; ალუბალი;

ა-ცა — 1. სასიმინდე, ნალია; 2. ცხელი; მწვავე, მწარე, ცხარე;

ა-დარა – 1. საპალნე (ტვირთი); 2. ქვეშაგები;

ა-ჟაგა – 1. სასმისი, ჭურჭელი, რითაც სვამენ; 2. ჭურჭელი, რითაც ხარშავენ;

ა-თა – 1. თივა; 2. ცაცხვი; 3. ჩირქი, ბალღამი, ბაყლი და ა.შ.

2.4. სალიტერატურო და დიალექტურ ფორმათა თანხვედრის შედეგად მიღებული ომონიმები

ომონიმები წარმოიქმნება სალიტერატურო და დიალექტური ლექსიკის თანხვედრების დროსაც. ამ ჯგუფის სიტყვები ომონიმებად შეიძლება ჩავთვალოთ იმ პირობით, თუ დიალექტური ფორმა ფეხმოკიდებულია სალიტერატურო ენაშიც. თვითონ დიალექტის შიგნით ასეთი სიტყვები, შეიძლება, სულაც არ იყონ

ომონიმები და წარმოადგენდნენ პოლისემანტიკურ სიტყვებს. მათ შორის სემანტიკური კავშირი აღდგება ტროპიზაციის // მეტაფორის, აგრეთვე ასოციაციურობის გათვალისწინების საფუძველზე. მაგალითად:

აბლაბუდა 1. (სალიტ.) ობობას ქსელი: „ბაბაჭუას ბუდე“ (საბა); ქსელი ან ბუდე დედაზარდლისა (დ. ჩუბინ.).

აბლაბუდა 2. (ოკრიბ.) უგუნური, სულელი (მ. ალაგ.).

ერთი შეხედვით, აქ საქმე გვაქვს ომონიმასთან, მაგრამ რეალურად ასე არაა: ორივე მნიშვნელობა გვაქვს ოკრიბულში, ამიტომ **აბლაბუდა** ოკრიბულისთვის იქნება პოლისემანტიკური სიტყვა, რადგან მეორე მნიშვნელობა აშკარად მომდინარეობს პირველისაგან და ტროპიზაციის შედეგია. სალიტერატურო ენისთვის **აბლაბუდა** სიტყვის ომონიმურობა ძნელად დასაშვებია, რაკი ეს სიტყვა „უგუნურის, სულელის“ მნიშვნელობით პრაქტიკულად არ დასტურდება.

ამ ტიპის მასალა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ისეთი შემთხვევები, როცა ესა თუ ის ფორმა სალიტერატურო ენაში წარმოქმნის ომონიმას. აქ მოვიხმობთ შესაბამის მაგალითებს:

აბოლება – (სალიტ.) აკვამლება;

აბოლება – (მოხ.) ურმის ხელების მალლა აწევა, აყირავება (ი. ქავთარ.);

აბოლება – (ქართლ.) გადაუღებელი წვიმების დროს ბოსტნეულის უცებ აზრდა (გ. შატბერ.).

ამ შემთხვევაში პირველი და მესამე მნიშვნელობები რეალურია სალიტერატურო ენაშიც, ამიტომ საქმე გვაქვს ომონიმასთან, მაგრამ სიტყვა **აბოლება** სალიტერატურო ენაში მეორე, მოხეურისათვის დამახასიათებელი სემანტიკით ჩვენს მასალაში არ გამოვლინდა, რის გამოც **აბოლება** 1. „აკვამლება“ და 2. „ურმის ხელების მალლა აწევა, აყირავება“ მოხეურ კილოში პოლისემანტიკური სიტყვა იქნება, ხოლო სამწიგნობრო ენაში ასეთი რამ არ არსებობს.

აკიდო 1. (სალიტ.) ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; სიმინდის წყვილი ტარო, ფუჩეჩით გადაბმული; ხილის ასხმულა, ჯაგანი; „ხილ(ნი) ერთად შებმულ(ნი)“ (საბა);

აკიდო 2. (დასავლ. დიალ. და სალიტ.) ვაზის ჯიში დასავლეთ საქართველოში (შავი ყურძენია).

სიტყვის ამოსავალია **კიდება** ზმნური ფუძე...

აფხაზურ ენაში ამგვარი მაგალითები საგანგებო კვლევას მოითხოვს, რისგანაც ამჟერად თავს ვიკავებთ.

2.5. ნასესხები და საკუთარი ლექსიკის შემთხვევითი ბგერითი მსგავსების შედეგად მიღებული ომონიმები

ომონიმები შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა ენებიდან ნასესხები და საკუთარი ლექსიკური ერთეულების შემთხვევითი ბგერითი მიმსგავსების შედეგად³²⁶.

ნასესხობათა და ქართული სიტყვების ფონემატური დამთხვევა წარმოქმნის ომონიმურ ფორმებს. ბიძინა ფოჩხუა ამ ფგუფს უწოდებს „ომონიმის უძველეს და შეთვისებულ სიტყვებს შორის“: ომონიმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ქართულში არის უცხო წარმომავლობის ლექსიკური მასალის შეხვედრა უძველეს სიტყვასთან³²⁷.

სხვადასხვა ენათა სიტყვებმა, რომლებსაც აქვთ მსგავსი გარეგნული სახე და განსხვავებული მნიშვნელობა, დიდი ხანია მიიქციეს ენათმეცნიერთა ყურადღება. უცხო სიტყვათა სესხება გამონვეულია მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ეკონომიკის, აგრეთვე საწარმოო ურთიერთობათა განვითარებით. ასევე სესხების მიზეზია უცხოური სიტყვების ხმარება მოდის საფუძველზე, რაც ნაწილობრივ განპირობებულია ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით, როგორცაა უცხოური სიტყვების ხმარების პრესტიჟულობა, რადგან ითვლება, რომ

³²⁶ გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003, გვ. 364; ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბ., 1974;

³²⁷ ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბ., 1974;

ისინი ლამაზი ჟღერადობისანი არიან და ზუსტად გამოხატავენ აზრს³²⁸.

ქართული ენის ძირეული სიტყვებისა და სხვადასხვა ენებიდან ნასესხები სიტყვების შემთხვევითი ბგერითი მსგავსება ქართული ენის ომონიმურ ლექსიკაში ქმნის მკაფიო სისტემას. ამგვარ ომონიმთა რაოდენობა როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში საკმაოდ დიდია.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგ შემთხვევაში ნასესხები სიტყვა იმდენადაა გათავისებული, ჭირს მისი წარმომავლობის დადგენა. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულში ესა თუ ის სიტყვა შემოსულია არა უშუალოდ ორიგინალის ენიდან, არამედ ქართულთან უშუალო კონტაქტში მყოფი ენიდან. ქვემოთ მოხმობილ მაგალითებში ვუთითებთ არა ორიგინალის ენას, არამედ შუამავალ ენას. მითითებანი სიტყვათა წარმომავლობის შესახებ ძირითადად აღებული გვაქვს ო. მიქიაშვილის ნაშრომიდან³²⁹, მაგრამ აღარ ვუთითებთ ეტიმოლოგიის დამდგენ მეცნიერთა ვინაობას:

ალვა – 1. იგივეა, რაც ალვის ხე, სარო, კვიპაროზი (დ. ჩუბინ.);

ალვა – 2. (ბერძნ.) „სულნელ-საკმეველი“;

ალვა – 3. (თურქ.) იგივეა, რაც ჰალვა: შაქრის შემზადებული საჭმელი, „რომელსაც ქართულად პუნგია ეწოდების“ (საბა); (სპარს.) ალვახაზი, თაფლის სანუკვარი, პუნგია (დ. ჩუბინ.);

ალვა – 4. წვა, დაგვა (დ. ჩუბინ.): „ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად“ (ვტ.).

ამება – 1. „სიამოვნებისათვის“ (საბა); სიამე, სიამოვნება;

ამება – 2. (ბერძნ.) უმარტივესი მიკროსკოპული ცხოველი, მოიპოვება წყალში.

³²⁸ ხუციშვილი ს., სლავური საენათშორისო ომონიმები. დისერტაციის მაცნე. თბ., 2010, გვ. 29;

³²⁹ მიქიაშვილი ო. აღმოსავლური წარმომავლობის ლექსიკა ქართულში. თბ., 2013;

ასლი – 1. ხორბლის ერთ-ერთი ჯიში. პურეულთა ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, ორმარცვალა³³⁰;

ასლი – 2. (არაბ.) დედანი, ორიგინალი, ნამდვილი; დედნის პირი.

1. ბანი – ქართული ანბანის მეორე ასოს სახელწოდება;

2. ბანი – (სპარს. „ბოხი ხმა“) „ხმის შეწყობა“ (საბა); ხმა, რომელიც ეწყობა სიმღერას (გავრცელებული გაგებით – დაბალი ბოხი ხმა).

3. ბანი – (სპარს. ბამ „სახურავი“) „სახლის ბრტყელი სახურავი“.

ბაჟი – 1. უმნიფარი;

ბაჟი – 2. (სპარს.) გადასახადი.

ბეგი – 1. ბეჟობი;

ბეგი – 2. (თურქ.) მსხვილი ფეოდალი.

ბუკი – 1. დიდი კუნძი;

ბუკი – 2. (სპარს.) რქის საყვირი.

დოლი – 1. ხორბლის ერთ-ერთი ჯიში;

დოლი – 2. (თურქ.) საკრავი ინსტრუმენტი.

სილა – ნვრილი ქვიშა;

სილა – (სპარს. სილა) გაშლილი ხელის შემოკვრა ყბაში.

ჩინი – თვალის სინათლე;

ჩინი – (რუს.) ნოდებულება.

ჭრაქი – 1. ვაზის დაავადება;

ჭრაქი – 2. (სპარს.) სანთებელი და მრავალი სხვ.

330 ძველი ქართული სიტყვების ლექსიკონი. http://www.orthodoxy.ge/tsnobarabi/leksikoni_dz.htm 1 უკანასკნელად იქნა გამოყენებული 5.02.2014.

აფხაზურ ენაშიც ხშირია **ძირულ და ნასესხებ სიტყვათა ომონიმიის** მაგალითები:

ა-ლაშა – 1. (აფხაზ.) ბრწყინვალე, ნათელი, მანათობელი; 2. (თურქ.) ლაფშაცხენი;

ბაბა – 1. (აფხაზ.) ფუმფულა, ფაფუკი; 2. (თურქ.) შვილის მიმართვა მამისადმი;

ა-ფარა – 1. (აფხაზ.) დაწნული; 2. (თურქ.) ფული;

ა-ფსა – 1. (აფხაზ.) სოჭი; 2. (ქართ.) ფასი;

ა-თა – 1. (აფხაზ.) ცაცხვი; 2. (აფხაზ.) ჩირქი, ბალღამი; 3. (ქართ.) თივა და სხვ.

2.6. მეტაფორიზაციის გზით მიღებული ომონიმების რაობისათვის

როგორც ცნობილია, შესაძლებელია ერთი და იმავე ძირის სიტყვა, სავსებით ერთნაირი გარეგნულად, გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მნიშვნელობის გამოსახატავად. ტრადიციულად, ამ მეორენაირ ფუნქციას **ტროპიზაცია** ეწოდება. ე.ი. სიტყვა გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით³³¹.

ა. გვენცაძე წერს, რომ **მეტაფორიზაცია, ანუ ტროპიზაცია არის ომონიმიის წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორი**. მეტყველებაში (ენაში) არსებული და გამოყენებულია ომონიმიის ორი ჯგუფი: **ჩვეულებრივი** ომონიმები და **სტილისტიკური** ომონიმები.

ჩვეულებრივი ომონიმები ლექსიკური ფონდის ცალ-ცალკე შინაარსის მატარებელი ერთეულებია: **ბარი** – დაბლობი, ვაკიანი ადგილი; **ბარი** – ბრტყელი, ნვერმახვილიანი რკინის იარაღი; **ბარი** – ერთგვარი რესტორანი, სადაც დგომელა შეექცევიან სასმელ-საჭმელს.

სტილისტიკური ომონიმები ერთი ძირის სიტყვებია, მაგრამ ფუნქციის თვალსაზრისით მაინც უპირისპირდება ერთმანეთს:

331 გვენცაძე ა. სტილისტიკური ომონიმია. ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. 1974, ტ. 3, გვ. 19;

ვარდი — ყვავილი; **ვარდი** – ბაგეები; **ბროლი** – მინერალი, **ბროლი** – კბილები (ვარდი გააპის, გამორჩნდის მუნ **ბროლი** გამომ-ჭვირვალნი“, ვტ).

გოგრა – 1. ბაღჩეული, კვახი; 2. თავი: მეორე მნიშვნელობა პირველი მნიშვნელობიდან არის განვითარებული მეტაფორული ხმარების გზით.

სიტყვა **ბატი** გამოიყენება არამართო ფრინველის სახელად, არამედ უჭკუო და დაბნეული ადამიანის აღსანიშნავადაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად გამოიყენებასთან გვაქვს საქმე³³².

ა. გვენცაძის დასკვნით, ტროპიზაციის ყველა სახეობა სტილისტიკურ ომონიმიად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად: მეტაფორა, სიმბოლო, ეპითეტი, მეტონიმია, სინეკდოქე, შედარება, ენანტიოსემია, ფრაზეოლოგიზმები და სხვ.³³³;

სინქრონიული ენათმეცნიერება სიტყვის მეტაფორულ ხმარებასაც კი მიიჩნევს ისტორიული თვალსაზრისის დაუშვებელ ჩარევად ენობრივი ფენომენის სინქრონიულ კვალიფიკაციაში, ხოლო ჟ. ვანდრიესი სრულიად უარყოფს სტატიკური თვალსაზრისით მეტაფორის არსებობას³³⁴.

ჩვენი შეხედულებით (ჩვენ კი პოლისემიასაც და ომონიმიასაც ისტორიის გათვალისწინებით ვიხილავთ), ის მაგალითები, რაც ზემოთ იყო დასახელებული მეტაფორიზაციის გზით ომონიმთა მიღების საილუსტრაციოდ, არ შეიძლება ჩაითვალოს ომონიმებად, ვინაიდან თითოეული მათგანი ცხადად გვიჩვენებს, რომ ახალი მნიშვნელობები ძველისაგან მომდინარეობს და რეალურად საქმე პოლისემიასთან გვაქვს (ვრცლად იხ. ზემოთ, თავი I, §3, 3.2).

332 გვანცელაძე გ. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანთა მახასიათებლები ქართულში. თბ., 2005, გვ. 14;

333 გვენცაძე ა. მითითებული ნაშრომი, გვ. 19;

334 Вандриес Ж. Язык, М., 1937 168-169 с.

2.7. ნასესხებ სიტყვათა ომონიმია

ქართულ ენაში ხშირად იქმნება ისეთი ომონიმები, რომელთა შორისაც უკლებლივ ყველა სიტყვა ნასესხებია სხვა ენებიდან.

ბარი – 1. (შუმერ. ბარ „დაბლობი“) დაბლობი, ვაკიანი ადგილი; 2. (შუმერ. „თოხი“) მიწის ჩასაჭრელ-გადასაბრუნებელი იარაღი; სახნისი;

ლირა – 1. (ბერძნ.) საკრავი ინსტრუმენტი; 2. (იტალ. და თურქ.) ფულის ერთეული;

სანდალი – 1. (ბერძნ.) მსუბუქი ფეხსაცმელი; 2. (არაბ.) ტროპიკული ხე, სანდალოზი; 3. (თურქ.) ნავი;

ზარი – 1. (სპარს.) ანაზდეული შიში, ელდა; 2. (სპარს.) სარეკელი; 3. (თურქ.) სათამაშო კოჭი.

მსგავსი მაგალითები დასტურდება აფხაზურ ენაშიც:

ა-ბაჯერ – 1. (ქართ.) ბოგირი; 2. (ქართ.) მოაჯირი;

ა-გაზ – (რუსულის მეშვ.) 1. გაზი, აირი; 2. ნავთი;

ა-გრაფ – (რუსულის მეშვ.) 1. გრაფი; 2. მავთული;

ა-კლასს – (რუსულის მეშვ.) 1. კლასი (ფენა); 2. მოსწავლეთა ჯგუფი; 3. საკლასო ოთახი;

ა-კება – (ქართ.) 1. კიბე; 2. კიბო (სენი);

ა-ქარ – 1. (ქართ.) ქერი; 2. (თურქ.) სარგებელი;

ა-ურა – (თურქ.) 1. ურა, გაუხედნელი; 2. ურო და სხვ.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში პოლისემიისა და ომონიმიის ზოგადი და კონკრეტული საკითხების ანალიზი საშუალებას იძლევა, კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ პოლისემია და ომონიმია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სემანტიკური მოვლენებია და მათი კვლევა აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

პოლისემიისა და ომონიმიის არსის, მათი წარმოქმნა-განვითარების მიზეზთა და ფაქტორთა შესახებ ქართულ და უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე გამოთქმული ერთმანეთის შემავსებელი, თუ ურთიერთგამომრიცხავი უამრავი შეხედულებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს ის მოსაზრებანი, რომლებიც გამორიცხავენ საკითხებისადმი ცალმხრივ მიდგომას, როცა ლინგვისტთა ნაწილი უარყოფს პოლისემიისა და ომონიმიის ისტორიის გათვალისწინებას და მხოლოდ სინქრონიულ ანალიზს ამჯობინებს, მკვლევართა მეორე ნაწილი კი ისტორიის საკითხებს იმაზე მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ეს აუცილებელია.

ჩვენი აზრით, ოპტიმალურია აღნიშნულ საკითხთა კვლევა **კომპლექსურად**, როცა პოლისემიისა და ომონიმიის პრობლემები ანალიზდება როგორც სინქრონიის, ისე დიაქრონიის დონეებზე, თანაც კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზი მიმდინარეობს **პროსპექტულად** – წარსულიდან დღევანდლობისაკენ სვლის გზით. ჩვენ სწორედ ამგვარი მიდგომით შევისწავლეთ ქართული ენის მონაცემები და ანალოგიისათვის გამოვიყენეთ ქართულის მონათესავე ახალდამწერლობიანი ენის, აფხაზურის შესაბამისი მონაცემები. აფხაზური ენის ლექსიკის მოხმობა მნიშვნელოვანი იყო იმის დასაბამად, თუ როგორ იცვლება სიტყვის სემანტიკა სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით ისეთ პირობებში, როცა ნაკლებად მოქმედებს სამნიგნობრო ენისათვის დამახასიათებელი ნორმალიზაციის მძლავრი ფაქტორი და ენა თავისუფალია მისი ზემოქმედებისაგან.

პოლისემიას განვიხილავთ სოციალური დიალექტოლოგიის,

ადამიანის სახეობრივ-ხატოვანი აზროვნების, მეტაფორიზაციის, პრაგმატიკისა და სხვაგარე ენობრივი ფაქტორების პოზიციებიდან. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების ის ჯგუფი, რომელიც სოციოლექტებში არ გადანაწილდება, ახალ მნიშვნელობებს იჩენს მეტაფორიკის — პრაგმატული ასპექტის საფუძველზე.

ჩვენ მიერ არჩეულმა კვლევის სტრატეგიამ საშუალება მოგვცა, გამოგვეტანა ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები, კერძოდ:

1. პოლისემია ქართულსა და აფხაზურში გაცილებით უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე ომონიმია;

2. სიტყვის პოლისემიურად ქცევას ხელს უწყობს მრავალი **ექსტრალინგვისტური და შიდაენობრივი** ფაქტორი, მაგრამ იშვიათია შემთხვევები, როცა სიტყვა ახალ მნიშვნელობას იძენს ერთადერთი (ან მხოლოდ ექსტრალინგვისტური, ან ოდენ ენობრივი) ფაქტორის ზემოქმედებით. ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა უმრავლესობა სოციალური ხასიათისაა, ხოლო შიდაენობრივი ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება პრაგმატულ-გამოყენებით ასპექტებს და გულისხმობს ახალ მნიშვნელობათა დატვირთვას უარყოფითი, დადებითი, ან ნეიტრალური კონოტაციით. ვინაიდან ენა სოციალური ბუნებისაა, მის განვითარებაზე სოციალური ფაქტორებიც ახდენენ გავლენას, მაგრამ ენა ამასთანავე ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაცაა და, შესაბამისად, მის გარეშე კომუნიკაცია შეუძლებელია. ეს უკანასკნელი ფაქტორი პირდაპირ კავშირშია პრაგმატულ-გამოყენებით ასპექტებთან, რაც ასევე სოციალურ საკითხებს უკავშირდება. ამის გამოა, რომ სიტყვათა სემანტიკის ცვლაზე ერთდროულად ზემოქმედებს ერთზე მეტი ფაქტორი;

3. ჩვენ ვიზიარებთ დასკვნას, რომლის მიხედვითაც, “პოლისემია ორი (ან მეტი) მონაცემის თავმოყრის შედეგია. ეს მონაცემები ჰომოგენურია – განშტოებულ მნიშვნელობებს წარმოადგენს. იმისთვის, რომ განშტოება მოხდეს, ე. ი. ახალი მნიშვნელობები განვითარდეს, საჭიროა განყდეს კავშირი სიტყვის მნიშვნელობასა და მის ერთ-ერთ გამოყენებას შორის. სადაც ეს განყვეტა არ მოხდა, იქ ახალი მნიშვნელობაც არ მიგვიღია. თუ სიტყვის გამოყენებას სხვა სახის დასასახელებლად საფუძ-

ვლად უდევს სიტყვის (რომელიმე) მნიშვნელობა, მაშინ საქმე გვაქვს მხოლოდ მეტაფორასთან და არა ახალ მნიშვნელობასთან, და მამ პოლისემიის შესახებ ვერ ვილაპარაკებთ” (ბ. ფოჩხუა);

4. სიტყვის მიერ ახალ მნიშვნელობათა განვითარება უსასრულოდ მიმდინარეობს და არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა თავდაპირველი და “უკანასკნელი” მნიშვნელობები ერთმანეთის საპირისპირო, **ანტონიმურნი** არიან. მაგალითად, ქართული ზედსართავი სახელი **საშინელი** და მისგან მომდინარე ზმნისართი **საშინლად** თავდაპირველად შიშის სემანტიკურ ველში შედიოდა და აღნიშნავდა იმას, რაც შიშს აღძრავს, ან იმას, რაც მოქმედებას, თუ მდგომარეობას შიშისმომგვრელს ხდის. ამასთანავე ორივე სიტყვა დატვირთული იყო უარყოფითი კონოტაციით. მაგრამ დროთა მანძილზე ამ სიტყვებს გაუჩნდა დადებითი კონოტაციით შეფერილი მნიშვნელობები: “ძალიან დიდი, აღმატებულო; პატივსაცემი, მოსარდალი” (“ჰოი, საშინელო უფალო!...”) და “მეტად, ძალიან, უაღრესად” (“საშინლად გამეხარდა”). იგივე პროცესები ხდება აფხაზურშიც: სიტყვა **ა-ცუჯა** < ქართ. **ცუდი** (ქ. ლომთათიძე) სწორედ ამგვარ ცვლილებათა ნიადაგზე ამჟამად გამოხატავს მნიშვნელობებს: “ცუდი, უვარგისი; ავი” (უარყოფითი კონოტაცია), “ცუდად; ძნელად, გაჭირვებით” (უარყოფითი კონოტაცია) და “ძალიან, მეტად” (დადებითი კონოტაცია). მაგრამ ამ ფონზე სადავო ჩანს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ სინქრონიის თვალსაწიერიდან ამოსვლით ასეთ შემთხვევებს ომონიმიის მაგალითებად მიიჩნევენ, ვინაიდან სემანტიკური კავშირი ამოსავალ და ბოლო მნიშვნელობებს შორის ჯერ კიდევ არ განყვეტილა და ცხადად ჩანს არა მარტო ეტიმოლოგიის, არამედ ამჟამინდელ დონეზეც. თუმცა აღნიშნული სრულებით არ გამოორიცხავს ისეთ შემთხვევათა სიმრავლეს, როცა სიტყვები სემანტიკურ ცვლილებათა გზით ნამდვილ ომონიმებს წარმოქმნიან და ამას მათი ეტიმოლოგიური კვლევა ადასტურებს;

5. პოლისემიის წარმოქმნის ფაქტორთაგან ქართულში ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა: ტაბუ, რელიგია, რიტუალური

არგო, სემანტიკური დიალექტიზმები, ჟარგონი, გენდერი, ენის მომხმარებელთა ცვლა, ონიმიზაცია, მეტაფორიზაცია და სახისმეტყველება, ტერმინოლოგიზაცია, სტილი და ირონია, ინტერტექსტუალობა და დისკურსი. თითქმის იგივე ფაქტორები მოქმედებენ აფხაზურ ენაშიც, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ ახალდამწერლობიან ენაში შედარებით ნაკლებადაა განვითარებული სალიტერატურო ენის სტილი, ხოლო ქალაქური ცხოვრებისადმი არცთუ შორეულ წარსულში აფხაზთა ნაკლები მიდრეკილება ასახულია აფხაზური ჟარგონის სუსტ განვითარებასა და რუსულენოვანი ჟარგონის პრიმატში;

6. ომონიმიის სახეთაგან გამოიყოფა ლექსიკური, გრამატიკული და შედგენილი ომონიმები, აგრეთვე სიტყვების ძირთა ომონიმიაც. ტრადიციული მიდგომის შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ ომონიმურ ურთიერთობაში შემავალი ლექსიკური ერთეულები კლასიფიცირდა და გაანალიზდა შემდეგ ჯგუფებად: 1. საკუთრივ ქართული ომონიმები; 2. ქართულ-უცხოური ომონიმები; 3. უცხოური ომონიმები;

7. ქართული წარმომავლობის სიტყვებისგან შემდგარ ომონიმთა შორის გამოიყო შემდეგი ქვეჯგუფები: 1. ისტორიული ფონეტიკური ცვლილებებით წარმოქმნილი ომონიმია; 2. სხვადასხვა მეტყველების ნაწილების ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ომონიმია; 3. სალიტერატურო და დიალექტური ფორმების თანხვედრების დროს წარმოქმნილი ომონიმია; ყოველ ამ ჯგუფს საკუთარი სპეციფიკა აღმოაჩნდა;

8. ცალკე გაანალიზდა მეტაფორიზაციის გზით წარმოქმნილი ომონიმიის არსებობის საკითხი და დადგინდა, რომ ეს ხერხი არ წარმოქმნის ომონიმებს, ვინაიდან თითოეული მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რომ ახალი მნიშვნელობები ძველისაგან მომდინარეობს და რეალურად საქმე პოლისემიასთან გვაქვს;

9. როცა სიტყვის ერთი ფონეტიკური გარსი მიმართებაშია საგანთა რამდენიმე კლასთან, ამ ჯგუფის სიტყვები, სინქრონიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით, სხვადასხვა სიტყვებია, თუმცა ისტორიული ვითარების გათვალისწინებით შეიძლება მათი გამაერთიანებელი ნიშნის პოვნა და კავშირის აღდგენა

Tamar Gitolendia

Polysemy and homonymy in Georgian with Abkhazian parallels

SUMMARY

The dissertation thesis deals with parallel review of the issue of polysemy and homonymy on the basis of Georgian and Abkhazian material.

Actuality of the subject. In the special literature existing up to date there occur many mutually exclusive standpoints: what is polysemy and homonymy, what causes their origin, what kind of relation there is between them, etc. The difference is caused by two kinds of approaching to the material under research: synchronic and diachronic. A part of researchers considers studying the issues of polysemy and homonymy only in static state. The other part of scholars deems to be essential to take into account word's semantics and its morphological history. Accordingly, there appear radically different outcomes. In the present work the problems of polysemy and homonymy are discussed via **comprehensive approaching**, that allows to determine those regularities and trends which function in a language. Hence, the work is topical from the standpoint of the fact that the problems of Georgian polysemy and homonymy have not been still studied comprehensively.

The actuality of the work is noteworthy since for the first time Georgian polysemy and homonymy are compared with kindred Abkhazian language data. The other language's material provides valuable information in order to explain the characteristic peculiarities of Georgian.

Another determining factor of the work's topicality is to teach the issues of polysemy and homonymy at schools and universities where the outcomes of not one-sided studies but complex ones should be implanted that will properly highlight the problems of polysemy and homonymy.

ამოსავალ მნიშვნელობასთან. ამ ჯგუფის სიტყვები ენისთვის პოლისემიას ქმნიან, ხოლო მოსაუბრისთვის – ომონიმიას, სხვა-ნაირად: ის, რაც პოლისემიაა ენისათვის ისტორიული თვალსაზრისით, მოსაუბრისთვის ენის მოცემული მდგომარეობის (სინქრონიულ) დონეზე ომონიმიას წარმოადგენს.

10. ქართული და აფხაზური ენების მონაცემთა შედარებამ გვიჩვენა, რომ ორსავე ენაში პოლისემიისა და ომონიმის წარმოქმნას თითქმის ერთი და იგივე ფაქტორები იწვევს. სერიოზული სხვაობა აღმოჩნდა მხოლოდ პოლისემანტიკური სიტყვის ერთ-ერთი ახალი მნიშვნელობის ტერმინად ქცევის თვალსაზრისით. კერძოდ, დადგინდა, რომ, განსხვავებით ქართულისაგან, აფხაზურ ენაში მეტად პროდუქტიულია სიტყვათმახვილის ადგილმდებარეობის ფაქტორის გამოყენება ტერმინოლოგიზაციის მიზნით და ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აფხაზურში მახვილი ინტენსიურიცაა და დინამიკურიც, გარდა ამისა, მას აქვს როგორც სიტყვათგანმასხვავებელი, ისე ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია.

11. ქართული ენის მასალის ანალიზისა და აფხაზური ენის მონაცემებთან მისი შედარების გზით მიღებული დასკვნები ტიპოლოგიური ხასიათისაა და შეიძლება განზოგადდეს მრავალი სხვა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენისთვის.

Practical value. Practical value of the present work is determined by its complex nature: those scholars interested in the problem are afforded the opportunity to become acquainted with existed standpoints, conclusions obtained through comprehensive research, outcomes of comparison of two kindred languages. Its practical value is also increased by the fact that the presented outcomes can be imprinted in educational system.

Research goals and objectives. The goals of the present work are: **a.** to carry out comprehensive investigation on polysemy and homonymy characteristic of Georgian literary language from synchronic and diachronic standpoint; **b.** to define origin causes (sources) of polysemy and homonymy and facilitating factors; **c.** to determine how polysemy is formed in a language; **d.** to define a systemic character of polysemy and homonymy in Georgian.

The objectives of the work are the followings: **a.** to collect Georgian and Abkhazian polysemantic and homonymic vocabulary and to systemize it; **b.** to analyze critically the literature on the issue; **c.** to demarcate primary and secondary meanings in polysemantic vocabulary and to reveal semantic sections according to functioning spheres of secondary meaning; **d.** to study origin factors of polysemy and homonymy in Georgian and to compare it with relevant Abkhazian material.

Research methods. The work makes use of the following methods: prospective analysis method; analytical theory method that considers the meaning as a result; structural and semantic method as well as descriptive, historical and comparative ones.

Research novelty. The novelty of the present work is to investigate the problems of polysemy and homonymy **comprehensively** taking into account synchronic and diachronic data. Hence, the work is innovatory since the problems of Georgian polysemy and homonymy haven't been studied up to date **comprehensively**. It is the first attempt to compare the Georgian polysemy and homonymy with kindred Abkhazian language that gives noteworthy data to explain the peculiarities of Georgian language.

Work structure. The work consists of introduction, foreword, 2

chapters, conclusion and references. The volume of the work is 213 printed pages.

Approbation. Research theme, basic topics and great part of research outcomes have been approbated at the international and republic conferences, namely, at international scientific conference “*Kutaisian discussion – XII*” (2013, Kutaisi); II international congress of Caucasologists (2013, Tbilisi); V international conference of the Kutaisi Ilia Chavchavadze Library (2013, Kutaisi), IV scientific conference of semiotics (2013, Tbilisi); VII republic scientific conference of master and doctoral students of Kartvelian linguistics (2013, Kutaisi).

Six reviews on the dissertation topic have been published in local and international publications.

FOREWORD

There are many works on the issues of Georgian polysemy. But there is great difference among them and many issues have been studied less. I tried to assess all noteworthy issues critically and to express my views on them. Naturally, it'll be appropriate to compare Georgian data with any kindred language in order to determine whether there are confirmed common semantic pictures and what makes the difference between them. I preferred to compare with Abkhazian. I've analyzed Abkhazian polysemantic and homonymic vocabulary according to the system that was formed as a result of Georgian research.

Research history of converting of a lexical entry into a polysemantic word requires the comprehensive studying of large amount of language material, analyzing of a word in different context, determining of a morphemic structure of a given word, defining the word's form history and initial semantics considering the data of kindred languages. Such comprehensive investigation of Georgian literary vocabulary is more productive since there is countless written material created over 1500 years, but investigation of Abkhazian literary language from this stand-

point is much more difficult since its script has been created in 1862 that doesn't allow confirming documentary the form and semantic history of any lexical entry. There is left only one way: to compare dialectal and kindred languages data with each other. Though, it doesn't imply that it isn't impossible to reconstruct diachronic picture of Abkhazian. There I'll underline that **detail researching of Abkhazian data is not my goal**: I ground on already expressed views and add them to the outcomes obtained by me as a result of analyzing Abkhazian language data.

Only one work has dealt with the Abkhazian polysemy and homonymy – it is **Leonid Samanjia's** candidate dissertation. I made use of this work, though I don't share my Abkhazian colleague's view on some issues.

One of core goals of the work is to determine systemic character of polysemy in Georgian literary language and what creates the systems. On the other hand, grounding on critical assessments on views expressed in literature, I try to determine whether which language and external language factors contribute to origin of word's new meaning. It is of urgent issue to define the causes of homonymy and how a language tries to avoid the ambiguity and vagueness caused by homonymy.

Afterwards I compare with relevant Abkhazian literary data and determine the common and different characteristics between genetically kindred languages.

Georgian and Abkhazian material under research has been obtained from the dictionaries published in different period.

MAIN CONTENTS OF THE THESIS

Introduction describes the research problems, topicality of theme and practical value, its scientific novelty, research goals, objectives and methods.

Foreword deals with general picture of the problem under research, sources, processing principles of material and studying level.

I chapter. "Polysemy and its facilitating factors in Georgian with

Abkhazian parallels" consists of 4 paragraphs and sub-paragraphs.

§1. Issue of essence of polysemy. The 1st paragraph represents the definitions of polysemy existing in the special literature; reviews the Abkhazian scholar Leonid Samanjia's conclusions on Abkhazian polysemy; discusses the issue **how polysemy is formed in a language, whether it has a system or not and what creates this system.**

It is being determined that polysemy is conditioned by many factors: culture, religion, policy, social aspects, etc. Until now an issue of polysemy was defined in the context of semantics – according to association, general and visual features of an object. I don't deny such standpoint but I prefer to study the issue comprehensively.

I believe that **social and pragmatic factors are the most important ones in origination of polysemy.** Due to it, polysemy is discussed considering social **dialectology, human's figurative thinking, metaphorization and other external language factors.** The group of multi-semantic words that cannot be distributed in sociolects, gains new meaning on the ground of metaphor – **pragmatic aspect.**

§2. Sociolects as facilitating factors of origin of polysemy. Introduction describes essence of social dialects, subject of social dialectology and represents the statement according to what sociolects are the one of facilitating factors of the origin of polysemy.

2.1. Taboo. The available for me material has demonstrated that one of **facilitating factors of the origin of polysemy is taboo.**

For Georgians taboo was a systemic phenomenon. This systemic character had conditioned the certain new semantic component(s), which caused the formatting of new polysemantic groups of words in Georgian vocabulary, appearing of different semantics of euphemistic words and expressions containing taboo words.

Substitutes of verbal taboo are the words with secondary meaning and most of them is polysemantic. In taboo words initial meanings are often concealed and a word is spread under the second meaning. E.g. hearing the word **uxsenebeli** 'unmentionable' a human remembers first of all 'a snake' and not its initial meaning: 'smb or smth that isn't worth to mention'.

Substitutes gained taboo//euphemistic semantics on the ground of association, analogization, symbolization, euphemization. Secondary meaning in taboo example is motivated by initial, primary meaning since “ *the figurative using of a word is motivated and supported by word’s real, primary meaning*” (B.Pochkhua).

The part discusses the vocabulary subordinated to taboo and substitutes of this vocabulary according to motivation. These are: names of god, names of devil, the vocabulary denoting death, illness and names of animals.

In not too distant past, among Abkhazians there was spread one more type of taboo, which Abkhazian name was **ax’ə3çəda**. The name is translated as ‘particular name’. Thus it denoted the prohibition of a daughter-in-law to say the names of husband’s relatives and changing of real names.

2.2. Religion. One of reasons of semantic changing is religion. In Christian areal the semantics of the pagan vocabulary is substituted by new Christian meanings. In Georgian the Christianity became a strong motivating factor in appearing of word’s new meaning. As a result of this factor a new class of polysemic words appeared that gained religious semantics on the ground of comparison, analogy, symbolization that is characteristic of all religions. I discuss the polysemantic lexical entries **çarmarti**; **mçqsa //damçq na**, **mçqemsi** in Georgian.

A discussed concrete language material allows to conclude that serious semantic changes has taken place in one part of Georgian vocabulary, that had been caused by radical religious changing in the country, substituting of pagan religion by Christianity, strong influencing of Christianity on Georgian language. Religion has greatly contributed to the language where Christian past was gradually established and pagan semantics of words underwent transformation.

Due to absence of long tradition of Abkhazian script, it is difficult to restore a historical picture of polysemantic transformation of words under religious influence. The issue needs to be studied deeply. I won’t discuss it at present.

2.3. Ritual argo. *Argo* is usually used to conceal information from

others as well as to isolate any group from other part of society. It is investigated that in Georgian an argo was one of facilitating factors of appearing of word’s new meaning.

In Georgian ritual argo includes so called ‘**Jvart-ena**’ (ie folk-ritual language), **hunting language** and **incantation language**, the words and expression of which are understandable only for relevant group of people.

So called ‘**Jvart-ena**’ (‘cross-language’) is a collection of preacher’s terms **different from colloquial language**, when a preacher used to announce the wish of a cross. Common words characteristic of so called ‘Jvart-ena’ and colloquial language, gain new semantic components: special names are given to those objects and phenomena which have own names in colloquial language. E.g. in ‘cross language’ **bedi** is ‘son’, **mçepari** - ‘preach’, **suliçminda** ‘deceased’, **morige** - ‘the God’, **tetreuli** - ‘silver’, etc. In ‘Jvart-ena’ a secondary semantics isn’t always motivated by initial, primary meaning (e.g. **bedi** – ‘son’, **ubeduri** - ‘without/ having no son’).

A part of Abkhazian ritual argo is a hunter’s language that is called ‘**forest language**’ (**abna bəzš’a**) and was used by hunters during hunting. Actually it was strictly tabooed speech that was spoken only by hunter-men from the moment of going to hunt and until its ending.

According to Abkhazians conception, eatable animals could understand human’s speech. Due to it **during hunting, hunters stopped to speak colloquial Abkhazian and spoke ‘forest language’**. The language gave animals, objects and some actions the names which were used only during hunting. This verbal taboo was connected with faith of magic power of words and was grounded on identification of a word and object. It was considered that who knew “forest language” could gain power over animals.

Models of Abkhazian ‘forest language’ are: (firstly it is given word of colloquial language, then it is followed by the name in ‘forest language’ containing the same word with translation): **abjar** ‘gun’, - **azaf** (word-for-word: ‘salve’); **ala** ‘dog’ – **amaža** (word-for-word: ‘mysterious, secret’); **abənh’a** ‘wild boar’ – **amaa-zaa** (word-for-word: ‘lazy,

dawdling'), etc.

2.4. Semantic dialectisms. This part discusses the dialectal words used by a writer in a literary language. Due to the fact that in creation of literary language the territorial dialects participate as well, and Georgian literature has been and is created by the writers coming from different regions, in literary language there occur some dialectal words. Thus, "one sources of polysemy is dialectal meanings of common word – semantic dialectisms" (B.Pochkhua). E.g., in literary Georgian **survili** 'wish, desire' means 'aspiration, inclination to happen smth, to implement to achieve smth' (*GED*). The East Georgian writers have used the word with the meaning of 'love'.

Even though the Abkhazian literary language has two dialects (Abzhua and Bzip) like in Georgian, the same fact takes place in it: in literary language the Abkhazian writers often use the words with dialectal meanings. Abkhazian literary language is based on Abzhua dialect. Due to it, all those words which entered from Bzip dialects are synonyms of relevant literary words. There are frequent instances when semantic dialectisms entered in Abkhazian from Abzhua dialect, as well. E.g., in Abzhua dialect and literary language **a-bgax** ^{აჭა} denotes 'fox', in Bzip sub-dialect – 'jackal'. In the works of Abkhazian writers from Bzip Abkhazia the word is used with both meanings; **a-napxaz** has the following meanings in literary language: 1. bracelet; 2. gauntlet. From Bzip sub-dialect it gained one more meaning 'glove', etc.

2.5. Jargon is nourished by literary language's vocabulary; only literary language's words are represented in a jargon with changed semantics. E.g.: the words **kaži** 'demon/evil spirit', **txa** 'goat', **kliavi** 'plum' **qana** 'cornfield' denote 'backward human'; **gačedilia** 'smb is hammered in' – ie 'smb has debts'; **gažežilda** – 'smth grew/turned green' – ie 'smb turned rude/over-confident/naughty'; **buryavs** 'smb drills' – ie 'smb tries to make smb say'; **daasvela** 'smb turned smth get wet' – ie 'smb celebrated any event with feast'... Samples of jargons of gamblers: **ertiani** 'one' – ie 'victory of the first group in a list'; **cocxali** – 'alive' – ie 'make a bet during live transmission'; **piramida** 'pyramid' – ie 'increasing of amount in anticipation of draw'... The samples clear-

ly demonstrate that these Georgian words are polysematic and jargon meanings aren't very old.

It is noteworthy that in Abkhazian the jargon vocabulary is small. The one of reasons can be the living novelty of Abkhazians in cities – the main of jargon's areal is just a city. The other reason is the fact that during the last 150 years Abkhazian has been undergoing Russian's disastrous influence. This influence is obvious in spreading of Russian jargons among Abkhazian youth and professional groups. From the material available for me, the followings are noteworthy:

Abkhazian slang of thieves who is known under the name of 'bird language' – **ačəs bəzš[°]a** and 'language of thieves' **აჭ[°]აჩ[°]ა რბəzš[°]a**, was used only by thieves. The peculiarity of the slang is the occurring of the same syllable **fa** after each syllable. E.g.: on thief's language a pronoun **sara** 'I' has the **sa-fa –ra-fa** form (*Sh.Inal-Ifa*). Syllable shifting was another way of word's form changing. E.g.: **asawa** 'a sheep' instead of **awasa**, etc. Similar ways are spread in Georgian, as well up to date. But it should be noted that though this was polysemy cannot be formed.

2.6. Gender. In Georgian and Abkhazian literary languages as well as their dialects and colloquial language there attested one group of vocabulary that expresses a woman's social status and her sexual-social behavior. In the vocabulary noteworthy from gender standpoint, there are confirmed the words which preserved their initial meaning. But due to the influence of psychological, social and cultural factors they changed connotation and gained new meanings owing to different attitude towards the relation between a man and woman.

Observation on this vocabulary group demonstrated that in a language gender factor is one of reasons of appearing of word's new meaning. E.g.: the names **Iveri, Kakhi, Kartlosi... Birtveli, Toreli** are **polysematic** and **poly-functional** words since they are **appellatives** and **denote nationality and origin**, on the one hand, and they became **nouns** and **gain the function of anthroponym**, on the other hand. Similar situation occurs in Abkhazian as well in which the men's names of **Axra** 'rock', **š[°]arax** 'beast' types are attested. But it is noteworthy that instead of the words denoting nationality, origin place, the 'strength',

the ‘tender/soft’ words as women’s names are spread: in Georgian – **Piso** ‘pussy-cat’, **Ciuri** ‘heavenly’, **Mzia** ‘the sun’, **Mzevinari** ‘sunny’, **Ia** ‘violet’, **Endzela** – ‘snowdrop’, etc. The Abkhazian women’s names of this types are: **Amza** ‘the moon’, **Amra** ‘the sun’, **Mramza** ‘the sun and the moon’, **Apsuanda** ‘Let it be Abkhazian!’, **Maglonia** ‘magnolia’, **Riça** (*name of a lake*), **xʼəbla** ‘golden eye’, etc.

Georgian and Abkhazian gender vocabulary clearly shows that words preserve their primary meanings but gain new semantics which usually is conditioned by different factors and is always accompanied by certain connotation.

2.7. Variability of a language user. Changing of word’s meanings and appearing of new ones express the variability of its user. A language user is changed and accordingly its interpretation is often changed that causes the formation of new meaning. Interpretation of either an individual or a group varies according to education, mental development, interests and past experience level. The higher the level the more the word’s semantic productivity and dynamism are. A language user uses a social-cultural background and ideological view. The culture of all epochs has its aesthetics and mannerism, in the section of concrete time it perceives reality and interprets according to this esthetics. Apart from the perceiving of aesthetics characteristic of an epoch, there is subjective perception, as well. That’s the reason why the similar facts are interpreted differently. The same can be said about a language.

In literary studies there exists a term “**reader’s phenomenon**” that is a user of the same language. As R.Siradze notes, “*Life of St Nino*” was varied in many ways. The main parts of the first text should have had liturgical purposes. Afterwards when “*Life of Georgia*” was created, “*Life of St Nino*” became a reading text for readers of history. Afterwards when metaphrastic entered, the text was changed again according to it in order to be read from new standpoint. Such texts changing show the changing of its reader. R.Siradze’s conclusion is noteworthy from linguistic viewpoint. During editing of Old Georgian literary works, editors either often changed one concrete word into other, or used the same word with different meaning. Such text interference contributed

to spreading of new meanings among the readers of new era. Over the times a text underwent some semantic renewing, though some novelties were easily implanted and some ones couldn’t adopted by a language. Such semantic changes are observable in the language of Georgian original texts as well as in such canonical texts, like the Bible and its sections. The samples confirm that even changing factor of a language user influence on appearing of word’s new semantics.

Origination of new semantics of Abkhazian word – as of new literary language, through the changing influence of a language user, is more complicated than of Georgian vocabulary having centuries-old literary tradition.

§3. Pragmatic aspects as a facilitating factor of formation of polysemy. Polysemy is formed by simultaneous influencing of external language as well as pragmatic sources. For example, any religion, among them Christianity, as well, implies high-levelled language symbolism, abundance of metaphors. In religion the symbols and metaphors occur in a word form. Due to it, from linguist standpoint, any religious symbol and metaphor cannot be discussed perfectly without taking into account pragmatic aspects.

3.1. Onymyzaion. One of sources of polysemy is different classes of **onyms**. **Toponymization** facilitates the creation of word’s new meaning as well as the turning of appellative into geographical name, ie changing of a word class. E.g.: many plant names (appellative) turned into Georgian oikonyms and polysonyms without adding of any word-building affixes, occur in many regions of Georgia. Such oikonyms and polysonyms are: **čadari** ‘plane-tree’, **qvavili** ‘flower’, **cacxvi** ‘lime’ // Megr. **cxacxu, ieli, gali** > **gali** ‘tree without branches’ (*Sulkhan-Saba*), **tqvarčeli**, Megr. **tqvarčelia** ‘cyclamen’ (*K.Lomtadidze; T.Gvanceladze*). Toponyms of this types derived from appellatives denoting plants, aren’t confirmed in Abkhazian (*T.Gvantseladze*). This fact differentiates this language from Kartvelian languages.

A source of polysemy is anthropomorphization – anthroponic naming of inanimate objects. E.g.: a ship “**Shota Rustaveli**”, saloon “**Lela**”, hurricane “**Alisa**”, horse “**Miša**” (*P.Tskhadaia*).

A source of origination of new meanings is anthroponymization – ie turning of appellatives into anthroponyms. E.g.: a village's name **Ačabeti** (*Tskhinvali region*) > 'name of place origin - ie 'smb from **Ačabeti (Mačabelian)**' and surname **Mačabeli**; **Likoği** (*village in Khevsuretia*) > 'name of place origin – ie smb from **Likoği (Likokian)** and surname **Likoğeli**; name of the profession **menabde** 'felt-cloak maker' and surname **Menabde**; name of profession **mxatvari** 'artist' and surname **Mxatvari**...

Proper names and nicknames denoting both genders are widely spread in different parts of Georgia. E.g.: men's names: **Aptari** 'hyena', **Buḡa** 'bull', **Loko** 'catfish' (*nickname*), **Orbi** 'vulture', **Roço** 'grouse' (*nickname*), **Tura** 'jackal', **Pocxveri** 'lynx', **Kori** 'hawk' (*nickname*), **Kurciği** 'Persian gazelle', **Čxiḡvi** 'jay' (*nickname*), **ḡera** 'kite'... Women's names: **Bačia** 'rabbit' (*nickname*), **Gombio** 'toad' (*nickname*), **Ḳata** // **Ḳatai** 'cat', **Mercxali** 'swallow', **Pepela** 'butterfly', **Xoxobi** 'pheasant'... (*G.Gvantseladze*).

Even Abkhazian appellatives turned into anthroponyms via polysemy, though difference with Georgian is made by the fact that **a-** prefix – format of a general form is definitely added to Abkhazian appellatives, while anthroponyms are represented in pure stems.

3.2. Metaphorization. Martin Voss offers the concepts of **simultaneity, simultaneous reflecting** instead of **comparing** concept and the concept of interrelation of whole and part: **exaggeration of similarity of partial // one part** to other object. Until a part doesn't occupy a place of whole object, it is equated with it. No matter , a poet compares her sweetheart to a flower or addresses her directly 'My flower'; no matter we reproach smb for pig-like behavior or we say directly 'You're pig' – in both cases **attention is focused on one feature, one part and its increasing to whole is obvious. Comparing basis is exaggerated until it occupies a place of whole object, it is equated with it.** This great inadequacy correctly understood, is always caricature (*M. Voss*). To the conceptions of reflecting of simultaneities, coincidences, similarity of a part and increasing of a part to whole should be added **universals**. In the world there are general features and signs, but the subjects having these

features are lots. "Any realia are similar, that allows us to give a same name to two and more subjects" (*Zh.Badrisvili*). Any subject has two and more meanings. Along with practical using, it is used symbolically.

Thus, there are **universal (basic) concepts** which create new images and their diversity via association and analogies. Metaphor, thinking association expressed by a language creates a **metaphorical system** over the times. New meanings created on the metaphorization ground occur in the following examples: **Christ is healer**, as 'He heals people's spiritual weakness'; **Christ is Father**, as 'He born us again in new life and cares each of us'... (*H.Vlachos*).

In Biblical texts as well as in Georgian ecclesiastic literature the following words are used as symbols and metaphors for **evil spirits and demons: snake, whales, scorpion, Satan, devil**...

Plant names are often used with new meanings. E.g.: in ecclesiastic literature a **rose** is a symbol of the Savior and Virgin Mary, in secular literature it expresses the appearance and beauty of a man and woman; **lily** is used to show human's appearance in the Bible. Lily was used by Demeter I to express the spiritual purity of Virgin Mary; also a **meadow, flower, fir-tree, wheat, poplar, hay**... create Christian metaphoric system.

Over the centuries in a language it has been obvious the trend of secondary using of semantics of animal's name in the role of human's expressive and emotional feature (*G.Gvantseladze*). E.g. in Psalms and Solomon the Wise's "Song of songs" a **vulture** denotes the human's spiritual and physical renewal; **Persian gazelle** – woman's youthfulness and elegance; **snake** – evil man... Similar situation occurs in Georgian literary works and oral speech (*G. Gvantseladze*). In named and similar cases metaphorization is popular source for polysemy and it is always accompanied by clearly expressed connotation.

As regard Abkhazian, metaphor is widely used to create polysemy. E.g.: **a-ləm** 'lion' – 'physical strength, undefeated man'; **a-ḡ** 'oak' – 'a strong man', **a-bḡax** ḡḡ 'fox' – 'cunning, sly, smart man'; **a-ḡapḡap** 'snow-cock' – 'beautiful and mellifluous young woman', etc. Thus, like in Georgian, in Abkhazian a metaphoric system played active role in origination of new semantics of words, as well.

3.3. Terminologization. One of sources of polysemy is the need for branch terminology. “*Professional dialects, special language has its special lexical fund different from common language fund. The special lexical fund also includes common language’s words which gained special meanings. Special language is characterized by semantic specialization of common language*” (B.Pochkhua). Formation of new meanings of words already existed in a language can be called **terminologization**. Examples of terminologization: **anabari** – primary meaning of the word is ‘entrusting to smb for safe-keeping’. The word is used in banking as a term for credit and accountancy; **muceli** ‘stomach/belly -a part of a body’, but the same word denotes ‘a distended side of a pot’ in pottery.

Similar processes take place in Abkhazian, as well, in which the already existed words gain new meanings. E.g.: in colloquial language a syntagma **áapən(t̚ i) kakaç** means ‘spring flower’, but in botanic terminology **áapən(t̚ i) kakaç** is a special term created by people (and not by scholars) and denotes ‘one of plants which has beautiful flowers in spring’. Thus, a language itself turned a syntagma into a term. Like in Georgian the word **abana** entered from Georgian in Abkhazian, has two meanings: 1. ‘bath’; 2. ‘medical-balneological water deposit where patients are treated’. In both languages the second meaning is new and has been created due to need for medical terminology.

In Abkhazian there are **different ways of terminologization**: in order to create the new meaning, a **word-distinctive function of stress** is often used. Due to it, **phonetic variants of same words gain different meaning**. Oftentimes both methods function and new words are formed from same words, among them special terms, as well. E.g.: in a colloquial language there are antonymic pair: **aarc°** ‘on this side (*of a river*)’ and **narc°** ‘on the other side (*of a river*)’. In order to create a religious term from these adverbs, Abkhazian replaced a stress, on the one hand and changed a vowel, on the other hand and through this way it created the terms denoting ‘this world’ and ‘the next world’: **aarc°á** ‘this world’ and **narc°á** ‘the next world’.

Thus, a **branch uses the words of common lexical fund with spe-**

cial semantics. Appearing of new meaning is grounded on association, existing of common characteristic features. A word can have different meaning in different professional group. Their occurring in common language forms polysemy.

Via the analyzing of common language’s word it is possible to restore the link between initial meaning and new, special one since new meanings aren’t isolated from primary one. Exceptions are semantic dialectisms and jargons which don’t always link with the meanings of literary language. Word’s literary and dialectal semantics hasn’t always common characteristic sign. Even the examples discussed in this part of the work have always initial meaning, but when it is used by a branch, a given word is established in a language with new, drastically different special meaning.

3.4. Style. This part of the work discusses the speech styles which are grounded on social basis. In its turn, styles demonstrate their specific codes. Codes are created either by people or group of peoples in order to use a language creatively. A style is an important originating source of polysemy, for thanks to it a word gains a new semantic nuance in the speech of representatives of any social class. E.g., in a common language a word **gakveta** ‘autopsy’ means ‘cutting’, but in the doctor’s language it is a special term and denotes the autopsying by a doctor. But still in the works of the writers of the 19th the same word denoted the explanation, clarification of smth for a student.

The same can be said about Abkhazian, although the language hasn’t long history of script: styles are originated on dialects and unwritten languages, as well. I’ll cite two typical samples: in Abkhazian a word **a-x°əš,taara** denoted and still denotes ‘hearth/fireplace’ - ie a place where fire is burnt. The word gained new semantic nuances in journalistic style: 1. ‘generating, appearing place for smth’; 2. ‘concentrating place of smth’... (A.Khetsia).

3.5. Irony. One of sources of polysemy is irony. In ironic speech two meanings are simultaneously realized – vocabulary and contextual, it’s opposite (Ts.Barbakadze). E.g.: **pearl** is a precious stone; figuratively the same word denotes ‘smb/smth too good’. The word is used ironical-

ly, as well. E.g.: when stupid, curious ideas are found in texts, they say “*Pearls*”. Irony is a result of pragmatic comparison. In artistic creation irony is realized as stylistic method. Oftentimes some literary works are of completely ironic character. Just the similar situation occurs in Abkhazian for using of irony as a source of polysemy is universal.

3.6. Intertextuality and discourse. A word always reveals its new meaning in a certain context. Accordingly, polysemy is originated by intertextuality, as well. All expressions which occur in a text, are directly linked to dialogue and quote, in it is heard a kind of echo of other expression. A language is a social phenomenon. Therefore, the words used by user are saturated with intentions and accents of other speakers (*M.Bakhtin*). A language material bears the signs of that culture with which it is charged – it is inter-textual echo (*U.Eco*). Discovering of inter-textual links and **interpreting** of their cultural traditions within the framework of a context is one of grounds of polysemy. This conclusion equally refers to the Georgian and Abkhazian languages.

§4. Some other aspects of polysemy in Georgian. In this section of the work I discuss some trends of Georgian polysemy, in particular:

1. It is outlined a group of polysemantic words which word form is separated from a content from the standpoint of present perception, ie one phonetic membrane is related with several groups of subjects, though via a paradigm analyzing and considering the historical situation it is possible to find common feature and to restore the broken link. For illustration I discuss a polysemantic word **mdelo** ‘meadow’. Its meaning are ‘grass’, ‘greens’, ‘green’ on the one hand and ‘soap’, ‘to be cleaned’.

2. A group of words is distinguished which meanings are derived from each other and absolutely every link of a semantic chain is confirmed in a language. As their analysis showed, the link between meanings is obvious. For illustration I bring a polysemantic word **bor-bali** ‘wheel’. Its meanings are: ‘drought/wind’, ‘hurricane’, ‘storm’, ‘potter’s wheel’. Of them the first three meanings are synonymous with each other, the fourth – is new meaning.

3. One of well-spread trend of origin of polysemy is the **detailing**

of word’s meaning, ie moving from wide semantics towards narrow one, when a word begins to express other concepts on the ground of promoting of formal, semantic features or associative aspects of a subject. But a semantic core is unchangeable. I discuss some typical samples to illustrate aforesaid: **gamosadineli** ‘to be flew out, **ჯაყვ** ‘vein/blood vessel’. Such instances can be considered to be polysemy by some scholars, and homonymy – by others. In my view, it is polysemy but I specify that terminologization should be considered to be a basic facilitator of polysemy. I consider being polysemantic such instances when two or more semantics coexist and semantic elements of one word is clearly given in other.

Chapter II. Homonymy in Georgian and facilitators of origin of homonymy with Abkhazian parallels. The chapter consists of 2 paragraphs.

§1. Adjacent issues of polysemy and homonymy and essence of homonymy. The paragraph deals with the analysis of existing views on the essence of homonyms. Diversity of views is explained by the fact that scholars discuss the issue from different positions. Generally, **there are two kinds of approach to the definition of homonymy: synchronic and diachronic.** Synchronic approach is also called **static** or **semantic approach**, diachronic – **etymological approach.**

According to B.Pochkhua’s views, studying of homonymy is a part of etymological research... Though lately it has more and more opponents. They consider that etymology is not always determined criterion to demarcate homonymy and polysemy. When semantic evolution is strongly progressed, it disintegrates a polysemantic form into homonyms. Thus, according to supporters of the view, in order to demarcate polysemy and homonymy, an etymological criterion is essential, but not determined. I add, that this standpoint cannot completely exclude the need of etymology - otherwise it is impossible to make reliable conclusion. Let’s discuss the homonyms originated under the participation of borrowed words: in most instances, word’s core and borrow feature cannot be discussed without considering the outcomes of historical investigation. In addition, usually homonymy is originated under partici-

pation of the words borrowed from other languages. Borrowing feature of a word is investigated by establishing of the history in a word borrower language, ie in this case historicism is essential research factor. Similar can be said about polysemy: word's semantic history gives exact data on its origin.

According to Ch.Bally, contradiction between static and historical investigation can occur in the opposite fact that **homonyms turned into homonyms over the times and for diachrony homonymy doesn't exist**. While speaking, a speaker doesn't think about the word's history. A speaker uses a word with the meaning in the given stage. Thus, if on any stage of history the words **saponi** 'soap' and **mdelo** 'meadow' were the words with similar meaning, on synchronic level they are different words for a speaker. As aforesaid, word's one phonetic membrane is related with several classes of subjects. From synchronic linguistic standpoint, the words of this group are different words, though considering the historical situation, it is possible to find a common sign and to restore the link to primary meaning. **The words of this group create polysemy for a language, and homonymy – for a speaker. In other words: that what is polysemy for a language from historical standpoint, for a speaker it is a homonym on a given (synchronic) level.**

What is the reason that a boundary couldn't be drawn between homonymy and polysemy? The point is that homonymy and polysemy are the concepts determined from different standpoint.

“Two markers cannot be revealed in the system of same type” (R. Godel). It is unjustifiable to unite an object with many-aspects in one definition, since it cannot reflect an exact situation, it is impossible to be defined. **Word's second meaning cannot develop in the same situation and due to it polysemy cannot be a result of continuous development. Polysemy is created by accumulation of meanings branched out in different situation (B.Pochkhua).**

As regard homonymy, word's semantic development is deemed to be one of its causes. Similar definition can be used in relation with the group of words which meanings have isolated from each other and due to historical development they seem to be different words. By isola-

tion of polysemantic word (ie when the link between new and primary meanings is lost) it comes homonymy. Such words create sub-system in Georgian and Abkhazian vocabulary.

I believe that homonymy implies the casual, formal coincidence of two entries of different origin, between which there is no conceptual link. E.g.: **çeli** – 'waist' – 'a part of human's body' and **çeli** 'year' – 'section of time'... Homonym is called such words which **don't differ phonetically**, but are different in **meaning and origin (Arn.Chikobava).**

§2. Types of homonyms and facilitators of their origin. The paragraph includes 7 sub-paragraphs.

In language there are lexical, grammatical and compound homonyms. But there occur such instances when roots form homonyms. They are semantically specified by morphological elements. E.g.: **a -g-** root in below given words: **ga-i-g-o** – 1. 'smb shared, realized, understood'; 2. 'smb learned'; 3. 'heard'; 3. **gan-a-g o** – 1. 'smb governed'; 2. 'headed up, led'; 3. Old 'instituted, established, made decision'; **mo-i-g-o** – 1. 'smb got derived benefit from smth'; 2. 'smb won, was better'; **ça-a-g-o** 'smb suffered the loss'; **da-a-g-o** – 1. 'smb spread out smth'; 2. 'smb fix a handle'; **gada-e-g-o** – 1. 'smb didn't spare oneself'; 2. 'smb put oneself out for smb'; 3. 'smb died heirless'; **mi-u-g-o** – 'smb answered'...

According to relation with concrete languages of the words which are in homonym relation with each other – ie according to language property, classification of homonyms can be divided into two types: **the homonyms originated under participation of internal- language and borrowed words.**

According to **internal-language** classification, there are distinguished two subgroups: 1. **homonyms which have similar phonemic structure but different meanings**; 2. **homonyms which have similar phonemic structure as well as similar semantics.** The words of both groups are from proper Georgian vocabulary and originated from etymon.

Among the homonyms originated from borrowed words there are distinguished two subgroups: 1. **borrowed** homonyms; 2. **mixed**

ones (Georgian-borrowed, originated through phonetic similarity).

2.1. Proper Georgian homonyms (inter-language homonyms). In Georgian a number of **real homonyms** isn't small: there is no semantic link among them. Such words are the words with independent meaning. Often it isn't clear their origin and semantic history – whether they are originated from one semantic word or from different words. E.g.: **ႂali** – ‘power, capacity, strength, nation, army’ and **ႂali** – ‘string’. To the latter should be linked an expression ‘very thin’ – ie ‘thinner than a string’. In the expressions **ႂalze ႂvrili** ‘very thin’ and **ႂalian ႂvrili** ‘too thin’ there can be different stems; **ႂeli** – ‘waist’, ‘a part of human’s body’; **ႂeli** – ‘intestine; **ႂeli** – ‘year’, ‘time, 12 months’... It should be noted that of the homonym words of this group one can be polysemantic.

2.2. Homonyms originated under phonetic changes. A great number of homonyms are the words which became similar to each other due to phonetic changes (*B.Pochkhua, T.Gamkrelidze, E.Babunashvili...*). Originally, the inter-language homonyms had phonetic structure along with different meanings. Their coincidence took place due to certain phonetic changes. In particular, in Georgian some words gain homonymic form due to syncope, substitution of letters withdrawn from usage, historical phonetic changes, mutual isolation of meanings of polysemantic lexical entries, its semantic ‘splitting’ (*B.Pochkhua, E.Babunashvili, T.Gamkrelidze...*). The listed factors cause **secondary similarity**. E.g.: in the modern literary language the words **xerxi** – ‘weapon’ and **xerxi** – ‘method, means’ are of different origin. The reason of secondary similarity is the substitution of letters withdrawn from usage in one of forms. A name of ‘tool’ is originated from **qerqi** that is confirmed in Old Georgian texts and in one part of modern Georgian dialects (*B.Pochkhua, E.Babunashvili, Sh.Putkaradze*); **xeli** – ‘hand’ (> **qeli**) > **qeli** ‘handicraft/trade/profession’ and **xeli** – ‘crazy’. A source of homonymy is the substitution of **q**- consonant into **x**- phoneme.

In Abkhazian literary language there often occur the homonyms obtained as a result of phonetic changes. E.g.: in literary Abkhazian the word **áႂay** has two meanings: 1. ‘acorn’ (its synonym is **a-ႂræc**); 2. Bzif. ‘grappa/chacha’ (*sprits drink*); cf. **áႂay** ‘grappa/chacha’ (*sprits*

drink) exits in Abzhur sub-dialect as well as literary language. In this case we deal with two independent compound stems coincided due to phonetical processes: originally the first meaning ‘acorn’ could have belonged to the **áႂay** phonetic variant that is derived by joining of the words **a-ႂ** ‘oak’ and **ay** ‘fruit, stone’ – ie etymologically ‘acorn’ denoted a ‘fruit of oak, stone of oak’ (cf. its synonym **a-ႂræc** < **a-ႂ aræc** ‘grain of oak’). As regards **á- ႂay** variant entered from the Bzif dialect in the literary language with the semantics of ‘grappa/chacha’ (*sprits drink*), its arch-form is the **á-ႂay** variant existed in the Abzhur dialect and literary language and which is obtained via joining of the word **á-ႂ** ‘grape’ and **ay** ‘fruit, stone’ – ie **á-ႂay** variant is originated from **á- ႂay** one – due to the affricatization of **ႂ** consonant the names of ‘acorn’ and ‘grappa/chacha’ completely coincided with each other – ie an homonymic pair was formed. Such homonyms which were obtained in Abkhazian as a result of the absence of 9 specific phonemes in literary language and Abzhua dialect and which have been still preserved in Bzip dialect are of systemic character. Such difference in literary language causes reflexes, since literary Abkhazian phonemic structure is completely coincides with its basis Abzhua dialect’s phonemic one. Due to it, there often occur instances when in literary language the words of different origin are completely coincide with each other and homonyms are originated. In Bzip in relevant instances the homonymy isn’t originated since in the sub-dialect the different phonemes occur in the same words. E.g.: in literary Abkhazian and Abzhua dialect homonymic pair is formed: 1. **a-rémႂ** ‘divan, bench; and 2. **a-rémႂ** ‘urine’ between which there is no semantic link to consider them to be samples of polysemy. But in Bzip dialect these two semantics are expressed by phonetically different two independent words: 1. **a-rémႂ** ‘divan, bench’ and 2. **a-rémႂ** ‘urine’ – difference is made by the last consonant. It is obvious, that in literary Abkhazian language as well as Abzhua dialect homonymy is secondary. It is caused by losing of hissing-hushing **ႂ** consonant and by its substituting with ordinary **ႂ** consonant.

2.3. The homonymy obtained as a result of using of different parts of speech with same function. Homonymic forms are originat-

ed within the framework of one part of speech as well as during formal coincidence of different parts of speech: thus it can be coincided a noun and participle of active voice; a noun and adjective; a verb and infinitive...: a) **formal coincidence of a noun and adjective**: **mamuli** (*adj.*) – ‘fatherland, native land and **mamuli** (*noun*) – ‘village, homeland, land...; b) **coincidence of a noun and participle**: **asuli** (*noun*) – ‘daughter, girl, maiden’ and **asuli** (*parti.*) – ‘smb/smith that ascended/went up’; c) **coincidence of a noun and infinitive**: **goneba** (*noun*) – ‘thinking, remembering, intending,; sense/opinion; morals and custom; **goneba** (*inf.*) – to think, to consider, to intend; to remember; to understand’...

The homonyms obtained via coincidence of different parts of speech are attested in Abkhazian, as well. It should be noted that **in order to comprehend homonymy correctly in this language, a stress is of crucial importance, as well**. The point is that unlike Georgian immovable and weak stress, Abkhazian stress is intensive and movable and functions differently. E.g.: **ác°a** ‘sleeping’ (noun) – **ac°á** ‘skin, leather’; **áca** ‘cherry’ – **acá** ‘maize-shed, storage hut for millet’; **alába** ‘male dog’ – **alabá** ‘stick’; **ápsta** ‘lead’ – **apstá** ‘gorge/ravine’...

Are the phonetically identical but stress-different Abkhazian words homonyms? I believe that in such instances speaking about homonymy is excluded since as Acad. K.Lomtadze convincingly confirmed, **in Abkhazian there doesn’t occur any word without a stress. It is an integral and important component of any word, ie a stress is a main marker for each Abkhazian word**. Due to it, I consider the above given examples to be **partial homonyms**: in these examples there is difference in stress place and semantics, which I deem to be the confirmation of existing of homonymy. Homonymy is formed in the same word through originating of new semantics along with stress replacing, as well. E.g.: **aṭ°ará** ‘sitting’ – **aṭ°ára** ‘seating’, **ačará** ‘eating’ – **ačára** ‘wedding; feasting’; **áaxara a** ‘knocking against smth, dashing against smth’ and **aáxara** ‘moving smth hither’, etc. In these instances even superficial observation shows the common origin of pairs. In Abkhazian there occur other words when shifting of a stress creates a new

word and homonym as well. It is mostly takes place **with the purpose of terminologization**. E.g.: **ajarrá** ‘lying down’ and **ajára** ‘beddings; bed’ originated from it; **ač,ah°ará** ‘bind’ (etymologically ‘giving one’s word or gagging (smb)’) and **ač,ah°ára** ‘bunch (of)’... In Abkhazian similar instances when stress shifting differentiates the masdar forms and terminologized noun originated from the same form, are of **systemic character**: **ažará** is a masdar of intransitive verb and means 1. reaching (*hither*); 2. reaching (*hither from afar*) (**jaažejt** - ‘Smb reached smth; smb reached to hither from afar’). But **aažára** is a noun differing in stress place and means ‘hither end of an object’. Undoubtedly, a masdar and noun are partial homonyms of each other and difference of stress place between them has the function of terminologization.

2.4. Homonyms obtained as a result of coincidence of literary and dialectal forms. Homonyms are originated during coincidence of literary and dialectal vocabulary, as well. Such words can be considered to be homonyms if a dialectal form is established in a literary language, as well. Within a dialect, there is no need to be such words homonyms, but polysemantic ones. Semantic link among them is restored on the ground of tropization// metaphor, association. E.g.: **ablabuda** 1. (lit.) ‘cobweb’: ‘spider’s nest’ (*Saba*); ‘spider’ net or nest’ (*D.Chubinashvili*) and **ablabuda** 2. (Okribian) ‘silly, senseless’ (*M.Alavidze*). Both meanings occur in Okribian speech and due to it for Okribian **ablabuda** is polysemantic words since the second meaning is obviously originated from the first one and is a result of tropization. For a literary language homonym character of **ablabuda** is hardly to be supposed since actually the word isn’t confirmed under the meaning ‘silly, senseless’.

Such samples in Abkhazian need to be studied comprehensively. Due to it I’ve abstained from it.

2.5. Homonyms obtained as a result of casual phonetical coincidence of borrowed and proper vocabulary. Homonyms can occur as a result of casual phonetic similarity of the borrowed and proper lexical entries (*B.Pochkhua, T.Gamkrelidze...*). Phonetical similarity of Georgian basic words and the words borrowed from different languages creates a clear system in Georgian homonymic vocabulary. A number

of such homonyms is large in literary as well as in dialects. In some instances borrowed words are so assimilated and adopted, that it is difficult to determine their origin. There are frequent instances when a word entered in Georgian not directly from an original language, but from other language in direct contact with Georgian: **alva** – 1. poplar, cypress tree (*D.Chubinashvili*); **alva** – 2. (*Greek*) ‘dried powdered herbs, incense’; **alva** – 3. (*Turk.*) is the same as ‘halva’: food prepared with sugar “that in Georgian is called *pungia*” (*Saba*); (*Pers.*) *alvakhazi*, honey delicious, *pungia* (*D.Chubinashvili*); **alva** – 4. Burning, torment and suffering (*D.Chubinashvili*): “*vigonebdi, cecxli upro medeboda gulsa alvad*” - “Remembering, my heart was burning in fire” (*Shota Rustaveli* “*Knight in the panther’s skin*”)...

In Abkhazian there are many examples of homonymy of **basic and borrowed words**:

a-laṣa – 1. (*Abkh.*) ‘brilliant, bright, illuminating’; 2. (*Turk.*) ‘gelding, castrated stallion’; **baba** – 1. (*Abkh.*) ‘soft, downy, fluffy’; 2. (*Turk.*) ‘child’s addressing to father’; **a-pāra** – 1. (*Abkh.*) ‘plaited’; 2. (*Turk.*) ‘money’, etc.

2.6. Towards the essence of the homonyms obtained via metaphorization. As aforesaid, it is possible, that the outwardly similar words of same root can express different meaning. Traditionally, this secondary function is called **tropization** – ie a word is used with figurative meaning. A.Gventsadze writes that **metaphorization, ie tropization is one of formative factors of homonymy**. Stylistic homonyms are the words of one root but functionally they oppose each other: **vardi** ‘rose’ - **vardi** – ‘lips’; **broli** ‘crystal’ - mineral - **broli** – ‘teeth’; **gogra** ‘pumpkin’ vegetable – **gogra** ‘head: the second meaning is originated from the first one through metaphorization. As A.Gventsadze concludes, all types of tropization should be deemed as stylistic homonymy. E.g.: metaphor, symbol, epithet, metonymy, synecdoche, comparison, enantiosemy, phraseologism, etc. I believe (I discuss polysemy and homonymy considering the history) that those above given samples for illustration of obtaining of homonyms through metaphorization, cannot be considered to be homonyms, since each of them clearly demonstrates that new

meanings are originated from old ones and actually, we are dealing with polysemy (*see ch.I*).

2.7. Homonymy of borrowed words. In Georgian there often occur such homonyms which are borrowed from other languages:

Lira – 1. (*Greek*) ‘musical instrument - lyre’; 2. (*Ital. And Turk.*) ‘currency’; **sandali** – 1. (*Greek*) ‘lightweight shoes, sandal’; 2. (*Arab.*) ‘tropical tree sandalwood’; 3. (*Turk.*) ‘small boat’; **zari** – 1. (*Pers.*) ‘sudden, unexpected fear, sudden shock’; 2. (*Pers.*) ‘wooden gong’; 3. (*Turk.*) ‘knuckle-bone in game’...

Similar examples are attested in Abkhazian, as well:

a-bagʻar – 1. (*Georg.*) ‘planked bridge’; 2. (*Georg.*) ‘railing/banister’; **a-gaz** – (*via Russ.*) 1. gas; 2. fuel’; **a-ḱlass** – (*via Russ.*) 1. grade; 2. a group of students’; 3. ‘class-room’; **aḱʻəba** – (*Georg.*) 1. stairs/ladder; 2. cancer’; **a-kʻar** – 1. (*Georg.*) ‘barley’; 2. (*Turk.*) ‘benefit’; **a-ura** – (*Turk.*) 1. colt, unbroken (*horse...*); 2. hammer, etc.

CONCLUSIONS

The present work analyzes general and concrete issues of polysemy and homonymy. It should be noted that polysemy and homonymy are semantic phenomena closely related to each other. Their investigation is topical from theoretical as well as practical standpoint.

Of the many mutual complementary and mutually exclusive viewpoints on the essence of polysemy and homonymy, reasons and factors of their origin and development existed in the Georgian and foreign special literature, those ones seem to be the most noteworthy which exclude the one-sided approach to the issue - a part of linguists denies the consideration of the history of polysemy and homonymy and grounds only on a synchronic analysis. The other part of scholars focuses more attention on the history than it is needed.

I believe that it is optimal to study the issue **comprehensively** while the problems of polysemy and homonymy are analyzed from synchron-

ic as well as diachronic standpoints, and additionally, a concrete language material is analyzed **prospectively** – through moving from past to the present day. Just I've studied the Georgian language data using such approach and the analogy of relevant data of Georgian's kindred, new-written language Abkhazian. Illustrating of Abkhazian vocabulary was important to show how word's semantics is changed due to influence of different factors, when a strong factor of normalization characteristic of literary language affects less and a language is free from its influence.

I discuss polysemy from the standpoint of social dialectology, human's figurative thinking, metaphorization, pragmatic and other external-language factors. That group of multi-semantic words which isn't distributed in sociolects, gains new meanings on the ground of metaphoric – pragmatic aspect.

Research strategy enabled me to make the following conclusions:

1. Polysemy is more frequent phenomenon in Georgian and Abkhazian than homonymy;

2. Turning of a word into polysemantic one is facilitated by many **extra-linguistic** and **internal-language** factors, but it is a rare occasion when a word gains new meaning under the influence of only one (or only either extra-linguistic or language) factor. The majority of extra-linguistic factors is of **social character**, internal-language ones are connected with **pragmatic and applied** aspects and imply the loading of new meanings with negative, positive and neutral connotations. Since a language is of a social nature, even social factors affect its development. But a language is also a communication tool of humans. The latter factor is directly linked to pragmatic and applied aspects that are of social character. Due to it the changing of word's semantics undergoes more than one factor simultaneously.

3. I share the conclusion according to what "*polysemy is a result of accumulating of two (and more) data. These data are homogenous - ie are branch meanings. In order to branch, ie to develop new meanings, it is needed to break contact with word's meaning and one of its using. Where this breaking hasn't taken place, there a word hasn't*

gained new meaning. If a word's using is based on word's (any) meaning to name otherwise, then it is metaphor and not new meaning and thus we cannot speak about polysemy" (B.Pochkhua).

4. Development of new meanings by a word takes place endlessly. There are frequent occasions when primary and "last" meanings are opposites – **antonymic**. E.g.: Georgian adjective **sašineli** 'terrible, horrible' and adverb **sašinlad** 'terribly, horribly' originated from it, firstly was included in the semantic field of 'fear' and denoted 'that what evoked fear and that made action and state frightful'. In addition, both words were loaded with negative connotation. But over the times the words gained the meaning with negative connotation: 'very big, superior; respectable, modesty' ("*Oh, superior Lord!*"...) and "too, very, highly" ("*I was very glad*"). Similar processes take place in Abkhazian as well: a word **a-c'g'a** > Georg. **cud-i** 'bad' (*K.Lomtadze*) just on the ground of similar changes denotes the following meanings: 'bad, useless/unfit; bad-tempered/vicious' (negative connotation), 'badly, difficulty, hardly' (negative connotation) and 'very, too' (positive connotation). But against this background it seems disputable the standpoint according to what similar examples are considered to be homonyms from synchronic aspect since semantic link between primary and last meanings hasn't been broken yet and is obvious on etymological as well as the present level. Though the aforesaid doesn't completely exclude the abundance of such occasions when words create real homonyms via semantic changes. This is confirmed by etymological studies, as well.

5. Of the factors of origin of polysemy in Georgian the most popular is: taboo, ritual argo, semantic dialectisms, terminologization, jargon, gender, religion, onymization, changing of language users, intertextuality and discourse, metaphorization and metaphorical system, style and irony. Almost the same factors act in Abkhazian, as well, if we don't consider the fact that in this new-written language a literary language style is less developed and less inclination of Abkhazians towards the urban life in not too distant past is reflected in weak development of Abkhazian jargon and primate of Russian jargon.

6. Of types of homonyms there are distinguished lexical, gram-

matical and compound homonyms, also homonyms of the roots of a word. According to traditional approach, the lexical entries which are in homonymic relation with each other are classified and analyzed into following groups: 1. proper Georgian homonyms; 2. Georgian-foreign homonyms; 3. foreign homonyms.

7. Among the homonyms consisting of the words of Georgian origin the following subgroups are distinguished: 1. homonyms originated under historical phonetic changes; 2. homonyms originated as a result of using of different parts of speech with similar function; 3. homonyms originating as a result of coincidence of literary and dialectal forms. Each of these groups has its own specificity.

8. The issue of the homonymy originated via metaphorization was analyzed and it was determined that this method didn't origin homonyms, since each of them clearly shows that new meanings are originated from old ones and actually, it is polysemy.

9. When a word's one phonetic membrane is related with many classes of objects, from synchronic standpoint, these words are different ones though considering the historical situation, it is possible to find common sign and to restore link to initial meaning. **The words of this group make polysemy for a language, and homonymy – for a speaker.** In other words: that **what is polysemy for a language from historical aspect, for a speaker it is homonymy on a given (synchronic) state of a language.**

10. Comparing of Georgian and Abkhazian data demonstrates that in both languages origination of polysemy and homonymy was caused by similar factors. Great difference occurred in turning of a polysemantic word into one of terms with new meaning. In particular, it is defined that unlike Georgian, in Abkhazian the using of a stress place is very important with the purpose of terminologization. This is caused by the fact that in Abkhazian a stress is intensive and dynamic, as well, additionally; it has the word-distinctive as well as form-distinctive function.

11. The conclusions obtained on the ground of analyzing of Georgian data and their comparing with Abkhazian material are of typological character and can be generalized for other many kindred and non-kindred languages, as well.